

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

**გურამ მაგულია**

**კლასობრივი საზოგადოებისა და  
სახელმწიფოს ჩამოყალიბება  
ქველ ქართლში**



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1979

ნაშრომში განხილულია კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემა ძველ ქართლში. შესწავლილია ძველქართულ ტომთა სოციალური სტრუქტურა და მათი სოციალური ევოლუციის გზები კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. ნაჩვენებია ქართლის (ძველი) სამეფოს კლასობრივი ბუნება.

რედაქტორი გ. მელიქიშვილი

ქველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის  
(იბერიის) სამეფოს წარმოქმნის შესახებ და  
ფარნავაზ-აზონის „სახლების“ სოციალური  
კონსოლიდაციის პრობლემა

ქველმა ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადმოცემა შემოგვინახეს. „მოქცევა ქართლისაჲს“ ცნობით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა მცხეთა დაიპყრო, „თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჳ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთად საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთად ცროლისაჲ და წარვიდა.

ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რეჲდ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძუეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად — გაცი და გაიმ.

და ესე იყო პირველი მეფჳ მცხეთას შინა, აზოჲ, ძჳ არიან ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა.

და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი ღიჲ დი ცხვრსა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი<sup>1</sup>.

ლეონტი პროველის გადმოცემით კი აზონი მაკედონელი იყო, „ნათესავი მისი (ალექსანდრე მაკედონელის — გ. მ.) ქუეყანით მაკედონით“<sup>2</sup>. ალექსანდრე მაკედონელმა აზონი ქართლის პატრიკად დააყენა და ქვეყნის მმართველობა ჩააბარა. ლეონტის თქმით, აზონი „იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარამედ: ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საქურველი, მოკალთ იგი. და ჰყოფდეს ჰრომნი იგი (ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზონისთვის დატოვებული ჯარის ნაწილი —

<sup>1</sup> ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 81—82.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 18.

გ. მ.) ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავეინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო კირი დიდი ნათესავთა ზედა ქართველთასა<sup>3</sup>.

აზონის ქართლზე ბატონობის ჟამს „იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი, ნათესავი უფლოსი, მცხეთოსის ძისა... და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო.

ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან. ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარუყვანა ფარნავაზ, სამი წლისა ყრმა, და შელტოლვილ იყო კავკასიად. და მუნ აღზრდილ იყო და მოსრულ იყო მცხეთას, მამულსა თუსსა.

ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მკედარი შემმართებელი და მონადირე კელოვანი. და იმაღვიდა იგი სიკეთესა თუსსა აზონის შიშისაგან. ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა, და შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათუს. ევედრებოდა ფარნავაზს დედა მისი: შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს და ნურა-რას იჩინებ თავისა შენისა სიკეთესა, ნუ უკუე მოგკლან შენ.

და იყო შიში და ძრწოლა მას ზედა. და ვითარ განმრავლდა შიში აზონისა მათ ზედა, რქუა ფარნავაზს დედამან მისმან: შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მამულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი კელისაგან აზონისა.

და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსლვა ასპანისა. კირ უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფლისა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდისა დაამტკიცა წარსლვა<sup>4</sup>.

შემდგომ ლეონტი პროველი მოგვითხრობს, რომ ფარნავაზმა დიდმის მიდამოებში ნადირობისას იპოვა გამოქვაბული სავესე განძეულობით. ფარნავაზი დაუკავშირდა ეგრიისის მმართველს — ქუჯის, რომელიც აგრეთვე შევიწროვებული იყო აზონის მიერ და შესთავაზა, ნაპოვნი განძეულობა აზონის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინათ. ფარნავაზი და ქუჯი აზონს აუჯანყდნენ; მათვე შეუერთდნენ ოგსნი და ლეკნი. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი აზონი, ლეონტის თქმით, „მივიდა კლარჯეთს და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 18—20.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 20—21.



ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თვნიერ კლარჯეთისა. ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძლუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძლუენი მისი, და უწოდა შვილად თვსად, და წარმოსცა გვრგვნი<sup>5</sup>. არტანში გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ფარნავაზისა და აზონის ჯარებს შორის. ამ ბრძოლაში აზონი დაიღუპა და გამარჯვებულმა ფარნავაზმა კლარჯეთიც დაიპყრო. „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მკედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღურამდე ეგრისისა, რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და ღიმნა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არავთვან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშულდის ერისთავად, და მისცა სკურეთის მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანავართგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მექექუსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად, და მისცა ტასისკართგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელს არს სამცხე და აჭარა.

მეშუდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანთგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არავთვან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარამდე, რომელ არს შიდა-ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 21—23.

ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო... და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი... ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის...

ოცდაშვიდისა წლის მეფე იქმნა, და სამეოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ. და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა. და ყოველნი დღენი მისნი, რაჲ დაჰდა, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი... იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათჳს ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: ვჰმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესაეთაგან მამათა ჩუენთასა და აღგვიჰადა ზარკი და ჰირი უცხოთა ნათესაეთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმჴნითა და სიმდიდრითა.

ესუა ძე და უწოდა სახელი საურმაგ.

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაეთაგანი. ამან განაერცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.

და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა ქერპისა<sup>6</sup>.

რადგან „მოქცევაჲ ქართლისაჲმ“ და ლეონტი მროველმა ქართლის (იბერიის) სამეფოს დაარსების შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადმოცემა შემოგვინახეს, თავისთავად იგულისხმება, რომ ან ერთი გადმოცემაა სწორი ან მეორე, ანდა ორივე გადმოცემა მხოლოდ ნაწილობრივ იმსახურებს ნდობას. ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე მროველის გადმოცემის სანდოობაში, რომ ფარნავაზი ქართლის (იბერიის) პირველი მეფე იყო და ქართლის (იბერიის) სამეფოს დამაარსებელი, ეპკის შეტანა შეუძლებელია<sup>7</sup>, ოღონდ სარწმუნო არ არის ლეონტიეული ის გადმოცემა, რომელიც აზონს მაკედონელად წარმოსახავს, რაც მარტივად მტკიცდება.

ლეონტი მროველის მიხედვით, აზონმა მცხეთის დაპყრობის შემდეგ „შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი გაცი და გაიმ“<sup>8</sup>. ლეონ-

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 23—26.

<sup>7</sup> Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 276—283.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 20.

ტის „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ეთანხმება, რომლის თანახმად, აზოს მცხეთაში დამკვიდრებისას „თანა ჰყვანდეს კერპნი ღმრთად — გაცი და გაიმი“<sup>9</sup>. ლეონტი მროველი, რომელიც აზონს მაკედონელად წარმოგვიდგენს, წმინდა ნინოს ქართლში მოსვლასთან დაკავშირებით გადმოგვცემს, რომ ფარნავაზის მიერ აღმართული არმაზის კულტის მარჯვნივ იყო „კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი. და მარცხენით მისსა (არმაზის — გ. მ.) უდგა კაცი ვერცხლისა და სახელი მისი გაიმი, რომელნი იგი ღმრთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“<sup>10</sup>. მირიან მეფე, ლეონტისავე ცნობით, გაცის და გაიმს უწოდებს „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი“<sup>11</sup>. ლეონტის ამ ცნობებს „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ ეთანხმება. არმაზის კულტის აღწერის შემდეგ წმინდა ნინო, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სიტყვებითვე რომ ვთქვათ, ამბობს: „და მარჯულ მისა (არმაზის — გ.მ.) დგა კერპი ოქროსა და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა — კერპი ვერცხლისა და სახელი მისი გა, რომელნი იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან ქართლით“<sup>12</sup>, ხოლო შემდგომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ ქართლში არმაზის გარდა „იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნევად თავსა კერპისასა“<sup>13</sup>.

აზონი მაკედონელი რომ ყოფილიყო, ფარნავაზის მიერ აზონის მოკვლის (ძვ. წ. IV ს. მიწურული) შემდეგ ექვსი საუკუნის გასულს, IV ს. 30-იან წლებში, აზონის საგვარეულო კულტებს მცხეთაში არავინ გააჩერებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ გაცისა და გაიმის კულტებს ბერძნულ-მაკედონური პანთეონი არ იცნობს. უფრო საყურადღებო ის არის, რომ ზემომოტანილი წყაროები გარკვევით მიგვითითებენ — ფარნავაზს აზონის მიერ მცხეთაში აღმართული გაცისა და გაიმის კერპები კი არ გაუნადგურებია, არამედ მათ შორის თავისი საგვარეულო კულტი არმაზი აღუმართავს. არმაზი ქართლის (იბერიის) სამეფოს მთავარი ღვთაება — სამეფო კულტი იყო, რომელსაც ორივე მხრიდან აგრეთვე სამეფო კერპები: გაცი და გაიმი უდგნენ. არმაზის კულტთან ერთად გაცი-

<sup>9</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 82.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 89—90.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>12</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 119—120.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 126.

სა და გაიმის კერპების სამეფო კულტებად გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ ფარნავაზმა აზონის დამარცხების შემდეგ ქართლის (ბერიის) სამეფოს დაარსებისას „არიან — ქართლის“ მეფის ძის აზოს ჩამომავალთა სახლი სამეფო — ფარნავაზიანთა სახლში შემოიყვანა, რასაც სიმბოლურად ასახავდა გაციისა და გაიმის კერპებს შორის აღმართული არმაზის ღვთაება.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სხვა მასალებიც. როგორც აღვნიშნეთ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობის თანახმად, აზონის საგვარეულო კულტებს — გაციის და გაიმს — სეფეწულები შეეწირებოდათ; მოვსეს ხორენაცის განმარტებით კი სეფეწულებად ქართლის ქვეყანაში პირველ მეფეთა ჩამომავლები იწოდებოდნენ<sup>14</sup>. მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომელიც სეფეწულებს „მეფეთა ნათესავებ“ — აღვარაუდობს, დასტურდება ძველი ქართული სოციალური ტერმინოლოგიითაც. როგორც ცნობილია, აღიშის ოთხთავის იოანეს სახარებაში სოციალური ტერმინი სეფეწული ორჯერ გვხვდება (4, 46, 49), ძველქართულ სეფეწულს კი იოანეს სახარების ძველსომხურ ტექსტში ძველი სომხური სოციალური ტერმინი *შაფასორაჲ* შეესიტყვება. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სეფეწული „ქართლის ცხოვრების“ ძველსომხურ თარგმანშიაც *შაფასორაჲ* — აღ არის გადმოტანილი.<sup>15</sup> სომხ. *შაფასორაჲ* კომპოზიტს წარმოადგენს და მეფის ტომს, მეფის გვარს აღნიშნავდა (*შაფასორ* — მეფე, *აჲ* — გვარი, ტომი).<sup>16</sup> *შაფასორაჲ* — ობით იხსენიებს სომხეთის მეფის თრდატის (298—338) მიერ წამებულ რიფსიმეს თომა არწრუნი (*ჩ ვაჲაჲაშნ ჟარანბაღაჩნ ჩ ჰინს ათრე ირიჯინ ხ შაფასორაჲ კოსტინ ჯიიჲაჲაჲაჲ*)<sup>17</sup>. ლეონტი მროველის ცნობით კი, როდესაც წმინდა ნინო ეფესოელ ქრისტიან ქალს გამოჰყვია და მათ მოაღწიეს „სამეფოსა პრომს სახიდ დედაკაცისა, რომლისა იგი (წმ. ნინო — გ. მ.) თანამოგზაურ იქმნა, პოვეს მუნ დედოფალი ვინმე მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე, და დედამძუძე მისი გაიანე, მონასტერსა ში-

<sup>14</sup> მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1913, თბ. გვ. 113 (ძველსომხ. ენაზე).

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1953, გვ. 114.

<sup>16</sup> ელ. დოჩანაშვილი, აღიშის ოთხთავის კომპოზიტები, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვ. 29, გვ. 93.

<sup>17</sup> თომა არწრუნი, არწრუნთა სახლის ისტორია, 1887, პეტერბურგი, გვ. 306 (ძველსომხ. ენაზე).

ნა ქალწულთასა<sup>18</sup>. ლეონტისავე ცნობით, რიფსიმე თრდატმა აწამა<sup>19</sup>.

ლეონტი პროველის მიერ რიფსიმეს „მეფეთა ნათესაობით“ მოხსენიება იმის მანიშნებელია, რომ სეფეწული და „მეფეთა ნათესავი“ სოციალურად ურთიერთის სინონიმები იყვნენ, „მეფეთა ნათესავში“ კი ქართლის (იბერიის) სამეფოში ფარნავაზიანები შედიოდნენ. აზონის საგვარეულო კულტებისადმი სეფეწულის შეწირვის წესი მიუთითებს, რომ აზონის ჩამომავალნიც სეფეწულებს, ანუ ფარნავაზიანებს ეკუთვნოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფარნავაზიანებს გაცის და გაიმის კერპებს არავინ შესწირავდა.

ფარნავაზი გამეფებამდე ისტორიული შიდა ქართლის (არმაზიდან ფარავან-ტაშისკარამდე) მიწა-წყალზე მოსახლე ქართლის ტომის ბელადის სახლიშვილი იყო, აზონი კი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, „არიან-ქართლის“ მიწა-წყალზე მოსახლე ტომის ბელადის სახლიშვილი. ლეონტი პროველის მიერ შემონახული გადმოცემის თანახმად, ფარნავაზმა ქართლის (იბერიის) სამეფო აზონის დამარცხების შედეგად დააარსა, ამავე დროს, როგორც ითქვა, ფარნავაზმა „არიან-ქართლის“ მიწა-წყალზე მოსახლე ტომის ბელადის სახლი ქართლის (იბერიის) სამეფო სახლში შემოიყვანა. თეორიული თვალსაზრისით სახელმწიფოს წარმოქმნისათვის აღნიშნული პროცესი აუცილებელი არის, რადგან ტომების ბელადთა სახლების სოციალური კონსოლიდაციის გარეშე სახელმწიფოს წარმოქმნა შეუძლებელია. ამის გამო, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის პრობლემის გადასაწყვეტად დასადგენია, თუ როგორ განხორციელდა ფარნავაზისა და აზონის სახლების სოციალური კონსოლიდაცია, რომლის სიმბოლოსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის (იბერიის) სამეფოს უმაღლეს ღვთაებათა: არმაზის, გაცისა და გაიმის, გაერთიანება წარმოადგენდა.

ამ პროცესის წარმოსაჩენად გასარკვევია სოციალური განვრცებისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ის სპეციფიკა, რომელმაც განაპირობა ფარნავაზისა და აზონის სახლების სო-

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 80.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 84.

ციალური კონსოლიდაციის ფორმა, ხოლო რადგან კლასობრივი საზოგადოება უკლასო საზოგადოებიდან აღმოცენდა, რომლის ძირითად სოციალურ უჯრედს გვარი წარმოადგენს, თავდაპირველად დავადგინოთ, თუ რას წარმოადგენდნენ სოციალურად გვარები აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში ქართლას (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებამდე.

---

აბნათური ჯგუფების გენეზისი აღმოსავლეთ  
საქართველოს მიწა-წყალზე II ათასწლეულის  
II ნახევარში

როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფო ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე არსებული უკლასო საზოგადოებიდან აღმოცენდა<sup>1</sup>. აღნიშნული უკლასო საზოგადოების ძირითადი სოციალური უჯრედის — გვარის შესწავლა მხოლოდ რეტროსკოპიის საშუალებით არის შესაძლებელი. ამოსავალ წყაროებად იბერიის სტრაბონისეული აღწერილობა და ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში შემონახული სოციალური ტერმინები გვევლინება. რადგან სტრაბონის ცნობები იბერთა სოციალური წყობის შესახებ ძვ. წ. I საუკუნეს ვერ აღმოსცილდებიან, საკითხის შესწავლას სტრაბონის ცნობათა ტერმინოლოგიური ანალიზით შევუდგეთ.

სტრაბონის ცნობებში იბერთა სოციალური წყობის შესახებ იბერიული გვარის ნათესაური სისტემის შესწავლასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას ორი ტერმინი იმსახურებს — „ანხისტეია“ (ἀγχιστεία) და „სიუნგენეია“ (συγγενεα). სტრაბონის ცნობით, იბერები პირველი გენოსიდან მეფედ სხამენ „უხუცესი ანხისტეიის ასაკით უხუცესს“ (κατ' ἀγχιστείας τε καὶ ἡλικίας τὸν πρεσβύτατον), „ქონება კი მათ (იბერებს — გ. მ.) აქვთ საერთო სიუნგენეიას მიხედვით“ (οἰοῦσι δ' ἐν αὐτοῖς ἅπασιν ἀπὸ κοινῆς κατὰ συγγενεαυ)<sup>2</sup>. როგორც „ანხისტეია“, ისევე „სიუნგენეია“ კარგად შესწავლილი სოციალური ინსტიტუტებია. „სიუნგენეია“ რომაული gens-ის ტოლფარდი სოციალური ინსტი-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ. 1964, გვ. 367—426.

<sup>2</sup> სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 6, 3. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 129—130.

ტუტია<sup>3</sup>, რაც შეეხება „ანხისტიას“, რადგანაც იგი ამთავითვე ჩვენი კვლევა-ძიების ცენტრში მოექცევა, მის დახასიათებაზე დაწერილებით შევჩერდებით.

სხვადასხვა ხალხთა ტომების სოციალური სტრუქტურების შესწავლის შედეგად მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ტომის სოციალურ სტრუქტურაში შემავალი ნათესაების წრიდან მკვეთრად გამოიყოფა ნათესავთა შემოზღუდული წრე, რომელნიც ურთიერთის მიმართ მტკიცე უფლება-მოვალეობებით იყვნენ შეკრულნი. ასეთ ახლო ნათესავებად პაპის მამის ჩამომავლები ითვლებოდნენ პირდაპირი და გვერდითი შტოების მიხედვით. ამ სოციალურ ჯგუფში შემავალი წევრებისათვის ურთიერთის ნათესაობა არა გადმოცემით აღიქმებოდა, არამედ, როგორც წესი, ისინი ურთიერთს პირადად იცნობდნენ, რადგან თაობათა მიხედვით აღნიშნული ნათესაობის საზღვრები ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან იყო თანაშეფარდებული. აღნიშნულ სოციალურ ჯგუფში შემავალი შვილისშვილის შვილი რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს თავის პაპის მამას „უყურებდა“ ხოლმე, ხოლო როდესაც შვილის-შვილის შვილი თვით ხდებოდა პაპის მამა, იგი საკუთარ შვილის-შვილის შვილს „იცნობდა“. ამის გამო, ამ სოციალურ ჯგუფში შემავალ „შვილთა“ უშუალო ურთიერთნაცნობობა ნათესავთა მეშვიდე თაობას აღწევდა, რაც განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ექვსი-შვიდი თაობის ნათესავთა შორის ნათესაური კავშირები და ნათესაური რიგი უაღრესად ცოცხლად აღიქმებოდა.

შვიდთაობიანი ნათესაური სტრუქტურის უაღრეს არქაულობაზე ის მიუთითებს, რომ შვიდთაობიანი ნათესაური სტრუქტურა უძველესი ეგზოგამიური ჯგუფი იყო, ვიდრე ეგზოგამია შვიდთაობიანი ნათესაური ჯგუფიდან მთლიანად გვარზე გავრცელდებოდა. „სახლი“, როგორც უძველესი სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა, სხვადასხვა ხალხთა ტომებში გენეტურად შვიდთაობიან ნათესაურ სტრუქტურასთან არის დაკავშირებული და ნათესაური სოლიდარიზაციაც შვიდი თაობის ნათესავთა შორის უაღრესად მჭიდროდ ვლინდება (კულტი, მემკვიდრეობა, მესისხლეობა და სხვ.) სწორედ ასეთი მჭიდრო ნათესაური სოლიდარიზაციით შეკრულ პაპის მამის პირდაპირი და გვერდითი შტოებით ჩამომავალთა სოციალურ ჯგუფს— აგნატთა სოციალურ გაერთიანებას (მომდინარეობს ლათინური სო-

<sup>3</sup> C. Westrup, A Near-Kin within the Kin, Dan. Hist. Filolog. Medd. 33, no. 4 (1952), p. 3—26.



ციალური ტერმინიდან adgnati), აგნატურ ჯგუფს უწოდებენ ხოლმე, რომელსაც ბერძნული სოციალური ინსტიტუტი „ანხისტეია“ შეესაბამება (იგივე ლათ. propinqui, კელტ. fine, ინდ. sapinda, ირან. nafa და ა. შ.). რადგან სტრაბონის აღწერილობაში იბერთა სოციალური წყობის შესახებ სოციალური ტერმინი „ანხისტეია“ დასტურდება, აგნატთა სოციალური გაერთიანება ბერძნ. „ანხისტეია“-ით აღენიშნოთ.

აგნატური ჯგუფის ტიპის სოციალური გაერთიანებანი, მათ შორის ბერძნ. ანხისტეიაც სამ პარენტელად იყოფა. პირველ პარენტელაში შედიან ego-ს მამის ჩამომავლები მესამე თაობამდე — a) ძმა, ძმისშვილი, ძმისშვილიშვილი; b) და, დისშვილი, დისშვილიშვილი. მეორე პარენტელაში — ego-ს პაპის ჩამომავლები მესამე თაობამდე — a) ბიძა, ბიძაშვილი, ბიძაშვილიშვილი; b) მამიდა, მამიდაშვილი, მამიდაშვილიშვილი. მესამე პარენტელაში — ego-ს პაპის მამის ჩამომავლები მესამე თაობამდე — a) პაპის ძმა, პაპის ძმისშვილი, პაპის ძმისშვილიშვილი; b) პაპისდა, პაპის დისშვილი, პაპის დისშვილიშვილი. თუ ego-ს არ ჰყავდა მემკვიდრეები პირდაპირი ხაზით (ძე, ქალიშვილი და ა. შ.), ego-ს მემკვიდრედ პირველი პარენტელის ნათესავები გამოდიოდნენ მახლობლობის რიგის მიხედვით. თუ პირველი პარენტელის ნათესავები არ ჰყავდა, მემკვიდრედ მეორე პარენტელის ნათესავები გამოდიოდნენ, ასევე მახლობლობის რიგის მიხედვით, ხოლო თუ მეორე პარენტელის ნათესავებიც არ არსებობდნენ, მათ ადგილს მესამე პარენტელის ნათესავები იკებდნენ, ასევე, რასაკვირველია, მახლობლობის რიგის წესის დაცვით, ამ უკანასკნელთა არარსებობის შემთხვევაში მემკვიდრედ გვირი გამოდიოდა ხოლმე<sup>4</sup>.

ანხისტეიაში მოქმედი ნორმები საგვარეულო ქონების შესყიდვის უპირატესობის წესის ფორმით ქართლშიც არის დამოწმებული. XIX ს. 10-იან წლების ქართლში ჩაწერილი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „მამულის სყიდვა პირველ გამსყიდავის მონათესავეს შეხვდებოდა, შემდგომ მომიჯნავესა, იმ ფასად, რაერთსაც სხვანი შეაძლევდნენ, და უკეთუ ისინი არ ისურვებდნენ სყიდვას,

<sup>4</sup> B. Leist, Altarisches Jus Civile, I, 1892, S. 183—270; D'Arbois de Jubainville, La Famille Celtique, 1904; P. Vinogradoff, Outlines of Historical Jurisprudence, v. I, 1920, p. 299—320; C. Westrup, A Near-Kin within the Kin, Dan. Hist. Filolog. Medd. 33, no. 4 (1952), p. 3-26.

მერმე ყველას შეეძლო სყიდვა“<sup>5</sup>. იგივე წესი დაკანონებულია XVII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე დავით ბატონიშვილის მიერ სამართლის წიგნში, რომელშიც აღნიშნულია: „ოდეს სახლისკაცისა მამული იყოს გასასყიდად, მაშინ ჯერ არს მოსყიდვად შეკითხვითა გაუყრელთა მონათესავეთა, ზოლო უკეთუ არაარაა ქმნან ზრუნვად, მაშინ აქუს შეყიდვად გაყრილსა მას, რომელსამე ვერარაამესა შეუვლენ მოსყიდვისათვის. გარნა ჯერ არს ესეცა ცნობად, რომელ რომელიცა უმახლობელეს არს ნათესაობასა შინა, მისგან უჯერეს არს შეყიდვად, უკეთუ ნებაგს შეყიდვად“<sup>6</sup>.

ანხისტეიას წესის ანალოგიურად საგვარეულო ქონებაზე ნათესაურ შეზღუდვებს ეხება დავით ბატონიშვილის სამართლის სხვა მუხლებიც. მუხლში „ანდერძისათვის“ ნათქვამია: „და ოდეს მოკუდეს კაცი, რომელსაცა აქუნდეს მამული მოსყიდული მონათესავეთაგან და ანუ სხუათა, და უანდერძოს ცოლსა თვსსა, ვირე ცოცხალ არს დედაკაცი იგი, ნუ მიეღების მას, და ოდესცა მოკუდეს დედაკაცი იგი, მაშინ, ნებითა მეფისათა, მონათესავეთა ქმრისა მისისათავე მიეცეს მამული, და ფასი, რაოდენიცა წარგებულ იყოს მას ზედა, მოედოს მას, ვისცა ეწყალობოს, და სასულიეროდ მიცვალებულისა მის განეყოს ეკლესიათა და გლახაკთა.

და უკეთუ გათხოვდეს, მაშინ ნაანდერძევი იგი ქმრისა, სახლისკაცთაგან მოსყიდული მამული, ნუ განყვების მას, არამედ მიეხადოსთ ფასი სახლისკაცთა მათ და მიეცეს მამული იგი მათვე; და ფასი, მათ მიერ მოღებული, მიეცეს დედაკაცსა მას მზითვად“<sup>7</sup>.

მუხლში „უშვილო ძმისა, გინა სახლისკაცისათვის“ დავით ბატონიშვილი წერს: თუ უშვილო ძმამ „შურითა ძმათა, გინა მონათესავეთა თვსთათა მოინდომოს გაყრაჲ ჰაზრითა ამით, რათამცა მამული თვისი განსყიდოს და დაანარჩუნოს სხუათა და არა მონათესავეთა თვისთა, ამით არა ნებასა ვცემთ გაყრად“<sup>8</sup>.

საგვარეულო მფლობელობის სიმტკიცეზე მიუთითებს შეწირულობის ინსტიტუტის ხასიათი ფეოდალურ საქართველოში. შეწირულება, როგორც წესი, ნასყიდს წარმოადგენდა; „ნასყიდევობის სპეციალურად აღნიშვნა კი იმიტომ იყო საჭირო, რომ მხოლოდ ასეთი ფორმა შეწირვისა იყო მტკიცე და შემწირველის შემკვიდრეთა მიერ

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 566.

<sup>6</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, გვ. 90.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 9—10.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 98.

დარღვევისაგან („გამოწირვისაგან“) უზრუნველყოფილი“<sup>9</sup>, რადგან ნათესავეებს თავის საგვარეულო ქონების გამოწირვის უფლება ჰქონდათ.

ქართულ მასალაზე დადასტურებული მიწის გასხვისებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ნათესაური სოლიდარიზაციიდან მომდინარეობენ, რასაც გენეტურად მიწის კოლექტიური მფლობელობა ედო საფუძვლად<sup>10</sup>. კითხვა დაისმის — რა სოციალური ტერმინებით აღინიშნებოდა ის სოციალური კოლექტივი მიწის კოლექტიურ მფლობელად რომ გამოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში? აღნიშნული საკითხის შესწავლას ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანთა საშუალებით შევუდგეთ.

მკვლევარნი დიდი ხანია აქცევენ ყურადღებას ნათესაური სოლიდარიზაციიდან გამომდინარე მიწის განსხვისების შეზღუდვის ერთ მაგალითს, რომელიც იერემიას წინასწარმეტყველებაში გვხვდება. როდესაც ნაბუქოდონოსორმა ალყა შემოარტყა იერუსალემს და იერემია წინასწარმეტყველი სედეკიას ბრძანებით საპყრობილეში მოათავსეს, იერემიასთან მივიდა მისი ბიძაშვილი, სახელად ანამელი, რომელმაც მას საკუთარი მიწის ნაკვეთის შესყიდვა შესთავაზა, რადგან მოსე მსჯულმდებლის სამართლის მიხედვით, ებრაელს მიწის გაყიდვის შემთხვევაში გასასხვისებელი მიწის ნაკვეთი ჯერ უახლოესი ნათესავისთვის უნდა შეეთავაზებინა. იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანები I და G რედაქციებად იყოფა<sup>11</sup>. იერემია თავის თავს მიმართავს:

რ ე დ . I

რ ე დ . G

32.7. აჰა ესერა ანამელ, ძმ სა აჰა ანამელი, ძე სალომისი, ძმ-ლომისი, ძმისა მამისა შენისაჲ, სა მამისა შენისა, მოვალს შენ-მოვიდეს შენდა და გრქუას: და- და, მეტყუელი: მოიგე თავისა

<sup>9</sup> ნ . ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 382.

<sup>10</sup> W. S e a g l e , The History of Law, 1946, p. 54.

<sup>11</sup> იერემიას წინასწარმეტყველების რედაქციების ტექსტი ერთვის კ. დანელას საკანდიდატო დისერტაციას — „იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები“, (1965), რომელიც თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ინახება.

რპყარ აგარაკი იგი ჩემი ანათო-  
თისაჲ, რამეთუ შენი არს სამარ-  
თალი მახლობელობისაჲ დაპყრო-  
ზად იგი სამკვდრებელად.

შენისად აგარაკი ჩემი ანათოთს  
შინა, რამეთუ შენი არს სამარ-  
თალი ნათესავობისაჲ დაპყრო-  
ზად იგი მოსაგებელად.

რომელი ენიდან ითარგმნა იერემიას წინასწარმეტყველების ძვე-  
ლი ქართული I და G რედაქციებში, გადაწყვეტილი არ არის. სადა-  
ვო არ ჩანს, რომ იერემიას წინასწარმეტყველების I და G რედაქ-  
ციების ძველქართულ თარგმანთა დედანი სეპტუაგინტა არ იყო და  
მხოლოდ თარგმნის შემდეგ I და G რედაქციების ძველი ქართული  
თარგმანები სეპტუაგინტასთან შეაჯერეს<sup>12</sup>. იერემიას წინასწარ-  
მეტყველებაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ფრაზა: (I. რედ.) „შენი  
არს სამართალი მახლობელობისაჲ დაპყრობად იგი სამკვდრებელ-  
ლად“, (G რედ.) „შენი არს სამართალი ნათესავობისაჲ დაპყრობად  
იგი მოსაგებელად“. I რედ. მიხედვით, იერემიას ერგებოდა ბიძა-  
შვილის მიწის ნაკვეთის შესყიდვა „მახლობელობისაჲ სამართლის“  
თანახმად, ხოლო G რედ. მიხედვით კი „ნათესავობისაჲ სამართ-  
ლის“ მიზეზით.

სირიულ იერემიას წინასწარმეტყველების ტექსტში ძვ. ქართ.  
„სამართალი მახლობელობისა“ (I რედ.) და „სამართალი ნათესავო-  
ბისაჲ“ (G რედ.) შეესიტყვება *zodqo iorthutho (jus haereditatis)*,  
ებრაულ ტექსტში კი *mišpat hagge'ulla (jus redemptionis)*. სი-  
რიული *zodqo iorthutho* მემკვიდრეობით სამართალს აღნიშნავს,  
რადგან იერემია, ანხისტეიას წესის თანახმად, ანამელის მემკვიდრე  
იყო, ებრაული *mišpat hagge'ulla* კი თესლის, მემკვიდრის აღდგენის  
სამართალს აღნიშნავდა, ებრაულ ტომებში *go'el*-ის ინსტიტუტთან  
რომ არის დაკავშირებული. თუ ებრაულ გვარში *mišpaha*-ში შემა-  
ვალი ოჯახი ამოწყვეტის გზაზე იმყოფებოდა მემკვიდრის უქონლო-  
ბის მიზეზით, *go'el*-ად წოდებულ ნათესავს „თესლის“ („მემკვიდ-  
რის“) აღდგენა ევალებოდა უმკვიდროდ დარჩენილი ოჯახისათვის,  
რათა უმკვიდრო ოჯახის „სახელი“ (ებრ. *šem*) არ გამქრალიყო.  
ამიტომ არის, რომ მკვლევარნი *go'el*-ის ინსტიტუტს ლევირატის წესს  
უკავშირებდნენ. *Go'el*-ის თავდაპირველი მნიშვნელობა, როგორც ვა-  
რაულობენ, „მფარველი“ უნდა ყოფილიყო. ნათესაური სოლიდა-

<sup>12</sup> კ. დ ა ნ ე ლ ი ა, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსი-  
ები და მათი მომდინარეობის საკითხი, თბილისის უნივერსიტეტი, ძველი ქართული  
ენის შრომები, 9, 1964, გვ. 179.

რიზაციიდან გამომდინარე, თუ ვაჭირვებაში ჩავარდნილი ებრაელი იძულებული გახდებოდა გაეყიდა თავისი მკვიდრი მამული, გო'el-ს ნათესავის მამულის გამოხსნა ევალებოდა. მონობაში ჩავარდნილი ებრაელი აგრეთვე გო'el-ს უნდა გამოესყიდა, გო'el-ი თავის ნათესავთა სისხლ-მესისხლეობაშიც ლებულობდა მონაწილეობას. ნათესავური სოლიდარიზაციიდან გამომდინარე ვალდებულებანი გო'el-ს საგვარეულო მიწის შესყიდვის უპირატესობის უფლებას აძლევდა. თუ ებრაელი მიწას ჰყიდდა, თავდაპირველად გამსყიდავს გასასხვისებელი მიწის ნაკვეთი თავისი გო'el-ისათვის უნდა შეეთავაზებინა<sup>13</sup>.

იერემიას წინასწარმეტყველების ძვ. ქართულ თარგმანთა I რედაქციის „შენი არს სამართალი ნახლობელობისაჲ დაპყრობად იგი სამკვიდრებელად“ და G რედაქციის „შენი არს სამართალი ნათესავობისაჲ დაპყრობად იგი მოსაგებელად“, იერემიას წინასწარმეტყველების სომხურ ტექსტში შეესიტყვება „*ღէხ իսկ մեր-ձաւորութեան անուկ ի սասցուած*“, სეპტუაგინტაში „*ὅτι οὐκ ἔστιν ἀρετὴ ἀγαθὴ ἐξ ἐγγύτητος ἵνα πωλήσῃς τὴν κληρονομίαν σου ἵνα ἔσθῃς*“, ხოლო ლათინურ ვულგატაში „*tibi enim completit ex propinquitate ut emas*“.

იერემიას წინასწარმეტყველების ძველქართულ თარგმანთა ჩვენთვის საყურადღებო სოციალური ტერმინები — I რედაქციის „ნახლობელობისაჲ“ და G რედაქციის „ნათესავობისაჲ“, სირიულში შეესიტყვებიან iorthutho-ს ებრაულში ge'ulla-ს სომხ. *մերձաւորութեան*-ს ლათინურში ex propinquitate-ს, ხოლო სეპტუაგინტაში კი შესატყვისი სოციალური ტერმინი არ მოიპოვება. სირიულ და განსაკუთრებით კი ებრაულ სოციალურ ტერმინთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამჟერად სომხურ *մերձաւորութեան*-ს და ლათინურ propinquitas შევეხთ. ორივე ნათესავობის აღმნიშვნელი სოციალური ტერმინია. მათ შორის განსაკუთრებით კარგად არის შესწავლილი ლათინური propinquitas, რომელიც აგრეთვე აგნატებს აღნიშნავდა და, ამის გამოც, ძველბერძნულ ანხისტეიას სოციალურ ინსტიტუტს შეფარდება<sup>14</sup>.

<sup>13</sup> R. North, *Sociology of the Biblical Jubilee*, 1954, p. 36; E. Neufeld, *Socio-Economic Background of Jobel and Semitta*, *Rivista degli Studi Orientali*, vol. XXXIII, fasc. I—II, 1958, p. 74. R. de Vaux, *Les Institutions de l'Ancient Testament*, v. I, 1958, p. 37-40; A. Johnson, *The Primary Meaning of go'el*, *Vetus Testamentum*, I, 1950 (suppl.), p. 67-77. E. Neufeld, *Ancient Hebrew Marriage Law*, 1944, p. 27, 34-42, 240-241.

<sup>14</sup> B. Leist, *Altarisches Jus Civile*, I, 1892, S. 183-260.

იერემიას წინასწარმეტყველების 32.7-ის სექტუაგინტას ტექსტში სოციალური ტერმინი ანხისტეია არ დასტურდება. რუთი ბიბლიური წიგნებიდან ერთადერთი წიგნია, რომლის შინაარსი მთლიანად ებრაულ გო'el-ის<sup>18</sup> და ბერძნულ ანხისტეიას სოციალურ ფუნქციაზე არის აგებული. როგორც ცნობილია, ძვ. წ. II საუკუნეში ალექსანდრიაში მცხოვრებმა ებრაელებმა ბიბლია ძველბერძნულ ენაზე თარგმნეს, რომელიც შემდგომ სექტუაგინტას სახელით გახდა ცნობილი. რადგან რუთის წიგნის მთარგმნელს კარგად ესმოდა ge'ulla-ს და ანხისტეიას სოციალური შინაარსის იგივეობა, მთარგმნელმა რუთის წიგნის ბერძნული თარგმანის შინაარსი მთლიანად ძველი ბერძნული ტერმინის — ანხისტეიას სოციალურ ფუნქციაზე ააგო. რუთის წიგნის ბერძნულ თარგმანში ანხისტეიას ძირითად სოციალურ ტერმინად გამოყენება ჩვენი კვლევა-ძიების მიზნებისათვის უალრესად საყურადღებოა. გასარკვევია, თუ როგორ ესმოდათ ტერმინ ანხისტეიას სოციალური მნიშვნელობა რუთის წიგნის ქართულ მთარგმნელებს, რადგან სტრაბონი ანხისტეია ტერმინის საშუალებით იმ წრეს შემოხაზავს, საიდანაც იბერთა მეფეებს სხამდნენ. ეს ნიშნავს, რომ ბერძნულ ანხისტეიას თავისი შესატყვისი ძველი ქართული სოციალური ექვივალენტი უნდა ჰქონოდა, თუ გავითვალისწინებთ იმ ვარაუდებსაც, რომ სექტუაგინტის რუთის წიგნში დამოწმებულ *αρχιστ* ფუძიდან ნაწარმოებ სოციალურ ტერმინებს რუთის წიგნის სომხურ თარგმანში *მსრბასორ* ფუძე შეესიტყვება, რომელიც *მსრბასორიქჩენ* ფორმით დავამოწმეთ „მახლობელობისა“ და „ნათესაობისა“ შესატყვისად იერემიას წინასწარმეტყველების ძველქართულ თარგმანებში, სომხური *მსრბასორიქჩენ*-ი კი, როგორც ვთქვით, იერემიას წინასწარმეტყველების ებრაულ ტექსტში ge'ulla-ს პასუხობს.

რუთის წიგნის ძველი ქართული თარგმანები **Ե** და **Կ** რედაქციებად იყოფიან. **Ե** რედაქციას 978 წელს ოშკში გადაწერილი ათონური ნუსხა უდევს საფუძვლად. **Կ** რედაქცია კი გელათური ნუსხით (XII ს.) არის წარმოდგენილი. თუ რუთის წიგნის გელათური ნუსხის ქართული თარგმანი სექტუაგინტასთან დიდ სიახლოვეს იჩენს, **Ե** რედაქციის ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხი გადა-

<sup>18</sup> H. Rowley, The Marriage of Ruth. Harvard Theological Review, v. XI, n. 2, 1947, p. 77-99; Th. and. D. Thompson, Some Legal Problems in the Book of Ruth. Vetus Testamentum, x. XVII, n. 1, 1968, p. 79-99.



ბეთლემში დამკვიდრების შემდეგ რუთი საკმელის საშოვნელად წავიდა და შემთხვევით ბოოსის ყანაში შევიდა, სადაც ქრთილს მკიდნენ. როდესაც ბოოსმა რუთის ვინაობა გაიგო, ქრთილი შინ გაატანა და რუთმაც მოუთხორო ნოომინს ბოოსთან შეხვედრის ამბავი. ნოომინმა ბოოსის შესახებ რუთს უთხრა: (ჯ რედ.) „მახლობელ არს კაცი იგი ჩუენდა და ნათესავცა არს ჩუენდა“ (2. 20), ხოლო ჴ რედაქციის მიხედვით, „გუახს ჩუენ კაცი, თუსთავანი ჩუენთაჲ არს“ (2. 20). რათა გავერკვიოთ ნოომინის სიტყვების სოციალურ მნიშვნელობაში, მოვიტანოთ ნოომინის შესაბამისი ფრაზა ბერძნულად, სომხურად და ებრაულად: ბერძნ. *ἐγγύς ἐστιν ἡμῖν ὁ ἀνὴρ, ὃς ἐστὶν ἀγγιστέοντος ἡμᾶς ἐστὶν* სომხ. *Մերձ է այր ի մեզ, ի մերձաւորաց մերոց է*; ებრ. *.און אנאגום שאה ונ כורק* :2,20 ბერძნული ტექსტი სიტყვასიტყვით ასე განიმარტება: ეს კაცი ჩვენი მახლობელია, ჩვენი მოახსისტიებიდან არის. თავის მხრივ, ბერძნული ზუსტად შეესიტყვება ებრაულ დედანს, ხოლო სომხური ტექსტი კი ასევე ზუსტად შეესიტყვება ბერძნულს. ებრაულ ტექსტში ნოომინი განუმარტავს რუთს, რომ ბოოსი მათი გო'ელ-ებიდანაა. ნოომინის სიტყვებიდან ირკვევა, რომ ელემელექს ჰყავდა „ნათესავთა“ («თუსთა») წრე, რომელიც, ბერძნული სოციალური ტერმინოლოგიის ენაზე რომ ვთქვათ, ელემელექის მოახსისტიეებს წარმოადგენდნენ, ბოოსი კი ელემელექის მოახსისტიეთა შორის ერთერთი მოახსისტიე იყო. ამრიგად, ბერძნ. *ἀγγιστέοντος*, ებრ. გო'ელ-ს და სომხ. *մերձաւոր*-ს ძვ. ქართ. „ნათესავი“ და „თუსი“ შეესიტყვება, რაც ნიშნავს, რომ „ნათესავი“ და „თუსი“ ურთიერთის სინონიმები იყო. \*\*

რადგან ბოოსი ელემელექის მოახსისტიეებს ეკუთვნოდა, ანხისტიეის წესის თანახმად, ბოოსს ნათესაური სოლიდარიზაციიდან გამომდინარე ვალდებულებანი ეკისრებოდა თავისი გარდაცვლილი ნა-

\* ლათ. ვულგ. *Propinquus noster est homo*. ამრიგად, ლათ. ვულგატაში რუთის წიგნის 2. 1-ის *consanguineus* სრულად ლოგიკურად 2. 20-ში ენაცვლება *propinquus*. სირ. *qariban hu gabro men thob'ai 'iorthan hu*. ლათ. თარგმ. *propinquus noster est vir, ex vendicatoribus progeniei nostrae est*, რაც რელიეფურად ამჟღავნებს გო'ელ-ის სოციალურ ბუნებას.

\*\* შემდგომ რუთის წიგნი მხოლოდ ჴ რედაქციის მიხედვით მოგვეყავს, რადგან ჴ რედაქციაში ყველა განსახილველი სოციალური ტერმინი ხელოვნურად სექტირდნენ („ყოფნა“) იწარმოება. მაგ., სასუმელი და სხვ., იხ. სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი და P. B ლ ა ზ კ, *О древнегрузинских версиях Ветхого Завета*, Изв. Кавк. Отд. Моск. О-ва, вып. VI, 1921, стр. 28.



თესავის ელემელექის ოჯახის მიმართ. ამის გამო, ნოომინის რჩევით, რუთი ღამე ფარულად მივა მძინარე ბოოსთან და ფეხებთან დაუწვევა. „შუალამეს, როდესაც ბოოსს გაეღვიძა და მან თავის ფეხებთან დედაკაცი აღმოაჩინა — „პრქუა მას ბოოს: ვინ ხარ შენ? ხოლო მან პრქუა მას: მე ვარ რუთ, მკვეალი შენი, და გარდამომდევ სამოსელი შენი მკვეალსა შენსა, რამეთუ შენ ნათესავ ჩემდა ხარ“ (3,9). რუთის წიგნის კომენტატორები აღნიშნავენ, რუთის სიტყვები — „გარდამომდევ სამოსელი შენი მკვეალსა შენსა, რამეთუ შენ ნათესავ ჩემდა ხარ“, მოუთითებს იმაზე, რომ რუთი ბოოსს ცოლად შერთვას თხოვდა, რათა ბოოსს, როგორც ელემელექის „ნათესავს“ „მემკვიდრე“ აღედგინა ელემელექის ოჯახისათვის. ძვ. ქართ. „ნათესავი“ ამ შემთხვევაშიც შეესიტყვება ბერძნ. *ἀγχιστενς*-ს, ებრ. *ג'ו'על*-ს და სომხ. *մերձավորիչ*-ს\*.

ბოოსმა რუთს უპასუხა: „და აწ კეშმარიტად ნათესავ (ბერძნ. *ἀγχιστενς*, ებრ. *ג'ו'על*, სომხ. *մերձավորիչ*) ვარ მე; არამედ არს სხუაჲ ნათესავი (ბერძნ. *ἀγχιστεნς*, ებრ. *ג'ו'על* სომხ. *մերձավորիչ*) უმახლობელსი ჩემსა“ (3. 12)\*\*. ბოოსი ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად ელემელექის „ნათესავი“ არის, მაგრამ მისივე სიტყვებიდან ირკვევა, რომ ელემელექის „ნათესავთა“ (ბერძნ. „*მონახისტეიეთა*“, ებრ. *ג'ו'על*-თა, სომხ. *մերձավորիչ*-თა) შორის იყო ისეთი „ნათესავი“, რომელიც ნათესაობის რიგის მიხედვით ბოოსთან შედარებით უფრო ახლოს იდგა ელემელექთან. ნათესაური სოლიდარიზაციის წესის თანახმად, რუთის ცოლად შერთვა და ელემელექის ოჯახისათვის „მემკვიდრის“ აღდგენა იმ „ნათესავ“-ს ევალებოდა, რომელიც ნათესაობის რიგის მიხედვით ელემელექთან ყველაზე ახლოს იდგა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე ახლო ნათესავი უარს იტყოდა რუთის ცოლად შერთვაზე, მაშინ რუთის შერთვა ბოოსს შეეძლო, რადგან ნათესაობის რიგის მიხედვით ელემელექის ნათესავთა შორის ბოოსს მეორე ადგილი ეჭირა. ამის გამო, ბოოსი რუთს ეუბნება, თუ ჩემზე უფრო ახლო ნათესავმა „გითვსოს შენ, თვს გეყავნ შენ; უკუეთუ არა უნდეს თვსობაჲ შენი, თვს გიყო მე“ (3. 13). მოვიტანოთ შესაბამისი ფრაზა ბერძნულ, ებრაულ და სომხურ ენებზე. ბერძნ. *ἐὰν ἀγχιστενςσῃ σε, [ἀγαθόν], ἀγχιστενςεῶ, ἐὰν δὲ μὴ βίσιληται ἀγχιστενςαί σε, ἀγχιστενςσῶ σε*

\* ლათ. ეულგ. *propinquus es*; სირ. *thoba' iorthutho*; ლათ. თარგმ. *vendicator haereditatis*.

\*\* 3. 12-ში იგივე ლათინური და სირიული ტერმინოლოგია დასტურდება.

אם—יגאל אנו יגאל ואם—לא יפוח גאל יגאל תי. ებრ. 3,13 სომხ. *სმქ მსრბასორესიოսტ ექსი მსრბასორიქს* თარქ ლ. *საყა სმქ იღ ჯამჩეჩ მსრბასორეიოვანსლ ექსი, ხა მსრბასორესიოეჩე ექსი*; განვიხილოთ რუთის წიგნიდან მოტანილი ბერძნული, ებრაული და სომხური ტექსტები.

ბერძნულ ტექსტში აღნიშნულია, რომ თუ უახლოესი ნათესავი რუთის მიმართ ანხისტიეის წესიდან გამომდინარე ვალდებულებებს აიღებს თავის თავზე, დაე იყოს ის ანხისტიეის წესის შემსრულებელი. ხოლო თუ არ მოინდომებს ანხისტიეის წესიდან გამომდინარე ვალდებულებების აღებას, მაშინ იგი, ბოოსი, თვით შეასრულებს ანხისტიეის წესს რუთის მიმართ. ზუსტად იგივე არის გამეორებული ებრაულ და სომხურ ტექსტებში, სადაც პირველ შემთხვევაში გ'1, ხოლო მეორე შემთხვევაში *მსრბასორ* ძირიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები ემთხვევიან ბერძნ. *აქჯთ* ძირიდან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს.

თუ რუთის წიგნის ძველი ქართული თარგმანის *ტ* რედაქციაში ბერძნ. *აქჯთ* (2. 20), *აქჯთ* (3. 9), სომხ. *მსრბასორ* (2. 20), *მსრბასორიქ* (3. 9) და ებრ. *go'el* (2.20; 3.9) „ნათესავს“ შეესიტყვება, ხოლო *ლ* რედაქციაში (2.20) „თქს“, ოშკის ბიბლიაში შემონახული რუთის წიგნის ძველი ქართული თარგმანის (*ტ* რედაქციის ძირითადი ნუსხის) 3.13-ში ბერძნ. *აქჯთ*, სომხ. *მსრბასორ* და ებრ. *ג'1* ძირიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები „თქს“ გვაძლევენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ „თქსი“ და „ნათესავი“ ურთიერთის სინონიმები იყო.

რუთის თხოვნის შესაბამისად ელემელექის „მკვიდრის“ აღდგენის მოგვარების საქმე ბოოსმა თავის თავზე აიღო. ამ მიზნით, „აღვიდა ბოოს ბქეთა ზედა და დაჯდა მუნ. და აჰა ესერა ნათესავი (ბერძნ. *აქჯთ*, სომხ. *მსრბასორიქ*, ებრ. *go'el*) იგი წარმოვიდოდა, რომლისათჳს თქუა ბოოს“ (4. 1.) „და მოიყვანა ბოოს ათი კაცი მოხუცებულთაგანი ქალაქისათაჲ და ჰრქუა მათ: დასხედით. და

\* ლათ. ვულგ. *si te voluerit propinquitatis iure retinere, bene res acta est: sin autem ille noluerit, ego te absque ulla dubitatione suscipiam*; სირ. *en fhab' ekhi safin nethba' wen den la netsbo dnethbe' ekhi ello ano ethbe' ekhi*; ლათ. თარგმ. *si vendicabit te, bene vendicabit. se autem non vult vendicare te, ego vendicabo te*. რადგან სხვა შემთხვევებშიც ლათინურად და სირიულად არსებობდა იგივე სოციალური ტერმინოლოგია მეორდება, ამის გამო შემდგომ ლათინურსა და სირიულ სოციალურ ტერმინოლოგიას მოვიყვანთ მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს.

დასხდეს“ (4. 2). „და ჰრქუა ბოოსს ნათესავსა (ბერძნ. ἀρχιστενης, სომხ. *მხრბასორიჯ*, ებრ. ג'ו'על) მას. ნაწილი იგი ძმისა ჩემისა ელემელექის ქუეყანისაჲ მიეცინ ნოომინს, რომელ-იგი მოვიდა ქუეყანით მოაბისაჲთ“ (4. 3). „და მე ვთქუ, ვითარმედ: ვაუწყო ყურთა შენთა. და ჰრქუა მას: მოიგე ამათ წინაშე, რომელნი სხენან, და მოხუცებულთა წინაშე ერისა ჩემისათა: უკუეთუ ეშვილები, ეშვილე; უკუეთუ არა ეშვილები, მითხარ მე, რაჲთა ვცნა, რამეთუ არავინ არს შენსა გარეშე ნათესავ (ბერძნ. τὸν ἀρχιστενησσι, სომხ. *მხრბასორორ*, ებრ. lig'ol) და შენსა შემდგომად მე ვარ. ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ, ეშვილები“ (4.4).

ბოოსის თქმით, იყიდებოდა ელემელექის წილი მიწის ნაკვეთი. ამ ნაკვეთის შესყიდვის უპირატესობა ჰქონდა იმ ნათესავს, რომელიც ელემელექის უახლოესი ნათესავი იყო ელემელექის „ნათესავში“. ელემელექს, როგორც თავის „ნათესავის“ ერთ-ერთ „შვილს“ „ნათესავის“ კუთვნილი მიწის ფონდიდან მიწის ნაკვეთი: ჰქონდა გამოყოფილი, რომელიც „შვილის“ წილად იწოდებოდა. ამის გამო, ელემელექის უახლოესი ნათესავი ელემელექის მიწის ნაკვეთს „შვილობის“ გზით უნდა დაუფლებოდა. ამიტომ არის, რომ ბოოსი მას შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „უკუეთუ ეშვილები, ეშვილე; უკუეთუ არა ეშვილები, (მითხარ მე... ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ), ეშვილები“. მოვიტანოთ ჩვენთვის საინტერესო ტერმინები ბერძნულად, სომხურად და ებრაულად. ბერძნ. ἐξ ἀρχιστενης, ἀρχιστενης· ἐξ δὲ καὶ ἀρχιστενης... ἀρχιστενηςσ. სომხ. *Եթէ միւրბասորիցուց անևս՝ միւրბասորիցու. սպա թե ոչ միւրბասորիցուցանես... կմ միւրბասորիչ: ԼԱԳ ԱՅԻ ԱՌՈՍԻ... Ի ԻՐԻԴԻ ԼԱԳԻ ԱԼ—ՕԱԻ ԼԱԳ ԼԱԳԻ—ՕԱ* 4,4. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც 3.13-ში ბერძნული, სომხური და ებრაული სოციალური ტერმინოლოგია ემთხვევა ურთიერთს, განსხვავდება მხოლოდ ქართული სოციალური ტერმინოლოგია, სადაც მანამდე უცნობი სოციალური ტერმინი „შვილება“ შემოდის. ამრიგად, თუ რუთის წიგნის ქართული თარგმანის 2 რედაქციის 2.20; 3.9, 12, 13; 4. 1. 3, 4-ში და 7 რედაქციის 2. 20-ში ბერძნ. *ἀρχιστε-*, სომხ. *միւրბասոր* და ებრ. ג'ו'על ძირის სოციალური სემანტიკა გვაძლევს „ნათესავს“ და „თვს“, რუთის წიგნის ქართული თარგმანის 2 რედაქციის 4.4-ში ბერძნ. *ἀρχιστε-*, სომხ. *միւրბասոր* და ებრ. ג'ו'עლ ძირიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები „შვილებას“ შეესიტყვებოან, რაც ნიშნავს, რომ „ნათესავი“, „თვსი“ და „შვილობა“ სოციალურად ურთიერთის სინონიმები იყვნენ. როდესაც ელემელექის უახლოესმა ნათესავმა განაცხადა, რომ

იგი „ეშვილება“ ელემელექის კუთვნილ მიწის ნაკვეთს, მაშინ „თქუა ბოოს: დღესა მას, რომელსა მოიგო ქუეყანად იგი კელისაგან ნოომინისა და რუთისგან მოაბელისა, ძის ცოლისა მისისა, რომლისა ნოკუდა ქმარი, სამკვდრებელი იგი მოიგე თავისა შენისა და იგიცა მოიყვანე თავისა შენისა, რომლისა აღუდგინო მკვდრი მკუდარსა მას სამკვდრებელსა მას მისსა ზედა“ (4,5). „პრქუა ნათესავმან მან: ვერ კელმეწიფების მე თავისა ჩემისა შვილებად მისა: ნუჟუე განვრყუნე სამკვდრებელი ჩემი. და ეშვილე შენ სამკვდრებელსა მას ჩემსა ზედა, რამეთუ მე ვერ ძალმიც შვილებად“ (4,6). ამრიგად, რადგან ელემელექის უახლოეს ნათესავს ელემელექის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად ევალეზობდა რუთის ცოლად შერთვა, რასაც შეეძლო მისი საკუთარი ქონებისათვის ზიანი მოეტანა, მან განაცხადა, რომ იგი ვერ „ეშვილება“ ელემელექის კუთვნილ მიწის ნაკვეთს და თავის მაგივრად ელემელექის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე „შვილება“ ბოოსს შესთავაზა. მოვიტანოთ რუთის წიგნის 4,6 ბერძნულად, სომხურად და ებრაულად. ბერძნ. καὶ εἶπεν ὁ ἀγγιστεὺς Ὁ δὲ δὸνῆσαι ἀγγιστεῖσσι ἐμαυτῷ, μήποτε διαφθείρω τὴν κληρονομίαν μου. ἀγγιτῆεσσι σεαυτῷ τὴν ἀγγιστεῖαν μου, ὅτι οὐ δὸνῆσαι ἀγγιστεῖσσι. სომხ. Եւ ասէ մերձաւորիչն զԲոօս. Ոչ կարեմ մերձաւորեցուցանելիս ևս ինձ, զուցէ կշտանիցեմ զժառանգութիւն իմ. մերձաւորեալ զու քեզ զմերձաւորութիւն իմ, զի ես ոչ կարեմ մերձաւորեցուցանելի: ებრ. וְיֵאָדָּם – לֹא־אֶגְדַּל לְבִי לְאֵלֵי הָאֱלֹהִים וְיֵאָדָּם הַחַיִּים – לֹא־אֶגְדַּל לְבִי לְאֵלֵי הָאֱלֹהִים – וְיֵאָדָּם

რუთის წიგნის 4.6-ის ბერძნული, სომხური და ებრაული ტექსტების ურთიერთშედარება მიუთითებს, რომ, როგორც წესი, აღნიშნულ ტექსტებში ებრ. 6'1, ბერძნ. აγγისთ და სომხ. მერძალირ ძირებიდან ნაწარმოები ტერმინები ემთხვევიან ერთმანეთს. განსხვავება მხოლოდ ოშკის ბიბლიაში შემონახულ რუთის წიგნის ძველქართულ თარგმანში დასტურდება, სადაც ბერძნ. აγγისთ, სომხ. მერძალირ და ებრ. 6'1 ძირიდან ნაწარმოებ სოციალურ ტერმინებს ძველქართულ „ნათესავს“, „თჯს“ და „შვილობას“ 4. 6-ში კიდევ ერთი ძველი ქართული სოციალური ტერმინი — „სამკვიდრებელი“ შეემატა, რომელიც ორჯერ გვხვდება. პირველ შემთხვევაში („ნუჟუე განვრყუნე სამკვდრებელი ჩემი“) „სამკვდრებელს“ ბერძნ. κληρονομία, სომხ. ժառանգութիւն და ებრ. nahala შეესიტყვება, მეორე შემთხვევაში კი („ეშვილე შენ სამკვდრებელსა

მას ჩემსა ზედა“) ბერძნ. ἀρχιστεία, სომხ. *მხრბასიროიქჩინ* და ებრ. ge'ullat. „სამკვდრებელი“ ის არის, რაც „მკვდრისათვის“ („მემკვიდრისათვის“) არის განკუთვნილი, იგი ზუსტი შესატყვისია ბერძნ. *κληρονομία*-სი და სომხ. *ժառանգութիւն*-ის. ამრიგად, „მკვიდრი“ „ნათესავის“, „თვის“ და „შვილობის“ სინონიმური სოციალური ტერმინია.

როდესაც ელემენტების უახლოესმა ნათესავმა უთხრა ბოოსს, რომ მას არ სურს „შვილოს“ ელემენტების კუთვნილ მიწის ნაკვეთს, რუთის წიგნში მოტანილია ძველი ებრაული წესის აღწერა უახლოესი ნათესავის (go'el) მიერ თავისი ვალდებულების სხვა go'el-ი სათვის გადაბარებასთან დაკავშირებით. „და ესე სამართალი იყო პირველად ისრაელსა შოვრის საშვლებელსა (ბერძნ. τῆς ἀρχιστείας, სომ. *მხრბასიროიქხან*, ებრ. hagge'ulla) ზედა და ცვალებასა ზედა, რაჟთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა: განიძარცვს კაცმან ჭამლი თვისი და მისცის მოყუასსა თვისსა, რომელი ეშვილებინ საშვლებელსა (ბერძნ. τῆς ἀρχιστείας, სომხ. *որ մხրბասიროից էր գրեքბასიროიქին նորա*) თვისსა ზედა“ (4.7) „და პრქუა ნათესავმან (ბერძნ. ἀρχιστείας, სომხ. *მხრბასიროიქ*, ებრ. go'el) მან ბოოსს: მიიღე თვისსა შენისა საშვლებელი (ბერძნ. ἀρχιστεία სომხ. *მხრბასიროიქჩინ*)) იგი ჩემი“ (4. 8). ამრიგად, თუ ოშკის ბიბლიაში შემონახული რუთის წიგნის ძველქართული თარგმანის 4.6-ში ბერძნ. *αρχιστεία*-ს, სომხ. *მხრბასიროიქჩინ*-ს და ებრ. ge'ulla-ს „სამკვდრებელი“ შეესიტყვება, რუთის წიგნი 4.7-8-ში იგივე ბერძნ. *ἀρχιστεία*-ს, სომხ. *მხრბასიროიქჩინ*-ს და ებრ. ge'ulla-ს „საშვლებელი“ პასუხობს. „საშვლებელი“ კი ის არის, რაც „შვილი“-სათვის არის განკუთვნილი, ხოლო განხილული მასალა მიუთითებს, რომ „მკვიდრი“ და „შვილი“ სემანტიკურად იდენტური სოციალური ტერმინებია.

ბოოსმა რუთი შეირთო ცოლად და როდესაც ბოოსსა და რუთს ეყოლათ ძე, „ეტყოდეს დედანი იგი ნოომინს და პრქუეს: კურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგამტკიცა შენ დღეს შვილებაჲ (ბერძნ. τὸν ἀρχιστεία, სომხ. *მხრბასიროიქ*, ებრ. go'el) წოდებად სახელი შენი ისრაელსა შოვრის“ (4. 14). „შვილი“ რომ „მემკვიდრის“ სინონიმია რელიგიურად ჩანს რუთის წიგნის 4.14-ის ლათინური ვულგატიდან, სადაც ძე. ქართ. „შვილებაჲს“, ბერძნ. τὸν ἀρχιστεία-ს სომხ. *მხრბასიროიქ*-ს და ებრ. go'el-ს ლათ. successor familiae tuae შეესიტყვება. „შვილი“ რომ „მემკვიდრის“

სინონიმია, დასტურდება ძველი ქართული წყაროებითაც. სუმბატ დავითის ძის ცნობით, VI საუკუნის ქართლის კურაპალატის გუარამის ძმებმა „დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამაჲამამდე შვილი მათნი მთავრობენ მას შინა. ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორვასლისათა, მითჲამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე“<sup>17</sup>. „შვილისა“ და „მკვიდრის“ ურთიერთმიმართებას ზუსტად განმარტავს ეფრემ მცირე, რომელიც წერს: „შეისწავე, რამეთუ მკვდრი ბერძულად საკუთარი (ე. ი. შესაბამისი) სახელი არს შვილისა მის გინა თუ შვილებულისა, რომელსა ზრდიდენ, რაჲთა მან დაიმკვდროს უფლებაჲ სახლისაჲ“<sup>18</sup>.

ელემელექის „აღდგენილ“ მემკვიდრეს უწოდეს „მომძეთა სახელი და თქუეს: ესუა ძე ნოომინს და უწოდეს სახელი მისი იობედ. ესე არს მამაჲ იესუსი, მამისა დავითისა“ (4. 17), რომელსაც ქართველი ბაგრატიონები თავის წინაპრად თვლიდნენ. ოშკის ბიბლიაში შემონახული რუთის წიგნის ძველი ქართული თარგმანის 4:17-ის „მომძეთა“-ს შეესიტყვება ბერძნ. *αἰ γειτονες*, ებრ. *haššekenot* სირ. *šbobolheh*, სომხ. *դրացիք* და ლათ. *vicinae*, რაც სიტყვისიტყვით „მეზობლებს“ აღნიშნავს და არა „მომძეთ“. რადგან ნათესაური სოლიდარიზაციის წყალობით გარდაცვლილი ნათესავის აღდგენილ მემკვიდრეს სახელს ნათესავეები აძლევდნენ, ოშკის ბიბლიაში შემონახული რუთის წიგნის ქართველმა მთარგმნელმა „მეზობლები“ „მომძეებად“ გადმოიღო. ძვ. ქართ. „ნათესავი“, „თუკი“, „შვილი“, „მკვდრი“ ურთიერთის მეზობლად ფლობდნენ მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს, სოციალურად ისინი ურთიერთის „მომძენი“ იყვნენ, ხოლო „მომძეთა“ სოციალურ გაერთიანებას კი „სამძო“ ეწოდებოდა.

ბიბლიური წიგნების ძველ ქართულ თარგმანებში ბერძნ. *ἀγχιστ*, სომხ. *մերձակուր* და ებრ. *ג'ל* ძირის სოციალური სემანტიკის შესატყვისი კიდევ ორი სოციალური ტერმინი დასტურდება — „მეძიებელი სისხლისა“ და „მახლობელი“. ისუ ნავეს წიგნში აღნიშნულია: „ყოველმან რომელმან სცეს კაცსა არა ნებსით, რაჲთა არა მოკუდეს ტელისაგან სისხლის-მეძიებელისაჲსა“ (20. 9), ხოლო მეორე

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 373.

<sup>18</sup> კ. დ ა ნ ე ლ ი ა, ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1974, გვ. 29.

სჯულთა შენიშნავს, „არა დევნა ყოს მეძიებელმან სისხლისამან უკუანა მკლველსა, რამეთუ განჭურვებულ არს გულითა“ (19. 6). „მეძიებელი სისხლისა“ რომ ცოცხალი სოციალური ტერმინი იყო „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა მიგვიჩივებს, რომელიც მოგვითხრობს: „ვითარ ცნა კვრკე ქორეპისკოპოსმან სიტყუა დემეტრე მეფისა, მოიყვანა თეოდოსი და აწუა მინდობა მისი და ეტყოდა: მე ვიყო მეძიებელი სისხლისა შენისა<sup>19</sup>“.

„მახლობელი“ სოციალური ტერმინის მნიშვნელობით მეფეთა შესამე წიგნის 16.11-ში გვხვდება: „დასცა ყოველი იგი სახლი ბაასისი და არა დაუტევა მისი, რომელიცა აფსმიდისმცა კედელსა, და მახლობელნი (ბერძნ. ἀγγιστοί, სომხ. *მხრბასორი*, ებრ. *გო'ალავ*) მისნი და მეგობარნი“ (ხელნ. A-51, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი). „მახლობელი“ სოციალური ტერმინის მნიშვნელობით ქართულ საბუთებშიც დასტურდება. სოლომონ I უბოძებს სიგელს წულუკიძეს, „გიბოძეთ სადიდებულთავადო სრულიად ყოველივე საწულუკიძო მამაპაპათა თქვენთა მამული. მრგულივე ერთობით თავისის სამართლიანის სამძღვრითა ყოველთა მეზობელთა და მახლობელთა განკიდებული“<sup>20</sup>. ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ძველი ქართული სოციალური ტერმინები — „ნათესავი“, „თჳსი“, „თჳსობა“, „შვილი“, „შვილობა“, „მკვიდრი“, „მომამე“, „მეძიებელი სისხლისა“ და „მახლობელი“ ურთიერთის სინონიმები არიან.

ბერძნ. *ἀγγιστο*, სომხ. *მხრბასორ* და ებრ. *ג'ל* ძირიდან ნაწარმოებ სოციალურ ტერმინთა ქართულ შესატყვისად „ნათესავი“ და „თჳსი“ დასტურდება არა მხოლოდ რუთის წიგნის ძველქართულ თარგმანებში, არამედ ლევიტელთა წიგნის ძველქართულ თარგმანშიც. ლევიტელთა წიგნის ძველი ქართული თარგმანის Ⴀ რედაქციის მიხედვით, „უკუეთუ გლახაკ იყოს ძმად შენი, რომელ არს შენ თანა, და განციდოს ქუეყანისა მისისაგანი, და მოვიდეს ნათესავი (ბერძნ. *δ ἀγγιστοῦ*, სომხ. *მხრბასორიქ*, ებრ. *გო'ელ*), რომელი მახლობელ იყოს მისა და იჳსნეს განსყიდული იგი ძმისა თჳსისა“ (25. 25). „უკუეთუ ვისმე არა ესუას ნათესავი“ (*δ ἀγγιστοῦ*, სომხ. *მხრბასორიქ*, ებრ. *გო'ელ*) (25. 26). Ⴀ რედაქციის მიხედვით

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 271.

<sup>20</sup> საისტორიო მოამბე, წ. I, თბ., 1925, გვ. 140.

კი, „უკუეთუ დავრდომილ იყოს ძმა იგი შენი შენთანაჲ და განს-  
ცეს მკჳდრობისაგან თვისსა, მოვიდეს თჳსი (ბერძნ. *δ ἀρχιστεύαυ*,  
სომხ. *մհրձաւորիչ*, ებრ. *גו'על*), მახლობელი მისი, და უკმო-  
იქსნას განსყიდული ძმისა თვისისაჲ“ (25. 25). „ხოლო უკუეთუ  
არაიენ იყოს თჳსი“ (ბერძნ. *δ ἀρχιστεύαυ*, სომხ. *մհրձաւորիչ*, ებრ.  
*גו'על*)... (25. 26).

„თჳსი“ რომ „ნათესავის“ სინონიმი იყო, დასტურდება „იოვან-  
ნეს და ეფთჳმეს ცხოვრების“ ცნობებით. როდესაც იოვანემ აღსას-  
რულის მოახლოება იგრძნო, მონასტრის მამად თავისი შვილი ეფთ-  
ჳმე დააყენა და დაუბარა, რომ ეფთჳმემ თავის შემდგომ „გიორგის  
დაუტეოს მამობაჲ, რომელი-იგი თჳსივე იყო მათი“<sup>21</sup>. როდესაც  
ეფთჳმე მონასტრის წინამძღვრობიდან გადადგა, „წინამძღურობაჲ  
ძმათაჲ შეჳვედრა გიორგის, რომლისათჳს ემცნო მამასა იოვანეს,  
თჳსსავე ნათესავსა“<sup>22</sup>. ამრიგად, გიორგი ჯერ იოვანეს და ეფთჳმეს  
„თჳსი“ არის, შემდგომ კი ეფთჳმეს „ნათესავად“ იწოდება. „წმ.  
ნათესავი“-სა და „თჳს“-ის სინონიმურობა რელიეფურად ჩანს „წმ.  
ანტონის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანიდან. ეშმაკი  
აქტუნებდა წმ. ანტონის და ამ მიზნით იგი ანტონის „გულ-  
სა მოუვლენ ჳსენებასა აგარაკათასა და დისათჳს ლუწოლასა,  
ნ ა თ ე ს ა ვ თ ა თ ჳ ს ო ბ ა ს ა“<sup>23</sup>... ამასვეს ადასტურებს „გრი-  
გოლ პართელის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი. ძველ-  
ქართულ თარგმანებში „ნათესავს“, როგორც წესი, ბერძნ.  
*συχϳευσει* შეესიტყვება ხოლმე, მაგრამ „ნათესავის“ და „თჳსის“  
სინონიმურობის გამო ბერძნულიდან თარგმნილ „გრიგოლ პარ-  
თელის ცხოვრების“ ძველქართულ ტექსტში ბერძნ. *συχϳευσει*  
„თჳსით“ არის გადმოტანილი. „გრიგოლ პართელის ცხოვრების“  
ძველქართული თარგმანის მიხედვით, „იყო ვინმე კაცი სახელით  
ანაკ, რომელი თჳს ეყვოდა კუსარს მეფესა სომეხთასა“<sup>24</sup>. ძველი  
ქართული ფრაზა: „თჳს ეყვოდა კუსარს მეფესა“ თარგმანია ბერძ-  
ნული ფრაზისა: *ἔχ τῆς συϳευσείας Κουσαδρα τῆς βασιλέως*<sup>25</sup>.

<sup>21</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ.,  
1967, გვ. 57.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>23</sup> მამათა ცხოვრებანი, თბ., 1975, გვ. 12.

<sup>24</sup> ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ, ტფ., 1920, გვ. 8.

<sup>25</sup> Collection des Historiens Anciens et Modernes de l'Arménie, t. I,  
1867, p. 118.



განხილულ ძველქართულ სოციალურ ინსტიტუტებიდან ყველაზე გამოწველივით „თუსის“ ინსტიტუტის შესწავლა არის შესაძლებელი, რომლის სოციალური ბუნების წარმოსაჩენად საყურადღებო მასალას გვაწვდის ოშკის ბიბლიაში შემონახული ტობის წიგნის ძველი ქართული თარგმანი. ტობის წიგნში მოთხრობილია, რომ ქალაქ ეკბატანაში ცხოვრობდა ებრაელი, სახელად ჰრაგუელი, რომელსაც მემკვიდრედ ჰყავდა ერთადერთი ასული სარა. მოსე მსჯულმდებლის სამართლის თანახმად, ქონება ებრაელის გვარის ფარგლებს გარეთ არ უნდა გასულიყო და სარას საქმრო მხოლოდ მისივე ნათესავი უნდა ყოფილიყო. ანგელოზ რაფაელის შემწევობით ჰრაგუელსა და სარას ნათესავი აღმოაჩნდათ — ტობი და მისი ძე ტობია.

რაფაელთან ერთად ტობიმ ვალის დასაბრუნებლად ქალაქ რაგაში ტობია გააგზავნა. როდესაც ტობიამ და რაფაელმა ეკბატანას მიაღწიეს, მაშინ „ჰრქუა ანგელოზმან მან ყრმასა (ე. ი. ტობიას) მას: ჰრაგუელისსა ჭერ-არს ჩუენდა განსუენებაჲ დღეს, რამეთუ კაცი იგი ნათესავი შენი არს, და ასული ერთი უვის მას ხილვითა კეთილი ფრიად და სამართალ არს მისა დამკვდრებად მამამ მისი. და შენდა სამართალ არს მოყვანებად იგი, რამეთუ შენდა მახლობელ არს იგი უმეტეს ყოველთა... და ოდეს მივიქცეთ ჰრაგავით, მაშინ ვყოთ ქორწილი მისი; და ვიცი, რამეთუ ვერ კელ-ეწიფოს ჰრაგუელს სიტყვსგებად შენდა, რამეთუ შენდა არს თუსობაჲ მისი უფროჲს ყოველთა კაცთა“ (6,11—13). ჰრაგუელის ნათესავთაგან ტობია ჰრაგუელის ყველაზე ახლო ნათესავი იყო და სარას ცოლად შერთვა მას ერგებოდა, სარას ცოლად შერთვით კი ჰრაგუელის მემკვიდრედ ტობია ხდებოდა. ამიტომ ეუბნება რაფაელი ტობიას — „შენდა არს თუსობაჲ მისი უფროჲს ყოველთა კაცთა“<sup>26</sup>.

ოშკის ბიბლიაში შემონახული ტობის წიგნის ძველი ქართული თარგმანი ბერძნულიდან არის შესრულებული, რომელიც თავის მხრივ დაკარგული არამეული დედნიდან მომდინარეობს, ხოლო ბერძნული თარგმანი კი ვატიკანურ-ალექსანდრიულ (BA), სინურ (S) და C რედაქციებად იყოფა<sup>27</sup>. ჩვენთვის საყურადღებო ფრაზა — „რამეთუ შენდა არს თუსობაჲ მისი უფროჲს ყოველთა კაცთა“, ტო-

<sup>26</sup> ტობის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, იხ. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, თბ., 1970.

<sup>27</sup> ო. ქ. უ. რ. ც. ი. კ. ი. ძ. ე, ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, თბ., 1973, გვ. 120—173.

ბის წიგნის ბერძნული თარგმანის სამი რედაქციიდან სიტყვასიტყვით ვატიკანურ-ალექსანდრიულმა (BA) რედაქციამ შემოგვინახა—*ὅτι τῆς κληρονομίας σοι καμήχει λαβεῖν ἢ πάντα ἀνθρώπων* (6. 13). ქართული თარგმანის „თვსობაჲ“ ბერძნ. *κληρονομίας... λαβεῖν* შეესიტყვება, რაც მემკვიდრეობის მიღებას ნიშნავს. „თვს“-ს მემკვიდრედ ასახელებს რიცხუთა წიგნის ძველი ქართული თარგმანიც. მოსე მსჯულმდებლის სამართლის თანახმად, თუ კაცს არ ჰყავდა ძე, ასული, ძმა ან მამისძმა, „მისცეთ სამკვდრებელი მისი თვსსა მისსა“ (ხელნ. A-1207) (რიცხ. 27.11), ხოლო „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ცნობით, უშვილო გიორგი ჩორჩანელმა თავისი მამული და მონაგები ქონება „დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა“<sup>28</sup>, რაც ქონების მემკვიდრეობაში გადაცემას ნიშნავდა.

„თვსის“ სოციალური ინსტიტუტის შესასწავლად უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონიც. პეტრიწონის მონასტრის აშენების დროს გრიგოლ ბაკურიანის ძე ითვალისწინებდა რომ, თუ იგი თავის საგვარეულო ქონებიდან რაიმე ნაწილსაც კი შესწირავდა მონასტერს, ეს შეწირულება მტკიცე ვერ იქნებოდა, რადგან გრიგოლ ბაკურიანის ძის მემკვიდრეებს აღნიშნული ქონების გამოწირვის უფლება ჰქონდათ. ამის გამო, გრიგოლ ბაკურიანის ძე თავის ტიპიკონში საგანგებოდ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი მამეული და დედული ქონება მისმა დებმა მზითევში წაიღეს<sup>29</sup>, ხოლო მონასტრისადმი შეწირული ქონება კი „თუთ ჩემითა მრავლითა ტანჯვითა და მოჭირვებითა და სისხლთა დათხევითა, და არათუ სხვსა ვისითაცა თანა-შეწევნითა, გინა ქველის მეტყუელებითა მოცემულ არს“<sup>30</sup>.

პეტრიწონის მონასტრისადმი შეწირული ქონების სიმტკიცისათვის გრიგოლ ბაკურიანის ძემ საგანგებო ზომები მიიღო, რომელნიც სამონასტრო ქონებაზე უპირველეს ყოვლისა გრიგოლ ბაკურიანის ძის მემკვიდრეთა პრეტენზიების აღკვეთას ისახავდნენ მიზნად. რადგან პრეტენდენტთა შორის სამონასტრო ქონების მთავარ პრეტენდენტებად გრიგოლ ბაკურიანის ძის „თვსნი“ შეიძლება გამოსულიყვნენ, გრიგოლ ბაკურიანის ძე არაერთგზის ხაზგასმით აღ-

<sup>28</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1, თბ., 1964, გვ. 339.

<sup>29</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 99—101.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 101.

ნიშნავს: „მნებავეს უკუე განსაზღვრებად პატიოსანი მონასტერი ჩემი, რაათა იყოს იგი აზნაურ და თავისუფალ ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თუსთა და ნათესავთა ჩემთა“<sup>31</sup>. ამის გამო, უშვილო გრიგოლ ბაკურიანის ძე წერდა: „მე მკვდრად ჩემდა ჩემი ეკლესია მაქუს და მონასტერი“<sup>32</sup>. ამრიგად, გრიგოლ ბაკურიანის ძის ქონების მემკვიდრეებად, უპირველეს ყოვლისა, გამოდიოდნენ ჯერ „მახლობელნი თუსნი“, შემდეგ „შორეულნი თუსნი“ და „ნათესავნი“, ხოლო „მახლობელ თუსს“, როგორც ახლო ნათესავთა ნათესაურ რიგში შემავალ ნათესავს გრიგოლ ბაკურიანის ძე თვით განმარტავს: „მახლობელ თუსთა ჩუენთა ცოცხალთაგანნი მათ ვიტყვ“, წერს გრიგოლ ბაკურიანის ძე, „რომელნი აღრაცხილებისა წესითა მახლობელ ჩუენდა იყვენ თუსებით“<sup>33</sup>.

„თუსის“ სოციალური ინსტიტუტის გენეზისის წარმოსაჩენად განესაზღვროთ ვინ შედიოდნენ „თუსში“ და რამდენი თაობის ნათესავებს მოიცავდა იგი. გამოვიდეთ ეფი-დან და ეფი-სგან დაშორების პროცესში აღვნიშნოთ „თუსში“ შემავალი ნათესავები თაობათა მიხედვით. გრიგოლ ბაკურიანის ძემ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში საკუთარ თავს და საკუთარ „თუსებს“ სულის დღესასხენებელი განუწესა. იგი წერს: „ჯერ-არს კუალად, რაათა დღესასწაულთა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა ყოველთავე მღვდელთა ჩუენთს წირონ ჟამი: ჩემთს და ძმისა ჩემისათს... და მსგეფსსა შინა სამსა დღესა სასეფოდ ჟამსა წირვიდეს: ერთსა დღესა — მამისა ჩემისა ბაკურიანისათს და ერთსა დღესა — მამის ძმისა ჩემისათს ზუასროვანისათს და ერთსა — მამის ძმის წულისა ჩემისა ბაკურიანისათს“<sup>34</sup>. ამრიგად, „თუსებში“ შედიოდნენ ძმა, მამა, ბიძა და ბიძაშვილი. ბიძაშვილი „თუსში“ რომ შედიოდა, დასტურდება ესთერის წიგნის ძველი ქართული თარგმანის მიხედვითაც. „და მარდოქეს ნოუწოდა მეფემან და უთხრა ესთერ მეფესა, ვითარმედ თუსი მისი არს“ (8,1). მარდოქე, როგორც ცნობილია, ესთერის ბიძაშვილი იყო. „თუსში“ ძმები რომ შედიოდნენ, დასტურდება ლეონტი მროველის ცნობითაც. „პირველად ვაქსენოთ ესე, — წერს ლეონტი მროველი, — რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაცნელთა,

<sup>31</sup> აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 99.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 99—100.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 107, 116.

პერთა და ლექთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ თვსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს<sup>35</sup>.

„თვსში“ შედიოდნენ დებიც. ლევიტელთა წიგნის ძველქართულ თარგმანში აღნიშნულია: „სარცხნელი მამის დისა შენისაჲ არა გამოაცხადო, რამეთუ თვისი მამისა შენისაჲ არს“ (18,12) და „სარცხნელი დედის დისა შენისაჲ არა გამოაცხადო, რამეთუ თვისი დედისაჲ შენი არს“ (18,13). „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ცნობით, „თვსში“ შედიოდა დისშვილი და დისშვილის შვილი. გიორგი მცირე წერს: „ვპოვენით ამის ნეტარისა (გიორგი მთაწმინდელის — გ. მ.) თვსნი მათ ქუეყანათა, ფრიად დაღონებულნი დისწულნი ორნი, და შვილნი მათნი, ყრმანი მცირენი. ესენი შეიწყნარა წმიდამან მან (გიორგი მთაწმინდელმა — გ. მ.) სიტყუსაებრ ესაიამსა, ვითარმედ: თვსნი ნააუესავისა შენისაჲ არა უგულუბელს-ჰყო“<sup>36</sup>. „თვსში“ შედიოდა პაპის დისწულიც, ანუ პაპის მამის ჩამომავალი. „ისტორიანი და აზმანის“ ცნობით, თამარ მეფის კარზე დარბაზობისას „ვინათგან შინაური და თვისი იყო შარვანშა, პირველად შემოვიდა იგი“<sup>37</sup>. შარვანშა აღსართანი დავით აღმაშენებლის ასულის — თამარის ძე იყო და თამარ მეფის პაპას — დემეტრეს დისწულად მოუდიოდა. რადგან დავით აღმაშენებელი თამარ მეფის პაპის მამა იყო, შარვანშა აღსართანის სახით თამარ მეფის „თვსში“ პაპის მამის ჩამომავალი იგულისხმება. ამრიგად, ზემოთმოტანილ ცნობებს თუ შეეჯამებთ შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: „თვსში“ შედიოდნენ ძმა, და, მამა, ბიძა, ბიძაშვილი, დისშვილი, დისშვილის შვილი და პაპის დისშვილი.

ქართული წყაროები, რასაკვირველია, „თვსში“ შეჰავალ ყველა ნათესავეს არ ასახავენ. თუ „თვსში“ შეჰავალ ნათესავეებს ანხისტიციაში შეჰავალ პარენტელების რიგის მიხედვით განვალაგებთ, შემდეგი სურათი გამოიკვეთება. პირველ პარენტელაში შევლენ ეფი-ს მამის ჩამომავლები: ძმა, და, დისშვილის შვილი. მეორე პარენტელაში ეფი-ს პაპის ჩამომავლები: ბიძა, ბიძაშვილი. მესამე პარენტელაში კი პაპის მამის ჩამომავალი — პაპის დისშვილი მოხვდება. „თვსი“, როგორც ვხედავთ, სამივე პარენტელას წედება, რაც ადასტურებს, რომ „თვსი“ „ანხისტიციას“ ტიპის სოციალურ ინსტიტუტთა ექვივალენტი იყო.

<sup>35</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 3.

<sup>36</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 169—170.

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 66.

„თვისი“ სოციალური ინსტიტუტის არქაულობა დასტურდება ლინგვისტურადაც, რადგან „თვისი“ ის არას, ვინც „თავ“-ს ეკუთვნის, ვინც თჷ-ის-ა/ არის. „თვისისათვის“ ამოსავალი არა ფუძეუკუ-მშველი ძვ. ქართ. თავი, არამედ თვით ძველი ქართულისათვის უკვე ანომალიური, არქაული ვ/ჷ პოზიციური მონაცვლეობა თ თანხმოვნის შემდეგ<sup>38</sup>. ცოცხალ სოციალურ ტერმინად „თვისი“ ხევშო შემორჩა, რომელიც უშორეულესი თანამოგვარის — „მანაკიდვარის“ საპირისპიროდ ახლო ნათესავენს აღნიშნავს<sup>39</sup>. „თვის“ მეგრულ-ქანურში პარალელური სოციალური ინსტიტუტი მოეპოვება — თი და თური. თი ქანურად თავს აღნიშნავს, მეგრულში კი თავის გარდა თი წილის, ოჯახის, სახლის, ეზოს, გვარის მნიშვნელობით იხპარება, ხოლო თური სახლისშვილის, მოგვარეს მნიშვნელობით<sup>40</sup>. გენეტურად თური გაუყოფარი ძმების სახლს უკავშირდება<sup>41</sup>.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ სოციალურ ინსტიტუტთა შორის „თვის“-ის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ხევესურული მეშაბათეობა ამჟღავნებს. ამის გამო ხევესურული შაბათის რიგის აღწერაზე დაწვრილებით შეეჩერდებით. ნ. ხიზანიშვილის თქმით, ხევესურეთში „ყველა ნათესავი მეშვიდე თაობამდე მეშაბათეა. თუ რომელიმე მეშაბათე რიგში არ მივიდა ჭირისუფალთან, ლუდი ან არაყი არ უღულა, მაშინ მეშაბათეობა ისობა. ამ ნათესაობის „გადალახვა არ შეიძლების“ და თუ მოხდა, სასირცხვილო და საუბედურო საქმეა. ეს იმიტომ, რომ მეშაბათეობა კერძო და ახლო ნათესაობაა; ჭირში თუ ლხინში მეშაბათემ მხარი უნდა დაუჭიროს თავის ნათესავს. ჩვეულების ძალით, ეხლაც ყველა მეშაბათეებმა მკვდრის პატრონს სისხლში ზუთი ძროხა

<sup>38</sup> ნ. გ. ო. გ. უ. ა. ძ. ე. ნაცვალსახელი „თავისი“ ქართულში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოაზრებ, II, 1960, გვ. 45—50; თ. გ. ა. მ. ყ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე. გ. მ. ა. ჯ. ა. ვ. ა. რ. ი. ა. ნ. ი., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 42—43.

<sup>39</sup> ვ. ი. თ. ო. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველ მთელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 25.

<sup>40</sup> И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.Пб., 1914, стр. 242.

<sup>41</sup> თურთან დაკავშირებით დიდი ოჯახის გადმონაშთები სამეგრელოში განხილულია ალ. რ. ო. ბ. ა. ჯ. ი. ძ. ის ნაშრომში — „დასახლების ფორმები ჩხოროწყუს რაიონში“, 1973. ნაშრომი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში.

უნდა მისცენ იმიტომ, რომ მკვლელის ახლო ნათესავეები არიან და იმათაც ბრალი ედებათ; თუ ეს ჭარიმა არ გადაიხადეს, მკვდრის სოფელში გავლა არ შეუძლიათ, გზა შეკრული აქვთ — არ გვინდობართ, ჩვენი მკვლელის ნათესავეები ხართო. მეტადრე ძველ დროში მეშაბათეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მნიშვნელობა სისხლის სამართლით მტკიცდება. სისხლი (მკვლელობის ჭარიმა) სამ ნაწილად იყოფა; ორი წილი გვარეულობისა იყო და ერთი მკვდრის პატრონისა; მაგრამ მეშაბათეები გვარეულობაზე მალლა იდგნენ და საერთო ორი წილიდან თვითეულ მეშაბათეს ერთი ცხვარი მეტი ერგებოდა, საბიძაშვილო არისო. გარდა ამისა ჭურჭმიდანაც მეტი წილი მიჰქონდათ“<sup>42</sup>.

ახლო ნათესაობა მეშაბათეობის ფორმით ვლინდება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებითაც. ხევსურეთში „მიცვალებულის დასაფლავების მეორე დღეს ჭირისუფალი დაამზადებდა რძეში მოხარშულ სიმინდის ფქვილის ერბოიან ფაფას და სალამოსათვის მამად დაყოფაში შემავალ პირებს თავის სახლში მოიწვევდა, კაცებსა და დედაკაცებს. ამას შაბათის რიგამ ეწოდებოდა, ხოლო მამად დაყოფაში შემავალ პირებს — მეშაბათენი. როდესაც მეშაბათენი შეიკრიბებოდნენ, ტაბლას მიცვალებულის სახელს დასდებდნენ: „ეს შაბათის რიგამ შენიმც საკმარი ას (სახელს იტყვიან მკვდრისას), შენამც გეკმარების შაბათის რიგამ“... გაწყობილ ტაბლასთან ხუცესი შენდობას იტყოდა და ყველანი შეუდგებოდნენ ფაფის ჭამას. მეშაბათეებისა და ჭირისუფლების გარდა შაბათის რიგამ არავის ერგებოდა, რადგან ეს ძმა, სახლის-კაცების ერთად შაყრაა, იმათი საქმე-ლია“<sup>43</sup>.

შაბათის რიგის უპირველეს არქაულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იგი ეჭოგამიასაც უკავშირდება. იმ შემთხვევის დროს, „როდესაც ერთი გვარის ქალ-ვაჟი შეუღლებოდნენ, გვარი შეიყრებოდა ერთად და გამოიანგარიშებდნენ, თუ ქალ-ვაჟის ოჯახი რამდენად ახლოს იდგა შთამომავლობით ერთმანეთთან. თუ ძალიან ახლოს არ იყვნენ, მამა-პაპანი დაშორებულები იყვნენ, გვარს ერთმანეთთან მხოლოდ „შაბათი“ ჰქონდა გასაყრელი, მაშინ გვარი გააყრებოდა. გვარი რომ გაიყრებოდა, ერთმანეთს „შაბათის რიგში“ არ უძახებდნენ... მაგრამ თუ ქალ-ვაჟი ახლოს იყვნენ, გვარის უფროსი მამა-

<sup>42</sup> ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 82.

<sup>43</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, „მომომხილველი“, ტ. I, 1949, გვ. 198—199.

კაცები გამოიანგარიშებდნენ, თუ მერამდენე მამით იყვნენ დაშორებული და ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, მაშინ ძმობას გაყრიდნენ... და საქვეყნოდ იტყოდნენ: „ჩვენ ერთუცისებ აღარ ორთ. ყველამ გაიგას, გაიგონას, რო ჩვენი მამა-ძმობა გაყრილია ას“... მერე სალოცავ ჭვარში ქვის „სამანს“ ჩასდგამდნენ და გაიყებოდა გვარი „მმობით“. ძმობაზე გაყრა ნიშნავდა, კაცი რომ შემოაკვდებოდათ, მათ გვარს პასუხი არ ეთხოვებოდა, რომ მოეკლათ განაყარი გვარისა ვინმე, ოსინი შურს არ იძიებდნენ, სასხლს არ აიღებდნენ და არც იყო ეს მათთვის სირცხვილი“<sup>44</sup>.

ხევსურული შაბათი ტერმინოლოგიურად, როგორც ჩანს, დღის აღმნიშვნელ ტერმინს შაბათს უკავშირდება, რადგან შაბათი კვირის მეექვსე დღე არის და ამის გამოც ექვსი თაობის ნათესავებს მეშაბათეები უწოდეს. როგორც ითქვა, ბერძნ. αργχ:ατ-, სომხ. ძირბასიორ და ებრ. ג'1 ძირიდან ნაწარმოები სოციალური ტერმინები ბიბლიის წიგნების ძველქართულ თარგმანებში „ნათესავის“, „შვილის“ და „მკედრის“ გარდა „თვსს“, „მანლობელს“ და „მეძიებელი სისხლისას“ შეესიტყვება, რაც მიუთითებს, რომ ზემოჩამოთვლილი სოციალური ორგანიზმები სისხლ-მესისხლეობის საკითხში ერთიან სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდნენ და ამ თვალსაზრისით ხევსურულ „შაბათის რიგს“ ემთხვევოდნენ.

ანხისტეიას ტიპის სოციალურ ორგანიზმთა ისეთი არქაული წესი, როგორც მკედრის სახელზე დადებული მეშაბათეთა ტრაპეზა არის, მთხრობელის განმარტებით „ძმა, სახლის-კაცების ერთად შაყრა“ იყო, ხოლო ეკზოგამიის წესის დაცვის გამო „შაბათის რიგზე“ გაყრა „მმობით“ გაყრას უკავშირდება, რის შედეგად ახლადწარმოქმნილი „საძმონი“ ურთიერთის მიმართ სისხლ-მესისხლეობისგან თავისუფლდებოდნენ. „შაბათის რიგში“ გაერთიანებული ნათესავეები, ვიწრო გაგებით, „საძმოს“ წარმოადგენდნენ, რადგან „ხევსურეთში გავრცელებული ჩვეულებრივი (ვიწრო) გაგებით საძმოა ერთ-ერთი ახალ მამათაგანი (რამდენიმე თაობის ნათესავთა გაერთიანება — გ. მ.), ამდენად შედარებით ახლო ნათესავეების ჭგუფი, რომლის წევრები ერთმანეთს მესაძმოეს უწოდებენ“<sup>45</sup>. ამრიგად,

<sup>44</sup> გ. ბ ა ლ ი ა უ რ ი, ქორწილის წესები ხევსურეთში, 1939, გვ. 127—130 (ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის. არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში).

<sup>45</sup> გ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, 8, 1952, გვ. 496—497.

უცხოური წარმოშობის „შაბათი“ სიტყვის ქვეშ „საძმო“, „სახლის-კაცები“ იგულისხმებიან. სისხლ-მესისხლეობა „საძმოს“ რომ ეკისრებოდა, ამას სევანური და „შაბათის რიგისგან“ განსხვავებული ხევსურული ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებენ<sup>46</sup>, ხოლო „საძმოს“ რომ ცოცხალი სოციალური ტერმინი იყო, ეთნოგრაფიულ მასალებს გარდა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ მიგვითითებს, სადაც დაბას „საძმოს“ ეწოდება<sup>47</sup>. ისტორიულად ძველი ქართული საოჯახო თემი გაუყოფარი ძმების პატრიარქალურ სახლს, ანუ „საძმოს“ წარმოადგენდა<sup>48</sup>, ხოლო გვიანფეოდალური ხანის საბუთებში დამოწმებული ორი სოციალური ორგანიზმის „შეყრილობა“ („გაერთიანება“), ტექნიკური გამოთქმით, „ძმად შეყრილ“ იწოდებოდა<sup>49</sup>. სახლისკაცთა, საძმოსა და გვარის სინონიმურობა კარგად ჩანს XVIII საუკუნის ერთ-ერთი ქართული საბუთიდან, სადაც აღნიშნულია: „კარდენახს ჩვენი სასახლე ვამჯობინეთ საციხეთ, ჩვენც ყაბული ვქენით, დავდევით საგვარეულოთ, არა ჩვენს სახლისკაცს საქმე არ ჰქონდეს, საძმოდ და საგვარეულოთ დავდევით“<sup>50</sup>.

რუთის წიგნის ძველქართულ თარგმანთა სოციალურ ტერმინთა ანალიზის დროს მივუთითეთ, რომ „ნათესავის“, „თვისის“, „მკვიდრის“, „მომამის“, „მეძიებელი სისხლისას“ და „მახლობელის“ სოციალურ ტერმინთა სინონიმად „შვილიც“ დასტურდება. „შვილის“ ინსტიტუტის შესასწავლად საყურადღებოა საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალები და სევანური ისტორიული საბუთები. სევანური ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ყოველი სევანური საკულტო ნაგებობა, რომელსაც ქრისტიანობის გავლენის შედეგად ამა თუ იმ ქრისტიანული წმინდანის სახელი შეერქვა, ერთი ან რამდენიმე გვარისაგან შემდგარი სევანური თემის უზენაესი მფარველი იყო, სევანურ თემში შემავალი მეთემენი კი, თავის მხრივ, ამა თუ იმ სათემო ღვთაების „კაცებად“ (სვ. მარჯლ ან მაროლ, მხ. რ. მარე)

<sup>46</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სევანეთში, თბ., 1939, გვ. 17—41; რ. ხ ა რ ა ძ ე, ხევსურული რჯული, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 165—195.

<sup>47</sup> ა. ბ ო გ ე ე რ ა ძ ე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 113—114; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 328.

<sup>48</sup> P. Л. Х а р а д з е, Грузинская семейная община, т. I—II, Тб., 1961.

<sup>49</sup> თვ. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თბ., 1928, გვ. 153—157.

<sup>50</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 5153.



იწოდებოდნენ<sup>51</sup>. სვანური ისტორიული საბუთების (XIV—XV სს) მიხედვით, ქრისტიანული სახელის მატარებელი ყოველი სვანური საკულტო ნაგებობის გარშემო „საყდრიშვილები“ ერთიანდებოდნენ, რადგან მიწის უზენაესი მესაკუთრე „საყდარი“ („ხატი“) იყო, ხოლო ხატის გარშემო მსხდომ „ლამხუბში“ („საძმოში“) შემაჯავლ „მომძებებს“ „საყდრის“ („ხატის“) კუთვნილი მიწა „შვილობის“ პირობით ეჭირათ<sup>52</sup>. ეთნოგრაფიულად დამოწმებული სვანური სატაძრო თემი სვანურ ისტორიულ საბუთებში დადასტურებული „საყდრიშვილობის“ სოციალური ინსტიტუტის ტოლფარდია.

სვანური სატაძრო თემის ანალოგიას ხევესურული სატაძრო თემი წარმოადგენს, ჯვარისყმობის სახელით რომ არის ცნობილი<sup>53</sup>. ეთნოგრაფიულად დამოწმებული წესის თანახმად, ყოველი ხევესური მამაკაცი „საწულეობის“ წესს გადიოდა, რაც ხატის მიერ „ახალწულის“ (ხევესური ვაჟი ერთ წლამდე) „შვილობაში“ გამოიხატებოდა. თვით „შვილობის“ აქტი კი ხატის (ჯვარის) დროშის ქვეშ შიშველი ბავშვის სამჯერ შეგორებით სრულდებოდა. აღნიშნული აქტა ხატის (ჯვარის) მიერ ყმის (შვილის) შობის მისტერიას წარმოადგენდა. მხოლოდ „საწულეობის“ წესგადახდილი ხევესური ზრდადასრულებულ ასაკში ჯვარისყმობის (ხატისშვილობის) პირობაზე მიწის ნაკვეთის ფლობის უფლებას იძენდა, რომელიც წარმოშობით ხატის (ჯვარის) მიწა იყო<sup>54</sup>. ხევესურეთში სათემო თუ სატომო ნაყოფიერების ღვთაებებს ჯვარისა და ხატის გარდა ღვთისშვილი (ხევეს. ხთიშვილი, ხთისნასახი, ხთისნაბადები) ეწოდებოდათ, რომელნიც იერარ-

---

<sup>51</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство древнегрузинских племен, Тб., 1957, стр. 39-40.

<sup>52</sup> მ. ბ. ერძნიშვილი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV-XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 111—123.

<sup>53</sup> ე. ბ. არაველიძე, ხევესურული თემი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1952, ტ. XIII, 8, გვ. 495—502; მისივე, ხევესურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1952, ტ. XIII, 10, გვ. 623—630.

<sup>54</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 61; ე. ერძნიშვილი, შთამომავლობით ნათესაური ცნებების სოციალური მნიშვნელობის საკითხები ეთნოგრაფიის უქუხე („წული“), საისტორიო კრებული, IV, 1974, გვ. 361—378; მისივე, „საწულესა“, და „მისამბარეოს“ წესები ხევესურეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, 1972, გვ. 176—182.

ქიულად მათზე მაღლა მდგომ ღვთისშვილთა გარშემო იკრებდნენ თავს. ზევსურული რელიგიურ-კოსმოლოგიური წარმოდგენები ზევსურთა ჯვარისცმობის ურთიერთობათა ასლს წარმოადგენდა, რადგან მიწაზე არსებულ ჯვარისცმას ზეცაზე ღვთისშვილი შეესაბამება<sup>55</sup>. ჯვარისცმა „საწულეობის“ მისტერიის გზით არის ჯვარის (ღმერთის) ნაშობი და ამდენად იგივე ღვთისშვილია, რომლებითაც ზევსურთა წარმოდგენით იყო დასახლებული გარე სამყარო. ღვთისშვილი ტერმინოლოგიურად ჯვარისცმის არქაულ ფორმას ინახავს, რადგან ისტორიულად „შვილი“ უსწრებდა „ცმას“<sup>56</sup>.

6. ბერძენიშვილის აზრით, საყდრისშვილობისა და ხატისშვილობის ფეოდალური ინსტიტუტები გენეტურად ჯვარისცმობის, ანუ ხატისცმობის ინსტიტუტს უკავშირდებიან. ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ ხატისშვილები წოდებრიობის მიუხედავად გაერთიანებულ სამონასტრო მსახურთა სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ, საყდრიშვილებში კი საეკლესიო უმაღლესი ყმა-აზნაურმოხელეთა ფენა ერთიანდებოდა<sup>57</sup>. საყდრიშვილი წარმოშობით „ფართო ცნება უნდა ყოფილიყო და ეკლესიის ქვეშევრდომ-მსახურთა ყველა წრეს მოიცავდა, ხოლო შემდეგ მოხდა მისი დავიწროება და საყდრისშვილობა საეკლესიო სენიორიის ყმა-აზნაურთა პრივილეგიებულმა ჯგუფმა დაინარჩუნა“<sup>58</sup> (ბ. ლომინაძე). „შვილის“ სოციალური ინსტიტუტი განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ კათალიკოსები და ეპისკოპოსები საეკლესიო ქონების მმართველობის საქმეს, ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ყოველთა ეკლესიის შვილთა თანადგომით და ერთნებაობით“ წყვეტდნენ<sup>59</sup>. საყდრიშვილები არა მარტო ეკლესიის ქონების კოლექტიური მმართველები იყვნენ, არამედ კათალიკოს-

<sup>55</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X, 1959, გვ. 159—166.

<sup>56</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 133—134.

<sup>57</sup> Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии, Тб., 1938, стр. 05; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ზევსურული თემი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1952, 8, ტ. XIII, გვ. 498.

<sup>58</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 309.

<sup>59</sup> Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии, Тб., 1938, стр. 05.

-ეპისკოპოსებთან ერთად საეკლესიო ქონების კოლექტიურ მფლობელებად გამოდიოდნენ<sup>60</sup>.

ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში შესვლა და აღზევება მხოლოდ „შვილობის“ გზით რომ იყო შესაძლებელი, „ძეგლი ერისთავთა“ მიუთითებს. როსტომ ბიბილურისათვის ცხრაზმისხევში გაერისთავების წინაპირობას ლარგვისის ტაძრისადმი „შვილობა“ წარმოადგენდა<sup>61</sup>. როგორც ცნობილია, ყოველ სათავადოს მხოლოდ ერთი თავადი ჰყავდა, თავადის ნათესაებს (ძმა, ძმისშვილი, ბიძა და ა. შ.) კი თავადიშვილები ეწოდებოდათ, აზნაურის სახლის წევრი კი ტექნიკური გამოთქმით აზნაურიშვილი იყო. წარმოშობით ქართულა გვარი „შვილების“ გაერთიანებას რომ წარმოადგენდა „საძმოს“ ფორმით, ვლინდება ქართულ გვარების დაბოლოებაში — ძე და შვილი.

ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში შემონახული სოციალური ტერმინების — „ნათესავის“, „თვისის“, „შვილის“, „მკვიდრის“, „მომის“ და „მეძიებელი სისხლისა“ სინონიმად „მახლობელიც“ დასტურდება. ენობრივი თვალსაზრისით „მახლობელ“-ში -ხლ- ძირი გამოიყოფა, რაც „ახლოს ყოფნას“ აღნიშნავს<sup>62</sup>. იგივე -ხლ- ძირი გამოიყოფა „ძეგლის დადების“ „მოახლე“-ში და ხევსურულ „ახლოელა“-ში, რომელნიც „მახლობელის“, „ნათესავის“, „თვისის“, „შვილის“, „მკვიდრის“, „მომის“, „მეძიებელი სისხლისას“ სოციალურ ექვივალენტებად გვევლინებიან. „ძეგლის დადების“ ცნობის მიხედვით, „თუ ვინ ჰევისბერის კაცის გაუყოფარი, მისა სახლსა შიგან მოახლე, ერთ სახლის კაცთ მოკლან: მამა, ბიძა, ძმა, ბიძასძე, ძმისწული, რა გინდა რა მისის გუარისა მოახლე, — სისხლად ესევე ექუსი ათასი თეთრი იყოს“<sup>63</sup>. „ძეგლის დადების“ თანახმად, ხევისბერის მოახლეს, ანუ ახლო ნათესაებს შეადგენდნენ — მამა, ძმა, ბიძა, ბიძასძე და ძმისწული. პარენტლების მიხედვით, აღნიშნული ნათესაობა მეორე პარენტელას არ სცილდება. პირველ პარენტელაში შედიან ხევისბერის მამის ჩამომავლები — ძმა და ძმისწული, მეორე პარენტელაში კი ხევისბერის პაპის ჩამომავლები — ბიძა და ბიძასძე (ბიძაშვილი).

<sup>60</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 309.

<sup>61</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 102.

<sup>62</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, стр. 173.

<sup>63</sup> ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 106.

„ძეგლის დადების“ „მოახლეს“ სოციალური სინონიმია იმავე გეოგრაფიული რეგიონიდან მომდინარე ახლო ნათესავთა აღმნიშვნელი სოციალური ტერმინი — ხევსურული „ახლოელა“. ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ხევსურეთში მამის ხაზით ზუთი თაობის მომცველ აგნატებს ბიძაშვილიდან მოკიდებული ახლოელა სახლისკაცი ეწოდებოდათ, ხოლო საძმოს წევრებს, რომელნიც მეექვსე-მეშვიდე თაობის აგნატებს მოიცავდნენ — გარეთული სახლისკაცი<sup>64</sup>. პარენტელების მიხედვით, ხევსურული „ახლოელა“ ნათესავთა სამივე პარენტელას მოიცავდა, რადგან მეხუთე თაობა პაპის ძმისშვილს აღწევს, რომელიც ცხი-ს პაპის მამის ჩამომავალი არის, ხოლო მესამე პარენტელის ფუძემდებელად პაპის მამა ითვლება. როგორც აღვნიშნეთ, შარვანშა აღსართანი, რომელიც თამარ მეფეს „თჳს“-ად მოუდიოდა<sup>65</sup>, დავით აღმაშენებლის ასულის თამარის ძე იყო და ამის გამო თამარ მეფეს პაპის დისშვილად ეკუთვნოდა. რადგან შარვანშა აღსართანი თამარ მეფის პაპის დისშვილი იყო, პარენტელური რიგის თანახმად იგი თამარ მეფისგან ზუთი თაობით იყო დაშორებული და თამარ მეფის „თჳსთა“ მესამე პარენტელაში შედიოდა, რომლის დამაარსებელი თამარის პაპის მამა — დავით აღმაშენებელი იყო. „თჳსისა“ და „ახლოელას“ ურთიერთშედარება ცხადყოფს, რომ „თჳსი“ ზუსტად ემთხვევა ხევსურულ „ახლოელას“ და „ახლოელაც“ „თჳსის“ ანალოგიურად „ანხისტეიას“ ტიპის სოციალურ ინსტიტუტთა რიგს მიეკუთვნება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომთა ძირითად სოციალურ უჯრედს ექვსი-შვიდი თაობის მომცველი აგნატური ჯგუფი წარმოადგენდა, რომელიც შემდეგი სოციალური ტერმინით აღინიშნებოდა — „ნათესავი“, „თჳსი“, „შვილი“, „მკვიდრი“, „მეძიებელი სისხლისა“, „მახლობელი“, „მოახლე“ და „ახლოელა“. ის, ვინც „ნათესავს“, „თჳსს“, „შვილს“, „მკვიდრს“, „მომემს“, „მეძიებელს სისხლისას“, „მახლობელს“, „მოახლეს“ და „ახლოელას“ არ ეკუთვნოდა, „უცხო“ იყო. ძველქართულ წყაროებში „თჳსის“ და „მკვიდრის“ კონტრაგენტად „უცხო“ გვევლინება. გრიგოლ ბაკურიანის ძე თავის ტიპიკონში წერს: „ვინებე მე, რაჟთა მონასტერი ჩემი აზნაურად ეგოს ყოველთა თჳსთა ჩემთა და უცხო-

<sup>64</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, М., 1964, стр. 2—3.

<sup>65</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 66.

თა“<sup>66</sup>, ხოლო გიორგი მცირეს თქმით, გიორგი მთაწმინდელს „მოუქ-  
და სურვილი უცხოებისა და თვსთაგან განშორებისაჲ“<sup>67</sup>. წმინდა ნი-  
ნოს წყაროებში „უცხო“ ეწოდება, რომელსაც მირიან მეფე მცხე-  
თის „მკვიდრად“ გახდომას სთავაზობს<sup>68</sup>, ნეიტრალურ ტერმინს „ნა-  
თესავს“ კი „უცხო ნათესავეი“ უპირისპირდება<sup>69</sup>.

---

<sup>66</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 102.

<sup>67</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1967, გვ. 119.

<sup>68</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 101, 106.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 18.

ძველი ქართული „სახლის“ ბენეფისი და მისი  
სოციალური ევოლუცია კლასობრივი საზოგადოების  
წარმოქმნის პროცესში აღმოსავლეთ საქართველოს  
მიწა-წყალზე ძვ. წ. XV—IV საუკუნეებში

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე თრიალეთური კულტურის (II ათასწლ. I ნახ.) შემქმნელი ტომები სოციალური განვითარების დონით ახლოს მივიდნენ ცივილიზაციასთან, მაგრამ თრიალეთური კულტურის შემქმნელ ტომთა საზოგადოებაში არსებული სოციალური სტრატეფიკაცია მოიშალა და აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში II ათასწლეულის II ნახევარში სოციალური განშრევეების პროცესი კვლავ დაიწყო<sup>1</sup>.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილია, რომ თრიალეთური კულტურის შემქმნელ ტომთა საზოგადოებაში არსებული სოციალური სტრატეფიკაციის მოშლის შემდეგ, იმ მიწა-წყალზე, რომელზედაც ქართლის (იბერიის) სამეფო ჩამოყალიბდა, მოსახლეობა გამაგრებულ გორებზე ცხოვრობდა<sup>2</sup>, გორებზე მსხდომი პატრიარქალური გვაროვნული თემების ძირითად სოციალურ უჯრედს კი ექესი-შვიდი თაობის აგნატთა გაერთიანება წარმოადგენდა. აღნიშნულ სოციალურ კოლექტივს ძველი ქართული წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები „ნათესავს“, „თვსს“, „მკვიდრს“, „შვილს“, „მომესს“, „მეძიებელი სისხლისას“, „მახლობელს“, „მოახლეს“ და „ახლოელას“ უწოდებენ. ყოველი ასეთი სოციალური კოლექტივი გორას თხემზე აღმართული ნაყოფიერების ღვთაების გარშემო იყო შემოკრებილი, რაზედაც ის მიგვიჩვენებს, რომ შიდა

<sup>1</sup> ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 84—117.

<sup>2</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1, თბ., 1964, გვ. 367—426. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 32—33.

ქართლის II ათასწლეულის II ნახევრის საწესო კომპლექსები იკონოგრაფიულად სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის სახით ნაყოფიერების ღვთაებათა ხატებს წარმოადგენდნენ<sup>3</sup>.

ძველი ქართული სოციალური ტერმინი „ნათესავი“ გენეტურად ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული, რადგან ნათესავის არის, ვინც თესვის (ნა-თეს-ავ-ში გამოიყოფა ძირი -თეს-, შდრ., თეს-ლ-ი), ანუ განაყოფიერების შედეგად არის მიღებული. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის გარნემო შემოკრებილი ნათესავი ნაყოფიერების ღვთაების „შვილად“ ითვლებოდა და ნათესავში შემავალი შვილები ნაყოფიერების ღვთაებისადმი „შვილობის“ საფუძველზე ნაყოფიერების ღვთაების კუთვნილ მიწა-წყალზე ისბდნენ. იმის გამო, რომ პატრიარქალური გვაროვნული თემის ძირითადი სოციალური უჯრედი ნათესავი წარმოშობით ნაყოფიერების კულტს უკავშირდება, „ნათესავი“ ყველაზე უფრო არქაული და ყველაზე უფრო გავრცელებული სოციალური ტერმინი ჩანს.

II ათასწლეულის II ნახევარში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გამაგრებულ გორებზე მსხდომ ცალკეულ ნათესავთა შორის ჯერ კიდევ არ არსებობდა სოციალური და ეკონომიური დიფერენციაცია<sup>4</sup>, ნათესავი გამოდიოდა, როგორც 1. კულტის წარმომადგენელი; 2. საწარმოო კოლექტივი; 3. შეიარაღებულ მამაკაცთა კოლექტივი; 4. საოჯახო და ქორწინების ურთიერთობათა მომწესრიგებელი ინსტიტუტი; 5. ჩვეულებითი სამართლის აღმსრულებელი კოლექტივი. თუ თვით ნათესავი ბორცვზე იჯდა და თავისი სამოსახლო საგანგებოდ გამაგრებული ჰქონდა, შრომით საქმიანობას ნათესავი დაბლა, ბორცვის გარშემო მდებარე მიწა-წყალზე ეწეოდა, სადაც ნათესავის მეურნეობა იყო<sup>5</sup>. ნათესავის მეურნეობას სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით ძველი ქართული სახლი წარმოადგენდა.

როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, ძველი ქართული სოციალური ტერმინები „ნათესავი“ („თესი“, „შვილი“, „მკვიდრი“, „მომძე“, „მეძიებელი სისხლისა“), „მახლობელი“, „მოახლე“ და „ახლოელა“ ურთიერთის სინონიმები იყვნენ, ოღონდ იმ განსხვავე-

<sup>3</sup> ი. კ. კ. ი. ძ. ე., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 194—209.

<sup>4</sup> ნ. ბ. ე. რ. ე. ი. შ. ე. ი. ლ. ი., საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ. 1964, გვ. 367—426.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 367—426.

ბით, რომ ენობრივი თვალსაზრისით მახლობელი, მოახლე და ახლო-ელა -ხლ- ზმნური ძირიდან იწარმოებინან, რომელიც სემანტიკურად „ახლო ყოფნას“<sup>6</sup>, „ერთად ყოფნას“ აღნიშნავდა. ამ ასპექტით მახლობელი, მოახლე და ახლოელა ძველქართულ წყაროებში თემის აღმნიშვნელი სოციალური ტერმინის „ერთობილის“ სინონიმი.

ძველი ქართული სოციალური ტერმინი „სახლი“ ენობრივად -ხლ- ზმნურ ფუძეზე -სა- პრეფიქსის დართვით იწარმოება<sup>7</sup>, რაც სოციალურად ნიშნავს, რომ თუ მახლობელი, მოახლე და ახლოელა ექვსი-შვიდი თაობის მომცველი აგნატები იყვნენ, ის რაც ექვსი-შვიდი თაობის აგნატთა — მახლობელის, მოახლესა და ახლოელას — ობიექტი იყო, „სახლს“ წარმოადგენდა. ამიტომ არის, რომ ძველი ქართული სახლი მიწა-წყლისაგან, გამწვევი ძალისაგან, ნაგებობები-საგან და სხვ. შედგებოდა. სახლს თავში მამასახლისად წოდებული გამგებელი ჰყავდა. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ძველ ქართლში მამასახლისად გვარში უხუცესი ინიშნებოდა<sup>8</sup>, რაც მიუთითებს, რომ მამასახლისი უფროსი თაობის ძმებს შორის უფროსი ძმა იყო.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სახლი იგივე გვარი არის<sup>9</sup>, ხოლო ს. ჯანაშიას თანახმად, უკლასო საზოგადოებაში სახლი ჯერ მატრიარქალური, შემდეგ კი პატრიარქალური კომუნა იყო „დიდი ოჯახის“ მნიშვნელობით. კლასობრივ საზოგადოებაში, ს. ჯანაშიას თქმით, „სახლი „შესაძლებელია ხმარებული ყოფილიყო, ერთი მხრით, მიზწის გარკვეული ნაკვეთის, რომელიც გლეხურ მეურნეობის საფუძველ შეადგენდა (-მერმინდელ „ფუძეს“), აღსანიშნავად, ხოლო, მეორე მხრით, თვით ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ერთეულის, სენიორიის, მენორის, რომელიც აგრეთვე თავისებური ხასიათის ეკონომიურ ერთობას წარმოადგენდა, აღსანიშნავადაც“<sup>10</sup>. გ. მელიქიშვილის მიხედვით, პირველყოფილი-თემური წყობილების დროს სახლი თუ ყველგან არა, ქართის ტომების ერთ ნაწილში მაინც აღნიშნავდა გვარს, ხოლო შემდეგ კი საგვარეულო თემის სასოფლო თემად გადაზრდასთან ერთად მოხდა „სახლის“ მნიშვნელობის დავიწროება და სახლი სასოფლო თემის შიგნით ჩამოყალიბებულ საოჯახო

<sup>6</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, стр. 260.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>8</sup> И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб., 1905, стр. 16.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>10</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 162—163.



თემის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა<sup>11</sup>. ხეცურული „ახლოელას“ ანალიზის შედეგად კი ვ. ბარდაველიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «древнегрузинский сахли реконструируется в форме древней большесемейной домово́й общины, поскольку в ней насчитывается четыре-пять поколений родственников и поскольку вследствие этого, очевидно, она должна возглавиться старшим братом старшего поколения агнатов».<sup>12</sup> იმისდა მიუხედავად, რომ სახლის ნათესავის სოციალურ ბუნებას სამეურნეო თვალსაზრისით ასახავდა, სახლის, როგორც სამეურნეო უჯრედის ძირითად სამუშაო ძალას მისი განვითარების უძველეს საფეხურზე ექვსი-შვიდი თაობის სისხლით ნათესავები შეადგენდნენ და ამის გამოც „სახლიშვილი“ და „სახლიკაცი“ ნათესავის სინონიმად შემოგვრჩა.

სოციალური ტერმინის თვალსაზრისით „შვილსა“ და „კაცს“ „წული“ უნდა უსწრებდეს, რომელსაც „წილის“ მნიშვნელობა ჰქონდა<sup>13</sup>. ამიტომ არის, რომ „სახლისწული“ სახლთან დაკავშირებულ სოციალურ ტერმინთა შორის ერთ-ერთი ყველაზე არქაული სოციალური ტერმინი ჩანს. სახლში შემავალი წულები სახლის განვითარების უძველეს ეტაპზე თავის თავს სახლისაგან ვერ გამოყოფდნენ და სახლისწულები იმავე *член*-ს ატარებდნენ, რასაც თვით სახლი. ძველქართულ წყაროებში სახლისა და სახელის ურთიერთმონაცვლეობა ამით არის განპირობებული. სა-ხლ- ფუძის რედუცირებული ხმოვნის აღდგენისას ვ. თოფურია შენიშნავდა, რომ მეგრ.-ქან. ო-ხორ-ი თითქოსდა სა-ხალ ფუძეს უნდა გვავარაუდებინებდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მეგრ. -ო-ს ეკვივალენტად ქართულში ე-ც არის (ჰყორ-ი — მ-წყერ-ი) სა-ხლ-ის არარედუცირებული ფორმა სა-ხელ-ი უნდა ყოფილიყო<sup>14</sup>.

სახელი სახლის მნიშვნელობით ძველქართულ ძეგლებში ივ. იმნაიშვილმა დაადასტურა. მოვიტანოთ სათანადო მაგალითები: ღმერთ-მან დაამკვდრნის ერთ-სახენი სახელსა, გამოიყვანნის კრულნი სიმჯ-

<sup>11</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 580—581.

<sup>12</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, М., 1964, стр. 2-3.

<sup>13</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1959, стр. 21; ზ. ალექსიძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1967, 3, გვ. 158—160.

<sup>14</sup> ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946, I, გვ. 86.

ნითა თესითა, ფსალმ. 67,6 (Бог одиноких вводит в дом); სახელი-საგან ღმრთისა შენისა მოვსპო კერპები და გამოდგობილნი, ნაუმ 1,14 (Из дома Бога твоего); იერუსალმე, ვითარ-იგი დიდ არს სახელი ღმრთისაჲ და გრძელ ადგილი საყოფელისა მისისაჲ, ბარუქ 3,24 (Как велик дом Божий); განსაკუთრებით საინტერესოა ხან-მეტი ტექსტი მისი არქაულობის გამო: მოხატუნდეს ქებად სახელსა უფლისასა, იერ. 17,26 (В дом Господень)<sup>15</sup>.

კითხვა დაისმის: რამ განაპირობა ის გარემოება, რომ ერთიდა-იგივე სოციალური ტერმინი ძველქართულში როგორც „სახელ“-, ისევე „სახლ“- ფორმით დასტურდება, ანდა რა არის იმის მიზეზი, რომ ქსნის ხეობაში აგნატურ ჯგუფს „მახლობელი“ ეწოდებოდა („ძველი ერისთავთა“)<sup>16</sup>, ქსნის ხეობის მომიჯნავე არაგვის ხეობაში — „მოახლე“ („გიორგი ბრწყინვალის სამართალი“)<sup>17</sup>, ხოლო იმავე არაგვის ხეობის რეგიონში — ხევსურეთში კი „ახლოელა“<sup>18</sup>. როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ათასწეულის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომების ძირითადი მასივი წარმოშობით ქართველური იყო<sup>19</sup>, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამაგრებულ „გორებზე“ მსხდომი აგნატური ჯგუფები ქართულ-ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ფუძე ენაზე საუბრობდნენ. ისტორიკოსის თვალსაზრისით გორაზე მსხდომ ყოველ აგნატურ ჯგუფს თავისი „ენა“ ჰქონდა, რომელნიც ურთიერთის მიმართ „დიალექტებს“ წარმოადგენდნენ<sup>20</sup>. თუ ერთი აგნატური ჯგუფი თავის კოლექტივში შემავალ წევრს მახლობელს (ძირი -ხლ-) უწოდებდა, მის მეზობლად მსხდომი აგნატური ჯგუფი კი მოახლეს (ძირი -ხლ-), ამ უკანასკნელის მეზობლად მსხდომი აგნატური ჯგუფი კი ახლოელას (ძირი -ხლ-). სამი ურთიერთმეზობლად მსხდომი აგნატური ჯგუფის „ენობრივი“ („დიალექტის“) განსხვავების ლინგვისტურ საფუძველს ამ

<sup>15</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 39—40.

<sup>16</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 104.

<sup>17</sup> ი. დ ი ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957, გვ. 106.

<sup>18</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие формы землевладения в свете грузинских этнографических материалов, М., 1964, стр. 2-3.

<sup>19</sup> გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

<sup>20</sup> აღნიშნული თვალსაზრისის შესახებ იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 360—362.

კონკრეტულ შემთხვევაში საერთო -ხლ- ძირიდან სიტყვაწარმოების განსხვავებული წესი წარმოადგენდა.

„სახელ“ და „სახლ“ ფორმები კი მახვილის ფუნქციით იყო შეპირობებული. ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ნათესავთა ის ნაწილი, რომელიც თავისი მეურნეობის აღმნიშვნელი სიტყვის წარმოთქმისას მახვილს თავში უსვამდა „სახლს“ ამბობდა, ხოლო ის ნათესავნი, რომელნიც მახვილს ბოლოში უსვამდნენ, „სახელს“ ამბობდნენ. ამრიგად, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ნათესავთა „დიალექტთა“ საფუძველს ურთიერთისგან განსხვავებული გრამატიკული ფორმები და მახვილი წარმოადგენდა, ხოლო ისტორიკოსის თვალსაზრისით ყოველი ასეთი „დიალექტი“ ამა თუ იმ ნათესავის საკუთარი „ენა“ იყო.

თრიალეთური კულტურის შემქმნელ ტომებში არსებული (II ათასწლეულის I ნახევარში) სოციალური სტრატეფიკაციის მოშლის შემდეგ, II ათასწლეულის II ნახევარი აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე საწარმოო ძალთა აღმავლობით აღინიშნა. მორწყვის შემოღებამ II ათასწლეულის I და II ნახევრის მიჯნაზე ინტენსიურ მიწათმოქმედებას დაუდო საფუძველი, ზის კავით მიწის ღრმად მოხენისა და ლითონის თოხის შემოღების გამო, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო იმ დროის პირობებში, ურწყავ ნაკვეთებზედაც სტაბილური მოსავალი მოდიოდა, რამაც II—I ათასწლეულის მიჯნაზე სამიწათმოქმედო სავარგულების მაქსიმალური ათვისება განაპირობა. წარმოების ინტენსიფიკაციის მიზეზის გამო მოსახლეობა II ათასწლეულის I ნახევრის მიწურულიდან თანდათან იქერს აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა ზოლსა და ბარს. მარტივი სარწყავი სისტემების გამართვის სიადვილემ შიდა ქართლში უმთავრესად მთისძირა ზოლის დასახლება განაპირობა. ქვემო ქართლში კი მიწათმოქმედნი როგორც მთისძირა ზოლში, ასევე ბარში სხედან, იმისდა მიუხედავად, რომ ბარის ნაწილი მესაქონლეებს უკავიათ. ანალოგიური ვითარება დასტურდება ალაზნის აუზშიც<sup>21</sup>. ამიტომ იყო, რომ II—I ათასწლეულის მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალი იმ დროის საწარმოო ძალთა განვითარების პირო-

<sup>21</sup> ი. კ. კ. ვ. ძ. ე. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 84—117.

ბების შესაბამისად უაღრესად მჭიდროდ დასახლებული ჩანს<sup>22</sup>. სამ-  
წუხაროდ, გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. XV—VII სს.) აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს ყველა კუთხეში თანაბრად არ არის შესწავლილი, მაგ-  
რამ უკანასკნელ ხანებში არქეოლოგიურ ძეგლთა ფართოდ გაშლი-  
ლი გათხრების წყალობით გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ სა-  
ქართველოში მოსახლე ტომთა სოციალური ევოლუციის გათვალის-  
წინება ზოგად ზაზებში მაინც შესაძლებელია.

საწარმოო ძალებისა და მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირო-  
ბებში II ათასწლეულის II ნახევრის უკანასკნელ საუკუნეებში აღ-  
მოსავლეთ საქართველოს გორებზე მსხდომ ნათესავეთა შორის სო-  
ციალური განშრეგების პროცესი დაიწყო, რაც არქეოლოგიური გა-  
თხრების შედეგად დასტურდება. დაახლ. ძვ. წ. XV—XIII საუკუ-  
ნეებში ზოვლეგორას თავდაპირველი მკვიდრნი ბორცვის თხემზე  
ისხდნენ და მათი სამოსახლო ქვის გალავნით იყო შემოზღუდული.  
დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნიდან ბორცვის ძირში ჰოფელი ჩნდება,  
რომლისაგან ბორცვის მოსახლენი გამოყოფილნი იყვნენ საგანგებო  
თხრილითა და დიდრონი ქვებით ნაგები გალავნით. სოფლის გაჩე-  
ნასთან სინქრონულად ბორცვის საგანგებოდ შემდგომმა გამაგრებამ  
ბორცვი საკულტო-თავდაცვით ნაგებობად აქცია. ვარაუდობენ, რომ  
აღნიშნული პროცესის შედეგად ზოვლეგორა ზეობის ეკონომიური  
და პოლიტიკური ცენტრი ხდება და ზევხმელას ზეობაც ამ დროს  
„ჩვეად“ ყალიბდებოდა. ამრიგად, დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნიდან  
გორაზე აშკარად დასტურდება სოციალური დიფერენციაცია, რაც  
ძველი გორას ორ ნაწილად გაყოფაში გამოიხატა: თხრილითა და  
გალავნით გამაგრებულ ბორცვად და ბორცვის ქვემოთ განლაგებულ  
სოფლად<sup>23</sup>. II—I ათასწლეულის მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს მიწა-წყალზე გათხრილ თითქმის ყოველ სამაროვანზე ქონებ-  
რივი უთანასწორობა შეიმჩნევა.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ქართლის (იბერიის) სამეფო ზეეების  
შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა, რადგან ქართლის (იბერიის) სა-  
მეფო „ზეეებში განვითარებული ურთიერთობის ნიადაგზე წარმო-  
ქმნილი კლასობრივი ორგანიზაცია“<sup>24</sup> იყო. ამის გამო, ძველქართულ

<sup>22</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 192—195.

<sup>23</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის [ძი-  
რითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 36—42.

<sup>24</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 76.

წყაროებში ხევი როგორც ვიწრო, ისევე ფართო მნიშვნელობით დასტურდება, რაც ხევის განვითარების გზაზე მიუთითებს მცირე სოციალური ორგანიზმიდან უფრო დიდ სოციალურ ორგანიზმამდე. ჭუანშერის ცნობით, არაბების შიშით არჩილ უფლისწულმა (VIII ს.) „დაჰფლა საგანძური უფროსი კეცსა კახეთისასა; ხოლო სამსახურე-ბელნი ოქროსა და ვერცხლისანი კეცსა უჯარმოსასა“<sup>25</sup>. ნ. ბერძენი-შვილის დაკვირვებით, ჭუანშერის მოტანილ ცნობაში „ქვეი კახეთისა“ ერთი განსაკუთრებული კეცის სახელია კახეთში<sup>26</sup>, რაც ნიშნავს, რომ კახეთის კეცის ქვეშ მცირე სოციალური ორგანიზმი იგულისხმე-ბა. იმავე ჭუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ დაჩი მეფემ „იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოკრე-ბულ იყვნეს ყოველნი კეცნი ქართლისანი, თვნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა“<sup>27</sup>. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „აქ უკვე კეცნი ნიშნავს ქვეყნები. და ამ ხევებად იგულისხმებიან, სხვათა შო-რის, კლარჯეთი, კახეთი და ეგრისი...“<sup>28</sup> ხევი რომ როგორც ვრცელი, ისევე მცირე მიწა-წყლის მომცველი სოციალური ორგანიზმი იყო, დასტურდება სხვა ცნობებითაც. ვახუშტი წერს, რომ ქართლის მთას სდის „მცირე კევი ქართლისა“<sup>29</sup>. თუ ამ შემთხვევაში ხევი მცირე მიწა-წყალს მოიცავდა, ლეონტი მროველის ცნობაში, რომ მირდატ მეფემ „ალაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შინა, რამეთუ კეცსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია“<sup>30</sup>, კლარჯეთის ხევის ქვეშ მთელა ქვეყანა კლარჯეთი იგულისხმება<sup>31</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ბროსესეულ, ფალავანდიშვილისეულ და ბარათაშვილისეულ ნუსხებში დაცული ჩანართის მიხედვით ანდრია მოციქულმა რკინის-ჯვარის გამოვლით „შთავლო ხევი ოძრა-ჭისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა“<sup>32</sup>. ოძრაჭის ხევი მცირე ხევია დღევანდელ ადიგენის რაიონში დაბა აბასთუმანთან, ლეონტი

<sup>25</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 233.

<sup>26</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 63.

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 205.

<sup>28</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 63.

<sup>29</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 55.

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 131.

<sup>31</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 62.

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 39.



თიანების პროცესში ნ. ბერძენიშვილი ორ ეტაპს გამოყოფდა. პირველი ეტაპი იმ მიწა-წყალზე არსებულ ხევთა გაერთიანებას გულისხმობდა, რომელნიც ლეონტი მროველის მიერ შემოსაზღვრულ ქართლოსიანთა (უფლოსის, ოძრხოსის, ჯავახოსის, კახოსის, კუხოსის, გარდაბოსის და გაჩიოსის) წილი ტერიტორიის საზღვრებში იმყოფებოდნენ, მეორე ეტაპი კი ისტორიული შიდა ქართლის („ქართლოსიან“ უფლოსის წილი მიწა-წყალი) ტერიტორიაზე მოსახლე ტომის მმართველი სახლის მიერ დანარჩენ ქართლოსიანთა მიწა-წყლის დაპყრობას გულისხმობდა, რაც ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნით ხევთა გაერთიანების პროცესის საბოლოო დასრულებას ნიშნავდა<sup>37</sup>. ხევეების ჩამოყალიბება აღმოაჩვენებდა ქართველოს მიწა-წყალზე დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეში დაიწყო<sup>38</sup>. კითხვა დაისმის: როდის დასრულდა ნ. ბერძენიშვილის მიერ ნაგარაუდები ხევეების გაერთიანების პირველი ეტაპი, რაც ქრონოლოგიურად ქართლოსიანთა წილი მიწა-წყლის გამოკვეთას უნდა ემთხვეოდეს. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიას შეუძლია, რომლის შესწავლის თანამედროვე დონეზე ქართლოსიან უფლოსის, კახოსის და კუხოსის წილი მიწა-წყალი მატერიალური კულტურის თვალსაზრისით გვიანბრინჯაოს მესამე საფეხურზე — ადრერკინის ხანაში (1100—900 წწ.) იკვეთება.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა კ. ფიცხელაურის დაკვირვება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომების ერთ საფუძველზე წარმოშობილ საომარ იარაღებში გვიანბრინჯაოს ხანის მესამე საფეხურზე — ადრერკინის ხანაში (1100—900 წწ.) ლოკალური ვარიანტები გამოიკვეთა და ამ იარაღთა ლოკალური ვარიანტების გავრცელების საზღვრები ქართლოსიან უფლოსის, კახოსის და კუხოსის საზღვრებს ემთხვევიან. არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე კ. ფიცხელაური მიდის იმ დასკვნამდე, რომ II—I ათასწლეულის მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მონათესავე ტომთა გაერთიანება ჩამოყალიბდა, რომლის წიაღშიც ცალკეული ეთნიური ჯგუფების სტაბილიზაცია ხდებოდა<sup>39</sup>.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 74—76, 151—153.

<sup>38</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 41.

<sup>39</sup> კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973, გვ. 123—207.

კ. ფიცხელაურის დაკვირვება II—I ათასწლეულის მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში საომარი იარაღის ლოკალური ვარიანტების გამოყოფის შესახებ, სამწუხაროდ, არქეოლოგიური მასალის უკმარისობის გამო, მხოლოდ უფლოსის, კახოსის და კუხოსის წილ მიწა-წყალს ეხება. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით დანარჩენ ქართლოსიანთა მიწა-წყალზე, ცნობილი არ არის. ამისდა მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომების საომარ იარაღებში II—I ათასწლეულის მიჯნაზე ლოკალური ვარიანტების გამოკვეთა და ამ იარაღთა ლოკალური ვარიანტების გავრცელების საზღვრების ქართლოსიან უფლოსის, კახოსის და კუხოსის საზღვრებთან დამთხვევა უცილობლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე II—I ათასწლეულის მიჯნაზე ხევეების გაერთიანების შედეგად უფლოსის, კახოსის და კუხოსის წილ მიწა-წყლის მომცველ საზღვრებში სახელმწიფო წარმონაქმნები ჩამოყალიბდა, რადგან ქართლოსიანთა წილი მიწა-წყლის გამოკვეთა, ხევეების გაერთიანების პროცესს რომ ემთხვეოდა, სოციალური განშრევეების პროცესის სინქრონული მოვლენა იყო, რასაც უფლოსის, კახოსის და კუხოსის სახელმწიფო წარმონაქმნში შემავალი „ერის“ იარაღის სტანდარტიზაცია მოჰყვა.

თუ ნ. ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული ისტორიულ-გეოგრაფიული სქემიდან ამოვალთ ქართლოსიანთა (უფლოსი, ოძრხოსი, ჯავახოსი, კახოსი, გარდაბოსი და გაჩიოსი) მიწა-წყალზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა შემქმნელად ამა თუ იმ სახელმწიფო წარმონაქმნის ჰეგემონი ნათესავი გვევლინება, რომელმაც სახელი მისცა ამა თუ იმ ქართლოსიანთა მიწა-წყალზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფო წარმონაქმნს<sup>40</sup>. მცხეთის გაღმართ, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდებარე მთას ქართლი ეწოდებოდა, რომელსაც სახელი მასზე მოსახლე ქართლის ნათესავმა მისცა. ქართლს არმაზის სინონიმად ახსენებს ლეონტი მროველი, ხოლო ქართლი გეოგრაფიული პუნქტის სახელად არმაზს ისტორიულად წინ რომ უსწრებდა, არმაზის მახლობლად ქართლის კარისა და ქართლის ყელის ტოპონიმების არსებობით დასტურდება<sup>41</sup>. ქართლი

<sup>40</sup> აღნიშნული თვალსაზრისი ნ. ბერძენიშვილს ჩამოყალიბებულ იქნა აქვს შიგნში ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975.

<sup>41</sup> მასალები და წყაროები ქართლის მთის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 202-236.



არა მხოლოდ მთა არის, არამედ ხევიც არის. ვახუშტი წერს, რომ ქართლის მთას სდის „მცირე ხევი ქართლისა“<sup>42</sup>, რომელსაც დღეს არმაზისხევის უწოდებენ ხოლმე. ქართლი ტერმინი ერთ განსაკუთრებულ ხეზე უფრო ფართო მნიშვნელობითაც გვხვდება. „უფლოსის“ წილ მიწა-წყალს, წყაროებში „ზენა სოფლის“ სახელით რომ არის ცნობილი (არმაზიდან ტაშისკარამდე), ჯუანშერი ქართლს უწოდებს<sup>43</sup> და ეთნოგრაფიული ქართლი, როგორც ცნობილია, არმაზიდან ტაშისკარამდე მომცველი მიწა-წყლის ფარგლებს მოიცავდა.

ოდრეც „გორა“ არის, მცირე „ოდრხის ხევი“ რომ გადმოჰყურებს დღევანდელ ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანთან. ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში ოდრხის „გორამ“ იმდენად გაიფართოვა მიწა-წყალი, რომ ურარტული წყაროების ვიტერუხის (ძვ. ქართ. ოძრეკეს) სამხრეთი პერიფერია თანამედროვე ქ. ლენინაკანის რეგიონს აღწევდა<sup>44</sup>, ხოლო ლეონტი მროველი კი ოძრეკეს სამცხის სინონიმად ხმარობს<sup>45</sup>. ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა შორის მხოლოდ ერთი სახელმწიფო წარმონაქმნის — ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის შემქმნელი „გორას“ — „ქართლის მთის“ სახელმა დაფარა ყველა დანარჩენ ქართლოსიანთა სახელმწიფო წარმონაქმნთა მიწა-წყალი, როდესაც ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ მომცველი ძველქართულ წყაროთა „სოფელი ქართლისა“, ანუ ქართლის (იბერიის) სამეფო, ჩამოყალიბდა. აღნიშნული პროცესი კი იმის შედეგი იყო, რომ „ქართლის მთაზე“ მსხდომი ნათესავი გამონარქდა.

თუ რა განაპირობებდა ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გაშავრებულ გორებზე მსხდომი ამა თუ იმ ნათესავის აღზევებას, ხევის, როგორც გორათა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური შესწავლით შეიძლება აიხსნას მხოლოდ. სამწუხაროდ, ამ დონეზე არცერთი ხევი არ არის შესწავლილი. დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაწყებული სოციალური დიფერენციაციის პროცესი გორებზე მსხდომ ნა-

<sup>42</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 55.

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 242.

<sup>44</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 383.

<sup>45</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 47.

თესავთა ურთიერთდაპყრობას უკავშირდება<sup>46</sup>, რადგან ნათესავთა ურთიერთდაპყრობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში ყალიბდებიან კლასობრივი საზოგადოების ძირითადი სოციალური და ეკონომიური კატეგორიები — „უფალი“, „მეფე“ (მეუფე), „სეფე“, „სეფეწული“, „სეფეკაცი“, „მესეფე“, „სახლეული“, „სოფელი“ და „სეფობა“.

ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ანალოზის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ძველქართულ წყაროებში „სოფელ“ ტერმინის გარდა „სახლი“ ტერმინიც ვრცელ მიწა-წყალს აღნიშნავდა და ქვეყნის მნიშვნელობით იხმარებოდა<sup>47</sup>. ამ მხრივ საყურადღებოა ლეონტი მროველის ცნობა, რომლის მიხედვითაც, „ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ხუდა წილად ქართლი“<sup>48</sup>. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართლის (იბერიის) საზოგადოება პატრონყმობის (ფეოდალიზმის) დამკვიდრებამდე სოციალურად უფალ-მონობას წარმოადგენდა, რადგან „უფალის“ კონტრაგენტად ძველქართულში „მონა“ გვევლინება<sup>49</sup>. მონა ძე. სპარსულიდან (ძე. სპ. manija ის, ვინც სახლს ეკუთვნის) შეთვისებული სოციალური ტერმინია და ძველქართული „სახლეულის“ ზუსტი სოციალური ექვივალენტია<sup>50</sup>.

ეესტათი მცხეთელის მარტვილობის ცნობის თანახმად, მარზპან ვეეან ბუზმირთან გამგზავრების წინ, „პრქუა ეესტათი სიდედრსა თვსსა და ცოლსა და შვილთა თვსთა და მონა-მგვეალთა თვსთა“<sup>51</sup>, ჩოლო როდესაც ეესტათი და სტეფანე მარზპანთან გამოემართნენ, მათ „სახლეულნი, ნათესავნი და თვსნი მოსტიროდეს . უკუანა“<sup>52</sup>,

<sup>46</sup> დაპყრობის მნიშვნელობის შესახებ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში ძველ ქართლში (იბერიაში) იხ. Г. А. М е л и к и ш в и л и, К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли), ВДИ, № 4, 1977, стр. 188—195. დაპყრობის მნიშვნელობის შესახებ ქართლის (იბერიის) სამეფოს მეოთხე „გენოსის“ წარმოქმნაში იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 166—167.

<sup>47</sup> И. А. Д ж а в а х о в, Государственный строй древней Грузии и древней Армении, С.Птб., 1905, стр. 31-33, 38-39.

<sup>48</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 13.

<sup>49</sup> И. А. Д ж а в а х о в, Государственный строй древней Грузии и древней Армении, С.Птб., 1905, стр. 72-73.

<sup>50</sup> იქვე, გვ. 74.

<sup>51</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 34.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 35.

რაც მიუთითებს, რომ ევსტათი მცხეთელის ავტორი სოციალურ ტერმინებს — „მონა-მკვევალს“ და „სახლეულს“ ურთიერთის სინონიმებად თვლიდა. თუ სახლეული (მონა) ის არის, ვინც სახლს, ანუ მეურნეობას, ეკუთვნის, სახლეულის კონტრაგენტი — უფალი ის არის, ვინც „მფლობელია“, ვინც „ბატონია“. ძველი ქართულის დონეზე უფალ -ში -უფ- ძირს გამოყოფენ, რომელშიც თავკიდური უელემენტი წარმოშობით ფუძესთან შეზრდილი პრეფიქსი ჩანს, ხოლო რაც შეეხება -უფ- ძირის -ფ- მორფემას, იგი სემანტიკურად იგივე -ფ- მორფემა არის, რომელიც მეგრულმა დღემდე შემოგვინახა ცალთანხმოვიან ზნა ა-ფ-უ-(ნ)-ში — „აქეს, ჰყავს, მოუღის ვისმეს რამედ“ მნიშვნელობით (შდრ. მ-ა-ფ-უ-(ნ), გ-ა-ფ-უ-(ნ) და ა. შ.)<sup>53</sup>. იმავე -ფ- ძირის არის ძველი ქართული „სუფევეაჲ“, ბატონობას რომ აღნიშნავს. ამავე ძირს უკავშირდება ძველი ქართული სოფელი ← \*ს-უფ-ელ-ი (\*სა-უფ-ელ-ი), რომელიც ის არის, რაზედაც ვისმეს ბატონობა (უფლება) ვრცელდება<sup>54</sup>. სოფლისა და სასუფეველის სინონიმურობა კარგად აისახა მათეს სახარებოს ძველქართულ თარგმანებში. „ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს“ (DE). „აგარაკი არს ესე სასუფეველი“ (C), მათე, 13.38. „მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი და შეკრიბნეს სოფლისაგან თვისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი“ (DE). „მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი“ (C), მათე, 13.41<sup>55</sup>.

იგივე -ფ- ძირი გამოიყოფა ძველქართულ სოციალურ ტერმინებში — მეფეში, მეუფესა და სეფეში. რადგან -ფ- მორფემა „მფლობელს“ (ბატონს) აღნიშნავს, მეფე, მეუფე ის არის, ვინც მფლობელია (ბატონია), ხოლო სეფე ის არის, ვინც ან რაც მფლო-

<sup>53</sup> ა. ჩ ი კ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 225; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 396—397.

<sup>54</sup> ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 285. ა. ჩ ი კ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 225; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 397—398; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 7—84, 100.

<sup>55</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945, გვ. 46.

ბელისაა, ბატონის არის<sup>56</sup>. ძველქართულ წყაროებში, რომელნიც ფეოდალურ ხანას ეკუთვნიან, სეფე „აღნიშნავდა სამეფო სახლს, როგორც სოციალურ ერთობას (დინასტია), მეფის სახლს, როგორც სამეურნეო ერთობას (სამეფო დომენი), და აგრეთვე თვით სამეფო სასახლეს, სამეფო კარსაც. დაასრულ, სეფე შეიძლებოდა ზმარებული ყოფილიყო თვით სამეფო სახლის წევრთა აღსანიშნავადაც, მაგრამ უკანასკნელი მნიშვნელობით, სეფე-წული (სეფე-შვილი) იხმარებოდა. ასეთივე კომპოზიტით აღნიშნავდნენ სამეფო კარის მსახურ მონებსაც“<sup>57</sup>, რომელთაც სეფე-კაცი და სეფე-ქალი ეწოდებოდათ<sup>58</sup>. იმავე -ფ- ძირიდან მომდინარეობენ სოციალური ტერმინები — სეფობა და მესეფე. ქართული მესეფე ირანული წარმოშობის მებეგრეს შეესიტყვება, ხოლო სეფობა საბატონო. მუშაობას აღნიშნავდა<sup>59</sup>.

სოციალური განზრევების პროცესი, რომელსაც ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა მოჰყვა, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეში დაიწყო და გენეზისის თვალსაზრისით ყველა ზემოთჩამოთვლილი სოციალური და ეკონომიური კატეგორია არა მონარქიის — ქართლის (იბერიის) სამეფოს — ხანას მიეკუთვნებიან, არამედ II ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებს, როდესაც ერთი ნათესავის მიერ მეორე ნათესავის დაპყრობის შედეგად „მფლობელი“, „გაბატონებული“ ნათესავები იქმნებიან, ხოლო დაპყრობის შედეგად წარმოქმნილმა სოციალური და ეკონომიური ურთიერთობის ფორმებმა -ფ- ძირიდან (ფლობა, ბატონობა) ნაწარმოებ სოციალურ და ეკონომიურ ტერმინებში პოვეს ასახვა.

დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნის წინა ხანებში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე არსებულ ცალკეულ გორებზე მსხდომ

<sup>56</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 159; ა. ჩ ი კ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 225; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 396-398.

<sup>57</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 165-166.

<sup>58</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 160.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 162; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 396.

ნათესავთა შორის ურთიერთდაპყრობის პროცესი დაიწყებოდა, ყოველი ნათესავი გამაგრებული ბორცვის გარშემო მდებარე თავის სახლს (მეურნეობას) საკუთარი ძალით ამუშავებდა. არ არის გამორიცხული, რომ ამა თუ იმ ნათესავს სხვადასხვა გზით მოპოვებული რამდენიმე „ტყვე-მონაც“ ჰყოლოდა, მაგრამ სახლის ძირითად სამუშაო ძალას ნათესავში შემავალი მამაკაცები ქმნიდნენ. როდესაც ნათესავთა ურთიერთდაპყრობის პროცესი დაიწყო, დამპყრობელი ნათესავი დაპყრობილი ნათესავის მიწა-წყალს იერთებდა, რაც დამპყრობელი ნათესავის მხრივ დაპყრობილი ნათესავის სახლის (მეურნეობის) დაუფლებაში მდგომარეობდა. დაპყრობის გამო „უფალის“ სტატუსამდე აღზევების პროცესში დამპყრობელი ნათესავი ფიზიკურ შრომას თავს ანებებდა და მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო, როგორც სამხედრო საქმე, ისევე სოფლად ქცეული საკუთარი გაფართოებული სახლის მართვა-გამგეობა წარმოადგენდა, რადგან დამპყრობელი „ნათესავი“ დაპყრობილ ნათესავსა და ბრძოლებში მოტაცებულ ტყვეებს თავისი ციხის (გამაგრებული ბორცვის) ქვემოთ მდებარე დაბაზე (ძვ. ქართ. „მიწაზე“) ასახლებდა და ამიერიტგან მათ უფალის სოფლის მიწა-წყალზე მოსახლე სხვა დაპყრობილ ნათესავებთან ერთად ციხეში მსხდომ უფალის სასარგებლოდ ხარკის გადახდა და სამსახური — „სეფეობა“, ეკისრებოდათ. იმის გამო, რომ უფალის გაფართოებული მეურნეობის (სახლის) სამუშაო ძალას დაპყრობილი ნათესავი და ტყვეები შეადგენდნენ, მათ სახლეული (მონა) ეწოდათ.

უფლის სახლის სახლეულების უშუალო ზედამხედველობა წარმოშობით ტყვე-მონებს — სეფეკაცებს ჰქონდათ ჩაბარებული. ძველ ქართულ თარგმანებში სეფეკაცს შეესიტყვება ბერძნ. *ἰσχυραὶ*, *ἰσχυραῖ*, სომხ. *դարձ*, *պատանի* და სირ. *gabio*, რაც მიუთითებს, რომ სეფეკაცი დამსჯელის, ხარკის ამკრეფისა და მსახურის ფუნქციებით იყო აღჭურვილი<sup>80</sup>. მხევალთა სოციალურ ფენას ეკუთვნოდა სეფეკალი. „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და ლენტი მროველის ცნობით, მცხეთაში წმინდა ნინოსთან მივიდა სეფეკალი, სახელად

<sup>80</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 160; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, ვნიშის მოამბე, VIII, 1940, გვ. 87; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, I, 1963, გვ. 168—170.

შრომანა<sup>81</sup>. „ნინოს ცხოვრების“ ორივე რედაქციაში — არსენისეულში და მის პერიფრაზში შრომანას „წარჩინებულთა მხევალი“<sup>82</sup> ეწოდებოდა. ასევე „ქართლის ცხოვრების“ ძველსომხურ თარგმანში სეფექალი სომხ. *სეფესქან*-ით არის გადმოტანილი, რაც მხევალს ნიშნავს<sup>83</sup>. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ფუნქციებით იყვნენ აღჭურვილნი სეფეკაცი და სეფექალი უფლის სახლის შიგნით, სოციალურად ისინი იმ სახლეულებს ეკუთვნოდნენ, რომელთა წყაროს ტყვეები წარმოადგენდნენ.

ძველი ქართული სოციალური ტერმინი სახლეული (მონა), როგორც ცნობილია, პოლისემანტიური ბუნების იყო. მონას უწოდებს თავის თავს, ლეონტი მროველის ცნობით, ეგრიისის მმართველი ქუჩი<sup>84</sup>, მონად (სახლეულად) იწოდებიან ევსტათი მცხეთელის მონებიც<sup>85</sup>, რომელნიც წარმოშობით ტყვეები იყვნენ. ტერმინ მონის პოლისემანტიზმი სახლეულთა ფენის წარმომავლობის ბუნებიდან მომდინარეობს. მართალია, სახლეულთა ფენა გარეეკონომიურა იძულების (დაპყრობის) შედეგად ჩამოყალიბდა, მაგრამ იგი თავის თავში გენეტურად ორ სოციალურ ფენას შეიცავდა. დაპყრობილი ნათესავი სოციალური დამცრობის მიუხედავად, როგორც წესი, წარმოშობით თავის მკვიდრ მიწაზე იჯდა და საკუთარი საწარმოო იარაღებიც გააჩნდა, ტყვე-მონები კი უფალის მიწაზე ისხდნენ და საწარმოო იარაღებიც უფალისგან ჰქონდათ მიღებული. აქედან მომდინარეობს მონა ტერმინის პოლისემანტიზმი, რომელიც, როგორც დაქვემდებარებულობის („დაპყრობილი ნათესავის“), ისევე „ტყვე-მონის“ აღმნიშვნელი სოციალური ცნებაა. სახლეულებით დასახლებული უფალის გაფართოებული სახლი სოფელი იყო, ხევი კი სოფლის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ხევისუფალი, ხევისთავი განაგებდა. ამრიგად, ხევი ხევისუფალის ნათესავის სოფლის საზღვრებში სახლეულებზე სოციალური და ეკონომიური ბატონობის პოლიტიკური ორგანიზაცია იყო და ამის გამოც ქართლის (იბერიის) სამეფო ხევებში წარ-

<sup>81</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 122; ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 93.

<sup>82</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 23, 62.

<sup>83</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბ., 1953, გვ. 86.

<sup>84</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 82.

<sup>85</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 35.

შოქმნილ სოციალურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა.

ხევის ჩამოყალიბება, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაპყრობას რომ უკავშირდება, დასტურდება ხოვლეგორას არქეოლოგიური შესწავლით. ხევხმელას ხეობაში, სადაც ხოვლეგორა მდებარეობს, ხოვლეგორას ახლოს კენჭიყარას გორაც მდებარეობს. ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში, როგორც აღვნიშნეთ, ხოვლეგორას ბორცვის თხემზე განლაგებული სამოსახლო ქვის გალავნით იყო შემოზღუდული. ანალოგიური ვითარება დასტურდება კენჭიყარას გორაზეც. დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნიდან ხოვლეგორას ძირში სოფელი ჩნდება, რომელსაც გორაზე მოსახლენი გამოეყენენ საგანგებო თხრილით და დიდრონი ქვებით ნაგები გალავნით. არაფერი მსგავსი არ ხდება კენჭიყარას გორაზე. პირიქით, დ. მუსხელიშილის ვარაუდით, ხოვლეგორას ძირში სოფლის გაჩენის სინქრონულად კენჭიყარას გორა მოსახლეობისაგან იცლება<sup>66</sup>. ისტორიული პროცესი ხოვლეგორასა და კენჭიყარას გორებს შორის შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში ურთიერთის მეზობლად მდებარე ორ გორაზე — ხოვლესი და კენჭიყარაზე — ქვით გამაგრებულ სამოსახლოში ორი „ნათესავი“ იჯდა, რომელნიც საკუთარი შრომით ამუშავებდნენ გორის ძირში მდებარე დაბას (ძვ. ქართ. მიწას). დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეში ხოვლეგორაზე მსხდომმა ნათესავმა დაიპყრო კენჭიყარას გორაზე მსხდომი ნათესავი, დაპყრობის პროცესი კი იმაში გამოიხატა, რომ ხოვლეგორის ციხეში მსხდომმა ნათესავმა კენჭიყარას გორაზე მსხდომ ნათესავს ციხე მოუშალა, თავისი ციხის ქვემოთ მდებარე გაუმაგრებელ დაბაზე (მიწაზე) დაასახლა და დახარკა, თვით კი უციხო, ანუ „უცხო ნათესავს“<sup>67</sup> იმით გაემიჯნა, რომ პოლიტიკური ბატონობის განმტკიცების მიზნით საკუთარ ციხეს საგანგებო თხრილი შემოავლო და ციხეც გაამაგრა. ხოვლეგორის აღზევების შედეგად კი, როგორც ითქვა, ხევხმელა ხევად ჩამოყალიბდა<sup>68</sup>.

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც ციხელი-

<sup>66</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 40—41.

<sup>67</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 60.

<sup>68</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 41.

დის მთავარმა ევაგრემ შემონაზნება გადაწყვიტა, ევაგრემ „პრქუა ყრმასა ერთსა, რათა წარვიდეს და პრქუას ყოველთა სახლეულთა მისთა, რომელნი იყვნეს ნასდავისს, რათა მიიწივნენ წინაშე მისსა ციხედიდად“<sup>69</sup>. ქართლის სპასპეტის ხელის მპყრობელს<sup>70</sup>, ევაგრე (VI ს.) ციხედიდის მთავარს რეზიდენცია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ციხედიდის ხევში ჰქონდა, ხოლო ციხედიდისხევის დასავლეთით მტკვრის მარცხენა ნაპირზე — ნასტაკისს, ევაგრეს სახლი (მეურნეობა) მდებარეობდა, რომელსაც ევაგრეს სახლეულები ამუშავებდნენ. ციხედიდისხევის გაღმა მდებარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ციხედიდის უფალნი უძველესი დროიდანვე რომ ფლობდნენ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიგვითითებს, რომლის თანახმად უკვე ძვ. წ. IV საუკუნეში სარკინის ციხეს ციხედიდი წარმოადგენდა<sup>71</sup>.

ძველი ქართული სახლის სოციალური სტრუქტურა ევსტათი მცხეთელის მარტილობის ავტორმა შემოგვიანა. როდესაც ევსტათიმ გაიგო, რომ იგი მარზპან ვეჟან ბუზმირთან უნდა გამოცხადებულყო თბილისში, საიდანაც ცოცხალი ველარ დაბრუნდებოდა, მარტილობის ავტორის თქმით, ევსტათიმ გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართა „სიდედრსა თვსსა და ცოლსა და შვილთა თვსთა და მონა-მკეველთა თვსთა“<sup>72</sup>, ხოლო მარზპანთან მიმავალ ევსტათის და სტეფანეს „სახლეულნი, ნათესავნი და თვსნი მოსტიროდეს უკუანა“<sup>73</sup>. ევსტათის მარზპანთან ტირილით ისინი მიაცილებდნენ, ვისაც ევსტათიმ უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართა. სახლეულებში ევსტათის მონა-მკეველნი იგულისხმებიან, ნათესავთა წრეს ევსტათის სიდედრი მიეკუთვნება, ცოლ-შვილნი კი ევსტათის თვსნი იყვნენ. პატრიარქალური სახლის სტრუქტურა ძველქართულ სოციალურ ტერმინთა ენაზე კარგად აისახა ისო ზირაქის წიგნის ძველქართულ თარგმანში — „მონასა გონიერსა აზნაურნი და უფლისა მის თვსისა თვსნი უხარკებედ“ (ისო ზირ. 10.25), სადაც უფალი თავისი თვსებით უპირისპირდება არათავისუფალს — მონას (სახლეულს). რადგან უფალი მალა, გორაზე აღმართულ ციხეში ცხოვრობდა, უფალის ეპითეტად ძველქართულში „ზენა“ გვხვდება,

<sup>69</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 135.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>71</sup> იქვე, წ. I, თბ., 1964, გვ. 81.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 35.



სახლეული კი ქვემოთ, დაბლა, სახლობდა და ამის გამო მდაბური, მდაბიო, სოციალურად დამცრობილის სინონიმი იყო. ანალოგიისათვის მოვიტანოთ მეგრული სოციალური ტერმინოლოგია. ჟინოსქუა მეგრულად აზნაურს ეწოდება. მეგრ. ჟინო ქართ. ზენას შესატყვისია, ხოლო სქუა მეგრულად შვილს აღნიშნავს. ამრიგად, მეგრ. ჟინოსქუა ქართ. ზენაშვილის სოციალური ექვივალენტია. ჟინოსქუას სოციალურ კონტრაგენტად მეგრულში დოლმახორე (ქართ. გლეხი) გვევლინება, რაც მეგრულად დაბლა მცხოვრებს აღნიშნავს.

დაახლ. ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ნათესავეებს შორის ურთიერთდაპყრობის პროცესი დაიწყებოდა, ყოველ სახლს ნათესავის უფროსი თაობის ძმებს შორის უხუცესი — მამასახლისი განაგებდა, რომელიც როგორც სასულიერო, ისევე საერო ხელისუფლების განმხორციელებელი იყო. ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში, როდესაც ნათესავთა ურთიერთდაპყრობის შედეგად უფალი-ნათესავნი ხევისუფალნი გახდნენ, სოციალური განშრეკების გაღრმავების პროცესში ზევისუფალნი კულტის მსახურის ფუნქციებს იცილებდნენ, რაც იქიდან მტკიცდება, რომ ღმერთის აღმნიშვნელი ცნება — უფალი, ვიდრე იგი ძველქართულში ღმერთის აღმნიშვნელ ცნებად იქცეოდა, საერო ხელისუფლების აღმნიშვნელი ცნება იყო (ზღრ. სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი და მეორე „გენოსის“ შესახებ, რომლის თანახმადაც, მეორე გენოსი ქუჩუმთა გენოსს მიეკუთვნება).

ს. ჭანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის აზრით, თავდაპირველად სოფელი მცირე სოციალურ ორგანიზმს ეწოდებოდა, რომლის შინაარსი თანდათანობით ფართოვდებოდა, ბოლოს კი სოფელმა კვლავ ვიწრო შინაარსი შეიძინა<sup>74</sup>. სოფლის სოციალური კატეგორიის წარმოქმნა, როგორც აღვნიშნეთ, ნათესავთა ურთიერთდაპყრობას უკავშირდება, რომლის შედეგადაც სოციალურად განშრეკებული მცირე სოციალური ორგანიზმები — სოფლები ყალიბდებიან, ხევი კი, როგორც ითქვა, სოფლის ტერიტორიულ-აღმინისტრაციული ერთეული იყო. ამა თუ იმ ნათესავს, რამდენადაც ძლიერი არ უნდა ყოფილიყო იგი, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ნათესავის დაპყრობა შეეძლო და ამის გამოც ვრცელი მიწა-წყლის მომცველი სოფლის შექმნა ცალკე აღებულ ერთ ნათესავს ვერ შესწევდა. რადგან ქართ-

<sup>74</sup> ს. ჭ ა ნ ა შ ი ა , შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 285; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 84.

ლის (იბერიის) სამეფო სოციალურად დიფერენცირებულ (სოფ-  
ლს) ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულთა — ხევების გა-  
ერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა, ხევების გაერთიანება ხევი-  
სუფალთა ნათესავთა სოციალურ კონსოლიდაციას გულისხმობდა.  
ხევების გაერთიანების პროცესში ნ. ბერძენიშვილი ორ ეტაპს გა-  
მოყოფდა: პირველი პერიოდი ქართლოსიანთა მიწა-წყლის ჩამოყა-  
ლიბებით მთავრდება, როდესაც ჰეგემონი ნათესავის აღზევების შე-  
დეგად ქართლოსიანთა წილი მიწა-წყლის საზღვრებში სახელმწიფო  
წარმონაქმნები ჩამოყალიბდნენ, მეორე პერიოდი კი ქართლის (იბე-  
რიის) სამეფოს წარმოქმნას ემთხვევა<sup>75</sup>. ქრონოლოგიურად პირვე-  
ლი პერიოდი ძვ. წ. დაახლ. 1200—900-იან წლებზე მოდის, როდესაც  
ქართლოსიანთა წილი მიწა-წყალი გამოიკვეთა, მეორე პერიოდი  
კი დაახლ. 900—300-იან წლებს ემთხვევა, როდესაც ძვ. წ. IV საუ-  
კუნის მიწურულს ქართლის (იბერიის) სამეფო წარმოიქმნა.

ხევების გაერთიანების პროცესი პირველ პერიოდში ორჯერ  
სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე მეორეში, რაც, ერთი შეხედვით,  
სარწმუნო არ უნდა იყოს, რადგან ხევების გაერთიანების პირველ  
პერიოდთან შედარებით ხევების გაერთიანების მეორე პერიოდი აღ-  
მოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე საწარმოო ძალთა უაღრესი  
სწრაფი აღმავლობის ხანას ემთხვევა. II—I ათასწლეულების მიჯ-  
ნაზე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე რკინის იარაღებზე  
ვრცელდება, ხოლო ძვ. წ. VI საუკუნისათვის რკინა საბოლოოდ  
დევნის ბრინჯაოს წარმოების სფეროდან<sup>76</sup>. საწარმოო ძალთა და სა-  
ზოგადოების განვითარების ავტომატური ურთიერთმიმართების  
თვალსაზრისის მიხედვით თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. ხე-  
ვების გაერთიანების პირველი ეტაპი უფრო დიდხანს უნდა გაგრძე-  
ლებულიყო, ვიდრე მეორე, რადგან ხევთა გაერთიანების პირველ  
ეტაპზე საწარმოო ძალები ნაკლებად იყვნენ განვითარებულნი, ვიდ-  
რე მეორე ეტაპზე. ხევისუფალთა ნათესავთა სოციალური კონსო-  
ლიდაცია ის სუბიექტური ფაქტორი იყო, რომელმაც განაპირობა  
ქართლოსიანთა წილი მიწა-წყლის ფარგლებში სახელმწიფო წარ-  
მონაქმნთა სწრაფი ჩამოყალიბება. ხევისუფალთა კონსოლიდაციის

<sup>75</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 74—76.

<sup>76</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X XII-B, 1961, გვ. 291—377.

სოციალური მექანიზმის წარმოსაჩენად უაღრესად საყურადღებო მასალები ქართულმა წყაროებმა და საქართველოს მთიანეთისა და კავკასიის ეთნოგრაფიამ შემოგვინახა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „მმადნაფიცობის“, „მამამძუძეობის“ და „სეფეწულობის“ ხელოვნური ნათესაობის სოციალური ინსტიტუტები, რადგან აღნიშნულ სოციალურ ინსტიტუტთა საშუალებით ხორციელდებოდა გადასვლა მცირე სოციალური ორგანიზმებიდან დიდ სოციალურ ორგანიზმზე, ხევისუფალთა ნათესავთა სოციალური კონსოლიდაციის ფორმას კი მამამძუძეობა და სეფეწულობა წარმოადგენდა.

ომისა და თავდაცვის მიზნით სოციალურად არადიფერენცირებული საზოგადოების პირობებში მცირე სოციალური ორგანიზმებიდან უფრო დიდ სოციალურ ორგანიზმზე გადასვლის სოციალური კონსოლიდაციის ფორმა „მმადნაფიცობის“ ხელოვნური ნათესაობის ინსტიტუტი იყო. საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართულ წყაროებში შემონახულ ცნობათა განზოგადების შედეგად ვ. ბარდაველიძე ასკვნის, რომ მმადნაფიცობა „წარმოადგენს უძველეს უფლებრივ ინსტიტუტს, რომლის მეშვეობით მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზაციების მმართველები, მათგან პირველ რიგში ტომობრივი გაერთიანების მქონე ხევისა და თემის ორგანიზაციები... ამტკიცებდნენ ერთმანეთს შორის დადებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კავშირს. მმადნაფიცობა ავალებდა მმადგაფიცულებს, მათ ზელქვეითებსა და ქვეშევრდომებს, რომ ჰქონოდათ თანხმობა, ერთმანეთის მხარდაჭერა, მომხრეობა, თავდადება, ერთგულება; მზად ყოფილიყვნენ მმადნაფიცის ინტერესებისა და მისი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგანწირვისათვის“<sup>77</sup>. საილუსტრაციოდ თავდაპირველად მოვიტანოთ ხევსურეთის მაგალითი. როგორც ცნობილია, ყოველი ხევსური ჯვარისყმა იყო, ხოლო ხევსურთა ყოველი ჯვარი (ხატი) ღვთისშვილს წარმოადგენდა, რომელნიც ხევსურთა მთავარი ღვთისშვილის (ჯვარის, ხატის) — გუდანის გარშემო ერთიანდებოდნენ. ხევსურთა ტომობრივი გაერთიანების საფუძველი კი „ღვთისშვილთა“ სახელით დადებული ჯვარისყმათა მმადნაფიცობა იყო<sup>78</sup>.

<sup>77</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მომქეობის ინსტიტუტი), „მაცნე“, ისტ. არქ. ეთნ. ხელ. ისტ. სერია, № 3, 1971, გვ. 76.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 69—70.

ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, რომ „ძმადნაფიცობის ინსტიტუტით დამტკიცებული საზოგადოებრივი კავშირები უფრო ნათლად წარმოგვესახება ფშაურ მაგალითზე. ფშავის საზოგადოება იმავე პრინციპზე იყო აგებული, როგორც საქართველოს მთიანი რაიონების სხვა საზოგადოებები, კერძოდ ხევსურეთისა, მაგრამ მან თავისი სტრუქტურა ჩვენამდე უფრო მთელი და სრული, უფრო ცენტრალიზებული სახით მოიტანა. ფშავი შედგებოდა 12 ხევისაგან, რომელთაგან თითოეულს ყავდა თავისი უმაღლესი მფარველი, ხოლო ამ მფარველს (ხატს) რეგიონის ფარგლებში ჰქონდა საკუთარი სალოცავი (ხატი) და ჰყავდა კულტის მსახურნი (ხატიონნი). 12 ხევის ერთ საერთო ფშაურ თემად გაერთიანებას ახორციელებდნენ საერთო ფშაური მეომარი ღვთაების, ლაშარის ჯვრის ხევისბერები... ხალხურ იდეოლოგიაში ეს ნებაყოფლობითი, მაგრამ თავდაცვის აუცილებლობით გამოწვეული გაერთიანება ერთ საერთო ფშაურ თემად, ახსნილი იყო როგორც თითოეული ხევის ღვთაების ძმადნაფიცობით დაკავშირება საერთო ფშაურ ღვთაებასთან“<sup>79</sup>.

სვანური ტომობრივი გაერთიანების ბუნება რელიგიურად ჩანს ეთნოგრაფიული და სვანური დოკუმენტების (XIV—XV სს.) ცნობების მიხედვით, რომელთა თანახმად, „სრულიად სვანეთის ჯევის“ უზენაესი მებატონე სეტის მთავარმოწამე იყო. თავის მხრივ „სრულიად სვანეთის ჯევი“ ცალკეული ხეებისაგან შედგებოდა, რომელთა სეტის მთავარმოწამის მფარველობის ქვეშ მყოფი საკუთარი ხატები ჰყავდათ. რადგან მიწა ხატს ეკუთვნოდა, შესაბამისი ხატის მიწაზე მსხდომნი სვანური „ლამხუბნი“ (საძმონი) საყდრის (ხატის) შვილებად ითვლებოდნენ, ხოლო რადგან ცალკეულ ხევთა ხატების მფარველად სეტის მთავარმოწამე გამოდიოდა, „სრულიად სვანეთის ჯევის“ მოსახლენი — „სრულიად სუანნი“ — სეტის მთავარმოწამის საყდრიშვილები იყვნენ. ამრიგად, „სრულიად სვანეთის ჯევი“ ხევსურეთისა და ფშავის ანალოგიურად ხელოვნური ნათესაობის საფუძველზე ერთ დიდ საძმოდ წარმოიდგინებოდა.

„სრულიად სვანეთის ჯევი“ ცალკეული ხატების გარშემო მსხდომ საყდრიშვილთა, ანუ ცალკეულ მცირე ხევთა გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. იხევთა გაერთიანება კი საყდრიშვილთა ურთიერთშორის დადებული ფიცით მტკიცდებოდა. ფიცის საფუძველ-

<sup>79</sup> ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმობის ინსტიტუტი), „მაცნე“, ისტ. არქ. ეთნ. ხელ. ისტ. სერია, № 3, 1971, გვ. 69—70.

ზე პირობა-ვალდებულებებით შეკრული ხევეები წყაროებში ტერმინ „ერთობილით“ აღინიშნებოდნენ. ერთობილი ხევი შეიძლება რამდენიმე ხევის გაერთიანება ყოფილიყო, ისევე როგორც ერთობილ ხევს „სრულიად სვანეთის კვეცი“ შეეძლო მოეცვა, რომლის გაერთიანების სიმბოლოც სეტის მთავარმოწამე იყო<sup>80</sup>.

თუ ზემოგანხილული ძმადნაფიცობის ინსტიტუტი სოციალურად არადიფერენცირებული საზოგადოების გაერთიანების საფუძველს წარმოადგენდა, სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების — ხევისუფალთა სოციალური კონსოლიდაცია მამამძეობისა და სეფეწულობის ინსტიტუტის საშუალებით ხორციელდებოდა. მამამძეობის ინსტიტუტის სოციალური ბუნების წარმოსაჩენად თავდაპირველად მოვიტანოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა „არიან-ქართლის“ მეფის ძის აზოსა და თვრამეტი სახლი მამამძეოქეთა ძველ მცხეთაში დამკვიდრების შესახებ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო, „თანა-ჰყევანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჳ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად... ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძეოქეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას... და ესე იყო პირველი მეფჳ მცხეთას შინა, აზოჲ, ძჳ არიან ქართველთა მეფისაჲ“<sup>81</sup>. წყაროს წარმოდგენით, აზო მეფეა, რომლის გარშემო მამამძეოქეთა სახლები ერთიანდებოდნენ. რადგან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მოტანილი ცნობა ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების ხანას ემთხვევა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიერ შემონახული სოციალური ორგანიზმის სურათი, რომელიც „მამამძეოქეთა“ სახლების მიერ გარემოცულ მეფეს წარმოსახავს, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის წინა ხანებს უნდა ასახავდეს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემა აზონის შესახებ არსენ ბერის მიერ შედგენილ „ნინოს ცხოვრებაში“ და მის პერიფრაზშიც შემოინახა. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ქართლში შემო-

<sup>80</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი, თბ., 1964; მ. ბ ე რ-ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, გვ. 111-123.

<sup>81</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 81—82.

იქრა, არსენ ბერის „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით (XII ს.), ალექსანდრეს „ჰყვა თანა აზოვე, ძე არიან ქართველთა მეფისაჲ, და მისცა ქუეყანა ესე ჩუენი სამეუფოდ და სამკვდრებელად, და განუჩინა საზღვარი ჰერეთი და ეგრის-წყალი და სომხითი და მთაჲ ცროლისაჲ, და თვთ წარვიდა.

ხოლო ესე აზოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ და მოქალაქე დედებით ყრმებითურთ მათით და კუალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა დედებით და ყრმებითურთ მათით; და მათთანა ჰყვეს კერპნი ღმრთად. და ესე აზოვე არს პირველი მეფე ქართველთა<sup>82</sup>.

იგივე ადგილი „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზში შემდეგნაირად არის გადმოცემული: „მამინ აზოელ წარვიდა ქართლად არიან მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ, და კუალად ათი სახლი მთავართაგან და ყოვლით დედა-წულით მათით მოიყვანნა და დააშენნა ქართლს. და თანა ჰყვეს კერპნი მათნი ღმრთად. და ესე აზონ პირველი მეფე იყო ქართველთაჲ“<sup>83</sup>. ამრიგად, „ნინოს ცხოვრებისა“ და მისი პერიფრაზის შედარება „მოქცევაჲ ქართლისაჲსთან“ მიუთითებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მამამძღეს „ნინოს ცხოვრებაში“ შეეფარდება „მთავარი პალატისა“, ხოლო „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზში კი „მთავარი“.

სოციალური ტერმინი „მამამძღე“ ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში ორჯერ გვხვდება. ოშკის ბიბლიაში შემონახულ მეფეთა IV წიგნში აღნიშნულია: „მიწერა იუ სამარიად მთავართა მათ სამარიაჲსათა. და მოხუცებულთა მათ და მამამძღეთა აქაბისთა“ (10.1). ძვ. ქართ. „მამამძღეთა“ სეპტუაგინტაში შეესიტყვება *πατριάρχης*, მეფეთა წიგნის სომხურ თარგმანში *դպրական*, ლათინურ ვულგატაში *nurtitios*, ებრ. 'omnim-ს და სირ. *thora'e-s*, რაც „გაშრდელთ“ აღნიშნავდა. ანალოგიური ვითარება დასტურდება IV მეფეთა 10.5-ში, სადაც წერია: „წარავლინეს სახლისა მისგან და ქალაქისაგან მოხუცებულთა მათ მამამძღეთა“. ამ შემთხვევაშიც ბერძნულ, სომხურ, ლათინურ, ებრაულ და სირიულ ტექსტებში ძვ. ქართ. მამამძღეს ზუსტად იგივე ტერმინები შეესიტყვებიან, რაც IV მეფეთა 10.1-ის მამამძღეს. მამამძღედის კონტრაგენტად ძეძული გამოდის, რომელიც პალესტინის ძველქართულ წარ-

<sup>82</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 47.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 80.

წერებში არის დამოწმებული<sup>84</sup>. აგათანგელოსის ძველქართული თარგმანის ერთ ფრაგმენტში ძვ. ქართ. ძეძეულს სომხ. *սաս* შეესიტყვება<sup>85</sup>, რაც გაზრდილს აღნიშნავს. ამრიგად, თუ მამამძეძე გამზრდელი იყო, გაზრდილს ძეძეული ეწოდებოდა.

მამამძეძის ინსტიტუტის სოციალური ბუნების წარმოსაჩენად ცნობები ძველმა ქართულმა წყაროებმა შემოგვინახეს. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეოთხე მეფის ფარნაჯომის მოკვლის შემდეგ, „*ე* ფარნაჯომისი მირვან წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამძეძენან მისმან, და ივლტოდა სპარსეთს“<sup>86</sup>. ამ ცნობიდან ჩანს, რომ უფლისწული აღსაზრდელად მამამძეძეს დაბადებისთანავე მიჰყავდა. მამამძეძის საკუთარი შვილი ძეძეულის მიმართ ძეძესმტედ იწოდებოდა. ლეონტი მროველის ცნობის თანახმად, ქართლის მეფეს ფარნამან ქველს ჰყავდა სპასპეტი „სახელით ფარნავაზ. ესე ფარნავაზ ძეძესმტე იყო ფარსმანისი, სარწმუნო, ერაგული და მისანდობელი“<sup>87</sup>. ლეონტის ეს ცნობა მიუთითებს, რომ ფარსმან ქველის მამამძეძე ფარნავაზ სპასპეტის მამა იყო და ფარსმან ქველი სპასპეტის ოჯახში აღზრდილა. როდესაც სპარსელებმა ფარსმან ქველი მოწამლეს, ლეონტის თქმით, „ფარნავაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა, და ივლტოდა, და მივიდა სომხითს“<sup>88</sup>, რაც მიგვანიშნებს, რომ მეფის გარდაცვალების შემთხვევაში დედოფლისა და უფლისწულის მეურვედ მამამძეძის ოჯახი გამოდიოდა. მეფის გარდაცვალების შემთხვევაში უფლისწულის სრულწლოვანებამდე ქვეყნის მართვა-განმგებლობა მამამძეძეს რომ ევალებოდა, დასტურდება ლეონტი მროველის სხვა ცნობითაც. როდესაც ქართველთა თხოვნით სპარსთა მეფე ქასრემ თავისი ძე, შვიდი წლის მირიანი, ქართლის უფლისწულად მცხეთაში დაადგინა, ლეონტის თქმით, ქასრემ „დაუტევა მამამძეძედ და განმგებლად წარჩინებული ერთი, რომელსაც ერქუა სახელად მირვანოზ“<sup>89</sup>.

როგორც ცნობილია. ქართლის მეფე მირიანი ქასრემ სპარსთა მეფის შვილი არ იყო და აღნიშნული გადმოცემა თვით ქართლის მე-

<sup>84</sup> გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 11, 13.

<sup>85</sup> G. Garrille, Sur un fragment géorgien d'Agathange, Muséon, t. LXI, 1-2, 1948, p. 83, 100-101.

<sup>86</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 30.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 64—65.

ფეებმა შექმნეს საკუთარი გვარის განდიდების მიზნით. აღნიშნულ გადმოცემაში ჩვენთვის საყურადღებო ის არის, თუ როგორ ესმის ქართლის მეფეთა წრეში შექმნილ გადმოცემას მამამძუძის მნიშვნელობა თავისი დროის ქართლის სოციალურ ინსტიტუტთა შორის. ლეონტი მროველის ცნობებს მამამძუძის ინსტიტუტის შესახებ ეთანხმება ჯუანშერის ცნობებიც. როდესაც დაიბადა ვახტანგ გორგასალი, ჯუანშერის თქმით, „მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან. შემდგომად ამისა, მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ. და მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და მისცა იგი მეფემან; და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა, და იზრდებოდა მუნ“<sup>90</sup>. საურმაგ სპასპეტი ვახტანგის მამამძუძე რომ იყო, დასტურდება ჯუანშერის სხვა ცნობით. „და მოკულდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისი“<sup>91</sup> — შენიშნავს ჯუანშერი.

საურმაგ სპასპეტის ვახტანგ გორგასალის მამამძუძეობის ცნობის სინამდვილეს მხარს უჭერს ჯუანშერის სხვა ცნობებიც, რომელნიც კონკრეტულ ისტორიულ პირებს ასახელებენ. ოსებზე ლაშქრობის დროს, ჯუანშერის ცნობით, ვახტანგს თან ახლდნენ „არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიან სეფეწული“<sup>92</sup>. კეისრისა და ვახტანგის მოლაპარაკების დროს ვახტანგმა გააგზავნა „მოციქულად ვარაზ-მიპრ, მამამძუძისა მისისა ძმა“<sup>93</sup>. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მოიკლა „საურმაგ ეჭიბი მისი დიდი“<sup>94</sup>. „მაშინ ვახტანგ სავსე მწუხარებითა შეიქცა, და იგლოვდა გუამსა ზედა საურმაგისსა, ვითარცა ძმისა საყურელისასა. რამეთუ თანაზრდილ იყო მისი, ძმისწული მამამძუძისა მისისა, არტავაზის მამისა, ერთგული, მისანდობელი და ქუელი“<sup>95</sup>. ჯუანშერის ამ ცნობიდან ჩანს, რომ „თანააღზრდა“ მამამძუძის სახლში ძუძუელთან არა მხოლოდ მამამძუძის საკუთარი

<sup>90</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955, გვ. 143.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>92</sup> იქვე, გვ. 156.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 186.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 189.



შვილებით (ძუძეულის ძუძუსმტეებით) შემოიფარგლებოდა, არამედ მამამძუძის ძმისშვილებზე, ანუ ძუძეულის ძუძუსმტის ბიძაშვილებზეც ვრცელდებოდა.

ვახტანგ გორგასალის თანამედროვე ქვემო ქართლის ცნობილი პიტიახში ვარსკენიც მამამძუძის გაზრდილი იყო. იაკობ ცურტაველის ცნობით, როდესაც ვარსკენ პიტიახშია გადაწყვიტა, რომ შუშანიკი ციხიდან სასახლეში დაებრუნებანა, „პიტიახშიან გამოარჩია ძუძუეს-მტე მისი საკუთარი, რაათა მოიყვანოს იგი ტაძრად“<sup>96</sup>. თუ ვახტანგ გორგასალი ან ფარსმან ქველი მათი უახლოესი ვასალის — სპასპეტის „გაზრდილები“ იყვნენ, ვარსკენ პიტიახშიც ვარსკენის მამის — არშუშა პიტიახშის ერთ-ერთი უახლოესი ვასალის ოჯახში იყო გაზრდილი. იაკობ ცურტაველი ვარსკენის ძუძუსმტეს „საკუთრად“ ასახელებს, საკუთარი კი უფალის უახლოესი ვასალი იყო<sup>97</sup>. ამრიგად, ძველქართულ წყაროთა თანახმად, მამამძუძეობაში იერარქიული რიგი შეიმჩნევა.

თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დადგენილია, რომ „მამამძუძეობის“ ინსტიტუტი პირველყოფილ თემური წყობილების დონეზე მყოფ ხალხებში სტადიალური ხასიათის სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა, ხოლო მსოფლიოს ხალხთა შორის კავკასია ერთ-ერთი რეგიონი იყო, სადაც „მამამძუძეობა“ ცოცხლად შემონახა XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში, განსაკუთრებით კი აფხაზურ-ადიღურ ტომებში<sup>98</sup>. ბავშვის გაძიძეება ჩერქეზებს შორის მშობლების ნება-სურვილზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ სავალდებულო წესს წარმოადგენდა. გაძიძეების სავალდებულო წესი როგორც ვაჟებს, ისევე გოგონებსაც შეეხებოდა, ოღონდ გოგონების გაძიძეების ჩვეულება უფრო ადრე გამოვიდა ხმარებიდან. უნდა შევნიშნოთ, რომ გაძიძეება ჩერქეზებში მტკიცე იერარქიულ პრინციპებს ეფუძნებოდა. თავადთა (КНЯЗЬ) შვილები პირველი ხარისხის აზნაურებთან იზრდებოდნენ, პირველი ხარისხის აზნა-

<sup>96</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 24.

<sup>97</sup> ა. ბ. გ. ე. რ. ა. ძ. ე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 21—22.

<sup>98</sup> მასალები და ლიტერატურა მამამძუძეობის შესახებ იხ. В. К. Гарда-н о в, Аталычество, М., 1973 (IX между. конгресс антропологических и этнографических наук); L. G e r n e t, Droit et société dans la Grèce ancienne, P. 1964, სტატია Fosterage et légende, H. S. M a i n e-ის გამოკვლევები ძველი სამართლის შესახებ.

ურთა შვილები მეორე ხარისხის აზნაურებთან და ა. შ., რადგან სოციალურად უფრო მაღლა მდგომი ოჯახი თავისზე დაბლა მდგომ ოჯახის მამამძებობას არ იკადრებდა. ასე იყო სხვა ხალხებშიც. მაგალითად, ირლანდიაში ტომის ბელადი თავის შვილებს დაქვემდებარებული ტომის ბელადს „აზრდევინებდა“.

კლასობრივი საზოგადოების გენეზისის პროცესში მამამძებობის ინსტიტუტი გაბატონების გზაზე მდგომი ფენების სოციალურ კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად, რადგან ძუძუელისა და მამამძებობის ხელოვნური ნათესაობა სისხლით ნათესაობას უთანასწორდება. ძუძუელი მამამძებობის ოჯახში სრულწლოვანობის მიღწევამდე რჩებოდა და შინ დაბრუნების შემდეგაც მამამძებობის ოჯახსა და მის ნათესაეებს საკუთარი ოჯახისა და ნათესაეებისგან არ არჩევდა. ძველი ინდური სამართლის მიხედვით, ძუძუელის მემკვიდრედ „გამზარდელიც“ შეიძლება ყოფილიყო, ძუძუელს მამამძებობის ოჯახისა და ნათესაეების სისხლ-მესისხლეობაშიც ევალებოდა მონაწილეობის მიღება. ასევე მამამძებობის ოჯახი და ნათესაეები ძუძუელის ოჯახსა და ნათესაეებს თავის სანათესავოსგან არ არჩევდნენ, მამამძებობის მემკვიდრედ შეიძლება „გაზარდილიც“ ყოფილიყო და მამამძებობის ძუძუელის ოჯახისა და ნათესაეების სისხლ-მესისხლეობაშიც ევალებოდა მონაწილეობის მიღება.

მამამძებობისა და სეფენულობის ინსტიტუტები აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსაზრებულ ტომებში სოციალური ალტერნატივის საფუძველზე აღმოცენდნენ. როდესაც დამპყრობელმა ნათესაეებმა ხევისუფლობას მიაღწიეს, საწარმოო ძალთა შემდგომი აღმავლობის პროცესში ხევისუფალთა ნათესაეებს სახლეულებზე პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნება და სოციალური დათრგუნვის სრულყოფილი პოლიტიკური ორგანიზმის შექმნა მხოლოდ სოციალური კონსოლიდაციის საშუალებით შეეძლოთ განეხორციელებინათ. სოციალური კონსოლიდაცია კი თავდაპირველად ორ ურთიერთისმეზობლად მცხოვრებ ხევისუფალთა შორის ხორციელდებოდა. შედარებით სუსტი ხევისუფალი ალტერნატივის არარსებობის გამო „ნებაყოფლობით“ გასაზრდელად იყვანდა უფრო ძლიერი ხევისუფალის შვილს და მამამძებობად იქცეოდა. აღნიშნულ პროცესს რეტროსკოპიის საშუალებით თვალი მიედევნება ძველქართულ წყაროებში.

ლეონტი მროველის და ჯუანშერის ცნობების მიხედვით, ქართლის მეფეთა ოჯახის მამამძებობად სპასპეტი და კასპის სპასალარი

გამოდრიონენ. ლეონტის განმარტებით, „ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“<sup>99</sup> და შიდა ქართლის ერისთავად ითვლებოდა. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ თანახმად, „მთავარი ციხე-დიდისაჲ, სახელით ევაგრე“<sup>100</sup> „იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოსა ქართველთაჲსა და ფრიად მკნე და განმარჯუებულ სპასპეტ“<sup>101</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ციხედიდის ზევი ქართლის ზევის მომიჯნავე ზევი, ციხედიდში მსხდომ მთავართა — სპასპეტთა მიერ ქართლის მეფეთა მამამძუქობას ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს.

როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე „ზენა სოფლის“ სახელით ცნობილ მიწა-წყალზე გამოიკვეთა ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნი, რომლის მამასახლისი („თავი“) ქართლის „მთაზე“ მოსახლე ნათესავი იყო. ზენა სოფლის ფარგლებში სახელმწიფო წარმონაქმნის ჩამოყალიბება ზენა სოფლის საზღვრებში არსებულ ხევისუფალთა სოციალური კონსოლიდაციის შედეგად განხორციელდა, რომლის ჰეგემონი ქართლისხევის უფალის ნათესავი იყო. ზენა სოფლის სახელმწიფო წარმონაქმნის ჩამოყალიბების უძველეს ეტაპზე (დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნე) ქართლისხევის უფალის ნათესავის აღზევება მეზობელი ციხედიდისხევის უფალს ნათესავთან სოციალური კონსოლიდაციის გზით მიმდინარეობდა და, რადგან ციხედიდისხევის უფალის ნათესავი ქართლისხევის უფალის ნათესავთან შედარებით უფრო სუსტი იყო, ქართლისხევის უფალის ნათესავის მამამძუქედ ციხედიდისხევის უფალის ნათესავი გახდა. შემდგომ, როდესაც ქართლისხევის უფალის ნათესავი ქართლის სამეფო ხელისუფლებამდე აღზევდა, ციხედიდისხევის უფალს ნათესავი ქართლის (იბერიის) სამეფოში ქართლის (იბერიის) მეფის „შემდგომად“ იქცა იმ ადგილის მიხედვით, რომელიც ციხედიდისხევის უფალის ნათესავს ეჭირა ზენა სოფლის სახელმწიფო წარმონაქმნის ხევისუფალთა შორის ქართლისხევის უფალის ნათესავის ხელოვნური ნათესაობის საფუძველზე გაფართოებულ ნათესავში მამამძუქობის რიგის მიხედვით.

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ ცნობით, ევაგრე (VI ს.) სპას-

<sup>99</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24—25.

<sup>100</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 132.

<sup>101</sup> იქვე, გვ. 140.

პეტის სახლის დასავლეთი საზღვარი მდინარე ქსანს ებჯინებოდა, რადგან ნასტაკისი, სადაც ევაგერეს სახლელუნი იხსდნენ<sup>102</sup>, ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ქსნის მარჯვენა ნაპირიდან კი კასპის სასპასალაროს საზღვარი იწყებოდა. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის მამამძევე ჯაურმაგ სპასპეტი იყო, ხოლო ვახტანგის დის მირანდუხტის მამამძევე კი კასპის სპასალარი<sup>103</sup>. ამრიგად, ჯუანშერის ცნობები არსებითად იმეორებენ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიერ შემონახულ გაბატონებული სოციალური ფენის სურათს, რომელიც არიან-ქართლის მეფის ძეს — აზონს მამამძევეთა გარემოში წარმოსახავს, რადგან ვახტანგ გორგასლის მამა — ქართლის (იბერიის) მეფე მირდატიც, ჯუანშერის მიერ დახატული სურათის მიხედვით, მამამძევეთა (სპასპეტი, კასპის სპასალარი) გარემოცვაში იმყოფებოდა.

მამამძევის ინსტიტუტი ხელოვნური ნათესაობის ინსტიტუტი იყო და ზევისუფალთა სოციალურ კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად. თუ მამამძევედ ორ ხევისუფალთა შორის სოციალური ალტერნატივის არარსებობის პირობებში, შედარებით სუსტი ზევისუფალი გამოდიოდა — ის, ვინც მამამძევე (გამზრდელი) იყო, თავის მხრივ, მამამძევედ გადაქცევის პროცესში ხელოვნური ნათესაობის — წულობის (შვილობის) საშუალებით თავისი ძუძუელის (გაზრდილის) ნათესავის სეფეწული ხდებოდა და, ამრიგად, სეფეწულობაც ზევისუფალთა სოციალურ კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად, სადაც ძლიერი ზევისუფალი წულობდა (შვილობდა) შედარებით უფრო სუსტ თავისივე მამამძევის ნათესავს და ეს უკანასკნელიც სეფეწულად იწოდებოდა. მაშასადამე, მამამძევეობა — სეფეწულობა ერთიდაიგივე სოციალური პროცესის — ზევისუფალთა სოციალური კონსოლიდაციის გამოვლენის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენდნენ.

ძუძუელის ნათესავი მამამძევის ნათესავზე უფრო მალა რომ იდგა, ჩანს პალესტინაში აღმოჩენილ ერთ-ერთი ძველქართული (VI ს.) წარწერიდან, რომელშიც აღნიშნულია: „და ძოკძეოკლნი მათნი ბაკოვრ და გრი-ორმიზდ და ნაშობნი მათნი ქრისტე... შეიწყალენ ამენ“<sup>104</sup>. მოტიანილ წარწერაში ჯერ ძუძუელნი — ბაკურ და

<sup>102</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ. 1971, გვ. 135.

<sup>103</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 13.

<sup>104</sup> გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1960, გვ. 11, 13.

გრი-ორმიზდ — სახელთა საგანგებო აღნიშვნით იხსენიებიან, შემდეგ კი მამამშუძის საკუთარი შვილები სახელთა აღუნიშნავად, რომელთაც „ნაშობნი“ ეწოდებათ<sup>105</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული მასალები ძუძუელს მამამშუძის შვილად არასდროს ახსენებენ, ისევე როგორც მამამშუძეს ძუძუელის მამად, მათ შორის ყოველთვის მტკიცედ განსაზღვრული სოციალური წესრიგა არსებობდა — მამამშუძე (გამზრდელი) და ძუძუელი (გაზრდილი). როგორადაც ახლო არ უნდა ყოფილიყო მამამშუძე, ბუნებით მშობლისაგან იგი მაინც განსხვავდებოდა, რაც ჩანს იაკობ ზუცესის შემდეგი სიტყვებიდან. უშუალოდ გარდაცვალების წინ „ვითარცა მამასა და მამამშუძესა შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“<sup>106</sup>. ასევე მამამშუძის საკუთარი შვილები ძუძუელის ძმებად არ იწოდებიან, ძუძუელის მიმართ ისინი „ძუძუესმტენი“ (ძუძუსმობიარენი) არიან. აღნიშნული სოციალური ტერმინები ზუსტად ასახავენ იმ შინაგან სოციალურ გამოწვევას, რომელიც სოციალური კონსოლიდაციის მიუხედავად არსებობდა არათანაბარი ძალის მქონე ხევისუფალთა ნათესავეებს შორის, რაც რელიგიურად გამოიხატა მამამშუძეთა სეფეწულებად გადაქცევაში. ხსოვნა მამამშუძეობისა და სეფეწულობის ოდინდელი იგივეობის შესახებ ძველქართულ წყაროებს შემორჩათ.

როგორც აღვნიშნეთ, არიან-ქართლის მეფის ძის აზოს მცხეთაში ლაშქრობასთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“<sup>107</sup> მოხსენიებულ მამამშუძეს „ნინოს ცხოვრებაში“<sup>108</sup> „მთავარი პალატი-სა“ შეესიტყვება, ხოლო „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზში<sup>109</sup> კი მთავარი. მთავარი და მთავარი პალატისა არა მხოლოდ მამამშუძეს შეესიტყვება, არამედ სეფეწულსაც, რაც მიუთითებს, რომ მამამშუძე სეფეწულის სინონიმიც იყო. წმ. ნინოს სასწაულებრივი განკურნების ძალის გამო „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აღნიშნულია: „ყრმაჲ ვინმე სეფეწული იღვა რვა წლისა სნეული, წარმართი“<sup>110</sup>. იმავე ეპიზოდს ლეონტი მროველი შემდეგნაირად მოგვითხრობს. „მეორე სეფეწული მოვიდა ყრმა, ამაზასპანი; იღვა რვისა წლისა“<sup>111</sup>, ხოლო არ-

<sup>105</sup> გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 38—39.

<sup>106</sup> იქვე, წ. I, თბ., 1964, გვ. 28.

<sup>107</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>108</sup> იქვე, წ. III, თბ., 1971, გვ. 47.

<sup>109</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>110</sup> იქვე, წ. I, თბ., 1964, გვ. 142.

<sup>111</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 115.

სენ ბერის მიერ შედგენილ „ნინოს ცხოვრებაში“ (XII ს.) იგივე ადგილი ასეა განმარტებული: „კულად სხუად ყრმაჲ იყო, ძე მთავრისა წარმართისაჲ, მრავალ ჟამ მღებარე ცხედარსა ზედა“<sup>112</sup>, რაც მიუთითებს, რომ სეფეწულნი მთავართა სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ. სეფეწულნი მთავართა ფენას რომ ეკუთვნოდნენ დასტურდება „ევსტათი მცხეთელის მარტილოზის“ ცნობითაც. ქართლიდან მარზპანის გამგზავრების წინ, „აღღვეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი სეფეწულნი“<sup>113</sup>. მოტიანილი ცნობა სეფეწულებს ქართლის მთავრებს მიათვლის, რომელთა შორის ქართლის მამასახლისი და ქართლის პიტიახში იხსენიებიან, ხოლო კათალიკოსის მოხსენიება მთავართა წრეში იმით იყო განპირობებული, რომ ეპისკოპოსად კურთხევა და მონასტრის მამასახლისად დადგინება იმ დროის ქართლში მთავრობის მიღებას ნიშნავდა<sup>114</sup>.

სეფეწული მეფის პალატის წევრი რომ იყო, „ქსენოფორე სეფეწულის ცხოვრების“ მიხედვით დასტურდება, რომელშიც აღნიშნულია: „მაშინ არკადი ბერსა უთხრობდა: მე, მამაო, ბიზინტიელი ვიყავე, ძე სეფეწულისაჲ (იგულისხმება ქსენოფორე — გ. მ.) ფრიად პატიოსნისაჲ, რომელი იყო პალატსა მეფისასა“<sup>115</sup>. „ქსენოფორე სეფეწულის ცხოვრების“ ძველქართულ თარგმანში ტერმინ სეფეწულს ბერძნ. *συναγωγικός* შეესიტყვება<sup>116</sup>, რაც მეფის პალატის წევრს აღნიშნავდა. „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზის ცნობით, როდესაც მირიან მეფე ქრისტიანობაზე მოიქცა, კონსტანტინე დიდმა ქართლში ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი გამოგზავნა. მირიანმა მთავრებთან ერთად ევსტათი „დიდითა პატივით აღიყვანეს პალატად“, რომლისგანაც „ნათელ-ილო მეფემან და დედოფალმან და ყოველთა მთავართა და ყოველმან ერმან“<sup>117</sup>, ხოლო ქართლიდან გამგზავრების წინ,

<sup>112</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 34.

<sup>113</sup> იქვე, წ. I, თბ., 1964, გვ. 34.

<sup>114</sup> ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 80.

<sup>115</sup> ზ. ალექსიძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, I, გვ. 173.

<sup>116</sup> იქვე, გვ. 172—173.

<sup>117</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 73.

ვესტათის „მეფემან და სკნკლიტიკოსთა მისთა მისცეს ასი სოფელი მოსასყიდელად წმიდისა მიპრონისა“<sup>118</sup>. ძვ. ქართ. „სკნკლიტიკოსი“ ბერძნ. *სუყკღუჯიჯი* -იდან არის ნასესხები, რომელიც „ქსენოფორე სეფეწულის ცხოვრების“ ძველქართულ თარგმანში სეფეწულს შეესიტყვება. თეოფანე ქამთაალმწერელის ცნობით (ვარდ. 818 წ.), 535 წელს „იბერიელთა მეფე (ბ ონ Ἰβήρων βασιλεύς) ძამანარძე (Ζαμαναρτζ) მოვიდა კონსტანტინეპოლში კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან თავისი მეუღლითა და დარბაისლებითურთ. მან სთხოვა იუსტინიანეს, მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად. მეფემან შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც (ὁν συγκλητικῶν ἀπόσει)“<sup>119</sup>. რადგან ბერძნ. *სუყკღუჯიჯი*-ს სეფეწული შეესიტყვება, იბერთა მეფე ძამანარძე კონსტანტინეპოლში სეფეწულების თანხლებით ჩავიდა.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობით, პეტრე იბერიც კონსტანტინეპოლში სეფეწულთა თანხლებით ჩასულა. ვარაზ-ბაქარმა, ბერძენთა მეფის თხოვნით, „წარავლინა ძე თვისი მურვანოს, ათოთხმეტისა წლისა, მძევლად, ქალაქად კონსტანტინეპოლედ, სხუათა თანა სეფეწულთა, მრავლითა პატივითა და დიდებითა“<sup>120</sup>. მირიან მეფე სეფეთა გარემოცვაში რომ იმყოფებოდა დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ნუსხის ცნობით. წმ. ნინომ „ვიდრემდის სეფეთა ზედა იწყო კურნებად“<sup>121</sup>, ქართლში ექვსი წელიწადი დაჰყო, სეფეთა ქვეშ კი მირიან მეფის მეუღლე ნანა დედოფალი და „მთავარი სპარსი, სახელით ხუარა... დედის ძმა ნანა დედოფლისა“<sup>122</sup> იგულისხმებიან. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ნუსხა მირიან მეფის პალატ-ბანაკსაც ახსენებს. როდესაც საბერძნეთიდან ქართლში სამღვდლოება მოვიდა, „ნათელიდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისაჲს მირიან მეფემან და ნანა დედოფალმან და ყოველმან პალატ-ბანაკმან მათმან“<sup>123</sup>. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატ-ბერდულ ნუსხაში იგივე ადგილი ასე იკითხება. „და ვითარცა მოვი-

118 იქვე, გვ. 74.

119 გეორგიკა, IV, ნაკვ. 1, თბ., 1941, გვ. 80.

120 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 133.

121 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964,

გვ. 131.

122 იქვე, გვ. 131.

123 იქვე, გვ. 86.

დეს, ნათელი მოილო მირიან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან<sup>124</sup>, რაც მიუთითებს, რომ მირიან მეფის პალატბანაკი მირიან მეფის სახლს მოიცავდა, ანუ „მეფის ნათესავისაგან“ შედგებოდა.

ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ „პალატ-ბანაკის ურთიერთობა თავიანთ შორის და შემდეგ მათი დამოკიდებულება მეფესთან კარგად არის გამოხატული იმ სიტყვებში, რომელსაც პაგიოგრაფი ნინოს ათქმევინებს მეფის მიმართ<sup>125</sup>: „სიმრავლე წყალობისა გარემოს ბანაკსა და შინაგან პალატსა, და ყოველსა ერსა თქუენსა ზედა იყავნ“<sup>126</sup>. იგივე სოციალური სტრუქტურა შემცირებულ მასშტაბში ასახულია „შუშანიკის წამებაში“, სადაც ბანაკს ეზო ენაცვლება. იაკობ ხუცესის თქმით, ლიკვილის წინ შუშანიკმა „აკურთხა ჯოჯიკ და ცოლი და შეილნი მისნი და მონა-მკვეალნი მისნი და ყოველი ეზო და პალატი მისი“<sup>127</sup>. თუ „შუშანიკის წამებაში“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზოგ ნუსხაში პალატი გამიჯნულია ბანაკ-ეზოსაგან, არმაზის ბილინგვის ცნობების მიხედვით, ახ. წ. II საუკუნის ქართლში (იბერიაში) აღნიშნული დაპირისპირება არ ჩანს, რადგან არმაზის ბილინგვა ფარსმან მეფის აგრიფა ეზომს მოძღვარს ასახელებს<sup>128</sup>, ეზო კი პალატ-ბანაკის მომცველ სახლს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში ეზოს სინონიმად სახლი დასტურდება. მაგალითად, თუ შესაქმის წიგნის (44.1) ერთი რედაქციის მიხედვით, „უბრძანა იოსებ ეზომს მოძღვარსა თვისსა“, მეორე რედაქციაში „ამცნო იოსებ სახლის უხუცესსა თვისსა“. ესთერის წიგნის (8.3) ო რედაქციის თანახმად, „მეფემან მოუწოდა მარდოქეს და მისცა მას ყოველი სახლი“, M რედაქციის მიხედვით კი, „მეფემან მოიყვანა მარდოქე და დაადგინნა ყოველსა ზედა ეზოსა“. საყურადღებოა, რომ ეზო, რომელსაც სახლი ენაცვლება, არა მხოლოდ ბანაკის სინონიმად იხმარება, არამედ პალატის სინონიმდაც, რაზედაც ესთერის წიგნის (9.3) ძველი ქართული თარგმანის Sr რედაქცია მიუთითებს: „იცოდენ დი-

<sup>124</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 86.

<sup>125</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 217.

<sup>126</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 100.

<sup>127</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>128</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიკის მოამბე, ტ. XIII, 1942, გვ. 16—17.



დებამ მარდოქესი, ეშინოდათ მისგან, რამეთუ პალატისა მთავარი იყო“. ამრიგად, სახლი, როგორც ბანაკს (=ეზოს), ისევე პალატს (=ეზოს) ფარავს და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კელიშური ნუსხის ცნობას, „ნათელილეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა მირიან მეფემან და ნანა დედოფალმან და ყოველმან პალატ-ბანაკმან მათმან“<sup>129</sup>, ზუსტად შეესიტყვება შატბერდული ნუსხის პარალელური ცნობა: „ნათელი მოილო მირიან მეფემან და დედოფალმან და ყოველმან სახლმან მათმან“<sup>130</sup>, რაც „მეფეთა ნათესავის“ მონათვლას ნიშნავდა.

მეფეთა ნათესავის შესახებ, რომელში მირიან მეფის პალატ-ბანაკი (=სახლი) შედიოდა, საყურადღებო ცნობები ლეონტი მროველმა შემოგვინახა. ქართლის მეფის ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ქართლის სამეფო ტახტი უშკვიდროდ დარჩა, ლეონტის თქმით, „შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისა თანა, რომელსა ერქუა მაეჟან“<sup>131</sup>. შექმნილი ვითარების გამო ლეონტის მოპყავს მაეჟან სპასპეტის შემდეგი სიტყვები: „და თუმცა დარჩომილ იყო მკვდრი მეფისა ჩუენისა ანუ ნათესავი მეფეთა ჩუენთა, რომელიმცა ღირს იყო მეფობასა“<sup>132</sup>, ხოლო მირიანის გამეფების შემდეგ ლეონტი მროველი წერს, რომ მირიან მეფემ „მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ“<sup>133</sup>. ჯუანშერის ცნობით, აღნიშნული მეფეთა ნათესავის ფეროზის ჩამომავალნი იყვნენ ქვემო ქართლის პიტიახშები. როდესაც არჩილი (VIII ს.) თავისი ძმის — მირის ანდერძის განხორციელებას შეუდგა, მირის მეორე ქალიშვილი „მისცა პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“<sup>134</sup>. ქვემო ქართლის პიტიახშებიდან ლაზარ ფარპეცი აშუშას (V ს. I ნახ.) ასახელებს, ხოლო აშუშას ძის — ვარსკენ პიტიახშის ისტორია კარგად არის ცნობილი ქართული და სომხური წყაროებიდან<sup>135</sup>. „ნათესავით პიტიახშნი“ იხსენიებიან სამშვილდის

<sup>129</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1964, გვ. 86.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>131</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 62.

<sup>132</sup> იქვე, 62.

<sup>133</sup> იქვე, 68.

<sup>134</sup> იქვე, 241.

<sup>135</sup> ლ.-ნ. ჟანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 218.

სიონის წარწერებში (VIII ს. II ნახ.)<sup>136</sup>. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის მედალიონთა განყოფილებაში დაცული ბეჭედი ბერძნული წარწერით: *οπισθε παλαιης Ιερουσαλαμ* გაიშიფრა — „აშუშა (უშა), იბერიელთა პიტიახში, სასანიანი“ (ქარქედონიანი), რადგან სებეოსი *Καρχαιολογικη* ქვეშ სასანიელთა დინასტიას გულისხმობს. აღნიშნულ ბეჭედზე ლეონტი მროველისა და ჭუანშერის მიერ შემონახული ისტორიული ტრადიცია აისახა<sup>137</sup>. ლეონტის მიხედვით, მირიანთან ერთად ფეროზი სასანიანი იყო, ჭუანშერის თანახმად კი ქვემო ქართლის მთავარი ნათესავით პიტიახში იყო.

ბეჭედზე, როგორც ვთქვით, არშუშა იბერიელთა პიტიახშად იწოდება. კონკრეტულად რომელ არშუშა იბერიელთა პიტიახშს ეკუთვნოდა აღნიშნული ბეჭედი — ვარსკენ პიტიახშის მამას არშუშა ქართლის პიტიახშს (V ს. I ნახ.), თუ „ეესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მოხსენიებულ ქართლის პიტიახშს არშუშას (VI ს. I ნახ.) გადაკრით რაიმეს თქმა შეუძლებელია. საყურადღებო ის არის, რომ ბეჭდის წარწერაში არშუშა იბერთა პიტიახში მეფეთა ნათესავად იხსენიება, ხოლო „ეესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ცნობით არშუშა ქართლის პიტიახში სეფეწული იყო<sup>138</sup>, მოვსეს ხორენაცის განმარტებით კი სეფეწულებად იბერიაში პირველ მეფეთა ჩამომავლები<sup>139</sup>, ანუ მეფეთა ნათესავნი იწოდებოდნენ. შინაგანი დანაწევრების მიუხედავად, მეფეთა ნათესავი ერთ მთლიან კორპორაციულ სოციალურ ორგანიზმად რომ აღიქმებოდა, ჩანს ლეონტი მროველის ცნობიდან, რომლის თანახმად, ქართლის ერისთავები სპარსთა უფლისწულის მირიანის ქართლში გამეფებას თანხმდებიან მხოლოდ მეფეთა ნათესავის უფლებათა დაცვის პირობით<sup>140</sup>. მეფეთა ნათესავი სეფეწულებისაგან რომ შედგებოდა, სხვა ცნობებითაც მტკიცდება.

<sup>136</sup> ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენობის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 86—89.

<sup>137</sup> ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე. ქართლის პიტიახშთა ხელისუფლების და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 66; C. T o m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 189-199.

<sup>138</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 34.

<sup>139</sup> გ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია, 1913 წელს თბილისის გამოცემა, გვ. 113 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>140</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 63.

როგორც აღენიშნეთ, ლეონტი მროველი რიფსიმეს მეფეთა ნათესავს უწოდებს<sup>141</sup>. ლეონტის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ეთანხმება, რომელიც რიფსიმეს „მეფეთა ავადაგად“ ასახელებს<sup>142</sup>. მეფეთა ავადაგი მეფეთა ნათესავს ნიშნავს, რადგან „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დამოწმებული ავადაგი საშ. სპარსული *šādahiak*-იდან მომდინარეობს და „ნაშიერს“, „შთამომავალს“ აღნიშნავდა<sup>143</sup>. თომა არწრუნის რიფსიმეს *ქაყალიორაჲ*-ობით იხსენიებს<sup>144</sup>, *ქაჲაიორაჲ* კი მეფის (სომხ. *ქაჲაიორ*) „ნათესავს“ (სომხ. *აჲნ*) ეწოდებოდა. *ქაყალიორაჲ* მეფის ნათესავს რომ ეწოდებოდა, დასტურდება მოვსეს ხორენაცისას<sup>145</sup> და იოანე დრასხანაკერტელის ცნობებითაც<sup>146</sup>. აღიშის ოთხთავის იოანეს სახარებაში (4.46, 49) სომხ. *ქაყალიორაჲ*-ს სეფეწული შეესიტყვება<sup>147</sup>, „ქართლის ცხოვრების“ სომეხ მთარგმნელსაც წმ. ნინოს მიერ განკურნებული სეფეწული ამზახსპანი *ქაჲალიორაჲ*-ად გადმოაქვს<sup>148</sup>.

იოანეს სახარების ბერძნულ ტექსტში (4.46, 49) ქართ. სეფეწულის და სომხ. *ქაყალიორაჲ*-ის შესატყვისად *βασιλεὺς* დასტურდება, რომელსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვ. ბაუერი სამეფო სამსახურში მყოფ მეფის ნათესავად განმარტავს<sup>149</sup>. *βασιλεὺς* სოციალური ტერმინით აღინიშნებოდა, როგორც სამეფო ოჯახი, ისევე ის პირი, ვინც სამეფო სამსახურში იმყოფებოდა, იყო ეს სამსახური

<sup>141</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 63.

<sup>142</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 83, 114.

<sup>143</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 234.

<sup>144</sup> თომა არწრუნის, არწრუნთა სახლის ისტორია, 1887 წლის პეტერბურგის გამოცემა, გვ. 306 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>145</sup> მოვსეს ხორენაცის, სომხეთის ისტორია, 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 137 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>146</sup> იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, თბ., 1965 გვ. 302.

<sup>147</sup> ელ. დონაშვილი. აღიშის ოთხთავის კომპოზიტები, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 29, 1951, გვ. 93.

<sup>148</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური მთარგმანი, თბ., 1953, გვ. 114.

<sup>149</sup> K. Bauer, Wörterbuch zum Neuen Testament, 1958, col. 271.

სამხედრო თუ სამოქალაქო<sup>150</sup>. სამეფო სამსახურის შემსრულებლის მნიშვნელობით არის თარგმნილი ოშკის ბიბლიაში შემონახულ ესთერის წიგნში (9.3) ტერმინი სეფეწული. მოვიტანოთ შესაბამისი ტექსტი თავდაპირველად ქართულად, ბერძნულად და სომხურად. ქართ. „მთავარნი და ხელმწიფენი, კარანნი და სეფეწულნი და ყოველნი მწიგნობარნი პატივსცემდეს ჰურიათა“. ბერძნ. οἱ γὰρ ἀρχοντες τῶν σατραπειῶν καὶ οἱ τῦραγνοι καὶ οἱ βιασιτικοὶ γράμμαται· εἰς ἐτίμας τοὺς Ἰουδαίους. სომხ. *գի իշխանքն՝ որ ի վերայ նախարարացն նոցա կայեալ էին, և կուսակալք և արքունի դարասեռք՝ պատուէին զհրեայնսն*. ქართ. სეფეწულს ზუსტი შესატყვისი არც ბერძნულში და არც სომხურში არ მოეპოვება. სეპტუაგინტის ოქსიატიკის ცხრილში „სეფეწული“ (სეფეწული) მწიგნობარნი“, ხოლო სომხ. *արքունի դարասեռք* კი ძველ ქართ. „სეფე მწიგნობართმოდვართ“ შეესაბამება, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ძველსომხურ თარგმანში ძველ ქართ. „სეფე“ *არქունի*-ით არის გადმოტანილი<sup>151</sup> (ძველ სომხ. *არქაჲ* მეფეს აღნიშნავდა).

სეფეწულის ზუსტი შესატყვისი სირიულ და ებრაულ ესთერის წიგნებში გვხვდება. სირიულში სეფეწული შეესატყვისება ‘abode abdo malkho-ს, ებრაულში კი **בֵּית מַלְכוּת** **בְּיָמֵינוּ** 9,3 რაც „მეფეთებელნი სამსახურის მეფისა“ განიშარტება. რადგან სეფეწული სამეფო სამსახურში იმყოფებოდნენ იოანეს სახარების სირიულ ტექსტში (4.46, 49) ქართ. სეფეწულს, სომხ. *წագաღორაგნ*-ს, ბერძნ. βιασιτικός. სირიული ‘bed malkho-ს (მეფის მონა) შეესატყვისება<sup>152</sup>, რომელშიც სირ. ‘bed არა ძველ ქართ. სახლელს (მონას) აღნიშნავს, რომელთა სოციალური წარმოშობის წყარო ერთი ნათესავის მიერ მეორე ნათესავის უშუალო დაპყრობა იყო, არამედ ამ შემთხვევაში სირ. ‘bed სუბორდინაციის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, რაც საერთოდ დამახასიათებელია ‘bd ძირის სოციალური ტერმინისათვის სემიტურ ენებში.

<sup>150</sup> Constantine Porphyrogenitus de Administrando Imperio, ed. Gy. Moravcsik, Bud. 1949, p. 74. W. Bauer, Wörterbuch zum Neuen Testament, 1958, col. 271. ზ. ა. ლ. ე. ქ. ს. ი. ძ. ე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, I, გვ. 163.

<sup>151</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, თბ., 1953, გვ. 314.

<sup>152</sup> ზ. ა. ლ. ე. ქ. ს. ი. ძ. ე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, I, გვ. 164.

როგორც აღვნიშნეთ, იოანეს სახარების ბერძნულ ტექსტში (4.46, 49) ძვ. ქართ. სეფეწულს ბერძნ. *βασιλικός* შეესიტყვება. *Βασιλικός* სოციალური ტერმინი იბერიის სტრაბონისეულ აღწერილობაშიც დასტურდება. იბერთა მეოთხე — ლაოების გენოსს, რომელსაც ექსპლოატაციას პირველი — სამეფო გენოსი უწევდა, სტრაბონი *βασιλικὸν δῆσι* უწოდებს<sup>153</sup>. *Δῶσις* სოციალურ ტერმინს ძველქართულ თარგმანებში მონა (სახლეულო) შეესიტყვება და ბერძნ. *βασιλικὸν δῆσι*-ის ძველქართულ სოციალურ ექვივალენტად სეფეწულთა მონები (სახლეულები) გვევლინება. ს. ჯანაშიას დასკვნით, პირველი — სამეფო გენოსის ძველი ქართული სოციალური ექვივალენტი სეფე იყო<sup>154</sup>, ხოლო *βασιλικὸν δῆσι*-ის (სეფეწულთა მონების) — მეოთხე გენოსის ჩამოყალიბება დაპყრობის შედეგად მოხდა<sup>155</sup>, რასაც სოციალური განშრევება მოჰყვა აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებში. ის ფაქტი, რომ ძველ ქართლში (იბერიაში) ძირითად ექსპლოატირებულ ფენას სტრაბონი *βασιλικὸν δῆσι* უწოდებს, მიუთითებს სამეფო გენოსში გაერთიანებულ სეფეწულთა ფენის უალრეს სიფართოვეზე.

იბერთა სტრაბონისეული აღწერილობის სამეფო — პირველ გენოსს<sup>156</sup> (*ἔν μὲν καὶ πρῶτα*) უკავშირდება დიონ კასიუსის მიერ მოხსენიებული *πρωτοι*<sup>157</sup>; იბერთა მეფე ფარსმანს ἄნდრენ რომში მოგზაურობის დროს ახ. წ. II საუკუნეში. ძველქართულ თარგმანებში *πρωτοι*-ის შესატყვისად ორი სოციალური ტერმინი: „მთავარი“ და „აზნაური“ დასტურდება<sup>158</sup>. ამრიგად, იბერთა გაბატონებული ფენის სურათი ასე წარმოგვიდგება: ცენტრში დგას მეფე, რომელსაც გარშემო მთავარი ახლდნენ, რაც ემთხვევა არსენ ბერის ნინოს ცხოვრების პერიფრაზში შემონახულ იმ სურათს, რომელიც აზონს

<sup>153</sup> ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, XI, 6, 3; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 129.

<sup>154</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 165.

<sup>155</sup> იქვე, გვ. 166.

<sup>156</sup> ს ტ რ ა ბ ო ნ ი, გეოგრაფია, XI, 6, 3; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 129.

<sup>157</sup> დ ი ო ნ კ ა ს ი ო ს ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 83. წიგნი LXX, 2, 3.

<sup>158</sup> И. А. Джавახов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, С. Птб., 1905, стр. 61; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 207, 216—217.

ათი სახლის მთავართა გარემოცვაში წარმოსახავს<sup>159</sup>. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ჩაასიკიძე-ები სამეფო პალატის წევრები იყვნენ<sup>160</sup>, რომელთა სინონიმად სუჯაღუიკიძე-ნი დასტურდებიან, ძველქართულ თარგმანებში კი ჩაასიკიძე და სუჯაღუიკიძე სეფეწულს შეესიტყვებიან<sup>161</sup>, რაც კიდევ ერთი საბუთია იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ იბერთა მეფენი სეფეწულთა გარემოცვაში იყვნენ. როგორც ითქვა, იბერიის სტრაბონისეული აღწერილობის პირველი გენოსი საიდანაც იბერთა მეფენი სხდებოდნენ ჩაასიკიძე-საგან (სეფეწულთაგან) შედგებოდა, არსენ ბერის „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, აზოს პალატის მთავრები (ბერძნ. სუჯაღუიკიძე, ჩაასიკიძე) ახლდნენ<sup>162</sup>, პეტრე იბერი კონსტანტინეპოლში სეფეწულთა თანხლებით ჩაივინა<sup>163</sup>, ხოლო იბერთა მეფე ძამანარძე 535 წელს კონსტანტინეპოლში სუჯაღუიკიძე-თა თანხლებით ჩადის<sup>164</sup>.

ქართ. სეფეწულის სომხური სოციალური ექვივალენტის — *შაჟაღორაჟნი*-ის გამოწვლილვით შესწავლის შედეგად *შაჟაღორაჟნი* განიმარტება როგორც *მხრბაღორე* *შაჟაღორი*, *აღაღანი*, *აღაღათასიანე*<sup>165</sup>. აგნატური ჯგუფების შესწავლის შედეგად მივუთითეთ, რომ სომხ. *მხრბაღორე*-ს ძვ. ქართულში შეესიტყვება ნათესავი, თქსი, მკვიდრი, შვილი, მოძმე, მეძიებელი სისხლისა. ამის საფუძველზე სომხ. *შაჟაღორაჟნი* განიმარტება როგორც მეფის ნათესავნი, მეფის თქსნი, მეფის მკვიდრნი, მეფის შვილნი, მეფის მოძმენი, მეფის სისხლის მეძიებელნი, რომელნიც სეფეწულნი იყვნენ. სომხ. *აღაღანი* ემთხვევა სეფეწულის საბასეულ განმარტებას — „დიდებულთა შვილი“, რაც მთავრის სინონიმი არის, ხოლო სომხ. *აღაღათასიანე* კი პალატის წევრებს აღნიშნავდა (ბერძნ. სუჯაღუიკიძე-ები), რომელნიც ძველქართულ წყაროებში სეფეწულებად ითარგმნებოდნენ.

ზუსტი ჩანს ბერძნ. *πρωτοι*-ის ძველქართულ თარგმანებში აზ-

<sup>159</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 80.

<sup>160</sup> Constantine Porphyrogenitus de Administrando Imperio, ed. Gy. Moravcsik, Bud. 1949, p. 190.

<sup>161</sup> ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, I, გვ. 163—173.

<sup>162</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბ., 1971, გვ. 47.

<sup>163</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 133.

<sup>164</sup> გეორგიკა, IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 80.

<sup>165</sup> 1836 წლის ენციკლის გამოცემის სომხური ენის ლექსიკონი, ტ. I, გვ. 789.

ნაურად გააზრებაც. აზნაური თავისუფალის მნიშვნელობით გაცილებით უფრო აღრე შემოვიდა ქართლში, ვიდრე ეს ცნება ფეოდალთა კლასის ზოგადი სახელის მნიშვნელობას მიიღებდა. ამიტომ არის, რომ აზნაური უფალის ანალოგიურად მონის კონტრაგენტად გვევლინება, რაც ჯერ კიდევ ხანმეტ ტექსტში გვხვდება — „ვითარცა ხიტყვს ჰაველე, ვითარჰვედ: არა არს მონება და აზნაურება, რამეთუ ყოველნი... ერთ ხიყენეთ ქრისტე იესუმს მიერ“<sup>166</sup>. თავისუფალთა ფენას ძველ ქართლში (იბერიაში) სეფეწულობაში კონსოლიდირებულინი ხევისუფალნი წარმოადგენდნენ, რომელნიც „სახლეულებზე“ (მონებზე) ბატონობდნენ და ზღვარი მათ შორის გენეტურად დაპყრობიდან მომდინარეობდა.

ისტორიულად სეფეწული სეფეკაციის კონტრაგენტად აღმოცენდა<sup>167</sup>, რადგან სეფეკაციის საპირისპიროდ, რომელიც „უცხო“ და წარმომოებით „ტყვე“ იყო, წული (შვილი) ხევისუფალთა ნათესავში „მკვიდრად“, „მემკვიდრედ“ ითვლებოდა. ხევისუფალთა ნათესავეების სოციალური კონსოლიდაციის საფუძველი ხევისუფალთა ნათესავეების კუთვნილი მიწა-წყლის (სოფლების, ზეგების) გაერთიანებაში მდგომარეობდა, რაც ხევისუფალთა სახლების (მეურნეობის) გაერთიანებას ნიშნავდა. ხევისუფალთა ნათესავეების სოციალური კონსოლიდაციის სიმტკიცე სახლების (მეურნეობების) ერთიანობამ განაპირობა, რადგან ზელოვნური ნათესაობის — წულობის (შვილობის) საფუძველზე გაერთიანებული სახლების (მეურნეობების) გაფართოებულ ხევისუფალთა ნათესავთა წულები (შვილები) პოლიტიკურად ძლიერდებოდნენ, ეს კი „უფალთა“ (ხევისუფალთა ნათესავის წულები სოციალურად უფალნი იყვნენ) მხრივ სახლეულების მზარდი ექსპლოატაციის წინაპირობა იყო. ამიტომ იყო, რომ სოციალური ალტერნატივიმ არარსებობის პირობებში შედარებით სუსტი ხევისუფალთა ნათესავეები თვით ეძიებდნენ უფრო ძლიერ ხევისუფალთა ნათესავეების მამამჟღეცობა-სეფეწულობას.

ორი სოციალური ორგანიზმის გაერთიანების სიმტკიცის საფუძველი ეკონომიურ ერთიანობაში რომ მდგომარეობდა, „ძმად შეყრის“ ქართული საბუთებიდან ჩანს, რომელთა მიხედვით ძმად შეყრა (გაერთიანება) ქონების გაერთიანებას ეფუძნებოდა<sup>168</sup>, ხო-

<sup>166</sup> ქართული ენის ისტორიული ჰერსტომატა, ტ. I, თბ., 1949, გვ. 36.

<sup>167</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 159—160.

<sup>168</sup> ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საზარტლის ისტორია, წ. I, თბ., 1928, გვ. 153—157.

ლო „შვილის მოკიდების“ ილუსტრაციისათვის საყურადღებო პარალელს გვაწვდიან სვანური ისტორიული საბუთები.

„სრულიად სვანეთის კევი“, რომელიც სვანურ საბუთებში „ერთობილი კევის“ სახელითაც არის ცნობილი (სვანური დოკუმენტების განსაზღვრით ერთობილი კევი სეტის მთავარმოწამის შესავალი ქვეყანა იყო და მოიცავდა ტერიტორიას უშქულსა და ლალვერს შუა, ანუ თანამედროვე ზემო სვანეთს)<sup>169</sup>, მელომედ ვახდანგიან ბენდანს აყენებს, რასაც საბუთში შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „ოდეს შენითა ნებითა მთავარმოწამე სეტისა და ერთობილი კევი გვიშვილე<sup>170</sup>. ერთობილი კევი ამიერიდან ბენდანის „შვილი“ ხდება და როგორც ნაშვილებს შეჭფერის „მამას“ სათანადო პატივსაც სცემს. ერთობილი ხევი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ბენდანს: „ვითა ეგრე შვილებულსა გუმართებს ეგრე საპატიოდ ჩუენცა შენი პატივი გაუათაოთ... ვიდრე შენ ბენდანი ცოცხალ იყო, მანამდინ... არც ბეგარი, არც რაი სხუაჲ საციხური არა გთხოვოთ, არ დიდი, არცა პატარაი. ვისც წაეკიდო... შენი საქმე არვის ვათნიოთ, არ მამამან შვილსა, არცა ძმამან ძმასა. ვისც წაეკიდო, რაც იმას საქმე მოჰყვეს, იმისი პირი და პასუხისა გამცემი... კევი ვართ. თუ ვის შეაკუდე... სრული სისხლი გარდავაჯღევინოთ“<sup>171</sup>. რადგან ბენდანმა ერთობილი ხევი „იშვილა“, ბენდანი სოციალურად გაძლიერდა, მაგრამ ერთობილი ხევის „შვილობის“ გამო ბენდანი თავის ქონებას ერთობილ ხევს „ათვლის“, რასაც სათანადო საბუთით აფორმებს. ბენდანი ხევს მიმართავს: „მთავარ მოწამისა სეტისა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა დაგიწერე და მოგაცსენე დაწერილი ესე თქუენ თავად მთავარ მოწამესა და ერთობილსა კევსა მე ვახთანგიანმან ბენდე და ჩემმან ცოლმან მარიამ... ოდეს ჩემითა ნებითა მთავარი მოწამე სეტისა და ერთობილი კევი გიშვილე, დაგათუალე ჩემი სახლი, მამულ-ეკლესიანი, მზღვარი, ტყე და ველი, მთა და ბარი, უძრავი და მოძრავი, უძებარი და საძებარი, ყოვლისა კაცისგან უცილობლად ჩემი თან დამითუღია“<sup>172</sup>. ამრიგად, ბენდანი როგორც

169. შ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV—XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, გვ. 111.

170. ბ. ი. ნ. გ. ო. რ. ო. ყ. ვ. ა., სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941,

გვ. 6.

171. იქვე, გვ. 6.

172. იქვე, გვ. 6—7.



მამა და ერთობილი ხევი, როგორც შვილი საერთო ქონების მფლობელებად გამოდიან.

ხელოვნური შვილობის საფუძველზე შვილის მემკვიდრედ გადაქცევის პროცესს კარგად ასახავენ სვანური დოკუმენტები. რადგან ერთობილი ჯევის მემომეს ბენდან ვახთანგიანს შვილი არ ჰყავდა, ბენდანმა იშვილა ერთი სეტყელი სახელად ივანე, რასაც თვითონ აცხადებს ერთობილი ჯევისადმი მიცემულ დაწერილში: „ერთი სეტელისა შვილი ჩემსა მომიყვანია“<sup>173</sup>, ზოლო ამბროლიანთა და ბენდან ვახდანგიანის სახლებს შორის დადებულ საბუთში აღნიშნულია: „თქვენ ვახდანგიანსა ბენდიანს და შენსა შვილებულსა შვილსა ივანეს სეტყელსა“<sup>174</sup>... იმავე საბუთში წერია: „ოდეს ვახდანგიანსა ყმა შვილი არაი დარჩა, მერე შენ სეტყელი გიშვილა ბენდიანმან“<sup>175</sup>. ბენდანის ქონებას ნაშვილები ივანე სეტყელი დაემკვიდრა, რის გამოც ივანე სეტყელს სამამულო დავა ჰქონდა ბენდანის სახლის შვილებთან<sup>176</sup>.

შვილების, როგორც ხელოვნური ნათესაობის მოგონება, ლეონტი პროველმა შემოგვინახა. ლეონტის ცნობით, ქართლის მეორე მეფეს საურმაგს „ესჩნეს ორნი ასულნი, და არა ესუა ძე. მაშინ მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათესავითგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და დაიჭირა იგი შვილად, რომელსაც ერქუა სახელი მირვან... და მოკუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შვილებული მისი მირვან“<sup>177</sup>. ასევე ქართლის მეშვიდე „ბარტომ მეფესა არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი, და სიცოცხლესა მისსა მოეყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ“, რომელიც ბარტომ მეფეს „აღელო ესე შვილად. ესე ქართამ, ძედ შვილებული ბარტომ მეფისა, მასვე წყობასა მოიკლა ბარტომის თანა“<sup>178</sup>.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული და ძველქართულ წყაროებში შემონახული ჯვარისყმობის, ხატიშვილობის, საყდრიშვილობის თუ ეკლესიის შვილობის სოციალური ინსტიტუტები ხელოვნური ნათესაობის ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ. ხევსურული ჯვარისყმობა, როგორც აღვნიშნეთ, საწულეობის მისტი-

<sup>173</sup> ვ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941; გვ. 7.

<sup>174</sup> იქვე, გვ. 77.

<sup>175</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>176</sup> იქვე, გვ. 77—78, 81—82, 85, 91.

<sup>177</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 27.

<sup>178</sup> იქვე, გვ. 32.

რის შედეგად ჩამოყალიბდა, რაც მიუთითებს, რომ ყმა წულის სი-  
ზონიზაცია, ისტორიულად კი წული უსწრებდა არა მხოლოდ ყმას, არა-  
შედ შეილსაც. აღნიშნულ სოციალურ ინსტიტუტთა ძირითად თავი-  
სებურებას ის წარმოადგენს, რომ ხელოვნური დანათესაებების —  
წულობის, შეილობის შედეგად, წული, შვილი, კოლექტივის საერ-  
თო ქონების თანამონაწილედ ხდება.

ამრიგად, დაახლ. 1100—900-იან წლებში სოციალური განშრე-  
ვების საფუძველზე მამამძუძეობა-სეფეწულობის საშუალებით აღ-  
მოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ქართლოსიანთა წილი მიწა-  
წყლის საზღვრებში სახელმწიფო წარმონაქმნები ჩამოყალიბდა. ყო-  
ველი სახელმწიფო წარმონაქმნის ცენტრში უფალი (თავი, მამასახ-  
ლისი) იმყოფებოდა, რომლის გარშემო ხელოვნური ნათესაობის სა-  
ფუძველზე გაერთიანებული მამამძუძენი-სეფეწულები ისხდნენ.  
ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა ჩამოყალიბება ნათესავთა  
ურთიერთდაპყრობას რომ უკავშირდება, ამის მატერიალური მოწ-  
მობა ის მრავალრიცხოვანი საბრძოლო იარაღი, რომელიც ძვ. წ. II  
ათასწლეულის მიწურულიდან ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს  
მიწა-წყალზე. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს არა მხოლოდ  
ხოვლეგორას გათხრების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური  
მასალები, არამედ გარე კახეთის გამაგრებულ გორათა დასახლების  
თარიღიც. ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ადრეული პერიოდის ნა-  
მოსახლარები გარე კახეთში თავდაცვითი ნაგებობების გარეშე მთის  
ფერდობებზე არიან შეფენილნი, ძვ. წ. II ათასწლ. მიწურულიდან  
კი, იმისდა მიუხედავად, რომ მოსახლეობა იმავე მთის ფერდობებ-  
ზე ცხოვრობს, სამოსახლოდ ბუნებრივ ბორცვებს ირჩევს, რომელ-  
თაც თავდაცვითი ნაგებობებით ამაგრებს. ანალოგიური ვითარება  
დასტურდება ისეთ საკულტო ძეგლებზე, როგორიც ყათნალის ხე-  
ვის და მელი-ღელე I-ის სამლოცველოები არიან, სადაც საბრძოლო  
იარაღი თითქმის არ არის დამოწმებული, ხოლო II—I ათასწლეუ-  
ლის მიჯნის სამლოცველოებზე კი შეწირვის მთავარ საგნად საბრძო-  
ლო იარაღი ხდება<sup>179</sup>.

რადგან ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ჩამოყალიბებულ ქართ-  
ლოსიანთა სახელმწიფო წარმონაქმნები ურთიერთბრძოლაში ებმე-  
ვიან, ომის მასშტაბიც იმავე ათასწლ. I ნახევარში აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს მიწა-წყალზე იზრდება. სათანადო ევოლუციას განიც-

<sup>179</sup> კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის  
ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973; გვ. 43

დიან საწესო-სარიტუალო ხატებიც. თუ შიდა ქართლისა და კახეთის II ათასწლ. II ნახევრის ხატებში ნაყოფიერების კულტი ბატონობს<sup>180</sup>, II—I ათასწლ. მიწურულიდან ნაყოფიერების ღვთაებება მეომარი ღვთაების ფუნქციას იძენენ, ხოლო ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში ომის ფუნქცია წინა პლანზე გამოდის<sup>181</sup>. ამიტომ არის, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს მთავარი ღვთაება — არმაზი მეომრის ფუნქციებით აღჭურვილი ნაყოფიერების ღვთაებაა. წმ. ნინო არმაზის აღწერისას ამბობს: „ღდა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჰვ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და კელთა მისთა აქუნდა კრძალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქეოდა კელთა შინა. უკეთუ ვინმე შეეხებინა, თავი თვისი სიკუდილად განწირის“<sup>182</sup>, ხოლო მირიან მეფე არმაზსა და ზადენს შემდეგი ჭიტყვებით ახასიათებს: „ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშობდა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ“<sup>183</sup>.

ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ჩამოყალიბებულნი ქართლოსიანთა სახელმწიფო წარმონაქმნი სოციალურად სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებებს წარმოადგენდნენ, რომელნიც ურთიერთბრძოლაში ებმევიან. ურთიერთბრძოლის პროცესში ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა შორის ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან ძველქართულ და ძველსომხურ წყაროებში ზენა სოფლის სახელით ცნობილი ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნი დაწინაურდა (ისტორიული შიდა ქართლი, რომელიც მოიცავდა მიწა-წყალს არმაზიდან ტაშისკარამდე). თუ სოფელი ის არის, რაც უფალისთვის არის განკუთვნილი, ზენა სოფელი შეიძლება ზენა უფლის ქვეყანად განიმარტოს. ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა შვიდ უფალს

<sup>180</sup> იქვე, გვ. 112—117; ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 197—209; Д. А. Х а х у т а й ш в и л и, Святилище протонберийской земледельческой общины Центрального Закавказья конца II тысячелетия до н. э.; კრებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 60—69.

<sup>181</sup> ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 222—223.

<sup>182</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 89; იხ. აგრეთვე ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 119.

<sup>183</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 106; იხ. აგრეთვე ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 132.

(თავთა, მამასახლისთა) შორის ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის დაწინაურების შედეგად ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში ქართლის მთაზე მოსახლე უფალი (თავი, მამასახლისი) აღზევდა, რომელიც ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა უფალთა (თავთა, მამასახლისთა) primus inter pares-ად გადაიქცა. ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევრიდან ქართლის (ზენა სოფლის) სახელმწიფო წარმონაქმნის დაწინაურებაზე არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რადგან ამ ხანის შიდა ქართლის ნამოსახლარებს სიდიდითა და ცხოვრების ინტენსივობით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში დადასტურებული ნამოსახლარები ვერ შეედრებიან<sup>184</sup>.

ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ჩამოყალიბებულ ქართლოსიანთა სახელმწიფო წარმონაქმნთა სოციალური დიფერენციაციის სისუსტის მიზეზი ის იყო, რომ აღნიშნულ სახელმწიფო წარმონაქმნთა ეკონომიური ცენტრები არა ბარში, არამედ ზეგანის ზონაში მდებარე ხევებში იმყოფებოდა, სადაც იმ დროის საწარმოო ძალთა განვითარების დონის შესაბამისად მარტივი სარწყავი მსისტემების გამართვისათვის საუკეთესო პირობები არსებობდა<sup>185</sup>. ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში (დაახლ. 600-იან წლებში) აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე რკინის იარაღების მიერ ბრინჯაოს იარაღების საბოლოო გამოდევნა წარმოების სფეროდან სახლეულთა ექსპლოატაციის ინტენსიური ფორმების დანერგვას განაპირობებდა და შესაბამისი სოციალური ტეხილიც ამავე ხანებზე მოდის. აღნიშნულ პროცესს არქეოლოგიური მასალები წარმოაჩენენ. თუ ხოვლეგორაზე პირველი მნიშვნელოვანი სოციალური ტეხილი დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეზე მოდის ბორცვის ძირში სოფლის წარმოქმნის შედეგად, რომელსაც გორა თხრილით გამოეყო, მეორე ტეხილი ხოვლეგორის განვითარებაში VI საუკუნეს ემთხვევა, როდესაც გორის ძირში სოფლის ზრდასა და მის მკიდროდ დასახლებასთან ერთად მეურნეობაში მკვეთრად დაწინაურდა მევენახეობა, ხოლო თვით გორას კი ღრმა თხრილთან ერთად დიდი და განიერი ქვის გალავანი შემოეკლო<sup>186</sup>. ხევებში განვითარებული სოციალური დიფერენცია-

<sup>184</sup> ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 111.

<sup>185</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 423.

<sup>186</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 44.

ციის სიღრმეზე მიუთითებენ წინწყაროს, საძვეურ-ყანჩაეთის მდიდრული სამარხები და „ყაზბეგის განძი“. ძვ. წ. V საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში გათხრილ რიგით სამარხებში იარაღი იშვიათად გვხვდება, ხოლო მდიდრულ სამარხებში კი არათუ საომარი იარაღი: ცული, მშვილდი, მახვილი, შუბი, არამედ ცხენის აღჭურვილობის მთელი კომპლექტები დასტურდება, რაც საზოგადოების მკვეთრი სოციალური განშრევეების მაჩვენებელია<sup>187</sup>. საზოგადოების ევოლუციის შესაბამისად საყურადღებო ცვლილებები ხდება ძველქართულ სოციალურ ტერმინთა სფეროშიც. ქართულ ენაში „სახლეულისა“ და „ტყვეს“ პარალელურად მკვიდრდებიან ძვ. სპარსულიდან მომდინარე სოციალური ტერმინები — „მონა“ და „კირთი“.

თუ „მონა“ ენობრივი თვალსაზრისით, როგორც აღენიშნეთ, ძვ. ქართ. „სახლეულის“ ექვივალენტია და ძვ. სპარსული manija-დან (ის, ვინც სახლს ეკუთვნის) მომდინარეობს, „კირთი“ მონის სტატუსის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ პირს ეწოდებოდა<sup>188</sup>. ორიგინალურ ძველქართულ წყაროებში ტერმინი „კირთი“ არ დასტურდება, ნათარგმნ ძეგლებში კი არაერთგზის გვხვდება, განსაკუთრებით ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში. კართის კონკრეტული სოციალური ბუნების წარმოსაჩენად მოვიტანოთ სათანადო მაგალითები. იოსებისა და მისი ძმების ცნობილ ეპიზოდში, როდესაც იოსები მოითხოვს ბენიამინის ეგვიპტეში დატოვებას, იუდა შემდეგი სიტყვებით მიმართავს იოსებს: „აწ ვდგე მე მონად შენდა ყრმისა ამის წილ კირთად“ (შესაქმე, 44,33). ამრიგად, იუდა იოსებს განუმარტავს, რომ იგი ბენიამინის ნაცვლად მისი მონა იქნება კართის სტატუსით.

შესაქმის წიგნის მოტანილი მუხლის ძველქართული თარგმანის მონას სეპტუაგინტაში  $\mu\alpha\zeta$  შეესიტყვება, ხოლო კართს  $\iota\chi\acute{\epsilon}\tau\eta\varsigma$ . თუ სეპტუაგინტის  $\mu\alpha\zeta$  ამ შემთხვევაში მონობის (დაქვემდებარების) ზოგადი მნიშვნელობით იხმარება,  $\iota\chi\acute{\epsilon}\tau\eta\varsigma$  აქ მონობის ყველაზე დაბალ საფეხურს აღნიშნავდა,<sup>189</sup> იმისდა მიუხედავად, რომ აღნიშ-

<sup>187</sup> Ю. М. Гагониძე, Памятники материальной культуры раннеантичной Грузии (Автор. канд. диссерт.), Тб., 1965, с. 18; ი. კ. ი. ძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1977, გვ. 118.

<sup>188</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 619; ზ. ა. ლ. ე. ს. ი. ძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შოაბე, 1963, I, გვ. 161.

<sup>189</sup> А. Д. Амусин, Термины обозначающие рабов в эллинистическом Египте по данным Септуагинты, ВДИ, 1952, № 3.

ნულ კონტექსტში არ ჩანს მონობის ის კონკრეტული სოციალური ბუნება, რომელსაც *օւչէդէ* გამოხატავდა. შესაქმის წიგნის ძველქართულ თარგმანს მხარს უჭერს ძველი სომხური თარგმანი. მოტანილ მუხლში (44, 33) სეპტუაგინტის *παις* და ძვ. ქართ. მონას სომხ. *ժառայ* შეესიტყვება, რაც აგრეთვე მონობის (დაქვემდებარების) ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა სომხურში, ხოლო ძვ. ქართ. კირთს სომხ. *սարուկ*-ი შეესიტყვება. ძველი სომხური წყაროების ანალიზის შედეგად დადგენილია (მოვსეს ხორენაცი, ფავსტოს ბუზანდი, ელმე, მოვსეს კალანკატვაცი), რომ *սարուկ*-ი ძველ სომხურში მონობის (სომხ. *ժառայութիւն*) ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა, რადგან „სტრუკი“ მონადქცეული ტყვე იყო<sup>100</sup>. სომხურისაგან განსხვავებით ვერაფერს გვაძლევს კირთის ინსტიტუტის შესასწავლად სირიული და ებრაული შესაქმის წიგნის შესაბამისი მუხლი, რადგან აღნიშნულ მუხლში სეპტუაგინტის *օւչէդէ*-ს, ქართ. კირთს და სომხ. *սարուկ*-ს მონობის (დაქვემდებარების) ზოგადად აღმნიშვნელი სემიტ. *‘bd* ძირიდან ნაწარმოები ტერმინები შეესიტყვებიან.

ანალოგიური ვითარება დასტურდება ლევიტელთა წიგნის 25.39-ში, რომელიც ებრაელთა შორის თანამეტომის დამონების საკითხს შეეხება. „უკუეთუ დავარდეს ძმაჲ შენი შენ შოვრის და მოგყიდოს თავი მისი შენ, არა გმონებდეს შენ მონებასა კირთებრ.“ სეპტუაგინტაში ძვ. ქართ. მონებას *ծօսւելա* პასუხობს, კირთს კი *օւչէդէ* (*օս* *ծօսւեսնայ* *սօ* *ծօսւելան* *օւչէդէ*), სადაც *ծօսւելա* მონობის, დაქვემდებარების ზოგადი მნიშვნელობით იხმარება. ძველსომხურ ლევიტელთა წიგნის თარგმანში ძვ. ქართ. მონებას *ժառայութիւն*-ი შეესიტყვება, კირთს სომხ. *սարուկ*-ი (*ժի ժառայիսցէ քիզ գժառայութիւն սարկի*). ძველებრაულ და სირიულ ლევიტელთა წიგნში (25, 39), ისევე როგორც შესაქმის წიგნის (44, 33) შემთხვევაში სეპტუაგინტის *օւչէդէ*, ძვ. ქართ. კირთი და სომხ. *սարուկ*-ი მონობის (დაქვემდებარების) ზოგადი აღმნიშვნელი სემიტ. *‘bd* ძირიდან ნაწარმოები ტერმინებით გადმოიცემიან.

კირთი რომ სომხ. *սարուկ*-ის ზუსტი სოციალური ექვივალენტია დასტურდება კირთიდან ნაწარმოები ზმნური ფორმით — კირთება. ძველქართულ წყაროებში კირთება ომს, თავდასხმას აღნიშნავდა, რაც ძვ. ქართ. „ტყუენვის“ სინონიმი. ლეონტი მროველის თქმით, „ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მკნენი, და

<sup>100</sup> С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, стр. 22.

ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა<sup>191</sup>. სომხებთან ომის დროს ქართლის მეფეებმა აზორკ და არმაზელმა „განწირნეს ყოველნი ველნი ქართლისანი და არა დასცხრეს კირთებისაგან სომეხთა ზედა“<sup>192</sup> — წერს ლეონტი მროველი, ხოლო როდესაც სომხებმა სპარსთა და ბერძენთა წინააღმდეგ გაილაშქრეს, „პოვეს მას შინა უამი მარჯუე ქართველთა და ოვსთა, იწყეს კირთებად სომეხთა“<sup>193</sup>.

ძვ. წ. VI საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე იწყება ბარის სამიწათმოქმედო ათვისება, რაც გადამწყვეტი ფაქტორი იყო ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების პროცესში. რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სამიწათმოქმედო ათვისება მხოლოდ მისი მორწყვის გზით იყო შესაძლებელი. ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან იწყება საირიგაციო არხების მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, სარწყავი კი ინტენსიურმა კულტურებმა დაიკავე, რომელთა შორის მთავარი ადგილი ვენახს ეჭირა. აღნიშნული პროცესი იმ მსხვილ დასახლებათა ჩამოყალიბებაში გამოიხატა, საიდანაც აღმოცენდნენ ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქები, რომელთა სასოფლო-სამეურნეო უბნები ირიგაციას ეფუძნებოდნენ<sup>194</sup>. ამრიგად, დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეში ხეუბნებში (ზეგანის ზონა) ჩასახული სოციალური განშრევეების პროცესი დაახლ. ძვ. წ. VI საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს ბარზეც გავრცელდა, რაც ხევისუფალთა (მამამძუძეთა-სეფეწულთა) მიერ ბარის სოციალურ ათვისებას მოასწავებდა. ამის შედეგად ხეუბნებში ჩასახული სოციალური განშრევეების პროცესი ბარში უფრო გაღრმავდა<sup>195</sup>, რადგან ბარში გაშლილი საირიგაციო მშენებლობა და მეურნეობის ინტენსიური ფორმები (ვენახი და ა. შ.) ექსპლოატაციის ინტენსიური ფორმების გაფართოებას მოითხოვდა, ექსპლოატაციის ასეთ ფორმას კი ოპტიმალურად ტყვე-მონა აკმაყოფილებდა. ექსპლოატაციის ფორმების გაინტენსიურებას შემოპყვენენ აქემენიდური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. სპარსულიდან ნა-

<sup>191</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 18.

<sup>192</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>193</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>194</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 367—426; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 63—72; ო. კ ი კ ე ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 117—128.

<sup>195</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 425.

სესხები სოციალური ტერმინები — მონა და კირთი. ეს განსაკუთრებით კირთზე ითქმის, რომელიც ძვ. სპარსული kartar-იდან მომდინარეობს. Kartar ძვ. სპარსულად „მუშაკს“ ეწოდებოდა და კირთიც წარმოშობით ის ტყვე იყო, რომელსაც მძიმე სამუშაოებზე ასაქმებდნენ<sup>196</sup>, ტყვეთა მოპოვების ძირითადი წყარო კი ომები იყო, რომელთაც ქართლოსიანი სახელმწიფო წარმონაქმნები აწარმოებდნენ როგორც ურთიერთს შორის, ისევე თავის მეზობლებთან.

აქემენიდური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გაფართოებული მონური (დაპყრობილი მეთემე და ტყვე) შრომის შიგნით კირთის ტიპის შრომის ზვედრითი წონის ზრდა თავის მხრივ სეფეწულთა შემდგომ სოციალურ კონსოლიდაციას მოითხოვდა. ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევარში სეფეწულებსა და მონებს შორის არსებულმა სოციალურმა ანტაგონიზმმა კულმინაციას მიაღწია და სეფეწულებსაც სხვა ალტერნატივა აღარ დარჩენოდათ, თუ არა შეექმნათ ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა სეფეწულთა სოციალურ და ეკონომიურ ბატონობას მონებზე. ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა კი სეფეწულთა მხოლოდ შემდგომი სოციალური კონსოლიდაციის საშუალებით იყო შესაძლებელი. ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს სეფეწულთა სოციალურ კონსოლიდაციას ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა მოჰყვა.

---

<sup>196</sup> Г. А. М е л и к и ш в и л и, К вопросу о социально-экономическом строе древней Иберии (Картли), ВДИ, 1977, № 4, ст. 194.



## ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნას ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობას უკავშირებს. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა, ქრონოლოგიურად იმ დიდ პოლიტიკურ ძვრებს რომ ემთხვევა, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიდური იმპერიის განადგურებას მოჰყვა, სადავო არ არის<sup>1</sup>.

აქემენიდური იმპერიის ჩამოყალიბების დროიდანვე კავკასია საერთოდ და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალი მკიდროდ ჩანს დაკავშირებული აქემენიანთა იმპერიასთან. ამის გამო აქემენიანთა იმპერიის განადგურებას შედეგად აღმოსავლეთში მომხდარ დიდ პოლიტიკურ ცვლილებებს თავისი გამოძახილი აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზეც ჰქონდა, სადაც ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნისათვის უკვე ყველა პირობა არსებობდა.

როგორც ცნობილია, აქემენიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდანვე სასპერების სახელით ცნობილი ჭოროხის ხეობაში მოსახლე ქართველური წარმოშობის ტომები აქემენიანთა იმპერიის მეთვრამეტე სატრაპიაში შევიდნენ<sup>2</sup>. საქართველოს ისტორიის მკვლევარნი დიდი ხანია აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქართველური წარმოშობის ტომების ერთ-ერთი უძველესი კერა მდინარე ჭოროხის ზემო წელში (ისტორიულ სპერში — გ. მ.) ჩანს. ამ ადგილების მეზობლად იმყოფებოდა სოხმას ოლქი, რომელსაც ძვ. წელთაღრიცხვის XIV—IX საუკუნეების ხეთური და ახურული წყაროები ახსენებენ. სომხების სახელი ქართულ ტომებში სწორედ ამ სოხმას ოლქიდან მომდინარეობს, რაც მიუთითებს, რომ ქართვე-

<sup>1</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 266-283; А. И. Болтунова, Возникновение классового общества и государственной власти в Иберии, ВДИ, 1956, № 2

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 434.

ლურ ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების ცენტრი ისტორიულ სპერში იმყოფებოდა<sup>3</sup>.

ძვ. წელთაღრიცხვის XII საუკუნეში მდინარე კოროხის სანახებში ჩამოყალიბდა დიაენი-დიაუხის ტომთა ძლიერი გაერთიანება, რომელსაც არაერთგზის ახსენებენ ასურული და ურარტული წყაროები. დიაუხი იმდენად ძლიერი გაერთიანება იყო, რომ, მკვლევართა აზრით, იგი სახელმწიფო წარმონაქმნს წარმოადგენდა<sup>4</sup>.

დიაუხს კოროხის ზეობის სანახებში სასპერების ძლიერი გაერთიანება ცვლის, რომლის პეგემონად ქართველური ტომები ჩანან. ამასვე მიუთითებს ქართული მაწარმოებელი თავსართი სა-სპერი. სახელწოდება იბერია, როგორც აღნიშნავენ მკვლევარნი, მომდინარეობს სპერ ეთნონიმიდან<sup>5</sup>.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიერ მოხსენიებული არიან-ქართლის მეფის ძის სახელი აზოც კოროხის ზეობის სანახების ტომთა მეფეთა ონომასტიკოსთან ჩანს დაკავშირებული. დიაენი-დიაუხის ტომთა მეფეთა მხოლოდ სამი სახელი შემოგვინახეს ძველადმოსავლურმა წყაროებმა, აქედან ორი — სიენი და ასია<sup>6</sup> იგივე სახელი ჩანს, რაც აზო (აზონ). სიენი—[ა]სიენ—აზონ, ისევე როგორც ასია — აზო. გენეტურად სახელი სიენ იგივე სახელია, რაც ასია და შემთხვევითიც არ უნდა იყოს, რომ არიან-ქართლის მეფის ძე აზო იმ სახელს ატარებს, რომელიც კოროხის ზეობაში მოსახლე ტომთა მეფეთა ონომასტიკონშია დამოწმებული. კოროხის ზეობაში მოსახლე სასპერები, როგორც ითქვა, აქემენიდური ირანის მეთვრამეტე სატრაპიაში შედიოდნენ და საზღვარიც ირანის ფარგლებში და ირანის ფარგლებს გარეთ მოსახლე ქართველური წარმოშობის ტომებს შორის კოროხის ზეობის ქვემო წელზე გადიოდა. ამიტომ არის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲსი“ მოხსენიებული არიან-ქართლი ირანის-ქართლად განიმარტება (არიანა ძვ. სპარსულად ირანს ეწოდებოდა და არიან-ქართლი პერსარმენიის ანალრგიური ტერმინია)<sup>7</sup>, რადგან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ხანით დათარიღებული

<sup>3</sup> Г. А. М е л и к ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 172.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 361, 364—366, 370, 372—382, 385—387.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 426.

<sup>6</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 365—366, 374, 380.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 440.

არიან-ქართლი იმ ტერიტორიის საზღვარის გააზრების შედეგად გაჩნდა, რომელიც ქართლის (იბერიის) სამეფოში შევიდა ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს. ლეონტი მროველის ქართლოსიანთა სქემის მიხედვით არიან-ქართლი „ოძრხოსის“ წილ მიწა-წყალზე არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნს მოიცავდა და თუ აქემენიდური იმპერიის ჩამოყალიბების დროიდანვე აღნიშნული მიწა-წყალი აქემენიანთა იმპერიის საზღვრებში მოექცა, ძვ. წ. IV საუკუნეში, როგორც ჩანს, აქემენიანთა იმპერიის საზღვრებში „ჯავახოსის“ კუთვნილი მიწა-წყალიც აღმოჩნდა.

ლეონტი მროველის ცნობით, ქართლში „ორმეფობას“ უამს (კაოსის და ფარსმანის მეფობის დროს), „მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ, და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოულო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი მკეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი ესე ითარგმნების დევთა-სახელად. და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი. და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს“<sup>8</sup>.

იარვანდ დიდმა წუნდას ქაჯატუნი იმიტომ შეარქვა, რომ ავესტური აურანდ (აურევანტ), ფალაური არვანდ, სომხური ერვანდ, ბერძნული ორონტ, ქართული იარვანდ „მამაცს“, „სწრაფს“ ნიშნავს<sup>9</sup>, რაც სომხური ქაჯის შესატყვისია და ქაჯიც ძველ სომხურში კეთილ ძალას აღნიშნავდა<sup>10</sup>. ამრიგად, წუნდის დაპყრობის შემდგომ იარვანდმა მას სახელი გადაარქვა და ქაჯატუნი, ანუ თავისი საკუთარი სახელის მიხედვით, „იარვანდის სახლი“, „იარვანდის ქალაქი“ უწოდა, რაც ადასტურებს, რომ იარვანდის მიერ ჯავახეთის მიტაცება რეალურ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა. კითხვა დაისმის — როდის მიიტაცა იარვანდმა ჯავახეთი? ამ საკითხის გასარკვევად განვიხილოთ სომხეთ-ქართლის ურთიერთობის ისტორიის ის მონაკვეთები, როდესაც სომხეთის მმართველებად იარვანდის სახელის მატარებელი მმართველები ჩანან.

ურარტუს დაცემის შემდგომ (დაახლ. ძვ. წ. 590 წელს) ვიდრე

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 44.

<sup>9</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბ., 1966, გვ. 428.

<sup>10</sup> ჯ. აკარიანი, სომხური ენის ფუძეთა ლექსიკონი, ტ. VI, 1932, გვ. 1396—1399 (სომხ. ენაზე).

არტაშეს I გამეფებამდე (ძვ. წ. 189 წ.) აქემენიდური ირანის სომხეთის სატრაპიის მმართველებად აქემენიდური ირანის ერთ-ერთი გამოჩენილი არისტოკრატიული სახლი იარვანდიანთა სახლი იყო. იარვანდ სახელით ცნობილი სომხეთის სატრაპი წყაროებში დასტურდება დარიოს III (336—330) მეფობის ხანაში, რომლის მმართველობის წლები 344—330-იან წლებზე მოდის<sup>11</sup>. აღნიშნული იარვანდი გამოცხადდა სომხებთან ერთად დარიოს III გავგამელას ბრძოლაში ძვ. წ. 331 წელს<sup>12</sup>. იარვანდიანთა სახლს ეკუთვნოდა სომხეთის უკანასკნელი მმართველი იარვანდიანთა გვარადან იარვანდ უკანასკნელი (დაახლ. 200—189 წწ.), როდესაც იარვანდიანთა დინასტია სომხეთში არტაშესიდების დინასტიამ შეცვალა<sup>13</sup>. ამ ორი იარვანდის მიმართ იპყრობს ყურადღებას მოვსეს ხორენაცის გადმოცემა იარვანდ-არტაშესის ომის შესახებ, რომელსაც მოვსეს ხორენაცი მოგვითხრობს სუმბატ ბივრიტიანის გადმოცემასთან დაკავშირებით.

მოვსეს ხორენაცის გადმოცემით, სომხეთის მეფის სანატრუკის შემდგომ სამეფო ტახტი იარვანდმა მიიტაცა, რომელიც გამეფდა, მოვსეს ხორენაცის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უკანასკნელი დარიოსის (დარიოს III — გ. მ.) მეფობის მერვე წელს“<sup>14</sup>. სანატრუკს გადაურჩა მცირეწლოვანი ძე — არტაშესი. როდესაც არტაშესი წამოიზარდა, მან სუმბატ ბივრიტიანის დახმარებით ბრძოლა წამოიწყო იარვანდის წინააღმდეგ მამისეული ტახტის დასაბრუნებლად. იარვანდმა თავის მომხრეთა ჯარებს მოუხმო, რომელთა შორის მოვსეს ხორენაცი იბერთა ჯარებსაც ასახელებს, ხოლო გადამწყვეტ ბრძოლაში იარვანდსა და არტაშესს შორის, რომელშიც იარვანდი დამარცხდა, მოვსეს ხორენაცის ცნობით, იარვანდის მხარეზე „იბერთა მეფე“ ფარსმანი თავის ლაშქართან ერთად ლებულობდა მონაწილეობას<sup>15</sup>.

მოვსეს ხორენაცის მთელი თხრობა არტაშესის შესახებ ქრონოლოგიის დიდი დარღვევით აქვს გადმოცემული, რადგან არტაშესი,

<sup>11</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, 1963, p. 277-294.

<sup>12</sup> ა რ ი ა ნ ე, ალექსანდრეს ანაბაზისი, III, VIII, 5.

<sup>13</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, 1963, p. 277-294.

<sup>14</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 161-162. (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>15</sup> იქვე, გვ. 171.

რომელშიც არტაშეს I (189—161) სცნობენ, ახ. წ. I საუკუნის რომის იმპერატორთა თანამედროვედ არის გამოყვანილი. აღნიშნული ქრონოლოგიური შეუსაბამობა მკვლევართა მიერ ახსნალია, ხოლო რაც შეეხება თხრობის არსებით მხარეს, იგი რეალურ-ისტორიულ ამბებს ასახავს<sup>16</sup> (იარვანდ-არტაშესის ომი, რომელშიც არტაშეს I გამეფება და იარვანდ უკანასკნელის ტახტიდან გადაყენება იგულისხმება). ამავე დროს, როგორც გ. ტირაციანი და კ. თუმანოვი მიუთითებენ, იარვანდ-არტაშესის ამბების თხრობისას მოვსეს ზორენაციმ იარვანდ უკანასკნელზე (დაახლ. 200—189) ადრე მცხოვრებ დარიოს III ხანის სომხეთის სატრაპის იარვანდის (დაახლ. 344—330) შესახებ არსებული გადმოცემებიც შეიტანა, რადგან მოვსეს ზორენაცი აღნიშნავს, რომ იარვანდი (იგულისხმება იარვანდ უკანასკნელი), მოვსეს ზორენაცის ცნობით, გამეფდა უკანასკნელი დარიოსის, ე. ი. დარიოს III (336—330) მეფობის ეამს<sup>17</sup>.

ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოვსეს ზორენაციის ცნობა იარვანდის გამეფების შესახებ ზუსტი ვერ არის, რადგან მოვსეს ზორენაცის თქმით, იარვანდი გამეფდა „უკანასკნელი დარიოსის მეფობის მერვე წელს“. როგორც ცნობილია, დარიოს III მეფობდა 336—330 წლებში, რაც ნიშნავს, რომ დარიოს III რვა წლის განმავლობაში არ ყოფილა მეფედ. ამის მიუხედავად, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მოვსეს ზორენაცის რაღაც წყარო ჰქონდა დარიოს III (336—330) ხანის იარვანდის შესახებაც, რადგან აღნიშნულ ცნობას მოვსეს ზორენაცი თვით ვერ შეთხზავდა, ხოლო დარიოს III (336—330) ხანის სომხეთის სატრაპს იარვანდს არიანე ადასტურებს<sup>18</sup>.

რაც შეეხება მოვსეს ზორენაცის ცნობას, რომ იარვანდი (იგულისხმება დარიოს III თანამედროვე სომხეთის სატრაპი) გამეფდა „უკანასკნელი დარიოსის მერვე წელს“, მოვსეს ზორენაცის წყაროდ ეს ცნობა, შესაძლებელია, შემდეგნაირად გაჩენილიყო. ძვ. წელთაღრიცხვის 331 წლის 1 ოქტომბერს გავგამელასთან სასტიკი და-

<sup>16</sup> Я. А. Манандян, Тигран Второй и Рим, Ер., 1943, стр. 23-24; С. Тоуманофф, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 283-285.

<sup>17</sup> გ. ტირაციანი, იარვანდიანნი სომხეთში, სომხეთის სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მოამბე, 1958, № 6, გვ. 53—71 (სომხ. ენაზე); С. Тоуманофф, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 284.

<sup>18</sup> არიანე, ალექსანდრეს ანაბაზისი, III, VIII, 5.

მარცხების შემდეგ, აქემენიდური ირანი დაიშალა. ძვ. წელთაღრიცხვის 330 წელს მოკლეს თვით დარიოს III და ამ ვითარებაში, როგორც ჩანს, de facto დამოუკიდებელმა დარიოს III სომხეთის სატრაპმა იარვანდმა თავი სომხეთის მეფედ გამოაცხადა და მოვსეს ხორენაცის წყაროც იარვანდის გამეფების შესახებ „უკანასკნელი დარიოსის მეფობის მერვე წელს“ ამის საფუძველზე შეიქმნა.

ამრიგად, მოვსეს ხორენაცის, სახელთა იგივეობის გამო, განსხვავებულ დროში მცხოვრები სხვადასხვა იარვანდის: იარვანდის, რომელიც დარიოს III თანამედროვე იყო და ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელი ათეულის იარვანდ უკანასკნელის შესახებ არსებული წყაროები გაუერთიანებია, რაც ნიშნავს, რომ მოვსეს ხორენაცს იარვანდ-არტაშესის ომის თხრობაში სხვადასხვა დროის ამსახველი ისტორიული მოვლენების წყაროებია შემონახული და მოვსეს ხორენაცის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი წყარო დარიოს III დროინდელ ამბებს ასახავდა.

იარვანდ უკანასკნელი (დაახლ. 200—189 წწ.) სომხეთის სუსტი მმართველი იყო და ჯავახეთზე მას ხელი ვერ მიუწვდებოდა. სომხეთზე კონტროლის განმტკიცების მიზნით ანტიოქოს III (223—187) სომხეთში თავისი სტრატეგოსები არტაშესი და ზარეპი ჩააყენა. როდესაც ანტიოქოს III რომაელებთან ომში მაგნესიასთან დამარცხდა (ძვ. წ. 190 წ.), ანტიოქოს III მიერ სომხეთის სტრატეგოსად დაყენებულმა არტაშესმა სომხეთის მმართველობა იარვანდ უკანასკნელს წაართვა და თავი „დიდი სომხეთის“ მეფედ გამოაცხადა, რომელიც არტაშეს I (189—161) სახელით გახდა ცნობილი სომხეთის ისტორიაში<sup>19</sup>. სწორედ ამ არტაშესმა, როგორც ცნობილია, ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოაპკრა მნიშვნელოვანი მიწა-წყალი<sup>20</sup>, რომელშიც ჯავახეთი შედიოდა, რაც მიუთითებს, რომ იარვანდ უკანასკნელის მმართველობაში ჯავახეთი სომხეთის საზღვრებში არ შედიოდა.

სამწუხაროდ, დარიოს III (336—330) ხანის სომხეთის სატრაპის იარვანდის შესახებ (დაახლ. 344—330) ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქორო-

<sup>19</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, 1963, p. 290-293.

<sup>20</sup> სტრაბონი, XI, 14, 5; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 189.

ხის ხეობა აქემენიანთა იმპერიაში შედიოდა<sup>21</sup> და სომხეთის მმართველი ორი იარვანდიდან (იარვანდ უკანასკნელი დაახლ. 200—189 წწ. და დარიოს III ხანის სომხეთის სატრაპი იარვანდი დაახლ. 344—330 წწ.) იარვანდ უკანასკნელს ჭავახეთის დაპყრობა არ შეეძლო, ჭავახეთის მიმტაცებლად ის იარვანდი უნდა ვიცნათ, რომელიც დარიოს III სომხეთის სატრაპი იყო (დაახლ. 344—330 წწ.). აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ცნობა იარვანდ უკანასკნელის ვასალის იბერთა მეფის ფარსმანის შესახებ მოვსეს ხორენაცის თხრობაში დარიოს III სომხეთის სატრაპის იარვანდის (დაახლ. 344—330) შესახებ არსებული წყაროდან შევიდა, ხოლო თუ როგორ დაიპყრო აქემენიდური ხანის სომხეთის სატრაპმა იარვანდმა (დაახლ. 344—330) ჭავახეთი, ამის შესახებ ლეონტი მროველი მოგვითხრობს, როდესაც იარვანდ დიდის მიერ წუნდის „ქაჯატუნად“ გადაქცევის ამბავს გადმოგვცემს<sup>22</sup>.

თუ იარვანდ უკანასკნელის (დაახლ. 200—189 წწ.) მეფობის ხანაში ქართლსა და სომხეთს შორის არსებული ისტორიული ვითარება სომხეთის მეფის იარვანდ უკანასკნელისა და ლეონტის მიერ მოხსენიებული იარვანდ დიდის გაიგივებას გამორიცხავს, თვით ლეონტი მროველი ამის საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდის. ლეონტის თქმით, ფარსმანისა და კაოსის მომდევნო მეფეთა — აზორკისა და არმაზელის მეფობის უამს, „მოკლა სუმბატ ბივრიტიანმა იარვანდ, მეფე სომეხთა, და დასვა მეფედ მამა იარვანდისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად არტაშან“<sup>23</sup>. ამრიგად, ლეონტი მროველს, მოვსეს ხორენაცის მსგავსად, არტაშანის, ანუ არტაშეს I (189—161 წწ.) გამეფება სუმბატ ბივრიტიანის მიერ იარვანდ უკანასკნელის (დაახლ. 200—189 წწ.) მოკვლის ეპიზოდთან აქვს დაკავშირებული, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ლეონტის იარვანდ დიდი იგივე იარვანდ უკანასკნელია, რადგან თვით ლეონტი ჭავახეთის მიმტაცებელ იარვანდ დიდს, სუმბატ ბივრიტიანის მიერ მოკლულ იარვანდთან, ანუ იარვანდ უკანასკნელთან (დაახლ. 200—189) აიგივებს. დავადგინოთ ლეონტის შეცდომის წყარო.

მოვსეს ხორენაცის მიხედვით, იარვანდ უკანასკნელს ჰყავდა მამა, სახელად ერუაზი<sup>24</sup>, ლეონტი მროველი კი სუმბატ ბივრიტიანის

<sup>21</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 440.

<sup>22</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 44.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>24</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 175 (ძვ. სომხ. ენა-

მიერ მოკლული იარვანდის ძმას არტაშანს უწოდებს. ამის გამო, თუ ერთი მხრივ, მოვსეს ხორენაცი და ლეონტი მროველი ერთმანეთს ზოგადად ეთანხმებიან, რადგან იარვანდის შემდეგ არტაშესი გამეფდება, მეორე მხრივ, ლეონტის წყარო, უშუალოდ მხოლოდ იარვანდს და მის ძმას არტაშანს, როგორც ამ ამბებში მონაწილე პირთ რომ შეეხება, მომდინარეობს იმ საისტორიო ტრადიციიდან, რომელიც სებეოსს ჰქონდა და არა მოვსეს ხორენაცის, რადგან სომხეთის მეფეთა ჩამოთვლისას, სებეოსი ჯერ ასახელებს იარვანდს, შემდგომ კი არტაშესს და, ლეონტის მსგავსად, საგანგებოდ ურთავს კომენტარს, რომ არტაშესი იარვანდის ძმა იყო<sup>25</sup>. ლეონტი მროველის მიერ იარვანდ-არტაშესის ამბების თხრობისას სომხურ წყაროთა ორი ნაკადია გაერთიანებული — მოვსეს ხორენაცისა და სებეოსის (რასაკვირველია, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ლეონტის აქ უშუალოდ მოვსეს ხორენაცისა და სებეოსის თხზულებები ჰქონდა ხელთ, საქმე მხოლოდ ისტორიულ ტრადიციებს ეხება, რომელნიც მოვსეს ხორენაცისთან, სებეოსთან და ლეონტი მროველთან აისახნენ — გ. მ.).

აღნიშნულ წყაროთა შერწყმის მიზეზი ლეონტი მროველთან თვით მოვსეს ხორენაცისა და სებეოსის მიერ გამოყენებულ წყაროთა სიახლოვეშია საძიებელი; რადგან ორივე სომეხი ისტორიკოსი იარვანდსა და არტაშესს ურთიერთმომდევნო მეფეებად ასახელებენ და ლეონტის, რომელმაც სუმბატ ბივრიტიანის გადმოცემის ქართულ ვერსიაში სებეოსთან შემონახული საისტორიო ტრადიცია იარვანდის ძმის არტაშესის შესახებ ჩაურთო, მოვსეს ხორენაცი ანალოგიური შეცდომა მოუვიდა, როდესაც მოვსეს ხორენაციმ, სახელთა იგივეობის გამო, იარვანდ უკანასკნელისა (დაახლ. 200—189) და დარიოს III (336—330) თანამედროვე იარვანდის შესახებ არსებული წყაროები გააერთიანა.

იარვანდ სახელის იგივეობის გამო ლეონტის წყარომ ჯავახეთის მიმტაცებელი იარვანდ დიდი (იგულისხმება დარიოს III სომხეთის სატრაპი იარვანდი) გააიგივა სებეოსისა და მოვსეს ხორენაცის საისტორიო ტრადიციის იარვანდ უკანასკნელთან (დაახლ. 200—189) და ამ გზით ლეონტის მიერ მოხსენიებულმა იარვანდ დიდმა იარვანდ უკანასკნელის სახე მიიღო. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ ჩაერთო იარვანდ დიდის გადმოცემა ჯავახეთის მიტაცების შესახებ

---

<sup>25</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, 1963, p. 284.



ლეონტის მიერ მოთხრობილ „ორმეფობის“ გადმოცემაში. ლეონტის მიხედვით, სუმბატ ბიერტიანი ქართლზე ორმეფობის ხანაში ლაშქრობს<sup>26</sup> და რადგან ლეონტისავე ცნობით, იარვანდს სუმბატ ბიერტიანი ჰკლავს<sup>27</sup>, იარვანდის მიერ ჭავჭავთის მიტაცების ეპიზოდზე ორმეფობის ხანას დაუკავშირდა<sup>28</sup>.

იარვანდ დიდის მიერ ჭავჭავთის მიტაცებაში, საეპქოა, რომ აქემენიდური ირანის ცენტრალურ ზელისუფლებას უშუალოდ მიეღო მონაწილეობა. ეს უფრო სომხეთის სატრაპიის მმართველთა ინიციატივა ჩანს. იმ დროის აქემენიანთა ცენტრალური ზელისუფლების საერთო უძღურების, მაგრამ სატრაპთა ძლიერების ხანაში, რომელნიც, როგორც ცნობილია, დამოუკიდებელ ომებსაც კი აწარმოებდნენ — იარვანდ დიდის (დაახლ. 344—330) მიერ ჭავჭავთის დაპყრობა მოულოდნელობას არ უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამ ხანებში სომხეთის მეზობელი აქემენიდური ირანის მიდიის სატრაპმა ატროპატემ, არიანეს ცნობით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლე ტომები — ალბანელები და საქასენელები დაიმორჩილა<sup>29</sup> და იარვანდ დიდის მიერ ჭავჭავთის დაპყრობა არსებითად ანალოგიურ პროცესს ასახავდა აქემენიანთა იმპერიის სომხეთის სატრაპიის მხრიდან.

ამრიგად, აქემენიდური ხანის მიწურულისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ქართლოსიანთა წილ მიწა-წყლის საზღვრებში შვიდი სახელმწიფო წარმონაქმნი არსებობდა: არიან-ქართლის სახელით ცნობილი სახელმწიფო წარმონაქმნი ოძრზოსის (გიტერუხის) მიწა-წყალს მოიცავდა და აქემენიდური იმპერიის ჩამოყალიბებს დროიდანვე აქემენიანთა ირანის საზღვრებში შედიოდა. როგორც ჩანს, ძვ. წ. IV საუკუნის 40-იან წლებში აქემენიდური ირანის საზღვრებში ჭავჭავთის მიწა-წყალზე არსებული სახელმწიფო წარმონაქმნიც აქემენიანთა საზღვრებში მოექცა, დანარჩენი ქართლოსიანი წილ მიწა-წყლის ფარგლებში არსებული სახელმწიფო წარმონაქმნები აქემენიდებს უშუალოდ არ ემორჩილებოდნენ, თუმც, რასაკვირველია, აქემენიანთა იმპერია მათზეც ახდენდა გავლენას.

ასეთი იყო ქართლოსიანთა წილ მიწა-წყლის საზღვრებში არ-

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 45—49.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>29</sup> ა რ ი ა ნ ე, ალექსანდრეს ანაბაზისი, III, VIII, 4—5.

სებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა სოციალური და პოლიტიკური ვითარება, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიდური ირანის განადგურებამ ქართლოსიან წილ მიწა-წყლის საზღვრებში არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა შორის მიმდინარე საუკუნოვანი ბრძოლა ახალ ფაზაში გადაიყვანა და რომელსაც ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა მოჰყვა.

ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემების თანახმად ქართლის (იბერიის) სამეფო ალექსანდრე მაკედონელის მიერ მცხეთაში აზონის (აზოს) გაბატონების შედეგად წარმოიქმნა. ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ აღნიშნულ გადმოცემასთან მიმართებით ყურადღებას იმსახურებს მოვსეს ზორენაციის მიერ შემონახული გადმოცემა, რომლის მიხედვით, სახელმწიფო რეფორმების ჩატარების დროს, სომხეთის მეფე ვალარშაკი „კავკასიის მთის პირისპირ მდებარე ჩრდილოეთის მხარის მმართველად აწესებს დიდსა და ძლიერ საგვარეულოს და მის მამამთავარს აძლევს გუგარელთა ბღეშხის წოდებას. იგი (ეს საგვარეულო — გ. მ.) გამოსული იყო ნათესავისაგან მიპრდატისა, დარეპის ნახარარისა, რომელი მოიყვანა ალექსანდრემ და დასტოვა (გამგებლად) იბერებზე“<sup>30</sup>. შემდგომ მოვსეს ზორენაცი სომხეთის მეფის არტაშესთან დაკავშირებით იგივე გადმოცემას იმეორებს: „ხოლო თავის ასულს არტაშამას (იგულისხმება არტაშესი — გ. მ.) აძლევს ცოლად ვინმე მიპრდატს, იბერთა დიდ ბღეშხს, რომელიც (გამოსული) იყო დარეპის ნახარარის მიპრდატის საგვარეულოდან, რომელიც დააყენა (მმართველად) ალექსანდრემ იბერთა ქვეყანაზე“<sup>31</sup>.

გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ მოვსეს ზორენაციის მოტანილი ცნობები იბერთა პიტიანშთა სახლიდან მომდინარეობენ და იგივე გადმოცემების ვარიანტს წარმოადგენენ, რომელიც ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ შემოგვინახა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზონის ქართლის მმართველად დანიშვნის შესახებ<sup>32</sup>.

<sup>30</sup> მოვსეს ზორენაციის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 114 (ძვ. სომხ. ენაზე). მოვსეს ზორენაცი ამაბობს, რომ დარეპის ნახარარი მიპრდატი ალექსანდრემ „დასტოვა (გამგებლად) ტყვე იბერებზე“. თუ საიდან გაჩნდა გადმოცემა ტყვე იბერიელთა შესახებ, იხ. გ. მ. ე. ლ. ი. ქ. ი. შ. ე. ი. ლ. ი., ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცი და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1962, № 2.

<sup>31</sup> მოვსეს ზორენაციის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 121 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>32</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 443—444.

მოესეს ხორენაცის ზემომოტანილი გადმოცემა ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემასთან რომ ორგანულად არის დაკავშირებული, ამაჲი ექვის შეტანა არ შეიძლება, რადგან სამივე გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერების მმართველის დანიშვნის შესახებ მოგვითხრობს, ოღონდ სამივე გადმოცემას შორის დიდი განსხვავებაც არის.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაყენებულ იბერთა მმართველს, მოესეს ხორენაცის ცნობით, მიჰრდატი ერქვა, ხოლო ლეონტი მროველის და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად — აზონი (აზო). ამ განსხვავების მიუხედავად, საყურადღებო ის არის, რომ სამივე წყარო მიჰრდატის თუ აზონის (აზოს) წარმოშობის შესახებ ერთიმეორის საწინააღმდეგო სრულიად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. თუ მოესეს ხორენაცის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერთა მმართველად დაყენებული მიჰრდატი დარიოს III ნახარაი იყო, რაც გვაგარაუდებინებს, რომ მიჰრდატი ირანელი უნდა ყოფილიყო, ლეონტი მროველის თანახმად, ალექსანდრეს მიერ იბერთა მმართველად დანიშნული აზონი მაკედონელია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით კი, ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერთა მმართველად დანიშნული აზო არიან-ქართლის მეფის ძეა, ანუ ოძრხის (ვიტერუხის, მესხთა) სახელმწიფო წარმონაქმნის მეფის ძე იყო. რასაკვირველია, ის, ვინც ალექსანდრე მაკედონელის შემწეობით იბერებზე გაბატონდა, არ შეიძლება ერთდროულად ყოფილიყო ირანელი, მაკედონელი. ან ოძრხის (ვიტერუხის, მესხთა) სახელმწიფო წარმონაქმნის მეფის ძე, ისევე როგორც მას არ შეიძლებოდა რქმეოდა ერთდროულად მიჰრდატი ან აზონი (აზო). ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემებიც, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართველთა მმართველად დანიშნულ პირს ერთსადაიმავე სახელს — აზონს (აზოს) უწოდებენ, აზონის (აზოს) დახასიათებისას სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

აზონი მაკედონელი რომ არ იყო, როგორც აღვნიშნეთ, აზონისა და ფარნავაზის მიერ აღმართული არმაზისა და გაცის და გასკულტებზე დაკვირვების შედეგად მტკიცდება. მართალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობიდან გამომდინარე დასკვნა, რომ აზო ოძრხის (ვიტერუხის, მესხეთის) სახელმწიფოს წარმონაქმნის მეფის ძე იყო, სწორი ჩანს, ამისდა მოუხედავად დასადგენია, თუ ვინ იყო დარიოს III (336—330) ნახარაი მიჰრდატი, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა იბერიის მმართველობა მისცა. მხოლოდ ამ საკითხის შეს-

წავლის შედეგად შეიძლება გაირკვეს ურთიერთობა აზოსა და მიპრდატს შორის.

როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ირანზე გაილაშქრა, 334 წელს გრანიკთან გამარჯვების შემდგომ ალექსანდრე მაკედონელი მცირე აზიის უძლიერეს ციხე-სიმაგრეს, ქალაქ სარდესს მიუახლოვდა. სწორედ ამ დროს ქალაქის გარნიზონის თავმა — მითრენმა დარიოს III უღალატა და სარდესის ციტადელი მასში შენახული განძეულობით ალექსანდრეს ჩააბარა<sup>33</sup>. ალექსანდრემ მითრენი ლაშქრობაში გაიყოლა და დაიხლოვა კიდევ<sup>34</sup>. 331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა დარიოსი გავგამელას ბრძოლაში საბოლოოდ გაანადგურა და გავგამელასთან გამარჯვების შემდეგ ალექსანდრემ სომხეთის სატრაპად დარიოს III სახელმწიფო სამსახურში ნამყოფი სარდესის ყოფილი გარნიზონის თავი მითრენი დანიშნა<sup>35</sup>. ალექსანდრე მაკედონელს მითრენი „პატივში“ შემთხვევით არ ჰყავდა. მითრენი იარვანდიანთა სახლის შვილი იყო, ზოლო აქემენიდური ირანის სომხეთის სატრაპია იარვანდიანთა სახლს ეკუთვნოდა. კ. თუმანოვი სწორად შენიშნავს, რომ მითრენის იარვანდიანობამ განაპირობა ალექსანდრე მაკედონელის არჩევანი, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა მითრენი სომხეთის სატრაპად დანიშნა<sup>36</sup>. ალექსანდრე მაკედონელმა, რასაკვირველია, მშვენივრად იცოდა, რომ მას სომხეთის სატრაპად მხოლოდ ისეთი სახლის შვილი უნდა დაენიშნა, რომელიც უცხო არ იქნებოდა იმ დროის სომხეთის მმართველი არისტოკრატიისათვის, ამ პირობებზე კი მითრენი ყველაზე კარგად აკმაყოფილებდა.

ანალოგიურად მოიქცა ალექსანდრე მაკედონელი მიდიის სატრაპიის მიმართაც, რომლის საზღვრებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრები ალბანელები და საკასენელები შედიოდნენ. არიანეს ცნობით, მიდიის სატრაპად ალექსანდრემ ამავე სატრაპიის დარიოს III ყოფილი სატრაპი — ატროპატე დანიშნა<sup>37</sup>.

<sup>33</sup> ა რ ი ა ნ ე, ალექსანდრეს ანაბაზისი, I, XVII, 3—5; დ ი ო დ ო რ ე ს ი ო ი ლ ი ე ლ ი, XVII, XXI, 7.

<sup>34</sup> კ ვ ი ნ ტ უ ს კ უ რ ც ი უ ს რ უ ფ უ ს ი, III, XII, 7.

<sup>35</sup> ა რ ი ა ნ ე, ალექსანდრეს ანაბაზისი, III, XVI, 5; დ ი ო დ ო რ ე ს ი ო ი ლ ი ე ლ ი, XVII, XIV, 6; კ ვ ი ნ ტ უ ს კ უ რ ც ი უ ს რ უ ფ უ ს ი, V, I, 44.

<sup>36</sup> C. T o u m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 280, 289.

<sup>37</sup> ა რ ი ა ნ ე, ალექსანდრეს ანაბაზისი, IV, XVIII, 3.

მოვსეს ხორენაცი, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, იბერთა პიტიახშთა წინაპრად დარიოს III (336—330) ნახარას ასახელებს, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა იბერიის მმართველობა მისცა, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა იბერიის მმართველობა არიან-ქართლის მეფის ძეს — აზოს, ჩააბარა. ამიტომ არის, რომ მიპრდატსა და აზოს ერთმანეთთან აიგივებენ<sup>38</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც კავკასიაში შეიქმნა აქემენიდური ირანის კატასტროფისა და კავკასიის საზღვრებთან მაკედონური იმპერიის აღმოცენების შედეგად, შესაძლებელი ჩანს აზონისა და მიპრდატს ურთიერთობის გარკვევა.

მოვსეს ხორენაციის მიერ მოხსენიებული დარიოს III ნახარადყოფილი მიპრდატი, რომელსაც ალექსანდრემ იბერიის მმართველობა მისცა, დარიოს III იმპერიის ლიდის სატრაპიის დედაქალაქის სარდესის გარნიზონის თავი — მითრენი იყო (დიოდორე სიცილიელი მითრენს სატრაპად ასახელებს — გ. მ.), რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ძვ. წ. 331 წელს სომხეთის სატრაპად დანიშნა. სომხეთი მაკედონელებს რომ ემორჩილებოდა, ამას ადასტურებენ სტრაბონი, პლინიუს უფროსი და სოლინუსი<sup>39</sup>, ხოლო მითრენი სომხეთს რომ განაგებდა, დასტურდება ნემრუდ-დაღის ეპიგრაფიკული წარწერებიდან<sup>40</sup>. მითრენი ძვ. სპარსული მიპრის ზერცნული ფორმაა, ხოლო მიპრდატი ძვ. სპარსულად მიპრის მოცემულს ნიშნავს. რადგან იბერთა პიტიახშებს თავისი თავი მიპრის ჩამომავლებად მიაჩნდათ და მოვსეს ხორენაციც მათ მხოლოდ მიპრდატ სახელით იცნობს, როგორც ჩანს, მოვსეს ხორენაციის მიერ მოხსენიებულ პიტიახშებს ზოგადად მიპრდატს უწოდებდნენ და ამის გამოც, მიპრი მიპრდატად შეიცვალა.

მოვსეს ხორენაციის მიერ მოხსენიებული მიპრდატის აზონთან

---

<sup>38</sup> გ. მ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1962, № 2.

<sup>39</sup> სტრაბონი, XI, XIV, 15; პლინიუს უფროსი, IV, X, 39;

ოლინუსი, IX, XIX.

<sup>40</sup> C. T o u m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 293.

გაიგივებიდან<sup>41</sup>, რასაკვირველია, არ გამომდინარეობს, რომ აზო (აზონი) უშუალოდ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დანიშნული ქართლის მმართველი იყო (ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ცნობილია, კავკასიაში არასდროს ყოფილა — გ. მ.), მაგრამ წყაროები მიგვითითებენ, რომ არიან-ქართლის მმართველმა სახლმა (აზო და მის „ნათესავში“ შემავალმა ზევისუფლებმა, რომელთაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მამამიწეებს უწოდებს — გ. მ.) ურთიერთობა დაამყარა სომხეთის სატრაპიის ახლადწარმოქმნილ მაკედონელთა სახელმწიფო ხელისუფალთან — მითრენთან.

მითრენს, როგორც მაკედონელთა მიერ დანიშნულ იარვანდიანთა გვარის სომხეთის სატრაპს, მაკედონელთა ხელში გადასული აღნიშნული რეგიონის ყოფილი აქემენიდური იმპერიის მიწა-წყლის ბედი ეკითხებოდა. ამის გამო, ყოფილ აქემენიდურ იმპერიაში შემავალ ოძრხოსის და ჯავახოსის მიწა-წყალზე არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა გამგებლობაც ალექსანდრე მაკედონელის სახელით მითრენის ხელში გადავიდა. როგორც აღვნიშნეთ, ვასალად მოკიდებას ძველ ქართლში (იბერიაში), ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შვილად მოკიდებას უწოდებდნენ ხოლმე, რაზედაც ლეონტი მროველი მიგვითითებს. როდესაც ფარნავაზი სელევკიდებს ვასალად მოეკიდა, ანტიოქოსმა, ლეონტის თქმით, ფარნავაზს „უწოდა შვილად თესად, და წარმოსცა გვრგვნი“<sup>42</sup>. ამის გამო, გადმოცემა იბერთა პიტიანშთა დარიოსის ნახარადყოფილი მიჰრდატისგან ჩამომავლობის შესახებ, აზოს მითრენისადმი შვილობის სოციალურა მნიშვნელობის გააზრების შედეგად გაჩნდა. მოვსეს ხორენაცის მიერ შემონახული გადმოცემის წყარო იბერთა მმართველად ალექსანდრე მაკედონელის მიერ დარიოს III ნახარარის მიჰრდატის დანიშვნის შესახებ, გ. მელიქიშვილის აზრით, თვით იბერთა პიტიანშთა საგვარეულო იყო<sup>43</sup> და, ეს გადმოცემაც იმიტომ არის ნდობის ღირსი, რომ იგი იბერთა პიტიანშთა წინაპრად მაინცდამაინც დარიოს III (336—330) ნახარადყოფილ მიჰრდატს ასახელებს და არა. თვით ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც, როგორც წინაპარა, მითრენთან შედარებით უფრო სასახელო უნდა ყოფილიყო იბერთა პიტი-

<sup>41</sup> გ. მ. ე. ლ. ი. შ. ე. ი. ლ. ი., ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1962, № 2.

<sup>42</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 23.

<sup>43</sup> გ. მ. ე. ლ. ი. შ. ე. ი. ლ. ი., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 15.

ახშთა სახლისათვის. ამრიგად, აზო (აზონი) ალექსანდრეს „მფარველობაში“ მითრენის შეიღობის საშუალებით შევიდა.

არიან-ქართლის ხელისუფალთა და მაკედონელთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და „ბერძნების“ მხარდაჭერით აზო (აზონი) მაკედონელთა იმპერიის საზღვრების გაფართოებას შეუდგა. კავკასიაში, რაც მისი საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას ნიშნავდა დაპყრობილ მიწა-წყალზე.

წყაროები მიუთითებენ, რომ ალექსანდრე მაკედონელი ყურადღებას იჩენდა კავკასიისა და კავკასიის მოსაზღვრე ქვეყნების მიმართ. კავკასიისა და კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებისადმი ინტერესებმა, ი. დროიზენის აზრით, განაპირობეს ალექსანდრე მაკედონელის გეგმა კასპიის ზღვაში ფლოტის მშენებლობის შესახებ<sup>44</sup>. ალექსანდრე მაკედონელი რომ ინფორმაციას აგროვებდა კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების შესახებ, ამას არიანეც ადასტურებს<sup>45</sup>.

თავდაპირველად აზომ (აზონმა) კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი — მტკვარ-არაგვის შესაყარო რეგიონი — ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის ცენტრი იგდო ხელთ, შემდეგ დანარჩენ ქართლოსიანთა მიწა-წყლის საზღვრებში არსებული სახელმწიფო წარმონაქმნები დაიმორჩილა, კოლხეთზე და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კავკასიის მთიანეთის ერთ ნაწილზე თავისი გავლენა გააგრძელა და, ამ გზით ქართლის (იბერიის) საზღვრები მოიხაზა (აღმოსავლეთით ჰერეთი, დასავლეთით ეგრის წყალი, ჩრდილოეთით ცროლის მთა (ხევსურეთი), სამხრეთით სომხეთი)<sup>46</sup>. აზონის (აზოს) ომის კვალი ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის მიწა-წყალზე არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა. სამადლოს<sup>47</sup> (მდებარეობს მდ. ქსნისა და მტკვრის შესართავში), ციხიაგორის<sup>48</sup> (კასპის რ-ნი, სოფ. კავთისხევთან) და ურბნასის ძვ. წ.

<sup>44</sup> И. Д р о з з е н, История Эллиназма, т. I, М., 1890, стр. 389.

<sup>45</sup> ა რ ი ა ნ ე, ალექსანდრეს ანაბაზისი, IV, XV, 1—3.

<sup>46</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1961, გვ. 81.

<sup>47</sup> ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968—1969 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ. 59.

<sup>48</sup> იხ. კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972—1974 წლების ანგარიში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძეგლთა აღწუსხვის განყოფილების არქივში ინახება.

IV—III საუკუნეთა მიჯნის ფენები გადამწვარი და ნაცრადქცეულია. ურბნისში ამ ზანის არქეოლოგიური ფენა ზოგ ადგილას თითქმის ნახევარმეტრიანი ნაცრის ფენით არის წარმოდგენილი, რომელშიც ქვის ყუმბარები გვხვდება<sup>49</sup>, ხოლო ციხიაგორის ძვ. წ. IV—III საუკუნეების არქეოლოგიური ფენა მთლიანად გადამწვარია და მასში კედლების სანგრევი საგანგებო იარაღია აღმოჩენილი.

საეჭვოა, რომ ასეთი ფართო საომარი მოქმედების გაშლა აზონს (აზოს) მხოლოდ საკუთარი ძალებით შესძლებოდა და „ბერძენთა“ მონაწილეობა აზონის (აზოს) ომებში ფრიად სავარაუდო ჩანს. რადგან აზონმა თავისი დაპყრობებით მაკედონელთა იმპერიის საზღვრები გააფართოვა, მაკედონელებმა აზონი მის მიერ დაპყრობილი მიწაწყლის მმართველად იცნეს და ეს ფაქტიც არის ასახული „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობაში, რომელიც ქართლის (იბერიის) პირველ მეფედ არიან-ქართლის მეფის ძეს აზოს ასახელებს<sup>50</sup>.

ძველქართულ და ძველსომხურ საისტორიო ტრადიციას, რომელიც ქართლს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის საზღვრებში განიხილავს, ადასტურებს პლინიუს უფროსის (23—79) ცნობაც. პლინიუს უფროსი ზუსტად ჩამოთვლის ალექსანდრეს იმპერიაში შემავალ ქვეყნებს, რაც მიუთითებს, რომ ის სანდო წყაროთი სარგებლობს და მაკედონელთა იმპერიაში შემავალ ქვეყნებს პლინიუს უფროსი სომხეთთან ერთად იბერიასაც მიათვლის<sup>51</sup>. პლინიუს უფროსის აღნიშნულ ცნობას იმეორებს ახ. წ. III საუკუნის რომაელ მწერალი სოლინუსიც<sup>52</sup>.

აღნიშნულ ცნობებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს პლუტარქეს მოთხრობა, პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობას რომ შეეხება. იბერიაში პომპეუსის შემოჭრის წინ პლუტარქე იბერთა შესახებ წერს, რომ „იბერნი რიცხვით აღბანებს არ ჩამოუვარდებოდნენ. გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ. იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე მაკედონელთა ბრძანებლო-

<sup>49</sup> ლ. კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ. I, თბ., 1968, გვ. 36.

<sup>50</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 81.

<sup>51</sup> პ ლ ი ნ ი უ ს უ ფ რ ო ს ი, IV, X, 39.

<sup>52</sup> ს ო ლ ი ნ უ ს ი, IX, XIX.



ბაც აიციდინეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა ჰირკანიიდან. მაგრამ პომპეუსმა იბერები დაამარცხა დიდ ბრძოლაში ისე, რომ ცხრა ათასი კაცი მოკლულ იქნა, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელებს ჩაუვარდა ტყვედ<sup>53</sup>. პლუტარქეს მოტანილი ცნობიდან ვერ გამოვიტანთ დასკვნას, რომ ქართლი ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის გავლენის გარეთ დარჩა. ამ ცნობის გარჩევისას კ. თუმანოვმა სამართლიანად მიუთითა, რომ პლუტარქე პომპეუსის პანეგირიკოსი იყო და პომპეუსის განდიდებას ცდილობდა<sup>54</sup>.

პლუტარქეს ტენდენციურობაზე თუნდაც ის მიუთითებს, რომ მისი ცნობით, იბერებს თურმე პომპეუსის დამარცხება მითრიდატეს საამებლად სდომებიათ. ქართლის (იბერიის) სამეფო ხელისუფლების ინტერესებში პონტოს სამეფოს დამარცხება შედიოდა. მითრიდატე VI ევპატორს (111—63) კოლხეთი ჰქონდა დაპყრობილი, რომელსაც ქართლის მეფენი თავის მიწა-წყლად თვლიდნენ ფარნავაზის დროიდან. პლუტარქეს თქმით, იბერები გადაურჩნენ მაკედონელთა ბრძანებლობას, რადგან „ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა ჰირკანიიდან“<sup>55</sup>, ანუ პლუტარქეს იმის თქმა სურს, რომ ალექსანდრეს უშუალოდ იბერიაში არ ულაშქრია, ხოლო, როგორც ცნობილია, ალექსანდრეს იმპერიის გავლენის ქვეშ არაერთი ისეთი ქვეყანა მოექცა, სადაც ალექსანდრეს ფეხი საერთოდ არ დაუდგამს.

ლეონტი მროველი არ უნდა აკარბებდეს აზონის (აზოს) სისასტიკის აღწერაში. აზონი (აზო) ხელმწიფობისაკენ მიისწრაფოდა და მის მიერ შემოღებული სასტიკი ტერორი ერთადერთი გზა იყო ამ მიზნის მისაღწევად. აზონის (აზოს) ტერორის პირველი მსხვერპლნი, რასაკვირველია, ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის „თავი“ (უფალი, მამასახლისი) სამარა და მისი ძმა — ფარნავაზის მამა გახდნენ. სამი წლის ფარნავაზი სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ დედამისმა იგი კავკასიის მთიანეთში გახიზნა. აზოს დამკვიდრება ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის ცენტრში მის მიერ მოყვანილ მამა-მძუძეებთან ერთად, რომელნიც აზოს ნათესალებს წარმოადგენდნენ, ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის „თავის“ (მამასახლისი, უფალი) ნათესავის სოციალურ დამცრობას მოასწავებდა. აზონი ქართ-

<sup>53</sup> პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, თბ., 1957, გვ. 117.

<sup>54</sup> C. T o u m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 81.

<sup>55</sup> პ ლ უ ტ ა რ ქ ე, პომპეუსი, თბ., 1957, გვ. 117.

ლის სახელმწიფო წარმონაქმნის საბოლოოდ შემოშორებას რომ აპირებდა, ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობიდან ჩანს, რომელთა თანახმად, აზონს „ქართლის მთაზე“ თავისი საგვარეულო კერპები — გაცი და გა აღუმართავს, ქართლის მთა კი ის „გორა“ იყო, საიდანაც ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის „თავის“ ნათესავი აღზევდა. ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნში შემავალ ხევისუფალთა (სამარას ნათესავი) მიმართ აზონი არაქაროველი, სისხლიანი უცხო დამპყრობი იყო. ლეონტი მროველი რელიეფურად ასახავს იმ სასტიკ ტერორს, რომელსაც აზონი ეწეოდა ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის ხევისუფალთა (= ქართველთა ნათესავს) წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ მათი ერთიანი გაყლევით შეეძლო აზონს ქართლოსიან წილ მიწა-წყალზე არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა შორის ეკონომიურად ყველაზე უფრო დაწინაურებულის ხელში ჩაგდება. გეოგრაფიულადაც მხოლოდ ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნს შეეძლო ქართლოსიან წილ მიწა-წყალზე არსებულ სხვა სახელმწიფო წარმონაქმნთა შემოკლება.

ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის „თავი“ (უფალი, მამა-სახლისი) ქართლოსიანთა წილ მიწა-წყალზე არსებულ დანარჩენ სახელმწიფო წარმონაქმნთა „თავთა“ (უფალთა, მამასახლისთა) შორის primus inter pares-ად ითვლებოდა („ზენა უფალი“) და მონარქის პრეტენზიებიც მას უნდა ჰქონოდა. როგორადაც მწიგნობრული კონსტრუქციის გავლენით შექმნილად არ გამოიყურებიან ლეონტი მროველის სიტყვები ფარნავაზის შესახებ<sup>56</sup> (ფარნავაზი ამბობს: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა“, რაზედაც ქუჩი პასუხობს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა“ — „თქვის“ მშვენიერი განმარტება! — გ. მ.), ფარნავაზი ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის „თავის“ „თქვი“ იყო და კანონიერი „პრეტენზიები“ მონარქობაზე მხოლოდ მას შეიძლება ჰქონოდა, მით უფრო, რომ თუ მანამდე ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის „თავი“ primus inter pares-ის სტატუსს ვერ გასცილდა, აზონი, მართალია, ტერორით, მაგრამ მაინც ხელმწიფობით ბატონობდა მის მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე.

იმის მიუხედავად, რომ აზონის (აზონს) ბატონობა მის მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე მაკედონელებმა ცნეს და აზოც (აზონი) ამ მიწა-წყალზე თავს მეფედ გრძნობდა, აზონის (აზონს) „მეფობა“ მხოლოდ დროებითი შეიძლება ყოფილიყო და მისი დამარცხება გარდა-

<sup>56</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 22.

უვალი იყო. აზონი (აზო) ძველ მცხეთაში მხოლოდ იმ შემთხვევაში იგრძნობდა თავს უშიშრად, მას რომ ქართლის მთაზე მსხდომი „თავის“ „თკის“ მის ნათესაებთან ერთად ერთიანად გაეყლიტა და ამის შედეგად ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნის ხევისუფლებად თავისი სეფეწულები (აზონის მიერ მოყვანილი მამამძუძეები) დაეყენებინა. ამ გზით, აზონის „თკის“ და „ნათესავი“ ქართლის მთაზე მსხდომი „თავის“ „თკის“ და „ნათესავის“ ადგილს დაიჭერდა და აზონი (აზო) თვით იქცეოდა „კანონიერ“ *primus inter pares*-ად ზენა უფლის ფუნქციით დანარჩენ ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა უფალთა (თავთა, მამასახლისთა) შორის, რაც აზონის „კანონიერი“ გამონარჩების წინაპირობა იყო. ამის გაცემა კი აზონისთვის, რასაკვირველია, შეუძლებელი აღმოჩნდა. ქართლის სახელმწიფო წარმონაქმნი ყველაზე განვითარებულ სახელმწიფო წარმონაქმნს წარმოადგენდა ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა შორის და აზონმაც ფარნავაზის თკის და ნათესავის გაცლეტა ვერ შესძლო.

დაახლოებით ორ ათეულ წელიწადზე მეტი ხანი გაგრძელდა აზონის (აზოს) მეფობა ძველ მცხეთაში (ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზი ოცდაშვილი წლის გამეფდა, ხოლო როდესაც აზონმა მცხეთა დაიპყრო ფარნავაზი სამი წლის იყო)<sup>57</sup>. ამ დროის განმავლობაში საერთაშორისო ვითარება კავკასიის სამხრეთით მომიჯნავე ქვეყნებში ძირფესვიანად შეიცვალა. ძვ. წ. 323 წელს გადაიკვალა ალექსანდრე მაკედონელი, ალექსანდრეს იმპერიის ხელისუფლების სათავეში მყოფი მაკედონური სამხედრო არისტოკრატია მტრულად იყო განწყობილი იმპერიის სამსახურში მყოფ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაწინაურებულ ირანული არისტოკრატის სახლის შვილებისადმი. ძვ. წ. 323 წელს, ალექსანდრეს იმპერიის დანაწილების დროს, სომხეთის სატრაპია ნეოპტოლემოსს ერგო. მაკედონელთა სამხედრო არისტოკრატია იმპერიის დანაწილებისთანავე ერთმანეთთან გაუთავებელ ომებში ჩაება და მაკედონური წარმოშობის დინასტიამ სომხეთში ფეხი ვერ მოიკიდა. ძვ. წ. 316 წლიდან სომხეთს კვლავ მითრენის სახლი — იარვანდიანნი დაეუფლნენ, ოღონდ სომხეთის მმართველი ალექსანდრე მაკედონელის მიერ დანიშნული სომხეთის სატრაპი მითრენი აღარ იყო. იარ-

<sup>57</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 20, 25.

ვახდიახხი სელევიკიდებს დამორჩილდნენ და სომხეთის ძმართვე-  
ლობა არტაშეს I (189—161) გამეფებამდე შეინარჩუნეს<sup>58</sup>.

საერთაშორისო ურთიერთობათა ამ მლელვარე ხანაში აზონი (აზო) ტერორის საშუალებით „მეფობდა“ ძველ მცხეთაში, ვიდრე აჯანყებულმა ფარნავაზმა იგი ძველი მცხეთიდან არ განდევნა. ლეონტი მროველის თქმით, „წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა“<sup>59</sup>. აზონი (აზო) კლარჯეთში იმითმ აფარებს თავს, რომ კლარჯეთი არიან-ქართლში შედიოდა (ოძრხოსის წილი ქვეყანა იყო) და აზონის „სამკვიდრე-ბელს“, აზონის მამულს, წარმოადგენდა. კლარჯეთი თავისი მიუდგომლობით საერთოდ ცნობილია და შევიწროებულ აზონს (აზოს) მხოლოდ აქ შეეძლო უშიშრად ეგრძნო თავი. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სწორია ლეონტი მროველს მიერ მოთხრობილი ფარნავაზ-აზონის ომის ცალკეული დეტალები, მაგრამ ლეონტის ის ცნობა, რომ ფარნავაზის მიერ აზონის მოკვლის შემდეგ, ვიდრე ფარნავაზი უშუალოდ კლარჯეთს დაიპყრობდეს, მან კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ჭოროხის ხეობის საანახები (არიან-ქართლი) დალაშქრა, უთუოდ საყურადღებოა. ლეონტი მროველის თქმით, „მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე ქმნნეს. და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლევით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წამოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა“<sup>60</sup>.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აზონს (აზოს) ძველი მცხეთა ძვ. წ. დაახლ. 330—323 წლებს შორის უნდა დაეპყრო, ხოლო აზონის „მეფობა“ ძველ მცხეთაში დაახლ. ოცდაოთხ წელს გაგრძელდა, ფარნავაზის გამეფება ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულზე მოდის. ამ დროს სელევიკიდების სამეფოს სელევკოს I მართავდა და ის ანტიოქოსი (ანტიოქოს სახელით, გ. მელიქიშვილის აზრით, ლეონტი მროველი სელევიკიდების დინასტიას ასახელებს)<sup>61</sup>, რომელმაც ფარნავაზის მეფობა იცნო, სელევკოს I უნდა ყოფილიყო. ლეონტი მროველის თქმით, ჯერ კიდევ აზონთან ომის დროს, „ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძლუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება... ხოლო ანტიოქოს

<sup>58</sup> C. T o u m a n o f f, *Studies in Christian Caucasian History*, 1963.

<sup>59</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 23.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>61</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 466.

შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თვსად, და წარმოსცა გვრგვნი“<sup>62</sup>.

ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ფარნავაზი ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნის დროს ერისთავებს იმ მიწა-წყალს აძლევს, რომელიც ფარნავაზის გამეფებამდე ქართლოსიანთა წილ მიწა-წყალს წარმოადგენდა და ერისთავნიც იგივე ქართლოსიანნი იყვნენ<sup>63</sup>. ფარნავაზმა ქართლის (იბერიის) სამეფო ქართლოსიანთა წილ მიწა-წყალზე არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა „თავთა“ (უფალთა, მამასახლისთა) წულობით (შვილობით) შექმნა, რაც ქართლის (იბერიის) სამეფოს ფარგლებში არსებულ ხევისუფალთა საბოლოო სოციალურ კონსოლიდაციას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ ფარნავაზმა აზონის (აზოს) მიერ მცხეთაში აღმართული გაცის და გას კულტები კი არ გაანადგურა, არამედ მათ შორის, ცენტრში, თავისი საგვარეულო კულტი არმაზი აღმართა, რაც სიმბოლურად ასახავდა ფარნავაზისა და აზონის „სახლების“ სოციალურ კონსოლიდაციას.

თუ ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნამდე ქართლის მთაზე მოსახლე ნათესავის სოფელს ისტორიული შიდა ქართლის მიწა-წყალზე (ქართლოსიან უფლოსის წილ ქვეყანა) არსებულ მწიფო წარმონაქმნი წარმოადგენდა და ერისთავთა სახლების სოციალური კონსოლიდაციის შედეგად, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის მთაზე მოსახლე ნათესავის მიერ საერისთავო სახლების წულობაში (შვილობაში) გამოიხატებოდა, ქართლის მთაზე მოსახლე ნათესავის „უფლება“ ქართლოსიან სახელმწიფო წარმონაქმნთა მიწა-წყალზეც გავრცელდა და „სოფელი ქართლისა“, ანუ ქართლის (იბერიის) სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

<sup>62</sup> ქართლის ცხოვრება, ტ I, თბ., 1955, გვ. 23.

<sup>63</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975, გვ. 152.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ბენეფისი  
ქართლის (იბერიის) სამეფოს  
წარმოქმნის შესახებ

აზონი (აზო) მაკედონელი რომ არ იყო, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ იმ ცნობით მტკიცდება, რომლის თანახმად წმ. ნინომ ქართლის მთაზე ფარნავაზისა და აზონის მიერ აღმართული კერპები ურთიერთის გვერდით იხილა<sup>1</sup>. კითხვა დაისმის, ქართლის (იბერიის) სამეფოს რომელ წრეში შეიქმნა ის გადმოცემა აზოს (აზონის) შესახებ, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემოგვინახა. თავისთავად იგულისხმება, რომ აღნიშნული გადმოცემა ოძრხისა და კლარჯეთის ერისთავთა წრეშია საძიებელი, რადგან ფარნავაზმა ოძრხის სახელმწიფო წარმონაქმნის მიწა-წყალი, რომლის „თავი“ აზონი იყო, ~~საჲს და ოძრხისა და კლარჯეთის საერისთავოები შექმნა.~~ ოძრხისა და კლარჯეთის ერთადერთ სახლთან უნდა იყოს დაკავშირებული გენეტიურად იბერთა პიტიახთა სახლიც. როგორც აღვნიშნეთ, გ. მელიქიშვილის აზრით, მოვსეს ხორენაცის გადმოცემა ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერთა მმართველის დანიშვნის შესახებ, იბერთა პიტიახშთა წრიდან მომდინარეობს<sup>2</sup>. აწის გამო, მოქცევაჲ ქართლისაჲსი“ შემონახული აზონის (აზოს) გადმოცემის გენეზისის წარმოსაჩენად დავადგინოთ იბერთა პიტიახშთა ვინაობა. კვლავ მოვიტანოთ მოვსეს ხორენაცის ცნობა იბერთა პიტიახშების შესახებ.

მოვსეს ხორენაცი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი გარდაქმნების დროს სომხეთის სამეფოში, სომხეთის მეფე ვალარშაკი „კავკასიის მთის პირისპირ მდებარე ჩრდილოეთის მხარის მმართველად აწესებს დიდსა და ძლიერ საგვარეულოს და მის მამამთავარს აძლევს გუგარელთა ბდეშხის წოდებას. იგი (ეს საგვარეულო) გა-

<sup>1</sup> ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 119—120.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 443.

მოსული იყო ნათესავისაგან მიჰრდატისა, დარეჰის ნახარარისა, რომელიც მოიყვანა ალექსანდრემ და დატოვა (მთავრად) იბერიელებზე“. შემდგომ, როდესაც მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს ვალარშაკის შეილიშვილის, სომხეთის მეფის არტაშესის შესახებ, რომელსაც არტაშეს პირველს უწოდებს, იგი წერს: „ხოლო თავის ასულ არტაშამას (იგულისხმება არტაშეს პირველი — გ. მ.) აძლევს ცოლად ვინმე მიჰრდატს, იბერთა დიდ ბღემშს, რომელიც (გამოსული) იყო დარეჰის ნახარარის მიჰრდატის საგვარეულოდან და რომელიც დააყენა (მმართველად) ალექსანდრემ იბერთა ქვეყანაზე“.

არტაშეს პირველის შემდგომ გამეფდება მისი ძე, რომელსაც მოვსეს ხორენაცი ტიგრან საშუალოს უწოდებს და რომლის და, სახელად არტაშამა, ცოლად ჰყავდა იბერიის ბღემშს. მოვსეს ხორენაციის ცნობით, ტიგრან საშუალო პომპეუსის თანამედროვე იყო. ტიგრან საშუალოს შემდეგ გამეფდება მისი ძე არტავაზდი, რომელსაც მოვსეს ხორენაციის თქმით, შეიპყრობს ანტონიუსი და წაიყვანს ეგვიპტეში<sup>3</sup>.

ზემოდასახელებული სომხეთის მეფე ვალარშაკი, როგორც ისტორიული პიროვნება, წყაროებში არ დასტურდება, მაგრამ მკვლევარნი მიუთითებენ, რომ ის სახელმწიფო გარდაქმნები სომხეთში, რომელთაც მოვსეს ხორენაცი ვალარშაკს მოაწიარს, ჩაატარეს არტაშესიდთა დინასტიის რეფორმატორმა მეფეებმა (არტაშეს I, ტიგრან II), რის გამოც ვარაუდობენ, რომ ვალარშაკი სომხეთის არტაშესიდთა დინასტიის მეფეთა ზოგად პერსონიფიკაციას წარმოადგენს<sup>4</sup>.

— მოვსეს ხორენაციის მიერ მოხსენიებული არტაშეს პირველი, რომელმაც თავისი ქალიშვილი არტაშამა მიათხოვა იბერთა დიდ ბღემშს მიჰრდატს, მოვსეს ხორენაციის ქრონოლოგიის თანახმად, მეფობდა ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში<sup>5</sup>. თ. მომზენი და ჰ. მანანდიანი მიუთითებენ, რომ მოვსეს ხორენაციის ზოგი ცნობა, დასახელებულ მეფე არტაშესს რომ შეეხება, ტიგრან II ხანას განეკუთვნება<sup>6</sup>.

<sup>3</sup> მოვსეს ხორენაციის თბილისის 1913 წლის გამოცემა, გვ. 114—138 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>4</sup> С. Тоуманов, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. III (აქვეა მოცემული ლიტერატურა და საკითხის ისტორია).

<sup>5</sup> მოვსეს ხორენაციის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 124 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>6</sup> Т. Момзен, История Рима, т. II, М., 1937, стр. 282-283; А. Я. Мамандян, Титраи Второй и Рим, Ер. 1943, стр. 44-46.

მოვსეს ხორენაცის მიერ მოხსენიებული ტიგრან საშუალო, რომლის და ცოლად ჰყავდა იბერთა დიდ ბღემსს მიპრდატს, რომ ნამდვილად არის სომხეთის მეფე ტიგრან II (95—55), თუნდაც იქ-დან მტკიცდება, რომ მოვსეს ხორენაცი პომპეუსისა და აღნიშნული ტიგრან საშუალო ომის ამბავს მოგვითხრობს, რაც კარგად არის ცნობილი ანტიკური წყაროებიდან<sup>7</sup>. მოვსეს ხორენაცისვე ცნობით. ტიგრან საშუალოს ძეს, სომხეთის მეფეს არტავაზდს, ტყვედ შეიპყრობს ანტონიუსი და წაიყვანს ეგვიპტეში, რაც ასევე დასტურდება პლუტარქეს ანტონიუსის ბიოგრაფიიდან, რომელიც მოგვითხრობს ანტონიუსის მიერ ტიგრან II (95—55) ძის, სომეხთა მეფის არტავაზდის (55—34) შეპყრობისა და ეგვიპტეში წაყვანის ამბავს<sup>8</sup>.

მოვსეს ხორენაცის ცნობის თანახმად, იბერთა საპიტიახშო ძე. წ. II—I საუკუნეებში არსებობდა, რაც მიუთითებს, რომ უკვე ძე. წ. II საუკუნეში ქართლის (იბერიის) სამეფო სომხეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, რადგან იბერთა საპიტიახშოს დაარსება სომხებს მხოლოდ ქართლის (იბერიის) სამეფოზე პოლიტიკური გავლენის გავრცელების გზით შეეძლოთ მიეღწიათ.

მოვსეს ხორენაცის აღნიშნულ ცნობებს ეთანხმება სტრაბონის ცნობებიც, რომელთა მიხედვით. არტაშეს I (189—161) მეფობის ~~ნაშთი გასაღებულმა სომხეთმა იბერიას ჩამოაჭრა პარიადრის კალთები, ხორძენე და გოგარენე<sup>9</sup>. გოგარენე, როგორც ცნობილია, ისტორიული ქვემო ქართლია, პარიადრის კალთები კოროხის ზეობის სანახებია<sup>10</sup>, ხორძენე კი, რომლის ლოკალიზაციის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს, ტაო-კლარჯეთ-არტანს მიიცავდა<sup>11</sup>. ამრიგად, არტაშეს I-მა (189—161) ქართლს (იბერიის) სამეფოს სამხრეთი რაიონები მიიტაცა კოროხის ზეობის ზემო წელიდან ქვემო ქართლის ჩათვლით.~~

სტრაბონის ცნობა, რომელიც მიგვითითებს, რომ არტაშეს I

<sup>7</sup> Т. Мо м и з е н, История Рима, т. II. М., 1937, стр. 282—283; Я. А. М а н а н д я н, Тигран Второй и Рим, Ер. 1943, стр. 44—46.

<sup>8</sup> პ ლ უ ტ ა რ ქ ე, ანტონიუსი, L.

<sup>9</sup> თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 91—92.

<sup>10</sup> Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1908, стр. 395; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. შობაზე, 1962, № 2.

<sup>11</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 55—56.



(189—161) მეფობაში ქართლის სამეფოს სამხრეთი მიწა-წყალი პოლიტიკურად სომხეთში შევიდა, მრავალმხრივ არის საყურადღებო. ახლადდაპყრობილ იბერთა მიწა-წყალზე არტაშეს I მმართველობის გარკვეული ფორმა უნდა შემოეღო. მოკსეს ხორენაცის ზემოგანხილული ცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე არტაშეს I-მა იბერთა საპიტიახშო დააარსა. ცნობილია, რომ არტაშესილთა ექსპანსიის ხანაში, როდესაც სომხეთის საზღვრები ყოველმხრივ გაფართოვდა, დაპყრობილი მიწა-წყალი უშუალოდ ან სომხეთის სამეფოს უერთდებოდა, ან, სადაც საამისო ძალა არ იყო, საპიტიახშოები არსდებოდა. საპიტიახშოები სომხეთზე ნახევრადამოკიდებული „სამეფოები“ იყო, რომელნიც სომხეთის პერიფერიებზე მდებარეობდნენ და, პიტიახშებად სომხეთის მოსაზღვრე სამეფოთა სეფე-სახლთა შვილები ინიშნებოდნენ ხოლმე<sup>12</sup>.

ამრიგად, არტაშეს I-მა იბერიას ჩამოაჭრა მიწა-წყალი სამხრეთი საზღვრის მთელ სიგრძეზე — მოკიდებული ჭოროხის ხეობის ზემო წელიდან გოგარენეს ჩათვლით, ხოლო მოკსეს ხორენაცის ცნობით, მან იბერთა დაპყრობილ მიწა-წყალზე საპიტიახშო დააარსა. რა მიწა-წყალს მოიცავდა ეს საპიტიახშო? სომხური ანონიმური (VII საუკუნე) გეოგრაფიის მიხედვით, „დიდი სომხეთის“ საზღვრებში შემავალი გოგარენე შედგებოდა ცხრა ვავარისაგან: ძოროფორისგან (აღსტაფას ხეობა), კოლბაფორისაგან (ინჯას ხეობა), წობაფორისგან (დებედაბანუშ ჩაის ხეობა), ტაშირისგან, თრიალეთისგან, კანგარისგან, ზემო ჯავახეთისგან, არტანისა და კლარჯეთისგან<sup>13</sup>. იბერიის აღწერისას სომხური ანონიმური გეოგრაფია სომხეთის უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრად მანგლისის ხევს (აღგეთის ხეობას), თბილისის და პნარაკერტის სანახებს ასახელებს<sup>14</sup>. თუ შევაჯამებთ „დიდი სომხეთის“ საზღვრებში მოქცეულ გოგარენეს საზღვრებს, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: დასავლეთით გოგარენე კლარჯეთს მოიცავდა, შემდგომ საზღვარი ჩრდილოეთით თრიალეთის ქედს მიჰყვებოდა თბილისის (იგულისხმება, რომ თბილისი ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში არ არსებობდა — გ. მ.) სანახე-

<sup>12</sup> J. M a r q u a r t, 'Eranšahr nach Geographie des Pseudo Moses Chorenac'i, 1904, S. 165-173; Н. А д о н ц, Армения в эпохе Юстиниана, С. 16, 1908, стр. 283.

<sup>13</sup> A. S o u k r y, Géographie de Moïse de Corène, 1881, p. 28.

<sup>14</sup> იქვე, . p. 34.

ბამდე, აქედან იგი მტკვრის გაყოლების სამხრეთით ხუნანის (ჰნა-რაყერტის) სანახებს მოიცავდა. ხუნანის სანახებიდან მოყოლებული გოგარენეს აღმოსავლეთ საზღვარს ძოროფორი (აღსტავას ხეობა) წარმოადგენდა, რომელიც მტკვარ-არაქსის გამყოფ ბამბაკის ქედამდე მიდიოდა და ბამბაკის ქედის გოგარენეს სამხრეთი საზღვარი იყო.

სომხური ანონიმური გეოგრაფიიდან კარგად ჩანს, რომ იგი გოგარენეს პოლიტიკურ და არა გეოგრაფიულ ერთეულად ვარაუდობს, რადგან გოგარენე მხოლოდ ისტორიულ ქვემო ქართლს მოიცავდა, სომხური ანონიმური გეოგრაფია კი, გოგარენეში ქართული ტომებით დააახლებულ სხვა მიწა-წყალსაც აერთიანებს. ამრიგად, სომხური ანონიმური გეოგრაფია გოგარენეში დიდ პოლიტიკურ ერთეულს გულისხმობს, რომელიც ოდესღაც „დიდ სომხეთში“ ყოფილა. საყურადღებოა, რომ არც სპერი და არც ტაო ანონიმური გეოგრაფიის მიერ შემოსაზღვრულ გოგარენეს საზღვრებში არ ჩანან. არტაშეს I-მა კი, როგორც ცნობილია, სხვა ქართულ მიწა-წყალთან ერთად სპერი და ტაოც მიიტაცა. მაშასადამე, სპერის და ტაოს მდგომარეობა სომეხთა დაპყრობის შედეგად განსხვავდებოდა იმ მიწა-წყლის მდგომარეობისაგან, რომელიც არტაშეს I-მა გოგარენეს საპიტიახშოში გააერთიანა. სომხეთ-ქართლის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი არტაშეს I-ის ექსპანსიამდე ბამბაკის ქედს მიჰყვებოდა<sup>15</sup>, ამის გამო, ის პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში გოგარენეს სახელით არის ცნობილი, ეთნიკურად ქართულ სამყაროს წარმოადგენდა. ამას თუი-მოვსეს ზორენაციის ცნობები მოწმობენ. მოვსეს ზორენაცი არტაშესიდან ხანის გოგარენეს საპიტიახშოს იბერთა საპიტიახშოს უწოდებს<sup>16</sup>.

ცნობები არტაშეს I მიერ დაარსებული იბერთა საპიტიახშოს შესახებ ლეონტი მროველმაც შემოგვიწვინა. ლეონტი დაწვრილებათ მოგვითხრობს ქართლის სამეფოს ისტორიას, როდესაც ქართლი „ორ“ სამეფოდ იყო გაყოფილი და სომხეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ლეონტი მროველის ცნობის თანახმად, ქართლის მეფეს „ადერკის ესხნეს ორი ძენი, რომელთა ერქუა სახელად

<sup>15</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 55.

<sup>16</sup> გ. მ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმონაქმნის საკითხი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განვ. მოაზრებ., 1962, № 2.

ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა, მიუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლის მტკუარსა ჩრდილოეთი, პერეთთგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თვსსა, ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თვსსა და მოკუდა ადერკი<sup>17</sup>. ფარნავაზის მიერ განწესებულ საერისთავოთა შორის „არმაზელ მეფეთა“ მიწა-წყალი მოიცავდა ხუნანის საერისთავოს, სანშვილდის საერისთავოს, წუნდის საერისთავოს, კლარჯეთსა და შიდა ქართლს თრიალეთის ქედის-მტკვრის სამხრეთით.

სომხური ანონიმური გეოგრაფიის გოგარენეს საზღვრების „არმაზელ მეფეთა“ კუთვნილი მიწა-წყლის საზღვრებთან დამთხვევა (აღმოსავლეთით ხუნანი, დასავლეთით კლარჯეთი, ჩრდილოეთით თრიალეთის ქედი, სამხრეთით ბამბაქის ქედი) მიუთითებს, რომ „არმაზელ მეფეთა“ კუთვნილი მიწა-წყალი არტაშეს I-ის მიერ დაარსებულ გოგარენეს საპიტიაზშოს წარმოადგენდა. რადგან გოგარენეს, ანუ იბერთა საპიტიაზშო არტაშეს I-მა დააარსა და იგი ლეონტჳს მიერ მოხსენიებული „ორმეფობის“ ხანის „არმაზელ მეფეთა“ აამეფო იყო, — იგულისხმება, რომ ქართლის სამეფოს „გაყოფა“ არტაშეს I მეფობის ხანაში უნდა მომხდარიყო<sup>18</sup>, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს ეწინააღმდეგება ლეონტი მროველის ქრონოლოგიას ქართლის სამეფოს გაყოფის შუახებ.

ლეონტის მიხედვით, ქართლის გაყოფა ახ. წ. I საუკუნის II ნახევარში მოხდა, რადგან ადერკი, ლეონტისავე მოწოდებული ცნობის საფუძველზე ახ. წ. 1—57 წლებში მეფობდა. (ლეონტი ადერკის შესახებ წერს, რომ „ადერკი ოცდაათის წლისა მეფე იქმნა და ორმეოც და ჩვიდმეტ წელ მეფობდა. ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე)<sup>19</sup>.

ქართლის სამეფოს „გაყოფა“ რომ ნამდვილად არტაშეს I (189—161) მეფობის ხანაში მოხდა და არა ახ. წ. I საუკუნის II ნა-

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 43.

<sup>18</sup> დ. ა. ბ. ა. შ. ი. ძ. ე, ორმეფობის ზოგიერთი საკითხი ძველ ქართლში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, 1973, გვ. 15—16.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 35.

ხევარში, ამას თვით ლეონტი მროველის ცნობები ადასტურებენ. საურმაგ კაკაბაძე ლეონტის მიერ შემონახული ადერკის გენეალოგიის შესწავლის შედეგად ადერკის მეფობას არტაშეს I მეფობის ხანაში ვარაუდობს<sup>20</sup>.

ლეონტი მროველის თქმით, აზონის დამარცხების (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული — გ. მ.) შემდეგ „ფარნავაზმა მისცა და თვისი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე და თვისი მისცა ქუჯის ცოლად“<sup>21</sup>. ქუჯისა და ფარნავაზის დას ეყოლათ შვილი, რომელსაც ფარნავაზის ძემ საურმაგმა მიათხოვა თავისი ერთ-ერთი ასული. ლეონტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, საურმაგმა „ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისსა, მამის დისწულსა თვისსა“<sup>22</sup>. ქუჯის ძესა და საურმაგის ასულს ეყოლათ შვილი სახელად ქართამი. სწორედ ამ ქართამის ძე იყო ადერკი. ლეონტის ცნობით, ქართლის მეშვიდე მეფეს ბარტომს „არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი, და სიცოცხლესავე მისსა მოეყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ, რომელსა შესდგმიდა ფარნავაზიანობა, ფარნავაზის დისა ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა, საურმაგის ასულისა ქუჯის ძის ცოლისაგან“<sup>23</sup>, რაც მიუთითებს, რომ ქართამი იყო ქუჯის შვილიშვილი. ქუჯის შვილიშვილი ქართამი ბარტომთან ერთად ბრძოლაში დაიღუპა — ქართამ „მასვე წყობასა მოიკლა ბარტომის თანა. ხოლო ცოლი მისი, ასული ბარტომისი, უძლები დარჩა, ივლტოდა და წარვიდა სომხითს. და მუნ შვა ყრმა, და უწოდა სახელად ადერკი“<sup>24</sup>. ამრიგად, ადერკი არის ქუჯის შვილიშვილის შვილი. ქუჯი ფარნავაზის თანამედროვე იყო და, თუ ქუჯის შთამომავალთა სამი თაობისათვის დაახლოებით ერთ საუკუნეს დაეუშვებთ, ადერკის მეფობა ძვ. წ. II საუკუნის I ნახევარში უნდა მოექცეს. საურმაგ კაკაბაძე, ამის გამო, ადერკის მეფობას არტაშეს I (189—161) მეფობის ხანით ათარიღებს<sup>25</sup>. აღნიშნული მოსაზრების სისწორე დაასაბუთა გ. მელიქიშვილმა, რო-

<sup>20</sup> С. С. К а к а б а д з е, Некоторые вопросы хронологии древней Картии по грузинским источникам, Палестинский сборник, вып. 13 (76), 1965, стр. 122-125.

<sup>21</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>25</sup> С. С. К а к а б а д з е, Некоторые вопросы хронологии древней Картии по грузинским источникам, Палестинский сборник, вып. 13(76), 1965, стр. 122-125.

მელმაც სათანადო ქრონოლოგიური გამოთვლის საფუძველზე მიუთითა, რომ ადერკის ძეგლი — ქართამისა (ქარძამის) და ბარტომის (ბარტამის) მეფობის წლები ძვ. წ. 169 წელს ემთხვევა<sup>26</sup>.

ლეონტი მროველის წყაროთა ამგვარი გააზრების ფონზე გასაგები ხდება ლეონტისავე ის ცნობა, რომლის თანახმად, ქართლის სამეფოს „გაყოფის“ შედეგად, „უმეტეს არამაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათდა ზედა“<sup>27</sup>. სომხური ანონიმური გეოგრაფიის გოგარენეს საზღვრების და „არამაზელ მეფეთა“ მიწა-წყლის საზღვრების ურთიერთდამთხვევა მიგვივითებს, თუ როგორ გადაწყვიტა არტაშეს I-მა ქართლის სამეფოს ისტორიული მიწა-წყლის — სპერისა და ტაოს საკითხი. სპერი და ტაო არტაშეს I-მა უშუალოდ სომეხებს შეუერთა, ხოლო ქართლის სამეფოს დანარჩენ დაპყრობილ მიწა-წყალზე (ზუზუნანიდან კლარჯეთს ჩათვლით) სომეხთზე ნახევრადამოკიდებული იბერთა საპიტიახშო დააარსა. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ა. ბოგვერაძის დაკვირვებაც ლეონტი-ჯუანშერის თხზულებებში მოხსენიებულ პიტიახშოთა შესახებ, რომლის მიხედვით, პიტიახში უცხო მეფეთა (ირანის თუ ამომხეთის) სამსახურით მოპოვებულ ერისთავთა წოდებულება იყო<sup>28</sup>.

ლეონტის წყაროთა თანახმად, სომეხთმა თავისი გავლენის გავრცელება ქართლზე სუმბატ ბივრიტიანის (ბაგრატიონის) ლაშქრობების შედეგად მოახერხა. ამის გამო დავადგინოთ სუმბატ ბივრიტიანის ქართლზე ლაშქრობების ხანა და ის პოლიტიკური მიხნები, რომელთაც აღნიშნული ლაშქრობები ისახავდნენ.

სუმბატ ბივრიტიანი ბაგრატიონთა სახლის უფალი იყო. გადმოცემები ამ ბაგრატიონთა სახლის ცნობილი შვილის შესახებ შემოგვინახეს როგორც ლეონტი მროველმა, ისევე მოვსეს ხორენაციმ. ჯერ კიდევ მ. ბროსე მიუთითებდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული სუმბატ ბივრიტიანი იგივე პირია, მოვსეს ხორენაციმ სუმბატ ბიურატის ძის სახელით რომ იცნობს, და პარალელბიკ გაავლო „ქართლის ცხოვრებასა“ და მოვსეს ხორენაციმის თხრობათა.

<sup>26</sup> გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, „მაცნე“, ისტ. არქ. ეთნ. და ხელ. ისტ. სერია, 1978, № 3, გვ. 53—56.

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 44.

<sup>28</sup> ა. ბოგვერაძე, ქართლის პიტიახშოთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 68.

შორის<sup>29</sup>. შემდგომ ამავე საკითხს ს. გორგაძე და კ. კეკელიძე ეხებოდნენ. ისინი „ქართლის ცხოვრების“ წყაროდ სუმბატ ბივრიტიანის შესახებ უშუალოდ მოვსეს ხორენაცის ასახელებდნენ<sup>30</sup>. ს. კაკაბაძემ<sup>31</sup> ეს აზრი არ გაიზიარა და გამოთქვა ვარაუდი, რომ „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა, სუმბატ ბივრიტიანს რომ შეეხება, არ იყო დამოკიდებული მოვსეს ხორენაციზე.

უკანასკნელად აღნიშნული საკითხი გ. მელიქიშვილმა და კ. თუმანოვმა განიხილეს. გ. მელიქიშვილის აზრით, „ქართლის ცხოვრება“ სუმბატ ბივრიტიანის გადმოცემის თხრობისას იყენებს სომხურ ზეპირ ტრადიციას, რომელიც წარმოადგენს ან მოვსეს ხორენაციის წყაროს (ამ ადგილას, გ. მელიქიშვილის შენიშვნით, მოვსეს ხორენაცი ეყრდნობა ხალხურ თქმულებებს), ან ეს ზეპირი ტრადიცია თვით შეიქმნა მოვსეს ხორენაციის გადმოცემების საფუძველზე<sup>32</sup>. კ. თუმანოვის მიხედვით, სუმბატ ბივრიტიანის სომხური და ქართული გადმოცემები ურთიერთისაგან დამოუკიდებელი ჩანან. ამიტომ არის, რომ ქართულ გადმოცემას საკუთარი მოგონებები ჰქონდა სუმბატის შესახებ, ხოლო მათ, ვინც ჩაიწერეს ეს გადმოცემა, მხოლოდ პიროვნებათა და მოვლენათა იდენტიფიკაციისა მიზნით უნდა მიემართათ სომხური გადმოცემისთვის<sup>33</sup>. ასეთია აღნიშნული საკითხის ისტორია. ამჟერად კი თვით წყაროთა ურთიერთშედარებას შევუდგეთ.

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ „ორმეფობის“ ხანაში ქართლის მეცამეტე მეფეთა — აზორკისა და არმაზელის — მეფობის შემს, ქართველებმა კავკასიის მთიელებთან ერთად, სომეხთა მიერ მიტაცებული ჭავჭავთისა და არტანის დაბრუნების მიზნით, სომხეთი დალაშქრეს და გამარჯვებულნი ნადავლს იყოფდნენ იორის პირას. სწორედ ამ დროს მათ სომეხთა მეფის არტაშანის სპასპეტი — სუმბატ ბივრიტიანი წამოეწია ლაშქრით. ქართველ-კავკასიელი და მარცხდნენ და სუმბატმა ქართლი დააპყრო. გარკვეული ხნის შემ-

<sup>29</sup> M. B r o s s e t, Histoire de la Géorgie, t. I, 1849, p. 66-70.

<sup>30</sup> ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1908, გვ. 23—25; კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. ტფილისის უნივერსიტეტის შობაზე, ტ. III, 1923, გვ. 38.

<sup>31</sup> ს. კაკაბაძე, საისტორიო ძეგლი, თბ., 1924, გვ. 148—150.

<sup>32</sup> Г. А. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 45.

<sup>33</sup> С. Т о у м а н о в, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 316.

დგომ ქართველ-ოსები კვლავ იწყებენ ბრძოლას სომეხთა წინააღმდეგ და მაშინ, ლეონტი სიტყვებით რომ ვთქვათ, „კვლავ წარმოემართა ძალითა მისითა ყოვლითა არტაშან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი სუმბატ ბივრიტიანი. ხოლო ქართველთა განაპაგრნეს ციხენი და ქალაქნი, და მოვიდეს სომეხნი და დადგეს მცხეთას და ჰბრძოდეს ხუთ თუე. და დღეთა ყოველთა იყუის ბრძოლა ბუმბერაზთა. მაშინ შესჭირდა ქართველთა და ოვსთა და ითხოვეს მშვიდობა, და აღუთქვეს მორჩილება და არღარა ძიება სისხლისა და ზღუარისა. მაშინ ისმინა სომეხთა მეფემან ვედრება მათი: ქმნეს ფიცი და აღთქმა, და დაიმონნა იგინი ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან და წარვიდა“<sup>34</sup>.

აოხრებული ქართლი მოშენებულა და ქართველებმა კვლავ დაიწყეს ბრძოლა სომეხთა წინააღმდეგ. არტაშანმა ქართლის დასაპყრობად თავისი ძე, ზარენი, გამოგზავნა, მაგრამ ზარენი დამარცხდა და ქართველებმა იგი ტყვედ შეიპყრეს. ამის შემდგომ მესამე წელს სუმბატ ბივრიტიანი კვლავ გამოემართა ქართლზე სალაშქროდ. საბოლოოდ ქართველები და სომეხები დაზავდნენ იმ პირობით, რომ ქართველები ომის შემთხვევაში სომეხების მხარეზე ლაშქრით გამოვიდოდნენ<sup>35</sup>.

მოვიტანოთ მოვსეს ხორენაცის გადმოცემა სუმბატ ბივრიტიანის შესახებ და შევეუდაროთ იგი ლეონტისეულ ვერსიას. მოვსეს ხორენაცის გადმოცემის თარგმანი სიტყვასიტყვით მოგვყავს. „იმ ხანებში (მოვსეს ხორენაცი გულისხმობს, როდესაც არტაშესმა ქალაქი არტაშატი ააშენა — გ. მ.) ალანები შეერთდნენ მთიელებთან და იბერიის ქვეყნის ნახევართან და დიდი ბრბოებით გავრცელდნენ ჩვენს ქვეყანაზე. არტაშესი ჰყრებს თავის მრავალრიცხოვან ჯარს და ზღვება ბრძოლა ორ ძლიერსა და მშვილდოსან ტომს შორის. მცირედ დაიხია რა ალანთა ტომმა, გადავიდა დიდ მდინარეზე მტკვარზე და დაბანაკდა მდინარის პირას ჩრდილოეთით. და მიეწია რა არტაშესი, დაბანაკდა სამხრეთით და იყო მათ შორის მდინარე“<sup>36</sup>. როგორც ითქვა, ლეონტიც ამასვეს მოგვითხრობს, ოღონდ მისი თხრობა გაცილებით ვრცელია და განსხვავებულიც არის. თუ მოვსეს ხორენაცი ზოგადად ახსენებს, რომ ალანებმა მთიელები შეიერთეს, ლეონ-

<sup>34</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 48.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 45—50.

<sup>36</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 177. (ძვ. სომხურ ენაზე).

ტი კონკრეტულად გადმოგვცემს, თუ ვინ არიან ეს მთიელები. ლეკთა მეფემ, ლეონტის თქმით, „გარდამოიტანა ღურძუკნი და დოდონი“<sup>37</sup>.

მოვსეს ხორენაცის მიხედვით, ლაშქრობის მოთავენი ალანები არიან, ლეონტით კი აზორკი და არმაზელი. არა იბერიის ქვეყნის ნახევართან ერთად ლაშქრობენ ალანები სომხეთზე, როგორც ამას მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს, არამედ ქართლის ორივე მეფე მეთაურობდა ამ ლაშქრობას, მოგვითხრობს ლეონტი მროველი. მოვსეს ხორენაცი ზოგადად გადმოგვცემს, რომ ჩრდილოეთიდან მოსულმა ტომებმა დალაშქრეს სომხეთი, ლეონტი კი დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ კონკრეტულად ჰომხეთის რომელი მხარეები დალაშქრეს ქართველ-კავკასიელებმა: „წარსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე. და შეიქცეს და ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახქევანამდე, და გამოვლეს გზა ფარისოსა“<sup>38</sup>. თუ მოვსეს ხორენაციტ ბრძოლა სომხებსა და მომხდურთ შორის თვით სომხეთში მოხდა და მტერმა ოდნავ დაიხია უკან, ლეონტით — ქართველ-კავკასიელებმა სომხეთი მოულოდნელად დალაშქრეს და უვნებლად გავიდნენ სამშვიდობოზე. აქაც ლეონტის თხრობა უფრო შინაარსიანია, ვიდრე ხორენაცის, რადგან, თუ სომეხი ისტორიკოსის მიხედვით, „ალანთა ტომი გადავიდა დიდ მდინარეზე მტკვარზე და დაბანაკდა მდინარის პირას ჩრდილოეთით“<sup>39</sup>, ლეონტის თქმით, „ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ კამბეჩოანს, და დაებანაკად იორსა ზედა“<sup>40</sup>.

ამის შემდგომ მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველის თხრობა საერთოდ შორდება ურთიერთსა და მათ აღარაუფერი აქვთ საერთო. მტკვრის ჩრდილოეთით დაბანაკებულ ქართველ-კავკასიელებს, მოვსეს ხორენაცის თქმით, არტაშესი მიედევნება, ლეონტით კი სუმბატ ბივრიტიანი. თუ მოვსეს ხორენაცის მიხედვით სომხებს ტყვედ ალანთა მეფის ძე ჩაუვარდა და საზავო მოლაპარაკებას არტაშესის დაქორწინება მოჰყვა ალანთა მეფის ქალიშვილზე — სათინიკზე<sup>41</sup>, ლეონტი ქართველ-კავკასიელთა და სომეხთა ომის თავგადა-

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 45.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>39</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 177 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>40</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 45.

<sup>41</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 177—179 (ძვ. სომხ. ენაზე).



სავალს აგვიწერს და დაწერილებით მოგვეთხრობს, თუ როგორ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმა ოსთა მეფენი ბაზუკი და აბაზუკი, თუ როგორ დაიპყრო ქართლი სუმბატმა, როგორ ააშენა დემოთის ციხე და მასში სომეხნი ჩააყენა, რა მიზანი ჰქონდა დემოთის აშენებას და იმ ბრძოლებს, ქართლში რომ გაიშალა<sup>42</sup>.

მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველის გადმოცემაში თხრობის აღნიშნული მონაკვეთი ერთმანეთისაგან განსხვავდება. მართალია, მოვსეს ხორენაცის მიხედვით, არტაშესის ბრძანებით სუმბატ ბივრიტიანმა ალანთა ქვეყანაში ილაშქრა, ოლონდ არა მის დასაპყრობად, არამედ იმის გამო, რომ სათინიკის მამის გარდაცვალების შემდგომ ალანთა მეფობა სათინიკის ძმას სხვა პირმა წაართვა და სუმბატმაც მამისეული ტახტი სათინიკის ძმას დაუბრუნა<sup>43</sup>. ამრიგად, მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველის თხრობის განხილულ მონაკვეთში წყაროთა მსგავსება მხოლოდ ის არის, რომ არტაშესის მეფობისას კავკასიის მოსახლე ტომებმა სომხეთი დალაშქრეს და, სომხურივე წყაროს ჩვენებით, იბერია ორ ნაწილად იყო გაყოფილი.

შედარებით უფრო ახლოს დგას სომხური და ქართული წყაროების ის გადმოცემა, ზარეჰის ეპიზოდთან რომ არის დაკავშირებული. ლეონტი მოგვეთხრობს, რომ მას შემდგომ, რაც არტაშესმა და სუმბატ ბივრიტიანმა ქართველები და ოსები დაიმორჩილეს, „უცალო იქმნეს სომეხნი და იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა, და პოვეს მას შინა ჟამი მარჯუე ქართველთა და ოვსთა, იწყეს კირთებად სომეხთა, რამეთუ სპანი სომეხთანი ყოველნი და ორნი ძენი მეფისანი და სუმბატ იყუნეს ბრძოლად სპარსთა, და ვითარცა განამრავლეს ქართველთა და ოვსთა ვნება სომეხთა, მაშინ არტაშან მეფემან შეკრიბა სპანი, რომელნი შინა დარჩომოდეს, და მისცნა ძესა მისსა ზარენს, და წარმოგზავნა ქართველთა ზედა. ხოლო შეკრბეს ქართველნი და ოვსნი და მიეგებნეს ქუეყანასა ჯავახეთისასა, ეწყვენეს და სძლეს ზარენს. და აოტეს ზარენ, და მოსრეს სპა მისი ყოველი, და სდევნეს საზღუარამდე სომხითისა, ქუეყანასა პარხლიასასა, რომელ არს ტაო, მიეწივნეს ზარენს, ძესა მეფისასა, და შეიპყრნეს ტბისა მის პირსა, რომელსა რქუიან ცელი, და უკმოიყვანეს. ხოლო ოვსთა ნებავდა მოკლვა ზარენისი სისხლისათვის მეფეთა

<sup>42</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955, გვ. 45—47.

<sup>43</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 182 (ძე. სომხ. ენა-ზე).

მათასა, არამედ ქართულთა დაცევს ცოცხლებით ძიებისათს საზღვართა მათთასა, და დასუეს პერობილად ციხესა დარიალანისასა. ვერ ძებნეს სომეხთა, რამეთუ უცალო იყუნეს სპარსთაგან<sup>44</sup>.

მოვსეს ხორენაცი ამავე ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემს: მას შემდეგ, რაც არტაშესმა სომეხეთის ლაშქრის მხედართმთავრობა ოთხად გაყო, ჩრდილოეთის მხარის მხედართმთავრად თავისი ძე, ზარეჰი, დანიშნა. „ზარეჰი იყო ძალაუფლების მოყვარული კაცი და მხეცებზე ნადირობაში გმირი, მაგრამ ბრძოლაში ცუდი და უძლური. იცოდა რა ამის შესახებ იბერიის მეფემ ქარძამმა, ააჯანყა ქვეყანა, შეიპყრო ზარეჰი და ჩასვა კავკასიის საპყრობილეში“. შემდგომ მოვსეს ხორენაცი აღნიშნავს, რომ სუმბატ ბივრიტიანმა გაილაშქრა ქარძამის წინააღმდეგ და დაიხსნა ზარეჰი ტყვეობიდან<sup>45</sup>.

ლეონტის გადმოცემა მოვსეს ხორენაციის გადმოცემასთან შედარებით უფრო ვრცელია და კონკრეტული, ნაწილობრივ შინაარსითაც არის განსხვავებული და, რაც საყურადღებოა, თვით გადმოცემაში მონაწილე პირთა ვინაობითაც განსხვავდება. თუ მოვსეს ხორენაცი ზოგადად აღნიშნავს, რომ ზარეჰი ქარძამმა კავკასიაში მდებარე საპყრობილეში ჩასვა, ლეონტიმ, მოვსეს ხორენაციისაგან განსხვავებით, ისიც იცის, რომ ქართველებმა და ოსებმა ომი ზარეჰთან ჭავჭავთში გადაიხადეს, რომ იმ ტბას, რომლის ნაპირებზედაც ზარეჰი შეიპყრეს, ცელი ეწოდებოდა და, ბოლოს, ლეონტი ვრცლად მოგვითხრობს, თუ რა პირობით და რა ვითარებაში დაუბრუნეს ქართველებმა სომეხებს ზარეჰი, ამ შემთხვევაშიც ლეონტის თხრობა მოვსეს ხორენაციის თხრობისგან განსხვავდება როგორც გადმოცემის სივრცით, ისევე შინაარსითაც.

ლეონტის გადმოცემით, ზარეჰის შეპყრობიდან სამი წლის შემდგომ სუმბატ ბივრიტიანი ქართლზე სალაშქროდ გამოემართა: „მოვიდეს სომეხნი და დადგეს თრიალეთს და აღდგეს მათ შორის (ქართველთა და სომეხთა შორის — გ. მ.) მოციქულნი და დაიზაუნეს; მისცეს ქართველთა ძე მეფისა შეპყრობილი, და აღუთქუეს შეწვენა ესრეთ. უკეთუ ვინ აღდგეს მტერი თქუენ ზედა და მოღმართ გებრძოდის, ჩვენ ორნივე მეფენი თავითა ჩუენითა და სპითა ჩუენითა თანაგიდგეთ და გიშუელოთ; და უკეთუ კუალად ვისმე მიღმართ კბრძოდით, ათას-ათასი მკედრითა კურვილითა შეგეწეოდით. და

<sup>44</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 48—49.

<sup>45</sup> მოვსეს ხორენაციის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 183—184. (ძვ. სომხ. ენაზე).

ესეცა აღუთქუეს ქართუელთა, ვითარმედ: „ქალაქსა ამას ჩუენსა დრამა არტამან მეფისა ხატითა დავსცეთო“<sup>46</sup>.

მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველის წყაროთა ურთიერთმედარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლეონტი არა თუ დამოკიდებულია მოვსეს ხორენაცისაგან, არამედ მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველს უშუალო წყაროც კი არ უნდა ჰქონოდათ. რასაკვირველია, გენეტურად მოვსეს ხორენაცისა და ლეონტის წყაროები ურთიერთთან იყვნენ დაკავშირებულნი და თავის არსებობის ადრეულ ეტაპზე ისინი ახლოს უნდა მდგარიყვნენ ერთმანეთთან. ამაზე თვით მოვსეს ხორენაცისა და ლეონტის წყაროები მიუთითებენ. მიუხედავად განსხვავებისა, ის ფაქტი, რომ ქართველ-კავკასიელებმა სომხეთი დალაშქრეს და ამ გადმოცემას ერთი საერთო წყარო უდევს საფუძვლად, უცილობელია. გენეტურად საერთო წყარო აქვს ზარეპის ეპიზოდსაც, ოღონდ ლეონტისეული გადმოცემისაგან განსხვავებით, ზარეპის ხორენაცისეულ გადმოცემას აშკარად ეტყობა, რომ მას დასაწყისი აკლია.

როგორც ითქვა, მოვსეს ხორენაცის ცნობით, როდესაც არტაშესმა ჩრდილოეთის მხარის ჯარის მხედართმთავრობა ზარეპს მისცა, ქარძამმა იბერია სომხებს აუჯანყა. თავისთავად იგულისხმება, რომ სომხეთში უნდა ყოფილიყო გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ დაიმორჩილეს სომხებმა ქარძამი. მოვსეს ხორენაცისა და ლეონტი მროველის გადმოცემის მთელ სიგრძეზე თვალის გადავებით შეიმჩნევა, რომ ის, რაც დაკარგულია სომხურ წყაროში, ქართულ წყაროშია შემონახული. სწორედ ლეონტის გადმოცემა სუმბატ ბიკრიტიანის მიერ ქართლის დამორჩილების შესახებ ლოგიკურად აკავშირებს იმ რგოლს, მოვსეს ხორენაცისთან რომ არის გაწყვეტილი.

გადმოცემა ქართველ-კავკასიელთა სომხეთზე ლაშქრობის შესახებ სომხურ და ქართულ წყაროებში ზოგადად ემთხვევა ურთიერთს. შემდგომ სომხურ წყაროში არტაშესისა და ალანთა მეფის ქალიშვილის სათინიკის დაქორწინების ამბავია მოთხრობილი, ხოლო ქართულში კი სუმბატის ქართლზე ლაშქრობის ამბავია გადმოცემული, ე. ი. ზარეპის ეპიზოდი ქართულ წყაროში წინამდებელი მოვლენებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რაც სომხურ წყაროზე ვერ ითქმის, რადგან სომხურ ზეპირ ტრადიციაში სუმბატის ქართლში ლაშქრობის ამბავს არტაშეს-სათინიკის დაქორწინების

<sup>46</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 49.

ეპიზოდი შეენაცვლა და იმთავითვე გენეტური წყაროები დაშორდნენ ერთმანეთს. ამას საერთო წყაროში მოხსენიებულ პირთა ურთიერთგათიშვა მოჰყვა. თუ მოვსეს ხორენაციის ცნობით, იბერიის მეფე ქარძამი შეიპყრობს ზარეჰს, ლეონტი ამას აზორკსა და არმაზელს მიაწერს<sup>47</sup>, მაგრამ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოთაღნიშნული დასკვნისათვის, ლეონტის, როგორც ჩანს, წყაროდ არა მხოლოდ ის სომხური საისტორიო ტრადიცია ჰქონდა მოვსეს ხორენაციისთან რომ აისახა, არამედ ის ტრადიცია, რომელიც ხორენაციისთან არ გვხვდება და სებეოსს შემოუნახავს.

როგორც ცნობილია, ლეონტი მროველი არტაშესის გამეფებასთან დაკავშირებით მოგვითხრობს, რომ როდესაც არმაზელმა და აზორკმა სომხეთზე გალაშქრება გადაწყვიტეს, „მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმა იარვანდ, მეფე სომეხთა, და დასვა მეფედ ძმა იარვანდისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად არტაშან“<sup>48</sup>. მოვსეს ხორენაციის მიხედვით, იარვანდი არტაშესის ძმა არ იყო, თუმც მოვსეს ხორენაციისვე ცნობით, იარვანდს ჰყავდა ძმა, სახელად ერუაზი, რომელსაც, ისევე როგორც იარვანდს, გამარჯვებული არტაშესი და სუმბატი მოჰკლავენ<sup>49</sup>.

ამრიგად, თუ, ერთი მხრით, მოვსეს ხორენაცი და ლეონტი მროველი ერთმანეთს ზოგადად ეთანხმებიან, რადგან იარვანდის შემდეგ არტაშესი გამეფდება, მეორე მხრივ, ლეონტის წყარო — უშუალოდ მხოლოდ იარვანდს და მის ძმას არტაშანს, როგორც ამ ამბებში მონაწილე პირთ, რომ შეეხება, კ. თუმანოვის შენიშვნით, მომდინარეობს იმ საისტორიო ტრადიციიდან, რომელიც სებეოსს ჰქონდა ხელთ და არა მოვსეს ხორენაციის, რადგან სომხეთის მეფეთა ჩამოთვლისას სებეოსი ჯერ ასახელებს იარვანდს, შემდგომ კი არტაშესს და ლეონტის მსგავსად საგანგებო კომენტარს ურთავს, რომ არტაშესი იარვანდის ძმა იყო<sup>50</sup>. არტაშესის გამეფების შესახებ თხრობისას ლეონტის წყაროში სომხურ საისტორიო ტრადიციიდან მომდინარე წყაროთა ორი ნაკადია გაერთიანებული — მოვსეს ხორენაციისა და სებეოსის, რაც მიუთითებს, რომ მოვსეს ხორენაციის

<sup>47</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955, გვ. 45.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> მოვსეს ხორენაციის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 175. (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>50</sup> C. Toumanoff, *Studies in Christian Caucasian History*, 1963, p. 284.

რენაცისა და ლეონტი მროველის უშუალო წყაროები დამოუკიდებელნი არიან ურთიერთისაგან.

ლეონტი მროველის ძირითადი წყაროა საკუთრივ ქართლში გავრცელებული გადმოცემები ქართველ-კავკასიელთა ლაშქრობის შესახებ სომხეთზე და სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობების შესახებ ქართლში. ზოგადი დამთხვევები კი, მოვსეს ხორენაცისა და ლეონტის თხრობას შორის რომ შეინიშნება, საერთო წყაროს უკავშირდებიან, ანუ ერთსა და იმავე ისტორიულ მოვლენებსა და მათში მონაწილე იგივეობრივ ისტორიულ პირებს. ამ პირების გარშემო წარმოქმნილი გადმოცემები სომხეთსა და ქართლში ვრცელდებოდნენ და ადგილობრივ დამოუკიდებელ წყაროებად გაფორმდნენ. ეს არ გამორიცხავს, რასაკვირველია, რომ ეს გადმოცემები ჩამოყალიბების პროცესში, თუ ჩამოყალიბების შემდეგაც ურთიერთზემოქმედებას არ განიცდიდნენ, კერძოდ, სებეოსის საისტორიო ტრადიციის ნაკადის შერწყმა ქართლში გავრცელებულ გადმოცემებთან სუმბატ ბივრიტიანის შესახებ წმინდა სომხურ საისტორიო ტრადიციიდან მომდინარეობს და ამ პროცესის ილუსტრაციას წარმოადგენს.

იარვანდ-არტაშესისა და სუმბატ ბივრიტიანის შესახებ ცნობებს მოვსეს ხორენაცი ქრონოლოგიის დიდი დარღვევით გადმოგვცემს. რადგან არტაშესი, რომელშიც არტაშეს I (189—161) სცნობენ, სომხეთის არშაკიდების თანამედროვედ არის გამოყვანილი და ახ. წ. I საუკუნის რომის იმპერატორთა თანამედროვედ გვევლინება. აღნიშნული ქრონოლოგიური გადანაცვლება როგორც ონომასტიკური, ისევე სომხეთის არტაშესიდებისა და არშაკიდების ხანის მეფეთა ურთიერთალრევიდან გამომდინარეობს<sup>51</sup>. როგორც ცნობილია, მოვსეს ხორენაცი და სებეოსი გამოდიოდნენ იმ ტრადიციიდან, რომლის თანახმად არტაშესიდების დინასტია წარმოადგენდა განშტოებას ირანის არშაკიდული დინასტიისა, რადგან არტაშესიდები სომხეთში, ხოლო არშაკიდები პართიაში დაახლოებით ერთსადაიმავე ხანაში აღზევდნენ<sup>52</sup>. ამიტომ არის, რომ მოვსეს ხორენაცი არტაშესიდული დინასტიის სომხეთის მეფეებს არშაკიდებს უწოდებს და ამ თითქოსდა არშაკიდული დინასტიის მეფეთა თხრობაში

<sup>51</sup> Я. А. М а н а н д я н, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Эр. 1930, стр. 96-97; С. Т о и т а н о ф ф, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 284.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 111.

რეალურად არტაშესიდთა დინასტიის მეფეთა ისტორიას გადმოგვცემს.

მეკლევართა აზრით, იარვანდ-არტაშესის ომი, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი სუმბატ ბივრიტიანის გადმოცემასთან დაკავშირებით, ასახავს იარვანდიანთა დინასტიის დაცემასა და არტაშესიდების დინასტიის დამკვიდრებას სომხეთში — კონკრეტულად, იარვანდიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფის იარვანდ IV ტახტიდან ჩამოგდებასა და არტაშესიდების დინასტიის ფუძემდებლის არტაშეს I (189—161) გამეფებას<sup>53</sup>, რომელმაც, როგორც ცნობილია, ქალაქი არტაშატი ააშენა და რასაც მოვსეს ხორენაცი ადასტურებს, როდესაც იარვანდის დამპარცხებელ არტაშესის მიერ ქალაქ არტაშატის მშენებლობის ამბავს გადმოგვცემს<sup>54</sup>. მოვსეს ხორენაციის მიერ შემონახული სუმბატ ბივრიტიანის ციკლი რომ არტაშეს I მეფობის ხანას ასახავს, საბოლოოდ გ. სარგისიანმა დაამტკიცა მოვსეს ხორენაციის ქრონოლოგიური სისტემის ანალიზის შედეგად<sup>55</sup>. რადგან სომხური წყარო სუმბატ ბივრიტიანის შესახებ არშატეს I მეფობის ხანის ისტორიულ მოვლენებს ასახავდა, ლეონტის წყაროც სუმბატ ბივრიტიანის შესახებ ამავე ხანის მოვლენებს უნდა ასახავდეს.

ლეონტი მროველსაც, ისევე როგორც მოვსეს ხორენაციის, გადმოცემა სუმბატ ბივრიტიანის შესახებ შეეცდომით ახ. წ. I საუკუნეში გადმოაქვს. ლეონტის მიერ ქრონოლოგიურ აღრევაზე მიუთითებენ ანტიკური წყაროებიც. ახ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან იმავე საუკუნის 70-იან წლებამდე ქართლში მეფობდნენ მითრიდატე I, ფარსმან I და მითრიდატე II, რაც ამ ხანის ლეონტისეულ ქართლის მეფეთა სიას არ უდგება. ლეონტის მიხედვით, ქართლში ამ დროს „ორმეფობა“ იყო, რაც ასევე არ დასტურდება. ლეონტისავე ცნობის მიხედვით, ქართლი სომეხთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაც არ არის სწორი. რადგან ამ ხანებში ქართლი არა თუ სომხეთის, არამედ რომის მიმართაც კი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა.

<sup>53</sup> Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Эр. 1930, стр. 97; Я. А. Манандян, Тиграи Второй и Рим, Ер. 1943 стр. 24; С. Тоумановф, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 283-285.

<sup>54</sup> მოვსეს ხორენაცი 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 176—177 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>55</sup> გ. სარგისიანი, მოვსეს ხორენაციის „სომხეთის ისტორიის“ ქრონოლოგიური სისტემა, ერ., 1965, გვ. 18 (სომხ. ენაზე).

პირიქით, ახ. წ. I საუკუნე კავკასიაში იბერიის ჰეგემონობის ეპოქაა, როდესაც იბერთა მეფის ფარსმანის ძმამ — მითრიდატემ სომხეთში გადაშენებული არტაშესილული დინასტიის ტახტის ჩაგდებაც კი მოახერხა. სომხეთში ფარსმანის ძე რადამისტიც მეფობდა<sup>56</sup>.

სომხეთ-ქართლის პოლიტიკური ურთიერთობანი, რომელთაც ლეონტი მროველი სუმბატ ბივრიტიანის ქართლზე ლაშქრობებთან დაკავშირებით მოგვითხრობს, არტაშეს I (189—161) მეფობის ხანას განეკუთვნებიან, რადგან სუმბატ ბივრიტიანი, როგორც ვთქვით, არტაშეს I ხანის ისტორიული პირია. ადერკიმ კი არ „გაუნაწილა“ ქართლი თავის ორ შვილს, როგორც ეს ლეონტი მროველს წარმოუდგენია, არამედ ქართლი „ორ ნაწილად“ გაიყო არტაშეს I მეფობის ხანის ქართლის მეფის ადერკის დროს სუმბატ ბივრიტიანის ქართლზე ლაშქრობების შედეგად. გავიხსენოთ, თუ როგორი წარმატებით იბრძვის სუმბატ ბივრიტიანი ქართლის სამეფოს მიწა-წყალზე. ლეონტის აღიარებით, ქართველ-ოსები სომხებს ემორჩილებოდნენ, დეშოთი და წუნდა სომეხთა ხელთაა. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ბორჯომის ზეობის დვირი სუმბატ ბივრიტიანის ქართლზე ლაშქრობებს უკავშირდება და მომდინარეობს სომხური სიტყვიდან „დურ“ (კარი)<sup>57</sup>.

ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, სუმბატ ბივრიტიანის ლაშქრობების შედეგად სომხეთმა ქართლზე პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება მაინც მოახერხა, რადგან, ლეონტის თქმით, საბოლოო ზავი სომხებთან ქართველებმა შემდეგი პირობით დადეს — „უკუეთუ ვინ აღდგეს მტერი თქუენ ზედა (ანუ სომხეთზე — გ. შ.) და მოღმართ გებრძოდის, ჩუენ ორნივე მეფენი თავითა ჩუენითა და სპითა ჩუენითა თანაგიდგეთ და გიშუელოთ. და უკუეთუ კუალად ვისმე მიღმართ ჰბრძოდით, ათას-ათასითა მკედრითა ქურვილითა შეგეწოლით. და ესეცა აღუთქუეს ქართველთა, ვითარმედ: ქალაქსა ამას ჩუენსა დრამა არტაშან მეფისა ხატითა დავსცეთო“<sup>58</sup>. რასაკვირველია, ლეონტის თხრობა „არამაზელ მეფეთა“ აქტიურა ბრძოლის შესახებ სომეხთა წინააღმდეგ საეჭვო ჩანს, რადგან იბერთა პიტიანშები სომხებს ეყრდნობოდნენ ქართლის მეფეთა წინა-

<sup>56</sup> Г. А. М е л и к ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 338-339.

<sup>57</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1, თბ., 1964, გვ. 274.

<sup>58</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 49.

აღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ არის, რომ სომეხთა წინააღმდეგ მებრძოლთა შორის მოვსეს ხორენაცი ქართლის სამეფოს ჩრდილოეთ „ნახევარს“ ასახელებს, რომელნიც აღანებთან მკიდროდ ჩანან და-კავშირებულნი სომეხთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ომებში<sup>59</sup>.

სომეხთა გავლენა მათი დახმარებით შექმნილ იბერთა საპიტიაზ-შოზე ეფემერული და ცვალებადი უნდა ყოფილიყო. არტაშეს I წარმატებული ომების შემდეგ, ძვ. წ. 166 წელს ანტიოქოს IV სომხეთის დაპყრობის მიზნით სომხეთზე ილაშქრა, არტაშეს I დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. დამარცხებული არტაშეს I იძულებულა გახდა ანტიოქოს IV მიერ ნაკარნახევი პირობები მიეღო<sup>60</sup>. სამწუხაროდ, წყაროებმა არ შემოგვინახეს ცნობები იმის შესახებ, თუ რა დათმობებზე წავიდა არტაშეს I. გასათვალისწინებელია, რომ ფარნავაზის დროიდან არტაშეს I აღზევებამდე ქართლის მეფეები, მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც სელევკიდების ვასალები იყვნენ<sup>61</sup>. ქართლის მეფეებისა და სელევკიდების მეგობრული ურთიერთობა სომხეთის წინააღმდეგ იყო მიმართული<sup>62</sup>. სელევკიდ ანტიოქის IV გამარჯვებას არტაშეს I-ზე, რასაკვირველია, იმედი უნდა აღედგრა ქართლში სომეხთა მოძალებისაგან გასათავისუფლებლად. რ. გრუსე შენიშნავს, რომ ანტიოქოს IV გარდაცვალებამ სომხეთს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა<sup>63</sup>. ამისდა მიუხედავად, ძვ. წ. II საუკუნის II ნახევარში სომხეთის საგარეო პოლიტიკური ვითარება საკმაოდ რთული იყო. აღმოსავლეთიდან სომხეთს ახლად აღზევებული პართიის სამეფო უტევდა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა მითრიდატე დიდის (ძვ. წ. 123—88 წლები) მეფობის ხანაში. ჯერ პართელებმა სომხებს მძევლად უფლისწული ტიგრანი გამოართვეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ტიგრანი სამშობლოში დაბრუნეს, სომხეთს მნიშვნელოვანი მიწა-წყალი ჩამოაჭრეს<sup>64</sup>.

სტრაბონის, ლეონტის მროველისა და სომხური ანონიმური გეოგრაფიის ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ იბერიის ჩრდილო მხარეები („მცხეთელ მეფეთა სამეფო“) არტაშეს I ექსპანსიას გადა-

<sup>59</sup> მოვსეს ხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 177 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>60</sup> R. Grousset, Histoire de l'Arménie, 1947, p. 82-83.

<sup>61</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 465—467.

<sup>62</sup> C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 80-81.

<sup>63</sup> R. Grousset, Histoire de l'Arménie, 1947, p. 83.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 84.



ურჩნენ. ძვ. წ. II საუკუნის 60-იანი წლებიდან სომხეთის დასუსტებას, უპირველეს ყოვლისა, იბერიის მეფეთა განთავისუფლება უნდა მოჰყოლოდა სომეხთა გავლენისაგან. ფაქტიურად იბერთა საპიტიახშოც უნდა განთავისუფლებულიყო სომხეთისაგან, რადგან ქართული ტომებით დასახლებული, პიტიახშოთა სეპარატიზმის მიუხედავად, იბერთა საპიტიახშო არტაშეს I (189—161) მეფობის ძლიერების ხანაშიც კი ქართლის (იბერიის) სამეფოს იმ მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა, რომელსაც არტაშეს I-მა ნახევრადამოკიდებული „იბერიის სამეფოს“ სტატუსი მისცა.

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება დიდხანს არ გაგრძელებულა. ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს, როგორც ცნობილია, მითრიდატე VI ევპატორმა (111—63 წლები) ქართლის სამეფოში შემავალი ეგრისისა და არგვეთის საერისთავოები მიიტაცა, რადგან მითრიდატე ევპატორის მიერ დაპყრობილი კოლხეთის მიწა-წყალი, როგორც ჩანს, ლიხის ქედს აღწევდა. სტრაბონის წყაროს — თეოფანე მიტილენელის მოწმობის თანახმად, გზა კოლხეთიდან იბერიაში შემოდის და „კოლხურ ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე“<sup>65</sup>. თეოფანე მიტილენელი არგვეთის მიწა-წყალზე მდებარე შორაპანის ციხეს კოლხეთის საზღვრებში გულისხმობს, რაც მიუთითებს, რომ პონტოს სამეფოს პოლიტიკური საზღვარი კოლხეთში დასავლეთით ლიხის ქედამდე მოდიოდა.

ტიგრან II (95—55) მეფობის ხანაში, როდესაც სომხეთი თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს, ქართლის სამეფო, არტაშეს I მეფობის შემდეგ, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც კვლავ სომხეთზე დამოკიდებული აღმოჩნდა<sup>66</sup>. სომეხთა გავლენა განსაკუთრებით ძლიერი, რასაკვირველია, იბერთა საპიტიახშოში იყო.

როგორც ითქვა, იბერთა საპიტიახშო სუმიბატ ბივრიტიანის ქართლზე ლაშქრობების შედეგად ჩამოყალიბდა. სუმიბატ ბივრიტიანი ბაგრატიონთა სახლის პირველი რეალური ისტორიული შვილია და ამიტომაც მისი მოღვაწეობის ხანა ზედმიწევნით თარიღდება. სუმიბატ ბივრიტიანის მამული, მოვსეს ხორენაცის ცნობით, სპერი<sup>67</sup> იყო, რაც მიუთითებს, რომ წარმოშობით სუმიბატ ბივრიტიანი

<sup>65</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 128.

<sup>66</sup> Г. А. М е л и к ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 323.

<sup>67</sup> მოვსესხორენაცის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 162 (ძვ. სომხ. ენაზე)..

ჟეველესი ქართული მიწა-წყლიდან — ქოროხის ხეობიდან არის. ფარნაეაზის მიერ ორგანიზებულ ქართლის სამეფოში სპერი კლარჯეთის საერისთავოში შედიოდა. როგორც აღვნიშნეთ, არტაშეს I (189—161) ქართლის სამეფოს, სტრაბონის ცნობის მიხედვით, სხვა მიწა-წყალთან ერთად პარიადრის კალთები და ზორძენე ჩამოაქრა, რაც ნიშნავს, რომ სპერთან ერთად ქოროხის ხეობის დიდი ნაწილი სომხეთის შემადგენლობაში შევიდა.

ამრიგად, ქართლის (იბერიის) სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლის კერა სპერი იყო და იბერთა საპიტიახშოც სუმბატ ბივრიტიანმა შექმნა. დასადგენია, ვის მისცა არტაშეს I (189—161) სუმბატ ბივრიტიანის ხელით შექმნილი იბერთა საპიტიახშო და ვინ იყვნენ წარმომობით იბერთა პიტიახშები, რადგან „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შემონახული ისტორიული ტრადიცია აზოს (აზონის) შესახებ იბერიის პიტიახშთა წრიდან მომდინარეობს. ამის გამო განვიხილოთ ბაგრატიონთა (ბივრიტიანთა) სახლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი და მათი მიმართება იბერთა პიტიახშებთან.

როგორც წყაროები მიუთითებენ, ბაგრატიონთა სახლის მამულს სპერი წარმოადგენდა. მოვსეს ხორენაცის ცნობით, არტაშეს I (189—161) მეფობის ხანის ცნობილი მხედართმთავრის — სუმბატ ბივრიტიანის (ბაგრატიონის) მამული სპერში იმყოფებოდა<sup>68</sup>. სუმბატ ბივრიტიანის შვილიშვილის — თრდატის, მამულსაც მოვსეს ხორენაცი სპერში ვარაუდობს<sup>69</sup>. შემდგომი ხანის ბაგრატიონთა სახლის შვილებიდან მოვსეს ხორენაცი სუმბატსა და მის ძეს ბაგრატს ახსენებს, რომელნიც მისივე ცნობით, პირველი სომეხი ქრისტიანი მეფის — თრდატის (298—330) მეფობის ხანაში ცხოვრობდნენ<sup>70</sup>, მაგრამ მოვსეს ხორენაცი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ სად იმყოფებოდა მათი მამული. დასახელებულ სუმბატის ძეს — ბაგრატს ფავსტოს ბუზანდი<sup>71</sup> ახსენებს, მაგრამ მისი მამულის ადგილმდებარეობის შესახებ არც იგი ამბობს რაიმეს.

ბაგრატიონთა სახლის შესახებ საყურადღებო ცნობა შემოგვიწახა „გრიგოლის ცხოვრებამ“. როდესაც გრიგოლ განმანათლებელმა სომეხთა მეფე თრდატი (298—330) ქრისტეს სარწმუნოებაზე მო-

<sup>68</sup> მოვსეს ხორენაცის 19:3 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 162 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>69</sup> იქვე, გვ. 195—196.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 225.

<sup>71</sup> ფ ა ვ ს ტ ო ს ბ უ ზ ა ნ დ ი ს 1889 წლის ვენეციის გამოცემა, გვ. 17 (ძვ. სომხ. ენაზე).

აქცია, თრდატმა თავისთან სომხეთის მთავარნი მოიწვია. თრდატთან სომხეთის თექვსმეტი მთავარი გამოცხადდა, მათ შორის მეოთხე მთავრად დასახელებულია „გვარის უფროსი ეპარხოსი ოსპიტიანთა, რომელსაც დავალებული ჰქონდა დაეცვა კავკასიის მათა და ქანთა მხარეები“<sup>72</sup>. ამავე ცნობას ადასტურებს „გრიგოლის ცხოვრების“ არაბული თარგმანი, რომელიც ზუსტად იმეორებს „გრიგოლის ცხოვრების“ ტექსტს<sup>73</sup>. ასპეტობა, როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა საგვარეულო სახელოს წარმოადგენდა<sup>74</sup> და თრდატის კარზე მისული „გვარის უფროსი ეპარხოსი ოსპიტიანთა“ ბაგრატიონთა სახლის მთავარი იყო. ნ. მარის განმარტებით, ასპეტი „მხარის გამგებელს“ ნიშნავდა<sup>75</sup>.

„გრიგოლის ცხოვრების“ ბერძნული ვერსია, ყ. გარიტის აზრით, სომხური დედნიდან ითარგმნა<sup>76</sup>. „გრიგოლის ცხოვრების“ ბერძნული ვერსიის ზემომოტანილი ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ იგი ბაგრატიონთა სახლს პიტიახშის სახელოთი ასახელებს, რადგან სომხეთის დაცვა კავკასიის მხრიდან იბერთა პიტიახშების მოვალეობას შეადგენდა, ბაგრატიონების მამული — სპერი კი, როგორც ცნობილია, უანეთის მთების გასწვრივ იდო. „გრიგოლის ცხოვრების“ ეს ცნობა თრდატის (298—300) მეფობის ხანას არ შეიძლება ეკუთვნოდეს. ბაგრატიონთა სახლს IV საუკუნის პირველ მეოთხედში კავკასიის მხრიდან სომხეთის დაცვასთან საერთო არაფერი ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ ი. მარკვარტიის შენიშვნას აგათანგელოსის სომხური და ბერძნული ვერსიების სომეხთა მთავრების სიების შესახებ, რომ ამ სიებში ასახული სომხეთის საზღვრები არა თრდატის (298—330), არამედ ტიგრან II (95—55) ხანას გაეკუთვნება<sup>77</sup>, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „გრიგოლის ცხოვრე-

<sup>72</sup> G. Garritte, Documents pour l'étude du livre d'Agathange, 1946, p. 72-73; ალ. გამყრელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, ტ. I, თბ., 1961, გვ. 71.

<sup>73</sup> Н. Я. Марр, Крещение армян, абхазов и алан святым Григорием (арабская версия), ЗВОРАО, т. XVI, вып. II-III, стр. 114.

<sup>74</sup> Н. Адонц, Армения в эпоху Юсенинана, С. Птб., 1908, стр. 283.

<sup>75</sup> Н. Я. Марр, Словарные заметки *საქსმ ასურაით*, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, V, 1903.

<sup>76</sup> G. Garritte, Documents pour l'étude du livre d'Agathange, 1946, p. 246.

<sup>77</sup> J. Marquart, Eranšahr nach Geographie des Ps. Moses Xorenac'i, 1904, S. 165-178; J. Marquart, Die Genealogie der Bagratiden und das Zeitalter des Mar Abas und Ps. Moses Xorenac'i «Caucasica», fasc. 6, t. 2, 1930, S. 33.

ბის“ ზემომოტანილი ცნობა არა თრდატის (298—330), არამედ ტიგ-  
რან II (95—55) ხანას ასახავს. სპერი ბაგრატიონთა მამულად, ფავს-  
ტოს ბუზანდის ცნობით, ლომხეთის მეფის არშაკ III (379—387) მე-  
ფობის ხანაშიც ჩანს<sup>78</sup>. ფავსტოს ბუზანდის ამ ცნობას მოვსეს ხო-  
რენაის ცნობაც ეთანხმება<sup>79</sup>.

„გრიგოლის ცხოვრების“ მიერ შემონახულ მინიშნებას, რომე-  
ლიც ბაგრატიონთა სახლს პიტიახშის ფუნქციით ასახელებს, ჭუან-  
შერის ცნობები ადასტურებენ. ჭუანშერის გადმოცემით, ვახტანგ  
გორგასალის ბერძენთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს სომეხთა  
ლაშქარმა, რომელიც ვახტანგ გორგასალს თან ახლდა აღნიშნული  
ლაშქრობის ჟამს, ქრისტიანების ხოცვას მიჰყო ხელი. ამასთან და-  
კავშირებით ვახტანგ გორგასალმა საგანგებოდ გააფრთხილა სომეხე-  
ბი, რომ ღმერთი ქრისტიანთა დახოცვისათვის მათ დასჯის და ჭუან-  
შერიც შემდეგნაირად ალაპარაკებს ვახტანგ გორგასალს — „თქვენ,  
მკვდრთა მაგათ სომხითისათა არშაკუნთანთა, პატიახშთა ბივრიტიან-  
თა, არა გაქსოვანა საქმენი გრიგოლ პართეველისანი და წინააღ-  
მდგომთა მისთა, თრდატ მეფისა არშაკუნთანისა, ვითარ დასცა ზუა-  
ობისაგან და იქმნა იგი ეშუად“<sup>80</sup>.

ჭუანშერის მიერ დახატული ისტორიული სიტუაცია მწიგნობ-  
რული წარმოშობის არის. მიუხედავად ამისა, ჭუანშერის მიერ გა-  
მოყენებულ წყაროებში ის იპყრობს ყურადღებას, რომ ჭუანშერს  
თავის თხრობაში მექანიკურად ჩაურთავს ცნობა ბაგრატიონთა სახ-  
ლის პიტიახშობის შესახებ, რომელიც ძველი წყაროდან მომდინა-  
რეობს. ა. ბოგვერაძე და კ. თუმანოვი ჭუანშერის მოტანილი ცნო-  
ბის მიმართ შენიშნავენ, რომ ჭუანშერის მიერ მოხსენიებულ ბივრი-  
ტიან პიტიახშებში ბაგრატიონთა სახლის პიტიახშები იგულისხმე-  
ბიან<sup>81</sup>. ბაგრატიონთა სახლის მკვლევარნი მიუთითებენ, რომ ბივრი-  
ტიანობა ბაგრატიონების სინონიმს წარმოადგენდა<sup>82</sup>. თვით სახელი

<sup>78</sup> ფავსტოს ბუზანდის 1889 წლის ვენეციის გამოცემა, გვ. 263—264 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>79</sup> მოვსეს ხორენაის 1913 წლის თბილისის გამოცემა, გვ. 309, (ძვ. სომხ. ენა-ზე).

<sup>80</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 161.

<sup>81</sup> ა. ბოგვერაძე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 68; C. T o u m a n o v, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 335.

<sup>82</sup> M. B r o s s e t, Addition et éclaircissements à l'histoire de la Géorgie, 1849, p. 141; J. M a r q u a r t, Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge, 1903, S. 404.

ბივრიტი, ანუ სომხურად ბიურატი, ბაგრატიონთა სახლის ფუძემდებელს — ბაგრატს უკავშირდება. სეგეოსის მიერ მოტანილ ბაგრატიონთა სახლის გენეალოგიაში აღნიშნულია, რომ „ბაგრატმა შვა ბიურატი“<sup>83</sup> და ბიურატიც ასპეტის მსგავსად ბაგრატიონთა სინონიმად იხმარებოდა<sup>84</sup>. ამასვეს აღნიშნავს პ. ინგოროყვა, რომელიც წერს: „ბივრიტი — საგვარეულო სახელია ბაგრატიონთა სახლისა“<sup>85</sup>. ჭუანშერის მიერ მოხსენიებული ვახტანგ გორგასალის ოძრჩის ერისთავის ბივრიტიან სეფეწულის ბაგრატიონობაზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს (ი. მარკეარტი, პ. ინგოროყვა, კ. თუმანოვი, ა. ბოგვერაძე და სხვ.).

მოვსეს ზორენაციისა და ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული სუმბატ ბივრიტიანის ბაგრატიონთა სახლის შვილობა, თვით მოვსეს ზორენაციის განმარტებით, ბივრიტიანობით არის განპირობებული<sup>86</sup>, ხოლო სომეხი ისტორიკოსები ასოლიკი და სამუელ ანეცი 691 წელს გამთავრებულ სომხეთის მთავარს სმბატ ბაგრატუნს ბივრიტიანად ასახელებენ<sup>87</sup>. სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი სომეხთა მთავრის აშოტ მსაკერ ბაგრატუნის (მთავრობდა 806—826 წლებში) მიმართ საგანგებოდ შენიშნავს, რომ იგი თავის წინაპრად იმ სუმბატ ბივრიტიანს თვლიდა<sup>88</sup>, რომლის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ მოვსეს ზორენაცი და ლეონტი მროველი სომხეთ-ქართლის ომებთან დაკავშირებით.

ამრიგად, ჭუანშერის მიერ მოხსენიებული „პატიანშთა ბივრიტიანთა“ ბაგრატიონ პიტიანშებს აღნიშნავენ, ხოლო იმ გარემოებაზე, რომ ჭუანშერს ძველი და სანდო წყარო უნდა ჰქონოდა „ბივრიტიან პატიანშთა“ მოხსენიების დროს, მ. ბროსემ მიუთითა, რომელმაც სომხურ და ქართულ წყაროთა ურთიერთშეჯერების შედე-

---

<sup>83</sup> სეგეოსის ერენის 1939 წლის გამოცემა, გვ. 6—7 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>84</sup> C. T o u m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 306, 344.

<sup>85</sup> პ. ინგოროყვა, გორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 78.

<sup>86</sup> მოვსეს ზორენაციის თბლისის 1913 წლის გამოცემა, გვ. 162 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>87</sup> ასოლიკის 1885 წლის პეტერბურგის გამოცემა, გვ. 101 (ძვ. სომხ. ენაზე); სამუელ ანეცის 1893 წლის ვალარშაპატის გამოცემა, გვ. 84 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>88</sup> ვარდან დიდის 1861 წლის მოსკოვის გამოცემა, გვ. 105 (ძვ. სომხ. ენაზე).

გად დაასაბუთა, რომ ბაგრატიონთა სახლის შვილებს პიტიახშის სახელო ჰქონდათ.

ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ არჩილის (736—786) „მეფობის“ ეპოს ბაგრატიონთა სახლის შვილთა სომხეთიდან ჰერეთში გადმოსახლების დროს, „მასვე ეპოსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქუარივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრათურთ“<sup>89</sup>. სწორედ ამ „პატიახშნი ვინმეს“ მიმართ მ. ზროსე შენიშნავს, რომ ჯუანშერისათვის უცნობი ეს პიტიახშნი (ამიტომ არის, რომ ჯუანშერი მათ „ვინმედ“ ასახელებს) 806—826 წლების სომხეთის ცნობილი მთავარის აშოტ მსაკერ ბაგრატუნის სახლია, რასაც მ. ზროსე ვარდან დიდისა და ჯუანშერის ცნობების ურთიერთშეპირისპირების შედეგად ასაბუთებს<sup>90</sup>.

როგორც ცნობილია, 772 წლის სომეხ ნახარართა აჯანყება არაბების წინააღმდეგ სომეხთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. გამძვინვარებული არაბები უმოწყალოდ ელეტდნენ ნახარარებს. განსაკუთრებით კატასტროფული აღმოჩნდა 772 წლის აჯანყება მამიკონიანთა და კამსარაკანთა სახლებისათვის, რომელნიც სომხეთის ერთ-ერთ წამყვან ნახარარულ სახლებს წარმოადგენდნენ. ძლიერ დაზარალდნენ ბაგრატიონებიც. ბაგრატიონთა სახლის უფალი და სომხეთის მთავარი სმბატ ბაგრატუნი აჯანყებაში დაიღუპა. არაბთაგან დევნილებმა აჯანყებაში დაღუპულ სმბატ ბაგრატუნის ორმა ძემ — აშოტმა და შაპუჰმა თავის საგვარეულო მამულს — ბიზანტიის მოსაზღვრე სპერს, შეაფარეს თავი. დროთა ვითარებაში აშოტმა და შაპუჰმა წარმატებას მიაღწიეს და ენერგიული მოღვაწეობით (ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ხმლით და სხვ.) ბაგრატიონთა სახლმა ხელში ჩაიგდო სომხეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარის მიწა-წყალი, რომელიც ადრე უმთავრესად მამიკონიანთა და კამსარაკანთა სახლებს ეკუთვნოდა.

ვარდან დიდის ცნობით, ბაგრატიონთა სახლის ხელში გადავიდა არშარუნიქი, შირაკი, ტარონი და ტაოს გავარი და, ვარდან დიდის

<sup>89</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 გვ. 244.

<sup>90</sup> M. Brosset, Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie, 1849, p. 159.

სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „მამაცმა აშოტმა ააშენა კამახი და დასახლა თვისი სახლელუნი მასში“<sup>91</sup>. აშოტმა ტაოშივე შეიფარა არაბთაგან შევიწროვებული გუნის ნახარათა სახლი.

ჭოროხის ხეობას არა მხოლოდ 772 წელს დაღუპულ სუმბატ ბაგრატიონის „ვეილებმა — აშოტმა და შაპუკმა შეაფარეს თავი, არა-ნედ სუმბატის უმცროსი ძმის — ვასაკის ძე ადარნასეც არაბებს გაეპა და კლარჯეთში დამკვიდრდა“<sup>92</sup>.

აღზევებულ ადარნასეს ზიძაშვილს — აშოტ მსაყერს კლარჯეთის ხელში ჩაგდებაც სდომებია და, რადგან აშოტი კლარჯეთში „არ შეუშვეს“, აშოტი ტაოში მდებარე კალმახის ციხეში დასახლდა. ამიტომ არის, რომ ჭუანშერის მიერ შემონახული ცნობა, „პატიახშნა ვინმეს“ მიერ კალმახის ციხის აშენებას რომ შეეხება, მ. ბროსესა და კ. თუმანოვის შენიშვნით, იდენტურია ვარდან დიდის იმ ცნობის, რომელიც აშოტ მსაყერის კალმახის ციხეში დასახლებას შეჩახებ მოგვითხრობს<sup>93</sup>.

ამასვე ადასტურებენ ი. მარკვარტი და ე. ჰონიგმანი (ამ აზრს იზიარებენ აგრეთვე ს. ერემიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი და გ. ტერ-ლევონდიანი), რომელიც აღნიშნავენ, რომ ვარდან დიდის მიერ მოხსენიებული კამახის ციხე, სადაც აშოტ მსაყერი დასახლდა, იგივე კალმახის ციხეა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ჭუანშერი „ვინმე პატიახშთა“ მასში დასახლებასთან დაკავშირებით. ამავე დროს ი. მარკვარტი და ე. ჰონიგმანი საგანგებოდ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ აშოტ მსაყერის მიერ დასახლებულად არჩეული კამახი (ასე უწოდებს ვარდან დიდი კალმახის ციხეს) ტაოში მდებარე კალმახის ციხეა და არა დარანალის პროვინციის ცნობილი ანი-კამახი, რომელიც მდინარე ევფრატზე მდებარეობდა<sup>94</sup>.

საყურადღებოა რომ, თუ ჭუანშერის წყაროში არეკლილია აშოტ მსაყერ ბაგრატიუნის სახლის პატიახშობა, ვარდან დიდი აშოტ

---

<sup>91</sup> ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ის 1861 წლის მოსკოვის გამოცემა, გვ. 105—106 (ძე. სომხ. ენაზე).

<sup>92</sup> იქვე, 106, 111—112. (ძე. სომხ. ენაზე).

<sup>93</sup> M. Brosset, Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie, 1849, p. 159; C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 453.

<sup>94</sup> J. Marquart, Osteuropäische und Ostasiatische Streifzüge, 1903, S. 404; E. Honigmann, Die Ostgrenze des byzantinischen Reiches, 1935, S. 220.

მსაკერის ბივრიტიანობაზე ლაპარაკობს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ვარდან დიდი აშოტ მსაკერის მიმართ საგანგებოდ შენიშნავს, რომ იგი თავის წინაპრად იმ სუმბატ ბივრიტიანს თვლიდა<sup>95</sup>, რომლის შესახებაც ვრცლად მოგვითხრობენ მოვსეს ხორენაცი და ლეონტი მროველი სომხეთ-ქართლის ომებთან დაკავშირებით. მოტანილი საბუთები ამტკიცებენ იმ ცნობის წყაროს რეალურობას, რომელსაც ჭუანშერი ათქმევინებს ვახტანგ გორგასალს — „თქვენ, მკვდრთა მავათ ჭომხითისათა: არშაკუნიანთა, პატიახშთა ბივრიტიანთა“...

ჭუანშერის ცნობით, მას შემდეგ, რაც „პატიახშნი ვინმეს“ სახლი კლარჯეთში არ შეუშვეს, ამ სახლის ნახევარი ტაოში წავიდა და კალმახის ციხეში დასახლდა. კალმახის ციხეში დასახლებული „პატიახშნი ვინმეს“ სახლი აშოტ მსაკერ ბაგრატიუნის სახლი იყო. ჭუანშერს თუ ვენდობით, უნდა გავიზიაროთ ის ცნობაც, რომ „პატიახშნი ვინმეს“ სახლის მეორე ნახევარი „მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აპუხუასროსა. რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ“<sup>96</sup>. ადვილი შესამჩნევია, რომ ჭუანშერის მოტანილი წყარო ორი ნაწილისაგან შედგება. ჭუანშერის მიხედვით, კლარჯეთი არჩილის „სამეფოს“ საზღვრებში შედიოდა<sup>97</sup> და „პატიახშნი ვინმეს“ სახლი კლარჯეთში არ შეუშვეს. ამიტომ იყო აშოტ მსაკერი ბაგრატიუნი კალმახის ციხეში რომ დასახლდა. გაუგებარია, რატომ უნდა მოსულიყო არჩილთან კახეთში იმავე სახლის მეორე ნახევარი, რომელსაც კლარჯეთში დასახლების უფლება არ მიეცა. თუ წყაროს პირველი ნაწილი დადგენილია (აშოტ მსაკერის კალმახში დასახლების ამბავი წარმოდგენს ჭუანშერის წყაროს), დასადგენია წყაროს მეორე ნაწილი, რომელიც ბაგრატიონთა სახლის შეილთა ჰერეთში დასახლების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო.

ჭუანშერის ცნობით, როდესაც არჩილის გამეფებიდან „წარჯდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი... გარდამოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა კიდრისასა. მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე, ძმისწული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მზახებულ

<sup>95</sup> ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი ს, 1861 წლის მოსკოვის გამოცემა, გვ. 106 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>96</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 244.

<sup>97</sup> იქვე, გვ. 241.



იყო ბაგრატიონიანთაღვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შეილთა თანა გუარამ კურაპალატისასა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და რქუა: უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვდრი შენი, მომეც ქუეყანა. და მისცა შულავერი და არტანი“<sup>98</sup>.

ჯუანშერის მიერ მოხსენიებული ადარნასე ქართლის ცნობილი ერისმთავრის აშოტ დიდი კურაპალატის (გარდ. 826 წელს) მამა არის. ადარნასე კი შეილიშვილი იყო სომხეთის მთავრის აშოტ ბაგრატიონისა (ჯუანშერი აშოტ ბრმას შეცდომით ადარნასე ბრმას უწოდებს — გ. მ.), რომელიც თავისივე სახლის შეილებმა მამიკონიანებთან ერთად 748 წელს დააბრმავეს. აშოტ ბრმას ჰყავდა ორი ძე — სუმბატი და ვასაკი, ხოლო ადარნასე, არჩილს რომ მფარველობა სთხოვა, ვასაკის ძე იყო. ადარნასე, როგორც ვთქვით, არჩილის ნებართვით, 772 წლის ანტიარაბული აჯანყების ჩახშობის შემდეგ კლარჯეთში დამკვიდრდა.

მკვლევარნი სამართლიანად მიუთითებენ, რომ ჯუანშერის წყარო არჩილის შესახებ ქრონოლოგიური თვალსაზრისით გაუმართავია და ანაქრონიზმებით გამოირჩევა. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ჯუანშერის ცნობა, რომლის მიხედვითაც, აშოტ ბრმის (გარდ. 761 წელს) შეილიშვილი ადარნასე „ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შეილთა თანა გუარამ კურაპალატისასა კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო“. მურვან ყრუმ კავკასია 736—738 წლებში დალაშქრა და აშოტ ბრმის შეილიშვილმა ადარნასემ კლარჯეთს შეაფარა თავი არა 736—738 წლებში, არამედ 772 წლის შემდგომ ხანებში. თუ ჯუანშერის წყაროში ადარნასეს კლარჯეთში დამკვიდრების თარიღი შეცდომით არის აღნიშნული, ჯუანშერის წყარო იმაში მართალია, რომ ადარნასეს კლარჯეთში მისვლა არაბთა რეპრესიების შედეგი იყო<sup>99</sup>.

ჯუანშერის ცნობით, ადარნასე არჩილთან მივიდა არჩილის „მეფობის“ მეთორმეტე წელს, რაც ასევე ანაქრონიზმია. არჩილი 736 წელს „გამაფდა“ და ადარნასეც, ჯუანშერს თუ ვენდობით, არჩილთან 748 წელს უნდა მისულიყო. ადარნასეს მისვლა კი კლარჯეთში 772 წლის შემდგომ ხანებში ივარაუდება. ამისდა მიუხედავად,

<sup>98</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ. 1955. გვ. 244.

<sup>99</sup> წყაროები და ლიტერატურა აღნიშნული საკითხების შესახებ იხ. C. T o u m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 345—352.

ჯუანშერის ზემოაღნიშნული ცნობა საფუძველს არ არის მოკლებული, რადგან არჩილის „მეფობის“ მეთორმეტე წელს სომხეთიდან ბაგრატიონთა სახლის შვილები არჩილთან გამოცხადდნენ. მას შეჰედგ, რაც ჯუანშერი ადარნასუს არჩილთან მოსვლის ამბის თხრობას ნორჩება, ჯუანშერი გადმოგვცემს არჩილს საქმიანობის შესახებ კახეთ-პერეთში და შენიშნავს, რომ „ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი (აშოტ ბრმისა — გ. მ.) რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით ოაკიხად, სამნი ძმანო, და დაემკვდრნეს მუნ, ზრძანებითა არჩილსათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვდრო ქმნილი იყო. ხოლო პერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვდრნეს საქნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“<sup>100</sup>.

როგორც ვთქვით, 748 წელს ბაგრატიონთა სახლის შვილებმა (კ. თუმანოვის აზრით, ესენი იყვნენ სუმბატ კურაპალატის ძენი, რომელნიც წლების მანძილზე სომხეთის მთავარი იყო და გარდაიცვალა 727 წელს — გ. მ.) მამიკონიანებთან ერთად დააბრმავეს აშოტი<sup>101</sup>. არჩილის „მეფობის“ მეთორმეტე წელს, რომელიც 748 წელზე მოდის, სწორედ აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი ბაგრატიონები უნდა მოსულიყვნენ არჩილთან და არა აშოტ ბრმის შვილიშვილი ადარნასე. ჯუანშერი აღნიშნავს, რომ დასახელებული სამივე ძმა შაკიხში დამკვიდრდნენ, და იქვე განაგრძობს — „მასევე ჟამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარში მოვიდეს კახეთად არჩილის თანა“<sup>102</sup> და ერთ-ერთ მათგანს არჩილმა „მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ“<sup>103</sup>.

ჯუანშერის აღნიშნულ წყაროში ბაგრატიონთა სახლის ორი, სხვადასხვა პერიოდის მოვლენებია გაერთიანებული. ცნობა, რომ „პატიახშნი ვინმე“ კლარჯეთში არ შეუშვეს, 772 წლის შემდგომ ხანებს მიეკუთვნება, ხოლო ის ცნობა, რომ „პატიახშნი ვინმეს“ სახლის ნახევარი არჩილმა პერეთში დაასახლა, 748 წელს ბაგრატიონთა პერეთში დამკვიდრების საფუძველზე შეიქმნა. ჩვენი ძიებისათვის კი

<sup>100</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 244.

<sup>101</sup> C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 350.

<sup>102</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 244.

<sup>103</sup> იქვე, გვ. 244.

ის არის მთავარი, რომ ჯუანშერის მიერ მოხსენიებულ „პატიახშთა ვინმეს“ სახლის ქვეშ ორივე შემთხვევაში ბაგრატიონთა სახლი იგულისხმება.

პიტიახშთა სახლების გენეზისთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შეეჩერდეთ ჯუანშერის მიერ მოხსენიებულ კიდევ ერთ საპიტიახშო სახლზე — ფეროზიანებზე. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის გარდაცვალების შემდეგ, ლეონტი მროველის ცნობით, სამშვილდის საერისთავოს მიწა-წყალი მიიღო მირიან მეფის „თვსმა“ — ფეროზმა<sup>104</sup>, რომლის ჩამომავლები, ჯუანშერის მოწმობით, პიტიახშობით იყვნენ ცნობილი<sup>105</sup>. როგორც აღვნიშნეთ, კ. თუმანოვმა და ა. ბოგვერაძემ დაადგინეს, რომ ქვემო ქართლის IV—VIII საუკუნეთა პიტიახშები ფეროზიანები იყვნენ<sup>106</sup>.

ამრიგად, იბერთა საპიტიახშო სუმბატ ბივრიტიანის მიერ „ზმლით ნაშობები“ ქვეყანა იყო და ამის გამოც არტაშეს I-მა (189—161) იბერთა პიტიახშებად ბაგრატიონთა სახლისშვილები განაწესა. ანალოგიისათვის საყურადღებო მასალას გვაძლევს პაპირუსი № 10 დურა-ევროპოსიდან (ახ. წ. 121—122 წწ.), რომელშიც იხსენიება პართიის მეფეთა პიტიახში მანესა. მანესა ამავე დროს ნესოპოტამიის და პარაპოტამიის სტრატეგოსიც იყო და არაბთა ტომის მმართველიც<sup>107</sup>.

მკვლევართა აზრით, სომხეთზე დამოკიდებული საპიტიახშობების პიტიახშებად ადგილობრივი სამეფო სახლის შვილები ინიშნებოდნენ ხოლმე<sup>108</sup>. სომხურ და ქართულ წყაროთა ცნობები იბერთა საპიტიახშოს მიმართ ამ დებულებას ადასტურებენ. სებეოსი ბაგრატიონთა სახლის ფუძემდებელს — ბაგრატს, ფარნავაზიანს უწო-

<sup>104</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 130—131.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 241.

<sup>106</sup> C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 188-189; ა. ბოგვერაძე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 59—68.

<sup>107</sup> M. Rostovtzeff, C. Welles, A Parchment Contract of Loan from Dura-Europos on the Euphrates, *Jale Classical Studies*, vol. II, 1931, p. 47-51; J. Wolski, Parthian and Iranian Titles in the Parchment no. 10 from Dura, *Journal of Juristic Papirology*, vol. VII—VIII, 1954, p. 285-294.

<sup>108</sup> J. Marquart, *Eranšahr nach Geographie des Ps. Moses Xorenc'i*, 1904, S. 165-173; H. Адоиц, Армения в эпоху Юстиниана, С. Пб., 1908, стр. 283.

დებს<sup>109</sup> და ეს უკანასკნელიც, მკვლევართა აზრით, ქართლის სამეფო დინასტიას — ფარნავაზიანთა სახლს, აღნიშნავდა<sup>110</sup>. ჯუანშერი ვახტანგ გორგასალის ოძრხის ერისთავს — ბივრიტიანს, სეფეწულად ასახელებს<sup>111</sup>, რაც ნიშნავს, რომ ბივრიტიანი ფარნავაზიანთა სახლის წული იყო.

ბივრიტიანთა (ბაგრატიონთა) სახლი ფარნავაზიანად და სეფეწულად იმის გამო იწოდება, რომ წარმოშობით ბაგრატიონები (ბივრიტიანები) „არიან-ქართლის“ „მეფის“ ძის — აზოშ ჩამომავალთა კლარჯეთის ერისთავთა სახლს ეკუთვნოდნენ, რომელიც ფარნავაზმა „იშვილა“ აზოს (აზონის) მოკვლის შემდეგ. მოვსეს ხორენაცის ცნობით, იბერთა პიტიახშები თავის წინაპრად იმ მიპრდატს ასახელებენ, ალექსანდრე მაკედონელმა იბერთა მმართველად რომ დააყენა. მაკედონელთა იმპერიის სომხეთის სატრაპის მითრენისა და „არიან-ქართლის“ „მეფის“ ძის აზოს ურთიერთობის შესწავლის შედეგად აღვნიშნეთ, რომ გადმოცემა იბერთა პიტიახშთა მიპრდატისაგან წარმომავლობის შესახებ ალექსანდრე მაკედონელას სომხეთის სატრაპის მიპრის მიერ „არიან-ქართლის“ „მეფის“ ძის აზოს „შვილების“ შედეგად შეიქმნა. იბერთა პიტიახშები არა მიპრის, არამედ უშუალოდ კლარჯეთის ერისთავთა ჩამომავლები იყვნენ, რომელთა წინაპარი აზო „დააყენა“ ალექსანდრე მაკედონელმა იბერთა „მმართველად“.

იბერთა პიტიახშთა სახლის ისტორია ძვ. წ. II—I საუკუნეებში ასე წარმოგვიდგება. ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს ფარნავაზმა, „არიან-ქართლის“ „მეფის“ ძის აზოს დამარცხების შედეგად, აზოს სახლისშვილები „იშვილა“ და აზონის „ფარნავაზიან“ სახლისშვილებს კლარჯეთისა და ოძრხის ერისთავობა მიანიჭა. ამის საშუალებით კლარჯეთისა და ოძრხის ერისთავთა სახლები იბერთა მეფეთა „ნათესავში“ შევიდნენ. ფარნავაზის მიერ დაარსებული კლარჯეთის საერისთავოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერის ჩათვლით

<sup>109</sup> ს ე ბ ე ო ს ი ს 1939 წლის ერევნის გამოცემა, გვ. 9—10 (ძვ. სომხ. ენაზე).

<sup>110</sup> J. M a r q u a r t, Die Genealogie der Bagratiden und das Zeitalter des Mar Abas und Ps. Moses Xorenac'i, Caucasicca, fasc. 6, t. 2, 1930, S. 16, 70; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თბ., 1949, გვ. 42; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 79—80; C. T o u m a n o f f, Studies in Christian Caucasian History, 1963, p. 306; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფარნავაზი და ფარნავაზიანები ძველ სომხურ წყაროებში, „მაცნე“, № 3, 1967, გვ. 40—50.

<sup>111</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 156, 186, 189, 200, 204.

მდინარეების კელკიტისა და ჭოროხის წყალგამყოფ ქედამდე აღწევდა. კლარჯეთის საერისთავო ამ საზღვრებში ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა სომხეთში არტაშეს I (189—161) გამეფებამდე<sup>112</sup>.

როდესაც არტაშეს I (189—161) ფართო დაპყრობები წამოიწყო და ქართლის (იბერიის) სამეფოსაც შემოუტია, „ფარნავაზიანებად“ ქვეულნი აზოს ჩამომავალნი კლარჯეთის ერისთავთა სახლისშვილები ქართლის (იბერიის) მეფეს აუჯანყდნენ და არტაშეს I-ის მხარეზე გადავიდნენ. არტაშეს I-მა კლარჯეთის ერისთავთა სახლი თავის ნახარარებში ჩარიცხა და ამ გზით ჭოროხის ხეობის სანახები ვიდრე საკუთრივ კლარჯეთამდე უშუალოდ სომხეთს შეუერთა. ამის შედეგად „ფარნავაზიან“ კლარჯეთის ერისთავთა სახლიდან ბაგრატიონთა სახლი ჩამოყალიბდა, რომლის ფარნავაზიანობის და სეფეწულობის (=ფარნავაზიანს — გ. მ.) შესახებ სომხური და ქართული წყაროები გადმოგვცემენ.

არტაშეს I (189—161) იბერთა მეფის დამორჩილებას იბერთა მეფის „ნათესავის“ — ბაგრატიონთა (ბიერტიანთა) სახლისშველთა ხელით ცდილობდა, რომელთაც, მართალია, ქართლის (იბერიის) სამეფოს მთლიანად დაპყრობა ვერ შესძლეს, მაგრამ ვრცელი მიწაწყლის მომცველი საპიტიახშოს დაარსება მოახერხეს და იბერთა პიტიახშოს სახელო მიიღეს. ასე ჩამოყალიბდა იბერთა პიტიახშოთა სახლი, რომლის ბრძოლას იბერთა მეფეების წინააღმდეგ განსაკუთრებით არტაშეს I-ის (189—161) და ტიგრან II-ის (95—55) ექსპანსიური პოლიტიკა ასულდგმულებდა.

რომაელებთან ომში ტიგრან II-ის დამარცხების შემდეგ სომხეთის სამეფო ლუსტდებდა, ზოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე არტაშესიღდა დინასტია გადაშენდა. ასეთ ვითარებაში იბერთა პიტიახშებმა სომეხ მეფეთა მხარდაჭერა დაკარგეს და, ლეონტი მროველის ცნობით, „მცხეთელ მეფეებმა“ ქართლის (იბერიის) სამეფოს „ერთიანობა“ აღადგინეს<sup>113</sup>, რაც იბერთა საპიტიახშოს გაუქმებას ნიშნავდა. ამისდა მიუხედავად, ბაგრატიონთა სახლის ჩამოყალი-

<sup>112</sup> გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. „მოამბე“, 1962, № 2, გვ. 224.

<sup>113</sup> პ. ი ნ გ ო რ თ ე ა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-B, 1941, გვ. 310.

ბების შედეგად ქოროხის ხეობის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ იყო ინკორპორირებული სომხეთის სამეფოში არტაშეს I მიერ (ქოროხის სათავეებიდან კლარჯეთამდე) იბერთა საპიტიახშოს გაუქმებასთან ერთად იბერიას არ დაუბრუნდა და მის დაბრუნებას საუკუნეები დასჭირდა. მართალია, ბაგრატიონებმა იბერთა პიტიახშის ხელი დაკარგეს და თავისი მამული — სპერი, საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოაშორეს, მაგრამ, რადგან ისინი აზონის სახლის ჩამომავალნი იყვნენ და ქართლის (იბერიის) სამეფოს სეფეწულნი, ბაგრატიონთა სახლისშვილები თავის უძველეს მამულში — ოძრხის საერისთავოში, ჩანან. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის ოძრხის ერისთავი ბივრიტიანი სეფეწული იყო<sup>114</sup>.

აზონის (აზოს) სახლის ისტორიის თვალსმიდევნებით — ძვ. წ. IV საუკუნის 30-იანი წლებიდან ვიდრე ვახტანგ გორგასალის მეფობის (V საუკ. II ნახ.) ხანის ჩათვლით — ძნელი აღარ არის ამის დადგენა, თუ ვის წრეში შეიქმნა ლეონტი მროველისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიერ შემონახული ესოდენ ურთიერთისგან განსხვავებული გადმოცემები აზოს (აზონის) შესახებ. აზონის (აზოს) მამაგებელი ლეონტისეული ტრადიცია ფარნავაზის ჩამომავალ იბერთა მეფეთა ოჯახიდან მოდის, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტრადიცია აზოს (აზონის) შესახებ კი ბაგრატიონ — ოძრხე-კლარჯეთის ერისთავთა სახლიდან. ამავე წრეში უნდა შემონახული ყოფილიყო ლეონტისეული გადმოცემა სუმბატ ბივრიტიანის შესახებ.

როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, ისევე ლეონტი მროველის მიერ შემონახული აზონის (აზოს) გადმოცემა მკიდროდ არის დაკავშირებული ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის ლეგენდასთან, რადგან, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის ცნობით, აზო (აზონი) მცხეთაში ალექსანდრე მაკედონელმა დასვა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელი „არიან-ქართლიდან“ აზოს მცხეთაში მოიყვანდა, ქართლში „ავი ზნის“ მქონე ბუნთურქები (ბუნთურქი — ადგილობრივ, მკვიდრ თურქს ნიშნავს) ცხოვრობდნენ, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელმა ნაწილობრივ გაეღიბა, ხოლო ვინც ალექსანდრეს მახვილს გადაურჩა, კავკასიის მთებში გაიხიზნა. ლეონტი მროველი ბუნთურქთა „ავ ზნეს“ ქართველებსა და ქართლში მცხოვრებ სხვა ტომებს მიაწერს. ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა

<sup>114</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 156.

ქართლში მცხოვრები „ავი ზნის“ ტომები ამოელიტა, მხოლოდ „ქართლოსიანები“ დაინდო და მათ მმართველად აზონი დაუყენა.

მოვიტანოთ სათანადო წყაროები. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ქართლში შემოიჭრა, „იხილნა ნათესაენი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუეკით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურზნისი და ოძრაჲე, და ციხენი მათნი: ციხჴ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჴ კასპისა, ურზნისისა და ოძრაჲისაჲ.

დაუკვრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესაენი იყვნეს, ყოველსა კორციელსა ჳამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჳამდეს და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მეფესა, და წარვიდა.

მაშინ მოვიდეს ნათესაენი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჳონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ჳუეყანა ხარკითა. და დაახდეს იგინი ჳანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჳრჳჳან მას ხერკი.

და შემდგომად რაოდენისამე ეამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფჴ ყოვლისა ჳუეყანისაჲ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი, და ჳონთა დასცა მახკლი. ჴოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუჴ და დადგა სარკინესა დასავალით კერძო. და დასკა ვენაჯი და რუჲ გამოილო ჳსნით, და დასხნა კაცი მერუეენი დასტაგითა რუჲსაჲთა და ჳრჳჳან ადგილსა მას ნასტაგისი. და მერმე გამოილო სარკინე. თვით დაყარეს და მეოტ იჳმნენეს.

და თანა-ჳყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჴ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად<sup>115</sup>.

ლეონტის მიხედვით კი, „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ჳუეყანასა საბერძნეთისაჲ, ჳუეყანასა, რომელსა ჳჳჳან მაკედონი, ჳე ნიკტანეზისი, მეგჳპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენტასა.

ამან ალექსანდრე დაიპყნა ყოველნი კიდენი ჳუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამჳრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესაეთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ჳმრობისა და სიძვისათჳს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჳამდეს, მკუდარსა შესჳამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუ-

<sup>115</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 81.

ტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა — იგი ჩუენ ბუნთურქად და ყიფიყად უწოდოთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას ეამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენნეს იგინიცა ქართლს.

შემოდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრკე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჰოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე, სამშვილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცი სასტიკად მბრძოლნი. და განუყო ლაშქარი თვისი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თვთ დადგა მცხეთას. და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ და თვთ დადგა ქსანს ზედა, რომელსა ჰქვან ნასტაკისი.

ხოლო მტუერის ციხესა და თუხარისსა არა ჰბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს თუე ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება ზავი, და ვედრება მათი არა შეიწყნარა, და რქუა მათ: „ვინათგან მაგინეთ მე, ესე არს ნაცვალი თქუენი, რათა დაგვოცნე ყოველნი“. და მოიცვა ქალაქი სარკინე, და ვერასადეთ განერა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭირდა, რამეთუ ჰბრძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განჯურიტეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საჯურეტელი. და განკრბეს ჯურელსა მას სარკინელნი ღამე, და შეივლტოდეს კავკასიად, და დაუტევეს ცალიერად ქალაქი.

დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი ოღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუენა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი; და დაუტევენა ნათესავნი ქართლოსიანნი,



და დაუტევა მათ ზედა პატრიკალ სახელით აზონ, ძე იარედლოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით<sup>116</sup>.

არიან-ქართლის „მეფის“ ძის — აზონ ურთიერთობი: შესახებ: ალექსანდრე მაკედონელის სომეხეთის სატრაპ მითრენთან უკვე გვეპოვება საკმაოდ დაწვრილებით საუბარი. რადგან აზონი მითრენის საშუალებით ალექსანდრე მაკედონელის „ვასალი“ გახდა, ალექსანდრეს ურთიერთობას ქართლთან თავისი ისტორიული ფესვები ეძებნება, რაც საისტორიო ტრადიციაში აისახა კიდევ. ამის გამო კითხვა დაისმის, საიდან გაჩნდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოსდა ალექსანდრე მაკედონელის ქართლზე ლაშქრობისას ქართლში „ავი ზნის“ ბუნთურქები დაუხვდნენ, რომელთა „ავ ზნეს“ ლეონტი მროველი „ყოველთა ქართველთა“ მიაწერს.

ვიდრე აღნიშნულ საკითხს გავარკვევდეთ, დავადგინოთ, თუ საიდან გაჩნდა გადმოცემა ქართლში მოსახლე ბუნთურქთა შესახებ. ლეონტი მროველის ცნობით, როდესაც ირანის ლეგენდარულმა მეფემ ქაიხოსრომ „თურქები“ შემუსრა, დამარცხებულმა „თურქებმა“, ლეონტის თქმით, „გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოუყვეს მტყუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა. და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ჩოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა, ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათვის დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა.

ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და ჰოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასაველით კერძო კლდეთა შორის გამოკუეითლი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე<sup>117</sup>.

მოვიძიოთ ის წყარო, საიდანაც მომდინარეობს ლეონტის ლეგენდა „თურქთა“ ქართლში დასახლების შესახებ. „შაჰნამეში“ ასეულ გვერდებზე მოთხრობილია ირანის მეფის ქაიხოსროსა და თურანის მეფის აფრასიაბის ზისხლისმღვრელი ომების ამბავი. საბოლოოდ თურანელი აფრასიაბი სასტიკად დამარცხდა, ქაიხოსროსგან დევნილმა, სიკვდილს გადაარჩინილმა თურანელებთან ერთად ბარდავს მოაღწია, ბარდავის მახლობლად ერთ-ერთი მაღალი კლდე-

<sup>116</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 17—18.

<sup>117</sup> იქვე, გვ. 15.

ვანი მთის გამოქვაბულნი დარბაზად გამოჰყვეთა და მასში დასახლდა. ამისა მიუხედავად, ირანელებმა აქაც მიაგნეს აფრასიაბ თურანელს, შეიპყრეს და მოკლეს<sup>118</sup>.

ფირდოუსის ეს ლეგენდა მიგვანიშნებს, რომ ლეონტის წყარო ირანულ ლეგენდათა ფონზეა საძიებელი. ლეონტის „თურქნი“ ფირდოუსის თურანელთ აღნიშნავენ. „შაჰნამესა“ და საერთოდ, ფალაური ეპოსის მიხედვით, ქაიხოსრო აფრასიაბს ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებზე ამარცხებს, სადაც გაიაზრებოდა თურანი. ეს ლეონტის წყაროშიც აირეკლა კიდევ, რადგან „თურქნი ოტებულნი... ქაიხოსროსგან გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს შტკუბისა და მოვიდეს მცხეთას“..., ხოლო მცხეთის მამასახლისის მიერ თურქთათვის დასახლებლად ბოძებული ადგილი „კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა“... იმ ირანული გადმოცემის ადგილობრივი ანარეკლია, რომლის მიხედვითაც, აფრასიაბ თურანელი კლდეში გამოკვეთილ დარბაზში დასახლდა. ფირდოუსი შენიშნავს, რომ ამ ადგილს „აფრასიაბის გამოქვაბულს“ უწოდებენ. ა. ქრისტენსენმა თურანიდან ლტოლვილი აფრასიაბის აზერბაიჯანში შემოხიზვნის ამბავი ავესტური გადმოცემის საშუალებით განმარტა, რომლის მიხედვითაც აფრასიაბს აზერბაიჯანში კლავენ<sup>119</sup>.

ფირდოუსის ზემომოტანილ ლეგენდას საგანგებოდ ჯ. დარმსტეტერი შეეხო და მას „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ლეგენდა უწოდა. აღნიშნული ლეგენდის ანარეკლს მკვლევარმა ფალაურ ლიტერატურასა და ავესტაში გაადევნა თვალი<sup>120</sup>. დარმსტეტერმა მიუთითა, რომ განსახილველი ლეგენდის ფრაგმენტი IX საუკუნეში შექმნილ ფალაურ თხზულებაში „ბუნდაჰიშნშია“ შემონახული.

„ბუნდაჰიშნის“ მიხედვით, აფრასიაბ თურქი (ბუნდ. ფრასიაბ) ღმერთების მთებში მდებარე რკინისაგან გაკეთებულ მიწისქვეშა სასახლეში ცხოვრობდა, რომელიც ძალზე მაღალი იყო და ასი ზეეტი ჰქონდა. იქვეა განმარტებული, რომ იმ ადგილას, სადაც აფრასიაბის სასახლე იყო, ახლა ქალაქი რამ-პეროყია გაშენებული<sup>121</sup>.

აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდას შესაძლებელია უფრო ღრმად, საუკუნეთა სიღრმეში ჩავეყვით, რადგან იგი ავესტაშიც

<sup>118</sup> فردوسی شاهنامه جلد پنجم طهران ، ۱۳۱۴ — ۱۳۸۶

J. Mohl, Le livre des Rois, t. IV, 1877, p. 156—168.

<sup>119</sup> A. Christensen, Les Kayanides, 1932, p. 116.

<sup>120</sup> J. Darmesteter, Etudes iraniennes, t. II, 1883, p. 225-228.

<sup>121</sup> A. Christensen, Les Kayanides, 1932, p. 87-89.

აირეკლა. ავესტის თანახმად, ქაიხოსროს (ავესტ. ჰაოსრავეა) მთავარი მტერი აფრასიაბ (ავესტ. ფრანრასიან) თურანელია, რომელსაც ქაიხოსრო შეიპყრობს და მოკლავს კიდევ. აფრასიაბი რკინის ზღუდით შემოკავებულ მიწაში გამოთხრილ მაღაროში ცხოვრობდა<sup>122</sup>.

თუ შევაჯერებთ ლეონტის ლეგენდას „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ლეგენდებთან და გავიხსენებთ, რომ ლეონტის თქმით, ქართლს შემოხიზნულ თურქთა უმრავლესობამ „პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუთეილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელი მამასახლისისგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღლუდეს მტკიცედ. და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“, შევამჩნევთ, რომ ლეონტის წყარო იმ ტრადიციიდან მომდინარეობს, რომელიც ავესტაში აისახა და არა „ბუნდაიშნში“ ან „შაჰნამეში“, რადგან, როგორც ავესტაში, ისევე ლეონტისთან, „თურქნი“, ანუ თურანელები, რკინის ზღუდით შემოკავებულ მიწაში გამოთხრილ მაღაროში ცხოვრობდნენ.

აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდა არიულ ლეგენდათა იმ სისტემაში შედიოდა, რომელნიც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში ყალიბდებოდნენ<sup>123</sup>. ავესტის ის ძასნა, რომელიც აფრასიაბ თურანელის რკინის ზღუდით შემოკავებულ მიწაში გამოთხრილ მაღაროში ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს, აქემენიდური ხანით თარიღდება<sup>124</sup>. ლეონტისთან შემონახული ამ ლეგენდის ქართული ვერსია მცხეთის სარკინის ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზეა წარმოქმნილი და აღნიშნული ლეგენდა ანტიკური ხანის ქართლში უკვე კარგად იყო ცნობილი. აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდის ქართულ ვერსიასთან მიმართებაში ყურადღებას იმსახურებს ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის ლეგენდათა ციკლი, რომელთაც „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდების ციკლი ეწოდებათ<sup>125</sup>.

გოგისა და მაგოგის ლეგენდების მიხედვით, კავკასიის მთებში

---

<sup>122</sup> Le Zend-Avesta, Zamyad Jasht, XV, 93; Aban Jasht, XI, 41; Jasnā 11—Hom Jasht 3.

<sup>123</sup> Th. N ö l d e k e, Das iranische Nationalepos, Grundriss der iranischen Philologie, II, 1896-1904, S. 130-131; A. C h r i s t e n s e n, Les gestes des Rois dans la tradition de l'Iran antique, 1936.

<sup>124</sup> И. Б р а г н и с к и й, Из истории таджикской народной поэзии, 1956, стр. 193 (აქვეა მითითებული ლიტერატურა).

<sup>125</sup> A. R. A n d e r s o n, Alexander's Gate, Gog and Magog, 1932.

სახლობენ გოგისა და მაგოგის „უწმინდური ტომები“, რომელნიც მსოფლიოს წარტყვევებით ემუქრებიან. ალექსანდრე მათ წინააღმდეგ გაილაშქრებს და მსოფლიოს გადარჩენის მიზნით დარიალის ხეობაში რკინის კარებს ააშენებს, „უწმინდურ ტომებს“ მთებში ჩაკეტავს, რათა მათ მსოფლიო არ წარტყვევენონ. რადგან გოგისა და მაგოგის ლეგენდები ბიბლიის წიგნების კომენტარების საფუძველზე შეიქმნა, მათში თქმულია, რომ ანტიქრისტეს გამოჩენის ეამს „უწმინდური ტომები“ ალექსანდრეს მიერ აშენებულ კარებს გაანგრევენ და მსოფლიოს ხოცვა-ჟლეტით აიკლებენ. საყურადღებოა, რომ „უწმინდურ ტომებად“ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში სხვადასხვა ხალხები გამოჩნდებიან თვით ამ ხალხთა ძლიერების კვალობაზე. ა. ანდერსონი საგანგებოდ აღნუსხავს ლეგენდებს, რომლებშიაც „უწმინდურ ტომებად“, მაგ. ჰუნები, თურქები, ხაზარები და სხვა ხალხები გამოჩნდებიან ხოლმე. განვიხილოთ ეს ლეგენდები ცალ-ცალკე.

V ს. II ნახ. და VI ს. 20-იანი წლების სირიელი მწერლის იაკობ სერულელის კალამს ეკუთვნის „წინასწარმეტყველება ალექსანდრესა და იმ კარის შესახებ, რომელიც მან ააგო გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ“. „წინასწარმეტყველებაში“ მოთხრობილია, რომ ალექსანდრემ გაილაშქრა მასისის მთის იქით, სადაც იხილა გოგისა და მაგოგის „უწმინდური ტომები“, რომელნიც ადამიანის სისხლითა და ხორციით საზრდოობდნენ და სხვა უწმინდურობას ჰკამდნენ<sup>126</sup>. იაკობ სერულელი გარდაიცვალა 521 წლის ოქტომბერში. თ. ნოლდეკეს ვარაუდით, აღნიშნული „წინასწარმეტყველება“ 514 წლის შემდგომ ახლო ხანებში დაიწერა, რადგან 514 წელს კავკასიის მთების გადაღმა მხრიდან წინა აზიაში შეიჭრნენ ჰუნთა ტომები<sup>127</sup>, ხოლო „უწმინდურ ტომთა“ ავი ზნე ჰუნებს მიეწერება ხოლმე<sup>128</sup>.

იაკობ სერულელის „წინასწარმეტყველება“ დაედო საფუძველად ასევე სირიულ ენაზე დაწერილ „ქრისტიანულ ლეგენდას ალექსანდრეს შესახებ“ და „ალექსანდრეს რომანის“ ეთიოპურ ვერსიაში შემავალ იმ ლეგენდას, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის თავგადასავალს მოგვითხრობს. აღნიშნული ლე-

<sup>126</sup> E. A. Wallis Budge, The History of Alexander the Great, being the syriac version of Pseudo-Callisthenes, 1889, p. 169-198.

<sup>127</sup> Th. Nöldke, Beiträge zur Geschichte des Alexanderromans, Denkschriften d. Kais. Akad. d. Wiss. Phil.-Hist. Classe, Bd. 38, 1890, S. 315.

<sup>128</sup> Ammianus Marcellinus, XXXI, 2.

გენდები თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებენ ერთიმეორეს, ამიტომ მათ შინაარსს ერთად გადმოვცემთ.

ალექსანდრემ კავკასიისაკენ ლაშქრობის უამს მახისის მთა გადალახა, გადაიარა სომხეთი და აზერბაიჯანი, შეიჭრა შიდა სომხეთში და ბოლოს უზარმაზარ მთას მიიღწია, რომლის ძირშიც საშინელი ხეობა იწყებოდა. უცხო ჯარის შემოჭრით შეშინებულნი ამ ქვეყნის მკვიდრნი გადაიმაღლნენ. მაკედონელთა მეფემ ელჩები დააგზავნა, რომლებმაც მოსახლეობას უშიშროება აღუთქვეს. დაპყრობილი ქვეყნის მცხოვრებლებმა სამასი მოხუცი აირჩიეს და ალექსანდრესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს. ისინი საშინელი გარეგნობის იყვნენ, სპილოთა მსგავსი ეშვები მოუჩანდათ პირიდან. ალექსანდრემ მათ ჰკითხა, თუ რა სივრცეზეა გადაჭიმული ეს მთები. მოხუცებმა უპასუხეს, რომ მთის ერთი წვერი პონტოს ზღვას წაუწვდება, ხოლო მეორე აზერბაიჯანში გადადის. ალექსანდრეს შეკითხვაზე, თუ ვინ სახლობენ ამ მთის იქით, უპასუხებენ, რომ იქ საშინელი ჰუნები სახლობენ, რომელნიც ადამიანის სისხლითა და ხორციით საზრდოობენ, მკვდრებს ისინი არ მარხავენ, რადგან გარდაცვალებულთა გვამებს ჰამენ, აგრეთვე სხვადასხვა სიბინძურეს იყენებენ საკვებად. ალექსანდრემ სასწრაფოდ კარები ააშენა და ჰუნები მთებში ჩაქეტა<sup>129</sup>.

ალექსანდრეს კავკასიაში ლაშქრობის შესახებ მოოხრობილია აგრეთვე ერთ-ერთ ბიზანტიურ თხზულებაში, რომელიც მცირე აზიის ქალაქის პატარის ეპისკოპოსის მეთოდოს პატრელს მიეწერება. მისი სათაურია „მოთხრობაჲ უცთომელი სუფევისათჳს ნათესაეთა და უკანასკნელთა უამათჳს“. იგი მეთოდოს პატრელის (III—IV სს.) კალამს, რასაკვირველია, არ ეკუთვნის, რადგან ა. გუტშმიდის დასკვნით, 676—678 წლებში დაიწერა<sup>130</sup>.

ფსევდომეთოდოსის დასახელებული თხზულების ერთი ნაწილი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის ამბავს მოგვითხრობდა, მთლიანად შევიდა ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრეს რომანის“ B ვერსიაში<sup>131</sup>. ამჯერად მათ შინაარსს გადმოვცემთ.

<sup>129</sup> E. A. Wallis Budge, The History of Alexander the Great, being the syriac version of Pseudo-Callisthenes, 1889, p. 148-153; E. A. Wallis Budge, The Life and Exploits of Alexander the Great, being series of ethiopic texts, 1896, p. 228-235.

<sup>130</sup> A. Gutschmid, Historische Zeitschrift, Bd. XL, S. 145-146.

<sup>131</sup> E. Sackur, Sibyllinische Texte und Forschungen, 1898, S. 38.

ალექსანდრეს ლაშქრობის ეამს ბერძნებმა გადალახეს „ჩრდილოეთის მასისი“ და „კედართა ქვეყანაში“ აღმოჩნდნენ. ალექსანდრემ იხილა „უწმინდური ტომები“, რომელნიც ადამიანის ხორცს ჭამდნენ და წყალივით სვამდნენ ცხოველთა სისხლს, მკვდრებს ისინი არ მარხავდნენ, არამედ გარდაცვალებულთა გვამებით იკვებებოდნენ. ამას გარდა, სხვადასხვა სიბინძურესა და უწმინდურებას იყენებდნენ საკვებად. აქვე ცხოვრობდნენ თურქები და სომხები, რომელთა დიდი ნაწილი ალექსანდრემ ამოკლტა<sup>132</sup>.

რადგან წინა აზიაში ფართოდ იყო გავრცელებული ალექსანდრეს ლაშქრობის ლეგენდები „უწმინდურ ტომთა“ წინააღმდეგ მასისის მითს იქით, ეს ლეგენდები ზეპირი თუ ლიტერატურული გზით ქართლშიც შემოდიოდა. აღნიშნული ლეგენდები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ინტენსიურად ჩვენში ჰუნებისა და თურქების ძლიერების ხანაში (IV—VI სს.) იჭრებოდა, რაზედაც ის მიუთითებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ალექსანდრე ქართლში ჰუნებსა და ბუნთურქებს ებრძვის. შემთხვევითი არ არის, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უწმინდურ ტომებად ქართლში ბუნთურქებს ასახელებს. ლეონტი შროველთან შემონახული „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ლეგენდის ქართული ვერსია, როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მცხეთის მიდამოებში ჩამოყალიბდა. რადგან ლეონტისეული „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ლეგენდის თანახმად, თურანელები (თურქები) საკრინეს გარდა ქართლის სხვა ქალაქებშიც დასახლდნენ<sup>133</sup>, ანტიკური ხანის ქართლში არსებობდა გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოსდა თურანელები (თურქები) ქართლის ქალაქებში სახლობდნენ.

როდესაც VI ს. გოგის და მაგოგის ლეგენდები თურქთა ტომის ძლიერების გამო თურქების სახელს დაუკავშირდნენ, ქართლში შემოსული გოგის და მაგოგის ციკლის ლეგენდები ალექსანდრეს კავკასიაში „უწმინდურ თურქთა“ წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ქართული ვერსიის ლეგენდის თურანელთ (თურქებს) შეერწყნენ. „აფრასიაბის გამოქვაბულის“ ქართული ვერსიის ლეგენდის თურქებს, რომელნიც ქართლის მკვიდრ

<sup>132</sup> В. И с т р и н, Откровение Мефодия Патарского. Читения в общ. ист. и древностей российских, 1897, кн. IV (183); აქ არის გამოცემული ფსევდომეთოდოსის ვერსიები Pseudo-Callisthenes, lib., III, 29. ერთის არიანეს ანაბაზისის მიუღწერებულ გამოცემას, პარიზი, 1877.

<sup>133</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 15.

თურქებად, ანუ ბუნთურქებად, ითვლებოდნენ, ამის შედეგად „უწმინდურ ტომთა“ ზნე-ჩვეულებანი მიაწერეს და ამ გზით ჩამოყალიბდა ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის ის „ქართული ვერსია“, რომელიც დაწვრილებით მოგვეთხრობს ალექსანდრეს ომების შესახებ ქართლში ბუნთურქების წინააღმდეგ. იმის თქმა გვსურს, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ ქართლში მოსახლე „უწმინდურ ტომთა“ წინააღმდეგ VI ს. ადრე ვერ დათარიღდება. ამის მოწმობა ისიც არის, რომ ლეონტი მროველის ცნობით, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ალექსანდრე მაკედონელმა თითქოსდა „ბიზინტიოსის მისცა საბერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილონა. და მოუწერა წიგნი ანდერძი აზონ პატრიქსა, ერისთავსა ქართლიანსა, რათა მსახურებდეს იგი ბიზანტიოსს. და მან აღაშენა ქალაქი ბიზინტია, რომელსა აწ ჰქვან კოსტანტინეპოლი“<sup>134</sup>.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ აზოს (აზონის) „გამეფება“ მცხეთაში, როგორც ვთქვით, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შექმნასთან არის დაკავშირებული, ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსახლე „უწმინდური ტომების“ წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ გენეტურად არაფერი აქვს საერთო აზონ-ფარნავაზის გადმოცემასთან, რადგან ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსახლე „უწმინდური ტომების“ წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ VI საუკუნეზე ადრეული არ არის.

---

<sup>134</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 20.

## ბოლოსიტყვაობა

1961 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო თემატიკის შესაბამისად, ლეონტი მროველის წყაროთა შესწავლას შევეუდეთ, რაც ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომის მეცნიერულ კრიტიკას ისახავდა მიზნად. რადგან ლეონტი მროველი ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის ისტორიას მოგვითხრობს, მისი საისტორიო ნაშრომის მეცნიერული კრიტიკის ცენტრში ფარანავაზის გამეფების ისტორია მოექცა, რამაც ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების პრობლემის შესწავლისათვის მომაკიდებინა ხელი.

ისეთი რთული პრობლემის დამუშავების შესაძლებლობა, როგორც ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების პრობლემა არის, ისტორიული მეცნიერების მიღწევებმა განაპირობეს. ივ. ჯავახიშვილმა ძველი ქართული სოციალური ტერმინოლოგიის შესწავლით აღნიშნული პრობლემის დამუშავებაში პირველი ხნული გაავლო. ძველ ქართულ სოციალურ ტერმინოლოგიას ივ. ჯავახიშვილი, უპირველეს ყოვლისა, ძველბერძნულ სოციალურ ტერმინოლოგიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა. ამიტომ იყო, რომ ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესწავლას ივ. ჯავახიშვილმა სტრაბონის მიერ შემონახული ცნობები იბერთა სოციალური წყობის შესახებ დაუდო საფუძვლად<sup>1</sup>.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სტრაბონის ცნობები იბერთა სოციალური წყობის შესახებ მიგვითითებენ, რომ ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის იბერიაში კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ არსებობდა და მამულები საერთო საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენდა. თვით ექსპლოატაციის წესიც კი გვარს ეფუძნებოდა და ამის გამო იბერიის სოციალური წყობილების საფუძველს გვარი ქმნიდა.

---

<sup>1</sup> И. А. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, С.Пб., 1905.



რადგან სტრაბონის ცნობით, იბერიაში გვარის (ასე თარგმნის ივ. ჯავახიშვილი სტრაბონის მიერ მოხსენიებულ  $\sigma\alpha\upsilon\gamma\chi\epsilon\upsilon\mu\alpha$ -ს) მმართველი და ქონების გამგებელი უხუცესი იყო, ხოლო იბერთა სამეფო გვარშიც კი მეფედ უხუცესი ჯდებოდა, ივ. ჯავახიშვილი ეარაულობდა, რომ სამეფო ხელისუფლება იბერიაში ისევე იყო უხუცესობის საფუძველზე ორგანიზებული, როგორც უხუცესობას ეყრდნობოდა ყოველი ცალკე აღებული იბერთა საგვარეულოს მართვა-გამგეობა. განსხვავება სამეფო გვარსა და იბერთა სხვა რომელიმე გვარს შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ იბერთა მეფე იმ საგვარეულოს თავი იყო, საიდანაც იბერთა სუვერენები სხდებოდნენ. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ გვარი და საგვარეულო წყობილება არა მხოლოდ იბერთა სოციალური ცხოვრების საფუძველი იყო, არამედ სამეფო ხელისუფლებას საფუძველიც.

სამეფო ხელისუფლების წარმოშობის საკითხის შესწავლის მიზნით ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იბერიის სტრაბონისეულ აღწერილობაში მოხსენიებულ ტერმინ „ბასილევსის“ ქართულ შესატყვისობებზე, რადგან აღნიშნული ტერმინით სტრაბონი იბერთა მეფეს ასახელებს. ძველ ქართული სახარების თარგმანთა შედარების შედეგად ძველ ბერძნულ სახარების ტექსტებთან, რომლებშიც არაერთგზის არის დამოწმებული ტერმინი „ბასილევსი“, ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ძველბერძნულ სახარების ტექსტში მოხსენიებულ „ბასილევსს“ ძველქართულ სახარების თარგმანებში შეესიტყვება ტერმინები „მეფე“ და „მეუფე“, რომელთა შორის „მეფე“ „მეუფიდან“ არის მიღებული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, იბერიაში ტერმინი მეფე სამეფო ხელისუფლებას არ აღნიშნავდა, რადგან ამ ტერმინით ხელისუფლებას ზოგადად აღნიშნავდნენ და არა სამეფო ხელისუფლებას კონკრეტულად. მეფის ხელისუფლების აღმნიშვნელი ტერმინი იბერიაში, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, მამასახლისი უნდა ყოფილიყო.

როგორც ითქვა, ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, იბერთა სოციალური და სამეფო ხელისუფლების საფუძველი საგვარეულო წყობილება იყო. იბერთა ძირითად სოციალურ უჭრედს გვარი წარმოადგენდა და გვარზე მცირე სოციალური ორგანიზმი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, იბერებში არც არსებობდა. ეს არ ნიშნავდა, რომ გვარი ერთ ჰერქვეშ ცხოვრობდა, არამედ მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ გვარი ერთიან სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენდა,

ხოლო რადგან გვარს იბერები სახლს უწოდებდნენ, გვარის უხუცესს, რომელიც გვარის მმართველი და საგვარეულო ქონების გაზგებელი იყო, მამასახლისი ერქვა. იმ აზრის დასადასტურებლად, რომ იბერთა მეფე თავდაპირველად მამასახლისად იწოდებოდა, ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ლეონტი მროველის ის ცნობა, რომლის თანახმადაც „ქართლოსიანებს“ მეფე და ერისთავი კი არ ჰყავდათ, არამედ მცხეთელი მამასახლისი.

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ მამასახლისი არა მხოლოდ მცხეთაში იჯდა, არამედ ლეონტისეულ ქართლოსიანთა „თავადნიც“ იმ მხარეთა მამასახლისნი იყვნენ, რომელნიც მათ გამგებლობაში შემოდიოდნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მცხეთელი მამასახლისი ზოგიერთ უპირატესობით სარგებლობდა ქართლოსიან თავადებთან შედარებით და ამის გამო, მცხეთელი მამასახლისი primus inter pares იყო ქართლოსიან თავადებს შორის. რადგან წყაროებში დასტურდება ცნობები სოფლის მამასახლისის, მცხეთელი მამასახლისისა და ქართლის მამასახლისის ინსტიტუტების შესახებ, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მამასახლისის ინსტიტუტი იბერიაში არა მხოლოდ ყველაზე არქაული ინსტიტუტი იყო, არამედ მთელი ადმინისტრაციული იერარქია იბერთა შორის გვარის მიხედვით იყო ორგანიზებული და როგორც სამეფო ხელისუფლება, ისევე ადმინისტრაციული იერარქია მთლიანად საგვარეულო ინსტიტუტებიდან გამოიზარდა. ამის გამო ივ. ჯავახიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ საგვარეულო წყობილება იბერიის სახელმწიფო წყობილების საფუძველს წარმოადგენდა.

რადგან, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართლის (იბერიის) სამეფოს სახელმწიფო წყობილების საფუძველს გვარი წარმოადგენდა, ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს უძველესი ტერიტორიული დანაწილების ტერმინებმა შემოინახეს მოგონება გვაროვნული წყობილების შესახებაც. ასეთ ტერმინად ივ. ჯავახიშვილს „სახლი“ მიაჩნდა, რომელიც ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ვრცელ მიწა-წყალზე ან მხოლოდ ერთი გვარი სახლობდა, ან იგივე ტერიტორია ერთ რომელიმე გვარს ეკუთვნოდა.

სტრაბონის ცნობათა ანალიზის შედეგად ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის იბერიაში სოციალური უთანასწორობა ჩასახვის პროცესში იმყოფებოდა. რადგან „მონები“ მხოლოდ სამეფო გვარს ჰყავდა. არც მიწის-მოქმედთ და მეომრებს (მესამე გენოსი) და არც ქურუშებს (მეორე

გენოსი) მონები არ უნდა ჰყოლოდათ. იბერიის მოსახლეობის ძირითად მასას თავისუფალნი შეადგენდნენ, რომელნიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი ლაშქრობებში ლებულობდნენ მონაწილეობას. ქართულად თავისუფალთა ფენას ერა ეწოდებოდა.

მკაცრი პროფესიონალური დიფერენციაცია მიწისმოქმედთა და მეომართა შორის თავისუფალთა ფენაში ჭერ კიდევ არ არსებობდა, წოდებრივი პრივილეგიები კი იბერიაში გვარის ღირსებებთან იყო დაკავშირებული. თავისუფალთა ფენაში გაერთიანებული გვარები აზნაურებად იწოდებოდნენ, უაზნონი კი უგვარონი, არათავისუფალნი იყვნენ, რადგან მათ მოგვარენი არ იცავდნენ. სამართლებრივი ნორმების თანახმად, ღირსების ცნება იბერიაში ეფუძნებოდა გვარის და არა ინდივიდის ღირსებას, რაზედაც ტერმინი „გვარიშვილობა“ მიუთითებს.

იბერიის მოსახლეობის უმდაბლეს ფენას „ბაილიკოი დულოი“ — „სამეფო მონები“ წარმოადგენდნენ, რომელნიც სამეფო მრჩაზე ისხდნენ და მეფის გვარს ნატურალურ გადასახადს უზღიდნენ. სოციალური მდგომარეობით „ბასილიკოი დულოი“, რომელთაც სტრაბონი ამავე დროს „ლაოის“ უწოდებს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, კოლონებს უახლოვდებოდნენ. სოციალური უთანასწორობის საფუძველი იბერიაში „ლაოების“ ფენის არსებობაში მდგომარეობდა. თუ „ლაოები“ — „სამეფო მონები“ ახ. წელთაღრაგვისათვის იბერიაში მხოლოდ მეფის გვარს ჰყავდა, რაც მიუთითებს, რომ ეს ინსტიტუტი იბერიაში საწყის საფეხურზე იმყოფებოდა, იბერიის შემდგომი სოციალური განვითარება „ლაოების“ ფენის გაზრდის გზით მიმდინარეობდა, რადგან შემდგომ საუკუნეებში სოციალურად დამოკიდებული ფენა აზნაურებსაც გაუჩნდა. პატრონყმობის (ფეოდალიზმის) დამკვიდრებამდე, ივ. ჯავახიშვილის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოში სოციალურად „უფალ-მონობა“ არსებობდა.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის საკითხებს დიდა ადგილი უკავია ს. ჯანაშიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში<sup>2</sup>. ს. ჯანაშია მარქსისტული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი იყო და საქართველოს ისტორიას მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში მოცემული დებულებების საფუძველზე იკვლევდა. ანტიკური ხანის წყაროთა

<sup>2</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 131—206; ტ. II, თბ., 1952, გვ. 131—235.

სტრაბონი, ტაციტუსი, დიონ კასიუსი) ცნობების ანალიზის შედეგად, ს. ჯანაშიამ დაასკვნა, რომ ქართლის (იბერიის) სამეფო ქართულ ტომებში კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველზე წარმოიქმნა. სახელმწიფო ქართულ ტომებში, ს. ჯანაშიას აზრით, მონათა ექსპლოატაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა და ქართლის (იბერიის) სამეფო მონათმფლობელთა პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მონათმფლობელებად ქურუმები გვევლინებოდნენ, რადგან სატაძრო მამულებს მონები ამუშავებდნენ.

იბერიის სტრაბონისეული აღწერილობის ბასილევსი, რომელსაც ქართულად მეფე ეწოდებოდა, სოციალურად ქურუმებს ეყრდნობოდა. ს. ჯანაშიას აზრით, პირველი გენოსი — „სეფე სახლი“ ექსპლოატაციას უწევდა „კოლონებს“, რომელთაც სტრაბონი „ლაოებად“ ასახელებს. მეოთხე გენოსის — „ლაოების“ ფენის წარმოქმნას ს. ჯანაშია კლასობრივად საკმაოდ დიფერენცირებული საზოგადოების ხელისუფლების მიერ უცხო თემების დაპყრობას უკავშირებდა. პირველი გენოსის მიერ მეოთხე გენოსის ექსპლოატაციას, ს. ჯანაშიას აზრით, ქართულად „სეფეობა“ ეწოდებოდა, „სეფეობა“ ფეოდალური ტიპის ექსპლოატაცია უნდა ყოფილიყო. „სეფე სახლს“ მონებიც ჰყავდა. მონები ქართლის (იბერიის) სამეფოში „ერსაც“, ანუ მესამე გენოსსაც მოეპოვებოდა.

50-იანი წლების დამდეგიდან 60-იან წლებში ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის პრობლემაზე ინტენსიურად მუშაობდა ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების გამართული მეცნიერული სურათი მოგვცა. ნ. ბერძენიშვილი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების პრობლემის შესწავლას მის მიერ შემუშავებული „გორათა“ თვალსაზრისით მიუდგა. „გორა“, ნ. ბერძენიშვილის აზრით, სოციალურად გვარი იყო, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე არსებული გვაროვნული წყობილების საფუძველს წარმოადგენდა. რამდენიმე გორას გაერთიანება ჰეგემონი გორას მეთაურობით ხევეს ქმნიდა, რომელსაც სახელს ჰეგემონი გორა აძლევდა. ხევების გაერთიანებით საერისთავოები ჩამოყალიბდა, რომელნიც ჰეგემონი გორას ანლოგიურად თავის სახელს ჰეგემონი ხევისაგან ღებულობდნენ. ყოველი ასეთი საერისთავო უკვე სახელმწიფოს ჩანასახს წარმოადგენდა. შემდგომ ეტაპზე ყველაზე ძლიერმა საერისთავომ დანარჩენი საერისთავოები დაიპყრო და თავისი სახელი დაპყრობილ საერისთავოებზე გაავრცელა. დაპყრობის შედეგად გამარჯვებული საერის-

თავოს ერისთავი (ნეუფე მამასახლისი) მეფობამდე აღზევდა, ხოლო დაპყრობილი საერისთავოების ერისთავები ახლადწარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს სამხედრო-ტერიტორიულ მოხელეებად გადაიქცნენ.

აღნიშნული სქემის ილუსტრირება ნ. ბერძენიშვილმა ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინის „ქართლის“ გავრცობის მაგალითზე მოახდინა. ძველქართულ წყაროებში „ქართლი“ რამდენავე მნიშვნელობით იხმარება. მცხეთის გაღმართ, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ მდებარე ქედს „ქართლის მთა“ ეწოდებოდა, რომლის ჩრდილო-დასავლეთი კალთიდან მდინარე მტკვრამდე „ქართლის ხევი“ ჩამოდიოდა. „ქართლი“ მიწა-წყალიც იყო „ქართლის მთიდან“ მოკიდებული ფარავან-ტაშისკარამდე, რომელსაც აგრეთვე „ზენა სოფელს“ უწოდებდნენ და, ბოლოს, „სოფელი ქართლისა“ ვრცელი მიწა-წყლის მომცველი ქვეყანა იყო მოკიდებული „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“. ნ. ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისის მიხედვით, „სოფელი ქართლისა“ („ქართლის ქვეყანა“) „მთა ქართლის“ („ქართლის გორას“) ექსპანსიის შედეგი არის, რაც ნიშნავს, რომ „ქართლის მთაზე“ მცხოვრებმა გვარმა ჯერ „ქართლის ხევი“ შექმნა, შემდეგ „ქართლის ხევმა“ ის მიწა-წყალი გაიერთიანა, რომელსაც „ზენა სოფელი“ ეწოდებოდა და მას თავისი სახელი — „ქართლი“ მისცა, ხოლო როდესაც „ზენა სოფლის“ მიწა-წყალზე მოსახლე ტომის მმართველმა სახლმა დაიპყრო მიწა-წყალი „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ „სოფელი ქართლისა“ („ქართლის სახელმწიფო“) ჩამოყალიბდა<sup>3</sup>.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიულ-გეოგრაფიული სქემის პარალელურად ნ. ბერძენიშვილი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების სოციალურ სქემასაც იძლევა. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება ქართულ ტომებში, ნ. ბერძენიშვილის აზრით, გაძლიერებული სახლების და მათ შორის კი, განსაკუთრებით, მცხეთელ მამასახლისთა სახლის სათანადო ეკონომიურ ღონისძიებათა გატარებას უკავშირებდა. აღზევებულმა მცხეთელ მამასახლისთა სახლმა ინდივიდუალურად მოაწესრავა მცხეთის

<sup>3</sup> აღნიშნული თვალსაზრისი ჩამოყალიბებულია წიგნში ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბ., 1975. იხილეთ აგრეთვე დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.

სასოფლო-სამეურნეო უბნის დიდი ურწყავი ველის მორწყვის საქმე და *eo ipso* როგორც მესაკუთრე დაეფულა ამ ველს, ხოლო მორწყული ველის ეკონომიური ექსპლუატაცია კი აღნიშნულმა მესაკუთრე სახლმა სოციალურად არათავისუფალ ხალხს დააკისრა.

მცხეთელ მამასახლისთა სახლს ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯი რომ გადაედგა, ნ. ბერძენიშვილი შიდა ქართლის სოციალური განვითარების ისეთ დონეს ვარაუდობს, როდესაც „ნალღავ“ მიწაზე (იგულისხმება სარწყავი მიწა — გ. მ.) კერძო საკუთრება თუ იურიდიულად არა, ფაქტიურად მაინც უნდა არსებებლიყო<sup>4</sup>.

დაახლ. ოთხი ათეული წელიწადია ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიას საერთოდ და კონკრეტულად ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების პრობლემას გ. მელიქიშვილი იკვლევს. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების განზოგადების საფუძველზე გ. მელიქიშვილმა დაასაბუთა, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბება ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნას ემთხვევა და ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია აზო-ვარნავაზის შესახებ, რომელიც ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის ისტორიას მოგვითხრობს, ძირითადად ნდობას იმსახურებს. გ. მელიქიშვილმა გააკრევა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატინანეში მოხსენიებული „არიან-ქართლი“, საიდანაც აზომ მცხეთაზე გამოილაშქრა, აქემენიდური ირანის მეთვრამეტე სატრაპიაში მოქცეულ სამხრეთ-დასავლურ ქართულ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა, ხოლო ქართლის (იბერიის) სამეფო შორსწასული სოციალური განვითარების პროცესში მყოფ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომთა ურთიერთბრძოლაში ჩამოყალიბდა<sup>5</sup>.

ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული ქართლის (იბერიის) სამეფო, გ. მელიქიშვილის აზრით, არა მონათმფლობე-

<sup>4</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 423—425.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 436—454, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის შესახებ იხ. აგრეთვე—А. И. Б о л т у н о в а, Возникновение классового общества и государственной власти в Иберии, ВДИ, 1956, № 2, стр. 28-43. თ. ლ ო რ თ ქ ი თ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968, გვ. 14—17; გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, „საბჭოთა სამართალი“, 1974, № 3, გვ. 40—52; Н. Ю. Л о м о у р и, Возникновение Древнеиберийского (Картлийского) государства, Сб., Проблемы античной культуры, Тб., 1975, стр. 481-493.

ლურ, არამედ ადრეკლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა, რომელშიც საგვარეულო წყობის ტრადიციები, საკუთრების კოლექტიური, საგვარეულო ფორმები ფართოდ იყო შემორჩენილი. სამეფო გვარიც კი ქართლის (იბერიის) სამეფოს როგორც თავის საგვარეულო საკუთრებას უყურებდა. ქართლის (იბერიის) ადრეკლასობრივი საზოგადოების ძირითად მასას თავისუფალი მეთემენი („მიწათმოქმედნი და მოლაშქრენი“) შეადგენდნენ. ამათ გვერდით სამეფოსაგვარეულო, სამხედრო-საგვარეულო არისტოკრატია და ბიუროკრატიული აპარატი დამორჩილებული თემების („ლაოების“) ნახევრადფეოდალური ტიპის ექსპლოატაციას ეწეოდა, გარკვეული ზომით გავრცელებული იყო მონობაც, რაც ნიშნავს, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს ძირითად ექსპლოატირებულ ფენას არა ტყვემონები, არამედ ძლიერი გვარების მიერ ლუსტი გვარების დამორჩილების შედეგად წარმოქმნილ ნახევრადთავისუფალ მეთემეთა ფენა წარმოადგენდა. მძიმე ვალდებულებებს სახელმწიფოსა, დიდებულთა და ტაძრების მიმართ ასრულებდნენ თავისუფალი მეთემენიც<sup>6</sup>.

რადგან ივ. ჯავახიშვილი სოციალურ ორგანიზაციასა და სახელმწიფოებრიობას ერთმანეთთან აიგივებდა, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში არც დგას, ხოლო გვარისა და საგვარეულოს ცნებაში ივ. ჯავახიშვილი რამდენიმე თაობის მომცველ ძველქართულ „სახლს“ გულისხმობდა, რომელიც ნათესაური სისტემის სინონიმი იყო. ამისდა მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული ქართლის (იბერიის) სამეფოს სოციალური ანალიზი ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც ქართლის (იბერიის) სამეფოს სოციალური სტრუქტურა თავის მხრივ განპირობებული იყო იმ სოციალური პროცესებით, რომელთაც ქართლის (იბერიის) სამეფო შექმნეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილმა სწორად განსაზღვრა ქართლის (იბერიის) სამეფოს ძირითადი სოციალური სტრუქტურა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით როგორც „უფალ-მონობა“, რადგან სოციალური დიფერენციაციისა და კლასობრივი საზოგადოების აღმნიშვნელი ძირითადი სოციალური კატეგორიები, საიდანაც ქართლის (იბერიის) სამეფო აღმოცენდა, „უფალი“ და „მონა“ იყო.

სწორი ჩანს ის აზრიც, რომ ელინისტური ხანის იბერთა ძირითად სოციალურ უჯრედს გვარი წარმოადგენდა, რომ აღმინისტრაციული იერარქია იბერთა შორის გვარის მიხედვით იყო ორგანიზე-

<sup>6</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 483—500.

ბული, ოღონდ სარწმუნო არ არის ივ. ჯავახიშვილის აზრი იმის შე-  
სახებ, რომ საგვარეულო წყობილება ქართლის (იბერიის) სახელ-  
მწიფო წყობილების საფუძველს ქმნიდა. ფ. ენგელსის შრომაზე<sup>7</sup>  
დაყრდნობით და ანტიკურ წყაროთა დეტალური ანალიზით ს. ჯანა-  
შიამ დაასაბუთა, რომ ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს არსებო-  
ბის საფუძველი კლასობრივ ორგანიზაციაში მდგომარეობდა, რის  
შედეგადაც ნცხეთელი მამასახლისი იბერთა მეფედ გადაიქცა<sup>8</sup>.

ისიც მართალი უნდა იყოს, რომ ელინისტური ხანას იბერიაში  
კერძო საკუთრებასთან შედარებით საკუთრების უპირატეს ფორმას  
პატრიარქალურ-გვაროვნული საკუთრების ფორმები ქმნიდნენ. სო-  
ციალური განშრეებისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალი-  
ბების სპეციფიკა აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, რაც  
„ნათესავის“ მიერ „ნათესავის“ დაპყრობაში და „სეფეწულთა“ „მე-  
ფეთა ნათესავის“ ფორმით სოციალურ კონსოლიდაციაში მდგომა-  
რეობდა ეკონომიური გაერთიანების საფუძველზე, თავისთავად გა-  
მორიცხავს ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისს ქარ-  
თლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის შესახებ, რომელთა მიხედვით,  
ქართლის (იბერიის) სამეფო წარმოიქმნა როგორც კერძო საკუთრე-  
ბის დამცველი სოციალური ინსტიტუტი. თანამედროვე საისტორიო  
მეცნიერება სახელმწიფოს წარმოქმნას ექსპლოატაციის უფრო ფარ-  
თო ფორმებს უკავშირებს<sup>9</sup>, რაც კონკრეტულად ქართლის (იბერიის)  
სამეფოს წარმოქმნის მაგალითზეც ვლინდება, რადგან ექსპლოატა-  
ციის ძირითადი ობიექტი — „მონა“, რომელმაც ქართლის (იბერიის)  
სამეფოს წარმოქმნა განაპირობა, დაპყრობილ თემსა და „ტყვე-მო-  
ნას“ შეიცავდა. აქედანვე გამომდინარეობს, რომ ქართლის (იბე-  
რიის) სამეფო ჩამოყალიბდა ხევისუფალთა (= „სეფეწულებს“) სო-  
ციალური კონსოლიდაციის შედეგად მეფემეფებსა და ტყვე-მონებზე  
(= „სახლეულებს“) პოლიტიკური ბატონობის მიზნით.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების პრობლემის მეც-  
ნიერული გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ პრობლემათა ყო-  
ველმხრივი გათვალისწინებით, რომელნიც მეცნიერებას თანამედ-  
როვე დონეზე სახელმწიფოს წარმოშობის ძირითად პრობლემათა

<sup>7</sup> Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и го-  
сударства, М., 1973, стр. 176-199.

<sup>8</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 131—207; ტ. II, თბ., 1952,  
გვ. 136—235.

<sup>9</sup> The Early State, ed. H. M. Claessen, P. Skalnik, 1978.



რიცხვს მიეკუთვნებიან. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სახელმწიფოს გენეზისის შესწავლის წედეგად მკვლევარნი ექვს ფაქტორს გამოყოფენ, რომელთა მოქმედება განაპირობებს სახელმწიფოს წარმოქმნას<sup>10</sup>. პირველ ფაქტორად მოსახლეობის დაწოლა (population pressure) ითვლება, რომელშიც მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ანუ დემოგრაფიული აფეთქება იგულისხმება. II ათასწლეულის II ნახევრიდან ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებამდე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლეობის სწრაფ ზრდას რომ ჰქონდა ადგილი, დასტურდება არქეოლოგიური მასალებით. სოციალური სტრატეფიკაცია აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლეობის სიმჭიდროვის თანმხლები მოვლენა ჩანს. II ათასწლეულის მიწურულს სოციალური სტრატეფიკაცია აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მთისწინა ზოლში ისახება, რომელიც ამ ხანებში განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დასახლებული, აქემენიდური ხანიდან კი სოციალური სტრატეფიკაცია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღრმავდება, რომლის ინტენსიური დასახლებაც აქემენიდური ხანიდან იწყება.

სახელმწიფოს წარმოქმნის მეორე ფაქტორად ომს, ომის საშიშროებას (threat of war) და თავდასხმებს ასახელებენ. მოსახლეობის სწრაფი ზრდის კვალობაზე ომი, ომის საშიშროება და თავდასხმები ხელს უწყობენ ბელადთა აღზევებას და სოციალურ ორგანიზმთა უფრო ძლიერი და დახვეწილი ფორმების წარმოქმნას, იმისგან დამოუკიდებლად, სოციალურ ორგანიზმთა გაძლიერების და დახვეწის უშუალო მიზეზი თავდასხმა თუ თავდაცვა იყო. ომი თავისთავად არ წარმოადგენს სახელმწიფოს წარმოქმნის მიზეზს; მაგრამ ფიქრობენ, რომ ომი, ომის საშიშროება და სოციალური „სტრესი“ (social stress) დიდად უწყობდა ხელს სახელმწიფოს წარმოქმნას. ომით, ომის საშიშროებითა და თავდასხმისაგან თავის დაცვით აიხსნება ის გარემოება, რომ II ათასწლეულის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მდებარე „გორები“ საგანგებოდ გამაგრებულნი არიან, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იჯდა ამ „გორაზე“ — მიწათმოქმედი თუ მესაქონლე პატრიარქალური გვარი. აღნიშნულმა მოვლენებმა შეამზადეს დაახლ. ძვ. წ. XII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაწყებული სოციალური სტრატეფიკაციის პროცესი. შემდგომ კი ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე „ქართლოსიანთა“ წილ მიწა-წყლის ფარგ-

<sup>10</sup> The Early State, ed. H. M. Claessen, P. Skalnik, 1978. p. 622—629.

ლებში ჩამოყალიბებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა მიერ წარმოებული ომები როგორც ურთიერთშორის, ისევე მეზობლებთან, ხელს უწყობდა სოციალური პროცესის შემდგომ გაღრმავებას და, ამდენად, ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნასაც.

სახელმწიფოს წარმოქმნის მესამე ფაქტორად დაპყრობას თვლიან, რომელმაც ზოგ ქვეყანაში გადამწყვეტი როლაც კი შეასრულა სახელმწიფოს წარმოქმნაში. ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებამდე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომებმა დაპყრობის ორი ციკლი გაიარეს. პირველი ციკლი ძვ. წ. დაახლ. XII საუკუნეში დაიწყო და II—I ათასწლეულის მიჯნაზე „ქართლოსიანთა“ წილი მიწა-წყლის საზღვრებში არსებულ სახელმწიფო წარმონაქმნთა ჩამოყალიბებით დასრულდა, მეორე ციკლი კი ასოს (აზონის) დაპყრობებით დაიწყო და ფარნაევზის მიერ „ზუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ მომცველი მიწა-წყლის დაპყრობით დასრულდა, რომლის საზღვრებშიაც ქართლის (იბერიის) სამეფო ჩამოყალიბდა. დაპყრობა ომისაგან იმით განსხვავდება, რომ დაპყრობა ომში დამარცხებულის მიწა-წყლის ინკორპორაციას ნიშნავდა.

სახელმწიფოს წარმოქმნის მეოთხე ფაქტორად ნაჭარბი პროლექციის წარმოებას ასახელებენ. ნაჭარბი პროლექტი საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ტომის ბელადთა (chiefdom) დონეზე ჩნდება და საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის პროცესიც ნაჭარბი პროლექციის წარმოების ზრდის პარალელური მოვლენა არის, რომელსაც მმართველი ფენა მოიხმარს სხვადასხვა ფორმის გადასახადების გზით. II ათასწლეულის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მორწყვის, სახნავი მიწათმოქმედებისა და ლითონის თოხის შემოღებამ განაპირობა ნაჭარბი პროლექტის წარმოების სწრაფი ზრდა, რომელიც სოციალური განშრეკების გაღრმავების პროცესში მიდიოდა სეფეწულთა მზარდი ფენის შესანახად.

სახელმწიფოს წარმოქმნის ხელისშემწყობ მეხუთე ფაქტორად იდეოლოგია მიაჩნიათ, ანუ როგორც ამბობენ, „საზოგადოების მითი“ (myth of the society), რომლითაც საბუთდება მმართველი ფენის კანონიერება. რადგან ქართლის (იბერიის) სამეფო სახლის საგვარეულო კულტი არმაზი ომისა და ნაყოფიერების ღვთაება იყო, სამეფო სახლი ქართლის (იბერიის) მოსახლეობის მფარველად და კეთილდღეობის მომტანად ითვლებოდა, რაც იდეოლოგიურად ამართლებდა ფარნაევზიანთა სახლის ბატონობის უფლებას ქართლზე

(იბერიაზე). ამავე მიზნებს ისახავდნენ სეფე სახლთა კუთვნილი ღვთაებები, რომელნიც მეომარ და ნაყოფიერების ღვთაებებს წარმოადგენდნენ, ისინი ამა თუ იმ „სოფლის“ მოსახლეთა მფარველობასა და კეთილდღეობაზე „ზრუნავდნენ“.

სახელმწიფოს წარმოქმნის ხელისშემწყობ მეექვსე ფაქტორად არსებულ სახელმწიფოთა გავლენას თვლიან. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ვიდრე ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებამდე, ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს, აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარე სოციალური განშრევეების პროცესზე გავლენას ასდენდნენ ურარტუს, მიდიისა და აქემენიდური ირანის სახელმწიფოები, რომელთა შორის აქემენიდური ირანის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო.



თანამედროვე ისტორიოგრაფია სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ორ მიმდინარეობად იყოფა. პირველი თვალსაზრისით, სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი სოციალურ უთანასწორობაში მდგომარეობს, მეორე თვალსაზრისი კი სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზად სოციალურ კონტრაქტს თვლის. უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალური უთანასწორობის ფაქტორს სოციალური კონტრაქტის თვალსაზრისის მომხრენიც არ უარყოფენ, ოღონდ, მათი აზრით, სოციალური უთანასწორობა სახელმწიფოს წარმოქმნის შედეგი და არა მიზეზი იყო<sup>11</sup>.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბების ისტორია მიგვითითებს, რომ სოციალური განშრევეების პროცესი და გაბატონების გზაზე მდგომი სოციალური ფენის კონსოლიდაცია ურთიერთანმხლები მოვლენა ჩანს. როგორც აღვნიშნეთ, დაახლ. ძვ. წ. XV საუკუნიდან ვიდრე ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებამდე ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძალის გამოყენებას (ომის, ომის მუქარა) ჰქონდა ადგილი, რომელიც მოკლე ხნის განმავლობაში — პირველად ძვ. წ. დაახლ. XII საუკუნის — II—I ათასწლეულის მიჯნაზე, მეორედ კი ძვ. წ. 330-იან წლებში, დაპყრობაში გადაიზარდა, რასაც ჭერ „ქართლოსიანთა“ წილი მიწა-წყლის საზღვრებში სახელმწიფო წარმონაქმნთა,

<sup>11</sup> The Early State, ed. H. M. Claessen, P. Skalnik, 1978, p. 3—17 და სხვ.

შემდეგ კი ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბება მოჰყვა. დაპყრობა სინქრონულად ემთხვევა თავდაპირველად სოციალური განშრეების პროცესს და „ქართლოსიანთა“ წილი მიწა-წყლის საზღვრებში სახელმწიფო წარმონაქმნთა ჩამოყალიბებას (ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისი), შემდეგ კი ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნას (ძვ. IV ს. მიწურული).

რადგან სოციალური განშრეება და გაბატონების გზაზე მდგომი ფენის სოციალური კონსოლიდაცია აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში „ნათესავთა“ ურთიერთდაპყრობას მოჰყვა, ყურადღებას იმსახურებს რ. კარნიეროს თვალსაზრისი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. რ. კარნიეროს აზრით, დაპყრობის გარეშე სახელმწიფო არ წარმოიქმნება, ოღონდ ომი არ არის სახელმწიფოს წარმოქმნის ერთადერთი ფაქტორი. დაპყრობას სახელმწიფოს წარმოქმნამდე, რ. კარნიეროს დასკვნით, მხოლოდ გარკვეული პირობების თანხლებით მიყვავართ. ეს პირობებია — „გარემოს შემოსაზღვრულობა“ (enviromental circumscription) და „სოციალური შემოსაზღვრულობა“ (social circumscription)<sup>12</sup>.

თავისი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ რ. კარნიეროს მოჰყავს არქეოლოგიურად საკმაოდ კარგად შესწავლილი პერუს სანაპიროზე სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორია. სახელმწიფოს წარმოქმნამდე, შენიშნავს რ. კარნიერო, პერუს სანაპიროზე 78 ხევი არსებობდა. ყოველი ზევი შემოსაზღვრული იყო მთებით, ზღვით ან უდაბნოთი. ხევეებში მოსახლეობა სოფლებად ცხოვრობდა, რომელნიც გამრავლების კვალობაზე ახალ სოფლებს აარსებდნენ, ვიდრე ხევეში თავისუფალი მიწის ფონდი მოიპოვებოდა. თავისუფალი მიწის ფონდის ამოწურვის შემდეგ გამრავლებული მოსახლეობა ირიგაციისა და ტერასების შემოღებით ინტენსიურ მეურნეობას უღებს საფუძველს, მაგრამ, ამის მიუხედავად, დროთა ვითარებაში მიწის სივიწროვე სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. ჭერ კიდევ ირიგაციის შემოღებამდე სოფლები ურთიერთს შორის უკვე ომობდნენ, რაც ძირითადად ღისხლ-მესისხლეობით იყო გამოწვეული. ხევეში მიწის სივიწროვის შემოსვლასთან ერთად შეიცვალა ომის ხასიათიც, რომლის მამოძრავებელ ძალად ამიერიდან სხვისი მიწა-წყლის სისტემატური დაპყრობა გახდა. ომის შედეგად დაპყრობილი სოფელი

<sup>12</sup> R. Carneiro, A Theory of the Origin of the State, Science, 1970, № 169, p. 733-738.

დამპყრობელს ან უნდა ამოეწყვიტა, ან უნდა განედევნა თავისი მიწა-წყლიდან, რათა დამპყრობელს საკუთარი ზრდის პროცესში მყოფი მოსახლეობისათვის ახალი მიწა-წყალი შეეძინა, მაგრამ დაპყრობილსაც წასასვლელი აღარსად ჰქონდა, რადგან ხევში გაზრდილი მოსახლეობის გამო მიწის თავისუფალი ფონდი ამოწურული იყო (ასეთ ვითარებას რ. კარნიერო „სოციალურ შემოსაზღვრულობას“ უწოდებს) და ხევის ფარგლებს გარეთაც დაპყრობილ სოფელს. წასვლა არ შეეძლო ჩვეის მთით, ზღვით, ან უდაბნოთი შემოსაზღვრულობის მიზეზით („გარემოს შემოსაზღვრულობა“).

წარმოქმნილ სიტუაციაში დამარცხებულ სოფელს სხვა ალტერნატივა არ რჩებოდა, თუ არა დამორჩილება დამპყრობელისადმი ხარკის გადახდის პირობით, დამპყრობელი კი დაპყრობილის მიწა-წყალს იერთებდა და ამ გზით შიგნით პოლიტიკურ ერთეულს ქმნიდა, რომელსაც თავში თვითონ უდგებოდა. აღნიშნული პროცესების შედეგად ხევის შიგნით სოციალური სტრატეფიკაცია მიმდინარეობდა და ხევის სოციალური განვითარება „ბელადობის“ (chiefdom) დონეს აღწევდა. ყოველ ხევში რამდენიმე „საბელადო“ იყო, რომელთა ურთიერთდაპყრობას ხევის გაერთიანება მოჰყვა და გამარჯვებული „ბელადი“ გაერთიანებული ხევის მეფედ გადაიქცა. მეფის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული ხევი სახელმწიფოს წარმოადგენდა. სახელმწიფო, რ. კარნიეროს განმარტებით, გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში თემების გამაერთიანებელი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, რომლის ცენტრალურ ხელისუფლებას შესწევს უნარი აკრიფოს ხარკი, გამოიყვანოს ქვეშევრდომები ომში და სამუშაოებზე, გამოსცეს კანონები და განაბორციელოს ისინი ცხოვრებაში. სამეფოთა (ხევების) ურთიერთდაპყრობის გზით კი ჩამოყალიბდა ინკას იმპერია.

თუ კონკრეტულად რამდენად მოქმედებდნენ „ნათესავთა“ ურთიერთდაპყრობის პროცესში „სოციალური“ და „გარემოს“ „შემოსაზღვრულობის“ ფაქტორები ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ხევების არქეოლოგიური შესწავლით შეიძლება გაირკვეს. ჯერ-ჯერობით „სოციალური შემოსაზღვრულობის“ ფაქტორის სასარგებლოდ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ II ათასწლეულის II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალი თავისი დროის კვალობაზე მჭიდროდ დასახლებული ჩანს. განსაკუთრებულ სიმჭიდროვეს დასახლებანი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (II—I ათასწლეულის მიჯნა) აღწევენ და საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული აზრი, რომ გვიან-

